კვირის პალიტრა

№ 7 (419) ◆ 17 – 23 თებერვალი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

ვერ წარმოიდგენთ, ამ სისტემაში რა ხდება – მათ უფროსობისგან დღიური და თვიური გადასახადები აქვთ დაწესებული – უფროსს არ აინტერესებს, „იშოვის“ თუ არა იმ დღეს ფულს ინსპექტორი, სახლის გაყიდვაც რომ დასჭირდეს, მისატანი უნდა მიიტანოს.

საკმაოდ მაღალი ხელფასი მაქვს, მაგრამ მერწმუნეთ, მე თვეში არ ვიღებ იმდენს, რამდენსაც შინაგან საქმეთა სტრუქტურებში ხალხი დღეში იღებს. ამ სტრუქტურებში საკმარისზე მეტი ფული ტრიალებს საიმისოდ, რომ იქ მომუშავე, უბრალო ადამიანებმა ნორმალურად იცხოვრონ...

გვ.3

გვ.5

„მიშას პრეზიდენტობა უნდა, მაგრამ შეძლებს?“



დიმა ჯაიანი თავდასხმაზე პირველად საუბრობს

„გენოს ბორიას ხახაში „სტეჩკინი“ ჰქონდა

გვ.5 **ჩადებული...“**

ვიცი ორი შემკვეთი. მესამეზე ზუსტი ინფორმაცია არა მაქვს...

ეს ხალხი უნდა ვაიძულოთ, საქართველო დატოვონ. მათ უბედურების მეტი არაფერი მოაქვთ...

„უკანონოდ მითვისებულ ქონებას წავართმევთ“

ეს ხალხი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. იმით მაინც უნდა დაისაჯონ, რომ უკანონოდ მითვისებულ ქონებას წავართმევთ. ამ პირების საქმეს პროკურატურას გადავცემთ, თუმცა წინასწარ ვიცით, რა დასკვნებსაც გააკეთებს პროკურატურა, მით უმეტეს, როცა ლაპარაკია პრეზიდენტის ძმისშვილსა და მის გარემოცვაზე.

გვ.13

რას ერჩოდნენ თენგიზს?

ხშირად მეკითხებიან, – მილიციელს თუ ჰყავდა პროტოტიპიო. კრებითი სახე იყო. თენგიზი იცნობდა მილიციის თანამშრომლებს, მეგობრობდა კიდეც მათთან...

იმაზეღა წუხდა, როგორ ვითამაშო ლუარსაბი ვასო გოძიაშვილის შემდეგო...

მას ხმაურიანი, ომახიანი კაცის სახელი ჰქონდა, მაგრამ იცით, რა მიმნდობი იყო? ყველაფერი სჯეროდა. დაიჯერა, რომ მართლა აუშენებდნენ თეატრს...

გვ.24

ვარსკვლავი

რიდის გაიცვალეს პირველად მანქანა გაყიდვის მიზნით

მანქანამ გზიდან გადაუხვია და საურმე გზას გაუყვა. სადღაც შორს, სიბნელეში, ერთადერთი ცაცხვის ხე მოჩანდა ფარების შუქზე. იმ ხეზე მიაბეს „ჟიგულის“ საბრალო პატრონი. მეორე დღეს იპოვეს იქაურმა მწყემსებმა კოღო-ბუზისაგან დაკბენილი კაცი, რომელიც ისე მიეკრათ ხეზე, თითებიდან სისხლი სდიოდა.

გვ.10

როდემდე უნდა გაძღიდრდნენ ხალხის კუთვნილი მიწით?!

გვ.6

თავდამსხმელებისგან ოფიცერთა მეუღლეებმა გადამარჩინეს

– ჩვენი საქმეა საბრძოლო დავალებებზე წასვლა და მისი წარმატებით შესრულება, ხოლო სამინისტროს ჩინოვნიკების საქმე თბილისში უცხოური მანქანებით გრიალი და გრანტებისა და კრედიტების ჭამა გახლავთ.

– მტვირთავად რომ ვიმუშაოთ ბაზრობაზე, ჩვენს ხელფასზე, 80 ლარზე მეტს ვიშოვით. მაგრამ ჩვენ ხომ ფულის გასაკეთებლად არ ჩაგვიცვამს სამხედრო ფორმა? ახლა შენობის სასწრაფოდ დაცლას მოითხოვენ. გვეუბნებიან, აქედან თუ არ წახვალთ, ტრაქტორს მოვაყენებთ და ისე დავანგრევთ შენობასო. სად უნდა წავიდეთ?

გვ.8,9

სამხედრო თემაზე:

ოპერაცია „ელდა და ცახცახი“ ამერიკულად...

დადებითი და უარყოფითი მხარეები საქართველოსთვის

ქართული ვაზიანიდან ერაყულ ბაღდადამდე „სასიკვდილო რეისებს“ ამერიკული ბომბდამშენები შეასრულებენ?!

ნებისმიერ ინტენსიურად ფუნქციონირებად აეროდრომზე და მის სიახლოვეს ყოველთვის ხდება ავარიები და კატასტროფები, რის მაგალითადაც ის საბჭოთა თვითმფრინავებიც გამოდგება, რომელთა ნაწილები ჯერ კიდევ ყრია ქართულ მიწაზე.

ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა, სად დაცლიან თავიანთ „სასიკვდილო ნობათს“ ამერიკელი პილოტები, თუკი ვაზიანის აეროდრომიდან აფრენისას სასწრაფო კატაპულტირება მოუხდებათ?

რომელია თქვენი აზრით ფინანსურად ყველაზე ძლიერი პარტია?

მკითხველის პოზიცია

გვ.35

დიეტის სპონსორი

ზაზა ჯანაშიას ყოველ დაკლებულ კილოგრამზე 1000 დოლარს ჩუქნიან. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯანაშიას 10 კილოგრამი აქვს დასაკლები, გამოდის, რომ მისი ახალი მწვრთნელი ერთი თვის ხელფასს მის „დიეტას“ მოახმარს.

გვ.34

თქვენ გეთანხმებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ასე თუ პოლიტიკური პარტია აღარ გვეყოლება...

პარლამენტში წინასაარჩევნო ვნებათაღელვა არ ცხრება. დეპუტატმა ვიტალი ხაზარაძემ კოლეგებს ახალი ინიციატივა გააცნო. სახელისუფლებო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერი პოლიტიკური ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების შესწავლის წინადადებით გამოვიდა. საინტერესოა, რომ მის წინადადებას განსაკუთრებული აღტაცებით არავინ შეხვედრია, — რეალური შემოწმების შემთხვევაში ალბათ ყველა პარტიას სასამართლოში მოუწევს თავის მართლება. თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებამ შეიძლება ეს კამპანიაც სათავისოდ გამოიყენოს. პრეზიდენტმა შევარდნაძემ კი ხელი მოაწერა განკარგულებას საარჩევნო სისტემის სრულყოფის კომისიის შექმნის შესახებ. მასში რვა პარლამენტარი და ამდენივე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი შევა. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ამ ჯგუფმა თავის თავზე უნდა აიღოს ვალდებულება და შეკრიბოს ყველა წინადადება საარჩევნო კოდექსის დასახვეწად.

ვერაფერიც ვერ გაიგეს...

საქართველოში წინასაარჩევნოდ დატრიალებული პროცესები უცხოელი ექსპერტებისთვის უდიდეს გამოცანად რჩება. თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის დელეგაციის წევრებმა ჟურნალისტების წინაშე აღიარეს, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენებში ვერ გაერკვნენ. ექსპერტები დახურულ კარსმიღმა შეხვდნენ სახელმწიფო მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარესა და სხვადასხვა კომიტეტის წარმომადგენლებს. ექსპერტები საკრებულოს თავმჯდომარესაც შეხვდნენ. როგორც სააკაშვილმა განაცხადა, ლეიბორისტების შედგენილმა კანონპროექტმა დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ მათი აღშფოთება გამოიწვია. ჯგუფის წევრებმა კომენტარისგან თავი შეიკავეს.

ვერე იქნებ დარჩნენ კიდევ!

ტელეკომპანია ბი-ბი-სი-ს გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტმა შეერთებულ შტატებს ერაყთან ომის შემთხვევაში ნებისმიერი სახის დახმარება, მათ შორის, სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე განლაგება შესთავაზა. ამერიკის სამხედრო უწყების წარმომადგენლის თქმით, ვაშინგტონი ამ საკითხს უკვე განიხილავს. ქართული მხარე ამ საკითხზე კომენტარისგან თავს იკავებს, თუმცა კულუარული ინფორმაციით, ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე სტრატეგიული თავდაცვის საკითხებში სტივენ რედმეიკერი ედუარდ შევარდნაძეს სწორედ ამასთან დაკავშირებით შეხვდა. ედუარდ შევარდნაძემ პენტაგონს თვითმფრინავების განლაგება ვაზიანის სამხედრო ბაზაზე შესთავაზა. საქართველოს პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ერაყში ომის შემდეგ ამერიკის ჯარი საქართველოში კიდევ დიდხანს დარჩება (იხ. გვ. 9).

მოსვენის უფლება სამხედროებსაც ეძნებათ

სხვა ძალოვანი უწყებების მსგავსად, ოპერატიული სამსახურის შექმნა თავდაცვის სამინისტროსაც სურს. ამ სტრუქტურას დაზვერვით ფუნქციებთან ერთად აუდიო და ვიდეოკონტროლის განხორციელების საშუალებაც მიეცემა.

ქართველი სამხედროების განცხადებით, მსგავსი ოპერატიული სამსახურის შექმნა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პირდაპირი დავალებაა. უცხოეთის მრავალ ქვეყანაში თავდაცვის სამინისტროებს დაქვემდებარებულ გენერალურ შტაბებში ასეთი სამსახურები დიდი ხანია მუშაობს. ოპერატიულ სამძებრო განყოფილებას ტექნიკური სამუშაოების შესრულებაც შეეძლება. სამხედრო უწყებაში ასეთი დეპარტამენტის ჩამოყალიბებას მხარს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტიც უჭერს.

ვინ ჩაიგდებს ხელში „თბილავიამშენს“?

ქონების მართვის სამინისტრომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი უდიდესი სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი, თბილისის საავიაციო ქარხანა ტენდერზე გამოიტანა. გამარჯვებულ ფირმას ან ორგანიზაციას ყოფილი 31-ე ქარხანა 10 წლით მართვის უფლებით გადაეცემა. ამ ხნის განმავლობაში წარმოების განვითარებაში 20 მილიონი დოლარი უნდა ჩაიდოს. ქარხნის ამჟამინდელი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ვაჟა თორდიას განცხადებით, ტენდერში გამარჯვებაზე პრეტენზია მის გუნდს ექნება, თუმცა გამორიცხული არ არის, ქარხნის ხელში ჩაგდება ზოგიერთმა ფინანსურმა წრემაც სცადოს.

პარტიზანები დუმან, ბერაძეები კი აფხაზეთია ნამოიყვან...

ენგურის ხიდზე მიმდინარე დევნილთა აქციის საკოორდინაციო შტაბში ნაღმი აღმოაჩინეს. ხელყუმბარა სოფელ რუხში გაშლილ კარავში, სარკმელზე იყო მიმაგრებული. საკოორდინაციო შტაბის წევრებმა ნაღმის აღმოჩენისთანავე საქმის კურსში ჩააყენეს რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა. ამის შემდეგ ადგილზე გამნაღმველები მივიდნენ. ვითარებაში გარკვევას პოლიციასა და უშიშროების თანამშრომლებთან ერთად გაეროს დამკვირვებლებიც ცდილობენ. 12 საათსა და 45 წუთზე ნაღმი აფეთქდა. საკოორდინაციო შტაბის წევრების განცხადებით, ასაფეთქებელი მოწყობილობა ისე იყო დამონტაჟებული, რომ იგი თათბირის დროს უნდა აფეთქებულიყო. შტაბის წევრები ინციდენტს შემთხვევით გადაურჩნენ. რამდენიმე დღის შემდეგ იმავე ადგილას კიდევ ერთი აფეთქება მოხდა. აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის მოთხოვნით საპროტესტო აქცია ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში ექვსი იანვრიდან მიმდინარეობს. როგორც ჩანს, მისი გაგრძელება გარკვეულ ძალებს ხელს არ აძლევს.

ეორიგი ეუუგი-ქრივი პარლამენგგში

საგაზაფხულო სესიის პირველი დღის წესრიგით უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელთა მოხსენებები იყო დაგეგმილი. დეპუტატების მოთხოვნით, „ახალი მემარჯვენეების“ ცენტრალურ ოფისზე მომხდარი თავდასხმის შესახებ მათ ანგარიში უნდა წარმოედგინათ. მიუხედავად ამისა, დეპუტატებმა დღის პირველი ნახევარი თამაზ ნადარეიშვილის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების განხილვას მიუძღვნეს. პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიაში შესული მასალების მიხედვით, ნადარეიშვილს უკანონო შეიარაღებული ფორმირება „იუპიტერი“ აქვს შექმნილი. ამავე მასალებით, პარლამენტარ ჯემალ გამახარიაზე განხორციელებული თავდასხმა სწორედ „იუპიტერის“ წევრებმა განახორციელეს. მიუხედავად იმისა, რომ ოსაძის კომისიის მასალები გახმაურებას არ ექვემდებარებოდა, ჯემალ გოგიტიძემ მისი ნაწყვეტი სხდომაზე მაინც წაიკითხა. საბოლოოდ, აფხაზეთისა და აჭარის დეპუტაციათა დაპირისპირება ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა (იხ. გვ. 7).

ლეიბორისგებს სხვებიც აპყვნენ

ტარიფის შემცირების შემდეგ ლეიბორისტული პარტია ელექტროენერგიაზე დამატებითი ღირებულების გაუქმებასაც ითხოვს. ამ ინიციატივით პარლამენტის წინაშე დეპუტატი ფრიდონ ინჯია წარდგება. მისი თქმით, მოსახლეობა დენის არსებულ საფასურს ვერ იხდის. ლეიბორისტებს მიაჩნიათ, რომ მიზერული პენსიებისა და ხელფასების ფონზე ხელოვნურად გაზრდილი ტარიფის გადახდა არარეალურია. ლეიბორისტების გათვლით, დღგ-ის მოხსნის შემთხვევაში ტარიფის ექვს თეთრამდე შემცირება რეალურია. ამერიკული კომპანია კი ერთი კილოვატსაათის საფასურის 17 თეთრამდე გაზრდას გეგმავდა. ელექტროენერგიის ტარიფზე დამატებითი ღირებულების გადასახადის მოხსნას მოითხოვენ „ნაციონალური მოძრაობა“ და „გაერთიანებული დემოკრატებიც“. მათ შესაბამისი კანონპროექტიც მოამზადეს, რომლის მიხედვითაც მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის მიწოდება დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით უნდა დაიბეგროს. ასეთი რეჟიმი, დეპუტატების აზრით, 2005 წლის პირველ იანვრამდე უნდა გაგრძელდეს. მსგავსი შინაარსის პროექტი პარლამენტის ენერგოკრიზისის შემსწავლელმა კომისიამ საკანონმდებლო ორგანოს გასულ წელსაც წარუდგინა, მაგრამ პარლამენტარებმა იგი ჩააგდეს. „ნაციონალური მოძრაობისა“ და „გაერთიანებული დემოკრატების“ წევრები იმედოვნებენ, რომ პარლამენტი ამჯერად რაციონალურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

ბრძოლა თბილისის ბიუჯეგისთვის

თბილისის საკრებულოს ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ბიუჯეტის პროექტის საბოლოო შემაჯამებელი ვარიანტი წარმოადგინა. რეკომენდაციაში განსაკუთრებული ადგილი საშემოსავლო, ხარჯვით და სტრუქტურული სისტემის რეორგანიზაციას უჭირავს. რეკომენდაციის თანახმად, უნდა გაიზარდოს საშემოსავლო ნაწილი, რადგან არასწორი დაგეგმარების გამო სისტემიდან შავი შემოსავლები კონკრეტულ პირთა ჯიბეებში მიედინებოდა. პროექტის თანახმად, საგადასახადო შემოსავლები მინიმუმ ორმოცი მილიონი ლარით გაიზრდება.

საკრებულოს თავმჯდომარის, მიხეილ სააკაშვილის პოზიცია პრინციპულია — თუ მერია მათ წინადადებებს არ გაითვალისწინებს, საკრებულოს ფრაქციები ბიუჯეტს არ დაამტკიცებენ.

ერთკვირიანი შიმშილობით ხელფასები დაიმსახურეს...

სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმში“ შექმნილ მძიმე ვითარებასთან დაკავშირებით სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ თათბირზე ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ საწარმო უმოკლეს ვადებში ტენდერზე უნდა გავიდეს. მთავრობაში უკვე არსებობს პრივატიზების პროექტი, რომლის თანახმადაც „ჭიათურმანგანუმისა“ და ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის პრივატიზება ერთობლივად უნდა განხორციელდეს. ამავე თათბირზე პრეზიდენტმა მაღაროში მოშიმშილეების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად 800 ათასი ლარი პირადი ფონდიდან გამოყო. ფული გაძლიერებული დაცვის თანხლებით ჭიათურაში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ, აკაკი ზოიძემ ჩაიტანა.

„აღმანელები“ აპროტესტებენ

უკვე ერთი წელია ავღანეთის ომის ზუგდიდის რაიონის ვეტერანებს პენსია არ მიუღიათ. ვეტერანები ათი წლის განმავლობაში ჰუმანიტარულ დახმარებებს და ორმოცდახუთ ლარ პენსიას ღებულობდნენ. გაურკვეველი მიზეზების გამო მათ დახმარებები და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები შეუწყდათ. თუ პრობლემა არ მოგვარდა, ვეტერანები თბილისში ჩამოსვლას და საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას გეგმავენ. ავღანეთის ომის მონაწილეებს საქართველოს რეგიონებიდან სხვა ვეტერანებიც შეუერთდებიან.

„გაერთიანებული დემოკრატები“ წინააღმდეგნი არიან

„გაერთიანებული დემოკრატები“ „თბილგაზის“ სატენდერო პირობების წინააღმდეგ გამოდიან. პარლამენტარი ირაკლი ჩუბინიშვილი აცხადებს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობის შემუშავებული კონკურსის პირობები მორიგი ფარსია. ამის საფუძველს დეპუტატს ტენდერის ნაჩქარევად ჩატარება აძლევს. როგორც ცნობილია, კონკურსში მონაწილეებმა განაცხადები და ბიზნესგეგმები ერთი თვის ვადაში უნდა წარმოადგინონ. „დემოკრატების“ აზრით, ამ მცირე დროში მხოლოდ ძველი პრეტენდენტები, ანუ „იტერა“ და „ტაჰალი“ შეძლებენ ტენდერში მონაწილეობის მიღებას. მათ უკმაყოფილებას ასევე ტარიფთან დაკავშირებული პუნქტიც იწვევს, რომლის მიხედვით ახალ მეპატრონეს 2005 წლის შემდეგ ტარიფის შეცვლის საშუალება ექნება. „დემოკრატები“ ამ საკითხის პარლამენტის სხდომაზე გატანას აპირებენ.

კიდევ ერთი გაბაცება გამოსასყიდის მოთხოვნით

საქართველოში ადამიანის გატაცება მალე შემოსავლის ჩვეულებრივ წყაროდ იქცევა. ზესტაფონში ცნობილი ნავთობბიზნესმენის, დიმიტრი სარდანაძის 12 წლის შვილი გაიტაცეს. ზესტაფონის რაიონის პროკურორის, ვასილ მაკარიძის ინფორმაციით, გამტაცებლები ქუთაისის მკვიდრნი არიან და, სავარაუდოდ, თეთრი ფერის ავტომანქანა „ნივით“ მოძრაობენ. მისივე თქმით, ბოროტმოქმედები ამ დროისთვის კავშირზე არ გამოსულან და მოლაპარაკება არც ოჯახის წევრებთან გაუმართავთ. გატაცებამდე დაახლოებით ორი კვირით ადრე ბიზნესმენ დიმიტრი სარდანაძეს 4 შეიარაღებული პირი დაესხა თავს. სავარაუდო მოტივი დაშინება და დაშანტაჟება იყო. გამოძიებას იმერეთის სამხარეო პოლიცია და თბილისიდან ჩასული სამართალდამცველები აწარმოებენ.

„ენერგოხელიგნოგას“ უშიშროება გამოიძიებს... —

„კავკასიონის“ მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზზე გახშირებული დივერსიების გამოძიების მიზნით სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ დასახმარებლად უშიშროების სამინისტროს მიმართა. როგორც ირკვევა, გადამცემი ხაზის ანძებზე იზოლატორების დამსხვრევამ უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო. დაუდგენელი პირები ფულს ორიგინალური მეთოდით შოულობენ — ანძასთან წერილს ტოვებენ და 50 ათას დოლარს ითხოვენ, შუამავლის მოძებნას კი „საქრუსენერგოს“ ავალებენ. „საქრუსენერგოს“ გენერალური დირექტორის, შოთა მაისურაძის მონაცემებით, დივერსანტებს ბოლო წერილში თანხა აღარ დაუსახელებიათ. მასში ეწერა: „თქვენ იცით, რაც გვინდა“.

„კავკასიონის“ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის დაზიანებული ანძის აღდგენა „საქრუსენერგოს“ სპეციალისტებმა ერთ დღეში მოახერხეს, დამნაშავეების ძებნას კი უშიშროება შეეცდება.

ვითომ მათ რჩევას გაითვალისწინებენ?

19-20 თებერვალს ჟენევაში გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ელჩები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გეგმებს განიხილავენ. შეხვედრაში მონაწილეობას გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელი საქართველოში ჰაიდი ტალიავინიც მიიღებს, რომელიც ქართულ და აფხაზურ მხარეებს მოლაპარაკების შედეგებს წერილობით გააცნობს. სავარაუდოდ, შეხვედრაზე აფხაზური მხარის მიერ „სოხუმსა და თბილისს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“, ე. წ. „ბოდენის დოკუმენტის“ მიღებისა და ქართულ მხარესთან მისი განხილვის პერსპექტივებზე იმსჯელებენ.

აფხაზური მხარე „ბოდენის დოკუმენტის“ განხილვას არ აპირებს და აცხადებს, რომ აფხაზეთის სტატუსი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის კონსტიტუციით უკვე განისაზღვრა. სოხუმი თბილისს მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს და კოდორის ხეობიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების გაყვანას კვლავ დაჟინებით მოითხოვს.

ბიალანძლა და ნამოვიდა...

მიხეილ სააკაშვილმა მთავრობის სხდომაზე მყოფთ სიმყუდროვე ჩვეული სტილით დაურღვია — თავის გამოსვლაში ქვემო ქართლის გუბერნატორს ბანდიტი უძახა, შემდეგ კი პრეზიდენტს უთხრა, სანამ სახელმწიფო მისგან და მისი გარემომცველი ნაგვისგან (ალბათ, მთავრობას გულისხმობდა) არ დაიცლება, არ მოვისვენებო. მოგვიანებით სააკაშვილი გენერალურ პროკურატურაში დაიბარეს. მისი განცხადებით, გამომძიებლები გახმაურებული შეთქმულებით დაინტერესდნენ. დაკითხვიდან გამოსულმა „ნაციონალისტმა“ აღშფოთება ვერ დამალა (როგორც გაირკვა, მას ჩვენება მერიაში არსებულ კანონდარღვევებთან დაკავშირებით ჩამოართვეს) — თუ საქმის კეთება უნდათ, ის დამნაშავეები დაჰკითხონ, რომლებიც გამოვააშკარავეო...

ისევ ამერიკის იმედზე...

ედუარდ შევარდნაძე მთავრობის სხდომაზე, დასკვნითი სიტყვით გამოსვლისას, აფხაზეთის საკითხსაც შეეხო. მისი განცხადებით, რუს სამშვიდობოებს მანდატი გაუგრძელდებათ. პრეზიდენტმა თავისი გადაწყვეტილება ჯორჯ ბუშის თხოვნას დაუკავშირა და მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით დამსწრე საზოგადოებას ამერიკის პრეზიდენტის მიერ გამოგზავნილი წერილის ციტატა გააცნო. ამერიკელები გვთხოვენ, ცოტაც მოვითმინოთ, შემდეგ კი აფხაზეთს ერთად მივხედავთო... მოგვიანებით, საგანგებო დავალებათა მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მანდატის გაგრძელებასთან ერთად ამერიკელები აფხაზეთში დესტრუქციული ქმედების გამო რუსეთსაც აკრიტიკებენ.

კოკოითი კვლავ გოგოძრობს

თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა საქართველო სამხედრო მუქარაში დაადანაშაულა. მისი განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები სპეცდანიშნულების ბატალიონებს სწორედ ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ამზადებს. კოკოითმა საზღვარზე ქართული საგუშაგოების გახსნასთან ერთად საქართველოში ნატოს ინსტრუქტორების ყოფნაც გააპროტესტა. ქართული მხარე კოკოითის ბრალდებებს არ ეთანხმება. ამავე შეხვედრაზე მხარეებმა კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული სამშვიდობო ძალების სარდლად სვიატოსლავ ნაბზოროვი არ დაამტკიცეს და მას უნდობლობა გამოუცხადეს.

ევროპელი მოკავშირეები ჯიუტობენ

ნატოს წევრი ქვეყნების ელჩები ალიანსის არსებობის ისტორიაში ყველაზე სერიოზული კრიზისიდან გამოსავალს ეძებენ. საფრანგეთმა, გერმანიამ და ბელგიამ თურქეთში ნატოს ჯარის გადასხმის დადგენილებას ვეტო დაადეს.

ნატოს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი ოპტიმისტურად არის განწყობილი და იმედოვნებს, რომ ალიანსში საერთო ენას მალე გამონახავენ. ვაშინგტონის რეაქცია მკაცრი იყო. ბუშმა ევროპელი მოკავშირეები მდგომარეობის დაძაბვაში დაადანაშაულა.

საფრთხე ინსპექტირების ნება დართო

ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის საჰაერო ძალებმა ერაყის ტერიტორიაზე ბომბები ჩამოყარეს. სამიზნე ერაყის სამხრეთით მდებარე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა იყო. ვაშინგტონის განცხადებით, სისტემა კოალიციის პატრულს საფრთხეს უქმნიდა. დაბომბვას ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 9 დაიჭრა. ყველა დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეა.

ბუშმა მომხდარს კომენტარი გაუკეთა. მისი მტკიცებით, ბაღდადი შეიარაღებულ ძალებს მშვიდობიანი მოსახლეობის გვერდით საგანგებოდ ათავსებს, რათა დაიცვას თავისი ჯარი და უდანაშაულო ხალხის მკვლელობაში ამერიკა დაადანაშაულოს. ამის პარალელურად ერაყმა ამერიკულ თვითმფრინავებს ნება დართო მის ტერიტორიაზე სადაზვერვო ინსპექტირება ჩაატარონ.

ბინ ლადენის ახალი მოწოდება

ტელეკომპანია „ალ ჯაზირამ“ ნომერ პირველ ტერორისტად აღიარებული უსამა ბინ ლადენის მორიგი აუდიომიმართვა გაავრცელა. გმოსვლაში ბინ ლადენი არაბულ ქვეყნებს მოუწოდებს ერაყთან ბრძოლაში ამერიკას მხარი არ დაუჭირონ.

ბინ ლადენმა მოსალოდნელ ომში განსაკუთრებული მნიშვნელობა კამიკაძეების ქმედებებს მიანიჭა და მათ აქტიური მოქმედებისკენ მოუწოდა. მიმართვაში ნათქვამია, რომ ნებისმიერი ოპერაცია ერაყის მიმართ ეს არ იქნება ომი ერთი კონკრეტული ქვეყნის წინააღმდეგ — ეს მთელი მუსლიმანური სამყაროს გამოწვევას ნიშნავს. ფირის ტექნიკური ექსპერტიზა ჯერ ჩატარებული არ არის, თუმცა წინასწარი მონაცემებით, ამერიკის სპეცსამსახურები ვარაუდობენ, რომ კასეტაზე სწორედ ბინ ლადენის ხმაა ჩაწერილი. ამერიკა ერაყს „ალ-ქაიდასთან“ თანამშრომლობაში ადანაშაულებს, სადამ ჰუსეინი კი ამას კატეგორიულად უარყოფს.

უფროსს არ აინტერესებს — მისაზანი უნდა მიუზანონ

ჩვენთან ვისაც ფული აქვს, შეუძლია არმიაც ჰყავდეს...

საკმაოდ მაღალი ხელფასი მაქვს, მაგრამ მერწმუნეთ, თვეში არ ვიღებ იმდენს, რამდენსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში დღეში შოულობენ. რაც შეეხება სპეციტექნიკას, ელემენტარულად, ქუჩაში, „პოლ“ და „პალ“ ნომრებით მოსიარულე უცხოურ ავტომობილებს დააკვირდით – ეტყობა, ამ ხალხს რამე უსახსრობისა?! სამაგიეროდ, „ოპერები“ და „ინსპექტორები“ ფულის მოსატანად მათხოვრებად ჰყავთ ქუჩაში გაშვებული...

მთავრობის გაფართოებული სხდომის ტრიბუნაზე და დარბაზში შესრულებული ყველა პირუეტი, სკეტჩი და რევერანსი ერთადერთ პიროვნებას, პრეზიდენტს ეძღვნებოდა... იყო შეურაცხყოფილი ვეზირის გამოსვლა, პრეზიდენტს ურჩი ფეოდალის მხლებელნიც წარუდგნენ. საზოგადოებამ გიჟად შერაცხული „მართლის მთქმელიც“ იხილა და კარის პოეტებისა და მასხარების ტრადიციულად თამამი ლაღობაც... ერთი სიტყვით, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კორუფციის სამეფო სრულად არის დაკომპლექტებული. სხდომის დასასრულს, სიტყვა თავად შევარდნაძემ აიღო. სანამ პრეზიდენტი საყოველთაო კეთილდღეობაზე, განვითარებულ სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკაზე მოგვითხრობდა, ტელეკომპანიები პარიზში შეფერხებული საქართველოს 45 მოქალაქის ბედზე მსჯელობდნენ, რომლებიც ნიკარაგუაში და იამაიკაზე მიდიოდნენ დასასვენებლად(?!). ყველაფერი ლოგიკური იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება — პარიზში მყოფ ქართველებს იამაიკის პლაჟებზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. თვითმფრინავის ბილეთები ნასესხები ფულით იყიდეს და გზად ამერიკაში, მაიამიში, აპირებდნენ სამუშაოდ დარჩენას... ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით, საიმიგრაციო და საბაჟო სამსახურებს ამერიკაში ლეგალურად მოხვედრილი ემიგრანტის მიღებაზე უარის თქმა არ შეუძლიათ. თბილისი-პარიზი-მაიამი-იამაიკის ტრანზიტული ქართველი მგზავრები კი მაიამის აეროპორტში საზღვრის დარღვევის გარეშე, სრულიად ლეგალურად ხვდებოდნენ. თუმცა, ლტოლვილად ჩაბარება ამერიკაში თავისუფლად გადაადგილებისა და მუშაობის უფლებას არ ნიშნავს — გარკვეული პროცედურების გავლამდე პიროვნება რეზერვაციის ტიპის ლტოლვილთა ბანაკში იმყოფება. თუ მისი არგუმენტაცია თავშესაფრის მოთხოვნაზე დამაჯერებელი არ აღმოჩნდა, ისევ საქართველოში აბრუნებენ. ლტოლვილის სტატუსის მიღება კი ისევ რეზერვაციაში ცხოვრებას ნიშნავს თვეობით და ზოგჯერ წლების განმავლობაშიც, — ლტოლვილი საცხოვრებლით, საკვებით და მიზერული, ყოველდღიური თანხით არის უზრუნველყოფილი. როდესაც ვაშინგტონმა ქართველების ლტოლვილად ქცევა გაშიფრა, „ამერიკის ავიახაზებმა“ პარიზიდან მგზავრების გადაყვანაზე უარი განაცხადა. დეპორტირებული ქართველები ტურისტული სააგენტოსგან ფულს მოითხოვენ — ვერავინ დაამტკიცებს, თუ რას აპირებდნენ ისინი მაიამიში, რადგან მათი მოგზაურობა პარიზში შეწყდა, ბილეთები კი სრულიად კანონიერად, იამაიკამდე ჰქონდათ შეძენილი. მიუხედავად ასეთი რისკისა, როგორც ჩანს, პრეზიდენტის მიერ ნაქებ ქართულ ყოველდღიურობას ქართველების უმრავლესობა ისევ ლტოლვილობას ამჯობინებს... ამასობაში კი საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ქართველი პოლიტიკოსები და ჩინოსნები ერთმანეთს ქურდობასა და ყაჩაღობაში ადანაშაულებენ. უცნაურია, მაგრამ, როგორც ჩანს, თავისი წილი სიმართლე ბრალდებათა ნიაღვარში ყველას აქვს — ფაქტია, რომ ხალხისგან განსხვავებით, უკიდურეს გაჭირვებას ვერც მთავრობაში ნახავთ და ვერც ამა თუ იმ წარმატებულ პარტიაში. რეფორმები და კორუფციასთან ბრძოლა წლების მანძილზე უშედეგოდ გრძელდება. პარლამენტი მუშტი-კრივისა და თანამდებობებზე პოლიტიკური ვაჭრობის ასპარეზად იქცა, მინისტრები მიდიან და მოდიან, სისტემა და ცხოვრების წესი — ქურდობა კი უცვლელი რჩება. ვფიქრობთ, მართებული იქნებოდა, ამ გაუთავებელ ურთიერთბრალდებათა ნიაღვარში გზის გაკვლევა

რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონდეს, ამერიკა ქვეყანას ვერ აგიშენებს. პირიქით, დროთა განმავლობაში შეიძლება აბეზარი მათხოვრის როლში აღმოვჩნდეთ, გამვლელებს რომ მოსვენებას არ აძლევს და ორი გროშით თავიდან იშორებენ...

ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარისთვის გვეთხოვა — მით უმეტეს, რომ **კახა უგულავა** ქართველ ჩინოსნებთან მიმართებაში თავს შეურაცხყოფილად გრძნობს:

— ყველაზე ცუდი და დამაფიქრებელი ის არის, რომ პოლიცია, რომლის ერთადერთი მოვალეობა დამნაშავეობასა და კორუფციასთან ბრძოლაა, დროთა განმავლობაში ამავე სამყაროს უფრო და უფრო უახლოვდება. მთავრობის სხდომაზე საგზაო პოლიცია ვახსენე. მიუხედავად მკაცრი შეფასებისა, უნდა გითხრათ, რომ გულწრფელად მებრალება გზებზე მდგომი ინსპექტორები. ვერ წარმოიდგენთ, რა ხდება ამ სისტემაში — მათ უფროსობისგან დღიური და თვიური გადასახადები აქვთ დაწესებული — უფროსს არ აინტერესებს, „იშოვის“ თუ არა იმ დღეს ფულს ინსპექტორი. სახლის გაყიდვაც რომ დასჭირდეს, მისატანი უნდა მიუტანოს. შინაგან საქმეთა სამინისტროში დაბალი რანგის პოლიციელებს ხშირად მხოლოდ უწყისზე აწერინებენ ხელს და მიზერულ ხელფასსაც კი არ უხდიან... ბევრ მათგანთან პირადად მისაუბრია. ყოველდღიურად ჯოჯოხეთში არიან — ვის როგორ მოსდონ შარი და 2 ლარზე ემათხოვრონ, რადგან არალეგალური გეგმა აქვთ შესასრულებელი. საქმე საქმეზე რომ მიდგება, პოლიციის მაღალჩინოსნები უხელფასობასა და სპეცტექნიკის უქონლობას უჩივიან. საკმაოდ მაღალი ხელფასი მაქვს, მაგრამ მერწმუნეთ, თვეში არ ვიღებ იმდენს, რამდენსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში დღეში შოულობენ. რაც შეეხება სპეცტექნიკას, ელემენტარულად, ქუჩაში, „პოლ“ და „პალ“ ნომრებით მოსიარულე უცხოურ ავტომობილებს დააკვირდით — ეტყობა, ამ ხალხს რამე უსახსრობისა?! სამაგიეროდ, „ოპერები“ და „ინსპექტორები“ ფულის მოსატანად მათხოვრებად ჰყავთ ქუჩაში გაშვებული... ასეთი დათრგუნვილი და დაძაბუნებული ხალხი ქვეყანას ვერ ააშენებს. როდესაც პოლიციელს თავმოყვარეობა აღარ აქვს, როგორ ფიქრობთ, ის ვინმეს უფლებებზე იზრუნებს? სანამ ეს სისტემა იარსებებს, მოჯადოებული წრე არ გაიხსნება — მინისტრები და ჩინოსნები კი მოვლენ და წავლენ... როდესაც კონკრეტულ პრობლემაზე მივუთითებთ, პირიქით, იმაზე ზრუნავენ, რომ ესა თუ ის სფერო, რაც შეიძლება დახურული და მონოპოლიზებული იყოს, რომ ტენდერებზე დათვალიერებასა და ნომრების აღებაზე რაც შეიძლება მეტი ფული გაკეთდეს. წელან შინაგან საქმეთა სამინისტროს უსახსრობა ვახსენე. იცით, რამდენია ავტომანქანის მართვის მოწმობის თვითღირებულება, რომელზეც ოფიციალური გადასახადი 28 ლარია? — ლარ-ნახევარი! სად მიდის ამხელა განსხვავება ოფიციალურ ტარიფებში? უკვე აღარაფერს ვამბობ, რა ჯდება მართვის მოწმობის „უცბად“ აღება... ან თუნდაც ერთი „ბუხანკა“ პურის შესყიდვა, 65 თეთრად რომ იყო გაფორმებული. ის ხომ მაინც ყველამ ვიცით, რა ღირს ქალაქში პური — თანაც ერთსა და ორ ცალზე ხომ არა, ტონობით პურზე იყო თანხები გამოწერილი; ან ძაღლის კვებას 500 დოლარი რად სჭირდება? შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში საკმარისზე მეტი ფული ტრიალებს საიმისოდ, რომ იქ მომუშავე, უბრალო ადამიანებმა ნორმალურად იცხოვრონ და იმაზე არ იყვნენ გაფაციცებულნი, რა გააკეთონ, რათა უფროსთან „გეგმა“ არ ჩაუვარდეთ. მერწმუნეთ, ეს ხალხი ოცნებობს ასეთი დღის გათენებაზე.

— თუ არ ვცდები, ანტიკორუფციული უწყების უფროსისი მოვალეობა სწორედ ამგვარ მოვლენებთან ბრძოლაა. სამწუხაროდ, წლიდან წლამდე მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას ვეჯერდებით და შექმნილ ვითარებაში ყველაზე სახიფათო ის არის, რომ ხალხმა ყური მიაჩვია, თუ ვინ როგორ და რამდენს იპარავს — თანამდებობაზე მოსვლის ერთადერთ მიზნად ფულის კეთება უკვე ოფიციალურ წესად იქცა. გადამდგარი მინისტრები ფუფუნებაში ცხოვრობენ და არჩევნებიდან არჩევნებამდე დაპირებებით და ნაირგვარი პროგრამებით მივდივართ, რომლებიც მორიგი პარტიისა და პროგრამის მოსვლამდე თაროზე რჩება...

— აბსოლუტურად გეთანხმებით. თავის დროზე ანტიკორუფციულმა საბჭომ საკმაოდ სერიოზული პროგრამა შეიმუშავა. სამწუხაროდ, არჩევნებს ბოლო არ უჩანს — ჯერ თვითმმართველობის, შემდეგ საპარლამენტო, შემდეგ საპრეზიდენტო... როგორც ჩანს, რეალურად საქმის კეთება მართლაც არავის უნდა და ყველა ინდივიდუალური, საკუთარი პროგრამის შემუშავებაზე ზრუნავს, რომელიც მართლაც ქაღალდზე რჩება. განვახორციელოთ ის, რაც დავგეგმეთ. თუ არ მოსწონთ, მაშინ დროზე თქვან. იცით, პრობლემა რა არის? — ჩვენთან სისტემა ცალკეულ პარტიებსა და პიროვნებებთან არის დაკავშირებული. ყველა ასე იწყებს: „ჩვენ რომ ხელისუფლებაში მოვალთ“, „ჩვენ რომ გავიმარჯვებთ“... არ სჯობს სისტემა ისე ავაწყოთ, რომ ერთ კაცსა და პარტიაზე არ იყოს დამოკიდებული? თუნდაც საკრებულოში მიმდინარე მოვლენები ავიღოთ — დედაქალაქის მმართველობაში ერთი კი არა, კორუფციის ათეულობით ბუდეა. ლოგიკის ამბავია: ამ ბუდეს თუ ერთ კაცს მოაშორებ და მეორეს მიუჩენ, რაც უნდა აჟიოტაჟი ატყდეს, ერთ დღეში თუ ერთ კვირაში სისტემა მასაც გააფუჭებს, რადგან საქართველოში ყველა უწყება ფულის საკეთებლად არის მომართული.

თბილისის ერთ-ერთი რაიონული საგადასახადოს მაგალითზე ექსპერიმენტი ჩავატარეთ — განყოფილებამ ბიუჯეტში უფროსის გარეშე ორ თვეში უფრო მეტი შემოსავალი შეიტანა, ვიდრე ექვსი თვის მანძილზე უფროსის მუშაობის დროს. ანტიკორუფციულ საბჭოს ოპერატიული და სადამსჯელო ღონისძიებების უფლებამოსილება არ გააჩნია. ჩვენ ვსწავლობთ პრობლემას და მის აღმოსაფხვრელად რეკომენდაციას წარვადგენთ, რომელიც ხშირად შეუსრულებელი რჩება.

თუნდაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ავიღოთ — რეკომენდაციებიც იყო და პირადი საუბრებიც... ან რად უნდა ამას დიდი კვლევა-ძიება? დღეს ბევრს ლაპარაკობენ, ქართულ ჯარს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი არ აქვს, საშინელ პირობებშიაო. ამის გამო საქართველოს ათასობით დეზერტირი ჰყავს — ხალხი ლამის იარაღის მუქარით მიჰყავთ ჯარში. ანალოგიური სიტუაციაა პოლიციაშიც, მეტიც — სამოქალაქო, სახელმწიფო სამსახურში, როგორც გითხარით, კუთვნილ ხელფასებსაც კი არ აძლევენ.

რატომღაც, ჯარისგან განსხვავებით, პოლიციაში მუშაობა ბევრს უნდა. ტრასის უფროსად მოწყობა — თანამდებობაზე, სადაც დღედაღამ გარეთ უნდა იყო და როგორც თვითონ ამტკიცებენ, არც მანქანები ჰყავთ, არც იარაღი აქვთ და არც ხელფასს უხდიან, რაიონის შესაბამისად, რამდენიმე ათასი დოლარი ჯდება. მაგრამ წლების მანძილზე არაფერი იცვლება. ხელმძღვანელობას ან არ უნდა, ან არ შეუძლია რაიმეს შეცვლა. ორივე შემთხვევაში მათ მიმართ საკითხი მთელი სიმკაცრით უნდა დაისვას. პირადად მე ასე გაგრძელებას არ ვაპირებ. გადაწყვეტილი გვაქვს, სხვაგვარი მეთოდებით ვიმოქმედოთ. ჩვენ საჯაროდ გამოვიტანთ ყველა უწყებაში არსებულ უკეთურობას და მათი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხსაც საჯაროდ დავაყენებთ. ავუხსნით ყველას, რომ ამა თუ იმ მინისტრს სხვადასხვა რეკომენდაცია ათჯერ და ასჯერ მივაწოდეთ, მაგრამ თვეების მანძილზე არაფერი გაუკეთებიათ. სიტუაციაში, რომლის შეცვლაც პირადი სარგებლის გამო არც აღმასრულებელ და, ხშირად, საკანონმდებლო ორგანოშიც არავის უნდა, უპირველესი მსაჯული ხალხი და საზოგადოებრივი აზრი უნდა იყოს.

უკვე მომზადებული გვაქვს რამდენიმე კანონპროექტი, რომელიც პროცესების გამჭვირვალობასა და სანქციების გამკაცრებას შეუწყობს ხელს. ამ შემთხვევაშიც იმ დეპუტატების სიას გამოვაქვეყნებთ, რომელთა მიზეზითაც ეს პროექტები ჩავარდება.

არსებული მოჯადოებული წრე არასდროს გაიხსნება, თუ ისევ ხალხმა არ იაქტიურა და საკუთარი ძალა არ იგრძნო. ამის მერე მაინც, იმედია, არჩევნებს ბევრად უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდებით და ამა თუ იმ პარტიასა და პიროვნებას ხმას მხოლოდ ნატოსა და ამერიკის შესახებ ზოგადი კონცეფციების, ანდა უარესი — რამდენიმე კილოგრამი შაქრისა და ფქვილის გამო არ მივცემთ. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ჩვენს ნათქვამს ბოლომდე გავაკეთებთ და ძალზე ბევრი — თანამდებობას, ზოგი კი თავისუფლებასაც დაკარგავს.

— რატომღაც შეიარაღებული ფორმირებების არსებობა წინასაარჩევნო პერიოდში გახდა პრობლემატური. პოლიტიკურ პარტიებს ერთმანეთის შესახებ საკმარისი ინფორმაცია აქვთ და, როგორც ჩანს, ერთმანეთისაც ეშინიათ, რადგან პოლიტიკურ სპექტრში პარტია არ დარჩენილა, ამის შესახებ განცხადება რომ არ ჰქონდეს გაკეთებული...

— დღეს არსებული კანონმდებლობა დეტექტიური ფირმებისა თუ დაცვის სამსახურის სახით ამგვარი ფორმირებების არსებობის საშუალებას მართლაც იძლევა... მიზერული ხელფასის მიუხედავად, გასაკვირია, მაგრამ ბევრ ჩინოსანს — მათ შორის ძალოვანი უწყებებიდან, მძღოლიც ჰყავს, რამდენიმეკაციანი დაცვაც და რამდენიმემანქანიანი ესკორტიც ახლავს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ოფიციალური შტატით არც ერთი ეკუთვნით და არც მეორე.

მოგეხსენებათ, ვერც მძღოლსა და ვერც დაცვას ვერ დამალავ. პირიქით, ეს ხალხი გამაღიზიანებელი პომპეზურობით დადის თბილისში და ისე გიყურებს, თითქოს მე მქონდეს 120 ლარი ხელფასი და სამი „მერსედესით“ დავდიოდე...

რაც შეეხება პარტიებს, ეს საკითხი მართლაც დამაფიქრებელია და უპირველესად, პასუხი შინაგან საქმეთა სამინისტროს მოეთხოვება — ეს შეიარაღებული ხალხი მართლაც იატაკქვეშეთში ხომ არ არის — პირიქით, როგორც ვთქვი, ყველაფერი აშკარად, მაქსიმალური პოპულისტობით კეთდება. არ უნდა დაინტერესებულიყვნენ, ესა თუ ის კაცი რომ იარაღით დადის, უფლება აქვს თუ არა?

წელან კანონმდებლობა ვახსენე. რამდენადაც ვიცი, მის მიხედვითაც, იარაღის ტიპიც და რაოდენობაც მკაცრად არის განსაზღვრული. მაგრამ როგორც ყველგან, ამ შემთხვევაშიც, საბუთები სულ სხვა სახით ფორმდება, რეალობა კი სხვაგვარია და ვერავინ დამაჯერებს, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და მხოლოდ არჩევნების წინ გაიგეს. ასეთი რამ იმ სახელმწიფოებში ხდება, რომლებიც უძლურნი არიან, ადამიანის ელემენტარული უსაფრთხოება უზრუნველყონ. ჩვენთან ხომ ვისაც ფული აქვს, შეუძლია არმიაც ჰყავდეს... მაგრამ სამწუხაროდ, პრობლემის არსზე არავინ ფიქრობს. პოლიტიკოსები იმაზე არიან გაფაციცებულნი, ამერიკაში ვის შეხვდნენ და თბილისში დაბრუნების შემდეგ სარეკლამო კამპანია როგორ გააჩაღონ — ამას და ამას შევხვდი და ასე და ასე ველაპარაკეო. საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა მაქვს ამერიკის შესაბამის ორგანიზაციებთან და უნდა გითხრათ, რომ ჩვენ შესახებ ამომწურავი, დეტალური ინფორმაცია აქვთ — იმის ჩათვლით, თუ ვინ სად დადის და რას ჭამს.

პოლიტიკურ ორიენტაციაზე ლაპარაკი ჩვენთან ძალზე მოდურია, მაგრამ რეალობა ხომ სხვა არის — რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონდეს, ამერიკა ქვეყანას ვერ აგიშენებს. პირიქით, დროთა განმავლობაში შეიძლება აბეზარი მათხოვრის როლში აღმოვჩნდეთ, გამვლელებს რომ მოსვენებას არ აძლევს და ორი გროშით თავიდან იშორებენ...

— ხალხის აზრი ახსენეთ. სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა, რომ ალბათ მოახლოებული არჩევნებიც ჩვეულებისამებრ ჩაივლის — ვილაცა მეტ ფულს დახარჯავს, ვილაცა — ნაკლებს. ჩხუბისა და დავიდარაბის შემდეგ პარლამენტი „ვითომ“ დეპუტატებით დაკომპლექტდება და ისევ გაგრძელდება გაუთავებელი დეპატები, ურთიერთბრალდებები, ვაჭრობა მთავრობის დასაკომპლექტებლად...

— როგორც ჩანს, ზემოდან არაფერი შეიცვლება. ისევ ხალხმა არ უნდა მოინდომოს არჩევნების ისე დასრულება, რომ მთავრობაში ნამუსგარეცხილი მინისტრი მოვიდეს, რომელიც მხოლოდ საკუთარი პარტიის შენახვაზე იფიქრებს. ისეთი გარემო უნდა შეიქმნას, რომ ამგვარ ადამიანს თანამდებობაზე გაჩერება არ უღირდეს — თუ მაინცდამაინც ფულის კეთება გინდა, ხალხსა და საკუთარ ქვეყანას მაინც ნუ ერჩი, ან ბიზნესს მოჰკიდე ხელი, ან სხვა საქმეს ეწიე, რათა ბოლოს და ბოლოს, ზიანი შენი თავის მეტს არავის მოუტანო...

დაჩი გრძელიშვილი

რუსთაველზე სატრფოსთან მრთად...

რამდენიმე ხნის წინ „კვირის პალიტრა“ ერთი ძალზე ღამაზი სიყვარულის შესახებ წერდა. ჩვენი კორესპონდენტი გულში ჩამწვდომად მოგვითხრობდა შეყვარებული ბიჭის ამბავს, რომელმაც ფანჯრების წინ ასფალტზე სატრფოს ჯერ სიყვარულის „ფორმულა“ დაუწერა და მერე გამხელილი გულისნადები სანთლების ალით აუბრიალა. 14 თებერვალს, ღამით, იმ ბიჭს თბილისში, და არა მარტო თბილისში, უამრავი მიმბაძველი გამოსჩენია. შეყვარებულ ყმაწვილებს ღამით სიყვარულის „ჭიაკოკონა“ დაუნთიათ სატრფოებისთვის, დილით კი სიყვარულის ფორმულა — „მე შენ მიყვარხარ“ — იებისა და ყოჩივარდების თაიგულებით მოურთავთ. ჰოდა, ჩურჩული და ჭორაობაც დილიდანვე დაწყებულა, მაგრამ ვაკიდან წამოსულმა ჭორის ტალღამ ჩემამდე გვიან მოაღწია და, სამწუხაროდ, მიჯნურთა „ნავაჟკაცარის“ ფირზე აღბეჭდვა, ან რომელიმე მათგანის მოხელთება ვეღარ შევძელი და იმედგაცრუებულმა ვაკის პარკში დავუწყე შეყვარებულ წყვილებს თვალთვალი. რატომღაც თვალში ტინეიჯერები კი არა, ერთიანად ჭაღარით განათებული წყვილი მომხვდა. ვიფიქრე, ხალხს სულ პრობლემებზე ხომ არ ვალაპარაკებ, ერთხელაც სიყვარულზეც თქვან რამე-მეთქი და ჩემს „რჩეულთ“ მივუჩოჩდი.

— ჟურნალისტები უცნაური ხალხი ხართ, სულ ცუდ რამეებს წერთ. შეგვეშვი, შვილო, თავი დაგვანებეო, — მითხრეს და სწორედ ამ დროს მიხსნა „კვირის პალიტრის“ ხსენებამ. გაზეთის ერთგული მკითხველი წყვილი თამარა ბებო და გიორგი პაპა (მთხოვეს, ასე მიმემართა მათთვის) საუბარში ამყვნენ. მოგვიანებით მივხვდი, რომ მათთან განგებამ შემახვედრა — თბილისის ქუჩებში დიდი ხნის წინაც ხომ უნთებდნენ სატრფოს სანთლებს.

— შეყვარებულების დღეს გილოცავთ.

გიორგი პაპა: — გმადლობთ, შვილო, მაგრამ ერთი გამაგებინე, ეს შეყვარებულების დღე რას ნიშნავს? განა როცა ერთმანეთი გვიყვარს, ყველა დღე ჩვენი არ არის? დღესასწაული ბევრი რამისა გამიგია, მაგრამ სიყვარულის დღესასწაული არ გამიგია, — სიყვარული თვითონ არის სასწაული და დღესასწაულიც.

— როგორი მიჯნური იყავით, გიორგი პაპა!..

— ვიყავი, მაშ („მიჯნურს“ გადახედა ღიმილით, მანაც თვალებმოჭუტულმა თავი ამაყად დააქნია)... წუხელაც მეზობლის ბიჭს მეზობლის გოგოსთვის ფანჯრებთან ასფალტზე დაუწერია, მე შენ მიყვარხარო და სანთლები დაუნთია. ეს რა უქნია, რა ფანტაზიორი ყოფილაო, — გაიძახოდნენ დილით. ეს რა გასაკვირია?! თამარა ქალთა სასწავლებელში სწავლობდა, მე კიდევ — ვაჟთაში. ერთმანეთს ქუჩაში თუ შევხვდებოდით, ვერა და ვერ მოვიხელთე სიტყვის სათქმელად. ვერა წერილით, ვერა ყვავილით, ვერანაირი „ქრთამით“ ვერ ავუნთე გულში ცეცხლი. ჰოდა, ავდექი და ერთ ღამესაც „დავუწერე“ ფანჯრებთან, მიყვარხარ-მეთქი. მთელი ღამე ვუნთე სანთლები. ცხონებული ჩემი სიმამრი თურმე კინაღამ გაგიჟდა ჩემი ცოდვით. ჩამოვიდა შუაღამისას და მითხრა, წადი ახლა შინ, თავს ნუ იკლავ, ხვალ გვესტუმრე და ვნახავთ, რა ვაუკაციცა ხარო.

თამარა ბებო: — ესეც მოვიდა და დამიპყრო, შვილო. ოღონდ ისე კი არა, ახლანდელებმა რომ იციან — გრძნობით დამიპყრო. ამ ხნის ცოლქმარი ვართ და სახალხოდ ახლაც კი არ გადამხვევს ხელსა. გულში რა ცეცხლიც გწვავს, ყველას არ უნდა უჩვენო, თორემ განელდება და ჩაქრება. ტყუილად კი არ ამბობენ, უცხო თვალთან გამხელილი სიყვარული გაითვალება და გატყდებაო.

— ე. ი. წინათ მართლა სხვანაირად უყვარდათ?

გიორგი პაპა: — მაშ... ყველაფერი სხვანაირად იყო. რუსთაველის პროსპექტზე სატრფოსთან ერთად გავლა იცით, რას ნიშნავდა? კაცი ვარ და ქუდი მხურავსო, — მაშინ შეგეძლო გეთქვა. ქალისა დიდი მოკრძალება და რიდი გვქონდა... ახლა ბევრი რამ არ მომწონს, ბევრი რამის ნიჭი დაკარგა ხალხმა, მაგრამ მიხარია, სიყვარულს რომ ისევ თავისი გააქვს.

— სამახსოვროდ ფოტოს გადაგიღებთ.

— აბა, აბა, ახლა მოუსვი აქედან, რომელი კინოვარსკვლავი მე მნახე? თუ თამარა ჰგავს ოდრი ჰეპბერნს (იცინის)? ისე, თავის დროზე ჩვენც ლამაზები ვიყავით...

ეკა ლომიძე

„მამაო ჩვენოს“ თქმაც ვერ მოვასწარი...“

სამწუხაროდ, ბოლო დროს ქუჩაში გამოსვლა უკვე დიდ რისკთანაა დაკავშირებული, მით უფრო, როცა იცი, არც არავინ დაგიცავს და არც გამოგეხმაურება. ღვთის ნებით თუ ცოცხალი გადარჩი, ესეც დიდი შეღავათია. წესრიგის დამცველი კი შემწყნარებლური ღიმილით გეტყვის — წადი, სანთელი დაანთე და ცხვარი დაკალიო!

9 თებერვალს, ღამის სამ საათზე ახალგაზრდა კომპოზიტორის, ზურა მახნიაშვილის სტუდიაში (ლესელიძისა და ყავლაშვილის ქუჩის კუთხე) ოთხი ნიღბიანი, შეიარაღებული ბოროტმოქმედი შეიჭრა, სტუდიაში მყოფი ოთხი მუსიკოსი ჯერ სასტიკად სცემეს, შემდეგ კი ხმის ჩამ-

წერ ოთახში ჩაკეტეს. ოთხივეს მავთულებით შეუკრეს ხელები. ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა ზურას კეფაზე მაყუჩიანი პისტოლეტი მიადო.

ზურა მახნიაშვილი: — იმ მომენტში მხოლოდ იმის გაფიქრებაღა მოვასწარი, „მამაო ჩვენოც“ ვერ მოვასწარი-მეთქი. თუმცა, როგორც ბოლოს გაირკვა, ჩვენს მოკვლას არ აპირებდნენ.

მძარცველებმა ყველაფერი წაიღეს — დაწყებული მუსიკოსების საბუთებით(?!) და დამთავრებული უნიკალური საარქივო მასალით მდიდარი კომპიუტერითა და ზურას კუთვნილი ჯიპით.

წასვლის წინ კი ნადავლით უკმაყოფილოებმა ზურას დაუბარეს — ხვალ 6.000 დოლარს ჩამოიტან, სადაც გეტყვითო.

ზურა: — ხელებზე გადაჭერილი მავთული ისე გვიჭერდა, თითები გაგვილურჯდა. მოგვიანებით კბილებით ერთმანეთს ძლივს გავუხსენით ხელები. როგორც ექიმისაგან შევიტყვეთ, კიდევ ნახევარი საათი რომ ვყოფილიყავით ხელშეკრულები, ამპუტირება გარდაუვალი იქნებოდა.

ზურა მახნიაშვილს ეკუთვნის ქართული საესტრადო სიმღერების არანჟირების 80%. განსაკუთრებული პოპულარობა „უცნობის“ „ვაგონმა“ მოუტანა. მის სტუდიაში მისული მომღერალი ტოვებს ტექსტს, მელოდიას და დარწმუნებულია, რომ ორი-სამი დღის შემდეგ ზურას კიდევ ერთ სასწაულს მოისმენს.

ზურა: — ჩემთვის ყველაზე სამწუხარო მეგობრების შეურაცხყოფაა. როგორც ხელოვანს, უპირველესად მორალური სიმშვიდე მესაჭიროება, რაც დიდი ხნით დავკარგე. გაკვირვებული ვარ იმით, რომ მძარცველებმა მე ამირჩიეს. ვინც თუნდაც შორიდან მიცნობს, ყველამ იცის, რომ მატერიალურად ყოველთვის მიჭირდა, ერთ-ერთი ბანკის ვალიც კი მაქვს. განსაკუთრებით მენანება კომპიუტერი, რომელშიც ინახებოდა ჩემი ნამუშევრები. ეს იყო ქართული ესტრადის უნიკალური არქივი, რომელსაც ვერაფრით ვეღარ აღვადგენთ. კომპიუტერი ქსელიდან გამოგლიჯეს და ისე წაიღეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოთხივე მძარცველს მაყუჩიანი იარაღი ჰქონდა.

გიორგი გაჩეჩილაძე, „უცნობი“: — საბედნიეროდ, ზურას საკმაოდ ბევრი მეგობარი ჰყავს. ჩვენ გვერდით დავუდგებით. ხელოვნების მსახურნი განსაკუთრებულად უნდა იყვნენ დაცულნი და სათანადო პირობებიც ჰქონდეთ შექმნილი, რათა სამშობლოს და ხალხს მოახმარონ საკუთარი ენერგია და შესაძლებლობა.

P.S. *ძარცვიდან რამდენიმე დღის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს შსს-ს მთაწმინდა-კრწანისის სამმართველომ დააკავა ეჭვმიტანილი, რომელიც რაღაც სასწაულით გაიქცა(?!). ამჟამად ცნობილია, რომ დაკავებულია ორი პირი. იმედი ვიქონიოთ, რომ ბოლოს და ბოლოს, საქართველოში გამოძიება თავის სათქმელს იტყვის.*

ალექსანდრე ბერიძე

ახალი ქართველების ზღაპარი ნოსტალგიაზე, ანუ რა არის ფართი...

პრომოუტერი პიარაგენტებს ითხოვდა, მაგრამ...

ფართი ის ფართი არ გეგონოთ, რაც აქამდე ვიცოდით — ფართი ახლა სხვა რამეა — ოთახის ფართზე მნიშვნელოვანი... ჩვენი მშობლები „ფართის“ ოდესღაც ღონისძიებას ეძახდნენ, მათი მშობლები — თავყრილობას, მათი მშობლები კი ალბათ სხვა რამეს...

„ვიცვლებოდით ჩვენ და იცვლებოდა მოდა“, — სიმღერით გვმოძღვრავს რომა რცხილაძე...

დიდი ხანია, ლეღვის ფოთლები სამოსის აქსესუართა სიაში აღარ შედის, მაგრამ არც ისე შორსაა დრო, როცა დილისთვის სკამზე ფრთხილად გადავკიდებთ მოდერნიზებულ, გარეცხილ-გაუთოებულ ფოთლებს — ათასი მძივითა და საღებავებით მორთულ-მოკაზმულს...

თუმცა დილით ჩაცმა რა საჭიროა? დილით — ვიხდით.

ფართი — დილამდე. ძილი — ღამემდე... დაღლილ-დაქანცულები დილით ვბრუნდებით შინ და ისე მივეგდებით საწოლზე, ხშირად ვერც ვხვდებით, ასტრიდ ლინდგრენის პეპივით ბალიშზე თავის ნაცვლად ფეხებს რომ ვაწყობთ. თანაც, ზუსტად პეპისნაირი ფეხსაცმელებია მოდაში — დიდი, წვეტიანი ცხვირით...

კიდევ რაა მოდაში?

ეს თითქმის ყველამ იცის... გაფრთხილებთ, მკერავი არც ისე თანამედროვე სიტყვაა, თანაც მკერაობა ნაკლებად პრესტიჟული საქმიანობაა. აი, კუტიურიე კი... დღეს კუტიურიეების და კუტიურიეობის ბუმია...

მკერავი და კუტიურიე საქმიანობით ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან — ორივე მოდელს ქმნის, ჭრის და კერავს...

ადრე ჩვენი დედები ამბობდნენ — მკერავთან მივდივარო, ახლა ჩვენ „მაგარ“ კუტიურიეებს ვეძებთ, ოღონდ ხანდახან გვეშლება და... ჩვენ კი არა, ხანდახან ჟურნალ-გაზეთებსაც, უფრო მეტიც, თვით კუტიურიეებსაც ეშლებათ და საკუთარ თავს არაკეთილხმოვან (თუმცა გააჩნია, ვისთვის) სახელს — „კუტურიეს“ ეძახიან...

ჰოდა, ერთ-ერთ ასეთ ფართიზე, სადაც მრავლად იყვნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი საკუთარი ქალბატონებით, ანუ ისინი, რომლებიც ჩვენს თუ გურამ დოჩანაშვილისეულ ღამაზ ქალაქში მოდის ამინდს ქმნიან, ერთ-ერთი ასეთი კუტიურიე თუ კუტურიე პირდაღებული მიაჩერდა ერთ-ერთი „ძლიერის“ ქალბატონს... იმ ძლიერს არაფერიც არ შეუნიშნავს, სამაგიეროდ, დაცვა ამოძრავდა. ღომივით ბიჭებმა ჯიბეზე იკრეს ხელი და რაციები „დააძრეს“... მალე „ღომების“ რიცხვი ერთი-ორად გაიზარდა. საყურეებით, სამაჯურებით, ბეჭდებითა და შეღებილი თმით დამშვენებული კუტურიე თუ კუტიურიე რატომღაც მამაკაცების ტუალეტისკენ გაემართა... თუმცა რაღა რატომღაც — მამრობითი სქესის იყო და რა უნდა ექნა? შიგ არც შესულა — იქვე კართან ჩაიმუხლა, ჯიბიდან ბლოკნოტი დააძრო და იმ „ძლიერის“ ქალბატონის ჩაცმულობის „დაშპარგალკებას“ შეუდგა, თან გულში ეცინებოდა — იმ სულელებს ეგონათ, ის ლედი თუ მილედი მაინტერესებდა, რაში მჭირდება ქალები... ნეტავ, ვისი მოდელი ეცვა? კარდენის თუ ლაგერფელდის? ბოსის თუ არმანის? იქნებ ვალენტინოსი... რა ფურორს მოვახდენ „პაკაზზე“, მერე მიყურონ...

იჯდა და გატაცებით ხატავდა კუტიურიე — ის კი არ იცოდა, რომ ლედის თუ მილედის არც არმანი ემოსა და არც კარდენი — საგვარეულო მკერავის — უკვე ხანდაზმული კატოს მოდელი მოერგო — იმ კატოსი, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა „ძლიერის“ მეუღლის სხეულის ავი და კარგი და დიდი ოსტატობით „აჯენდა ტანზე“ ნაჭერს... მოდი და ეძახე მკერავი.

ფართი კი ძალაში შედიოდა...

პრომოუტერი პიარაგენტებს ითხოვდა, მაგრამ ამაოდ — ერთი ალკოჰოლის დიდი დოზისგან შეუძლოდ გამხდარიყო და გარეთ, ვიღაცის მანქანაში „განისვენებდა“, მეორე კი რაღაც ბალახის ბოლისგან გაბრუებული, მასავით გაბრუებულებთან ერთად სიცილით კვდებოდა და მგონი, ცუდი არ უნდა იყოს სიცილით სიკვდილიო, ფიქრობდა.

გაწბილებული პრომოუტერი იხტიბარს არ იტეხდა, სტუმრებთან ერთად ცეკვავდა (თუმცა ესეც მოძველებული სიტყვაა, გირჩევთ ფართულ საზოგადოებაში არ იხმაროთ — თანამედროვე შესატყვისებიც მრავლად არის, მაგალითად, ჯუ-ჯუკი, ძიგძიგი და ა.შ...) და თან ახალ პროექტებზე ფიქრობდა. პრომოუტერი სულაც არ გახლავთ არქიტექტორი — პროექტი ახალი ქართველების ენაზე გეგმას ნიშნავს... დიჯეის ყვირილისგან ხმა ჩახლეჩოდა და სტუმრებს საცეკვაოდ იწვევდა. თუმცა, დიდიან-პატარიანად ყველა ისედაც ცეკვავდა...

ტეკილა, მარტინი, ჯინი და სხვადასხვა არაქართული წარმოშობის სასმელი ერთმანეთში ირეოდა.

— ჭაჭა არ გინდა? — იკითხა ვიღაცამ, — ძალიან ძველმა ქართველმა.

— რა ჭაჭა, ხო არ გაგიჟდი... — შერცხვა ამის გამგონეს.

— ჭაჭა ეძახე შენ და 35 ლარი კი ღირს, — არც ისე ძველი აღმოჩნდა ის ქართველი...

— ძილის დრო მოდის... თენდება... — თქვა ერთ-ერთმა...

— აღსდექ საქართველო! — ეროსის ხმას მიბაძა ვიღაცამ...

— აუ, ეს რა დამესიზმრა — ვითომ მოვკვდი, გამჭრეს და გულის ნაცვლად, ფერფლი მქონდა... — თავი წამოყო მაგიდიდან ერთ-ერთმა „განსვენებულმა“...

— შენ ღორთქიფანიძის გული დაგსიზმრებია, — შეჰბედა დამწყებმა პოეტმა, რომელსაც აგერ უკვე თხუთმეტი წელია რატომღაც ყველა დამწყებს ეძახის... — ეგ ნოსტალგიაა...

— რაო? — იღრიალა „დაფერფლილმა“, რომელსაც უკვე მოესწრო ტონიკით შეზავებული ჯინის გადაკვრა... — რა არის ნოსტალგია? შენ ნუ გეშინია, ფენიქსივით აღვდგები, ძმაო...

— ხვალაც რაღაც ფართი ყოფილა, სად არის ხომ არ იცით? — წუხდა ვიღაც...

მამაკაცების ტუალეტის კართან, პატარა სკამზე, კუტიურიე მოკუნტულიყო, შეღებილი თავი მკერავი კატოს შექმნილი მოდელის „შპარგალკაზე“ ჩამოედო და ნებიერად ფშვინავდა. გაღეღილი მკერდიდან ქერა ბალანში ჩაკარგული ტატუირებული ყვავილი მოუჩანდა...

ეკა მახარაშვილი

დიმა ჯაიანი თავდასხმაზე პირველად საუბრობს

„გენოს ბორიას ხახაში „სტეჩკინი“ ჰქონდა ჩადებული...“

ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრზე, დეპუტატ დიმა ჯაიანზე თავდასხმიდან რამდენიმე კვირა გავიდა. მიუხედავად ამისა, სამართალდამცველებს ჯერჯერობით საზოგადოებისთვის თავდამსხმელთა შესახებ ინფორმაცია არ მიუწოდებიათ. სამაგიეროდ, დიმა ჯაიანი მეგობრების დახმარებით საკუთარ გამოძიებას აწარმოებს და როგორც ჩვენთვის ცნობილია, უკვე დამნაშავეთა კვალზეც დგას.

„კვირის პალიტრას“ ესაუბრა ბატონი **დიმა ჯაიანი:**

— თავდასხმამდე გამაფრთხილებელი ან მუქარის ზარები არ ყოფილა. ამიტომაც არც იარაღს ვატარებდი, ისეთი არაფერი დამიშავებია, რომ იარაღით სიარული მჭირდებოდეს. თუმცა...

— **იარაღი რომ გქონოდათ, თავდაცვას მოახერხებდით?**

— თავისუფლად შემეძლო თავდამსხმელის მოკვლა. ერთს ნიღაბი ჰქონდა აფარებული. მანვე დამარტყა. ყველა მათგანს იოლად ამოვიცნობ, თუმცა შემსრულებლები ჩემთვის არაფერს ნიშნავენ. მთავარია, რომ სწორ კვალს ვადგავარ და შემკვეთებსაც მივწვდები. დაახლოებით ვიცი, ვინ არიან შემკვეთები, ჯერ არ მინდა მათი დასახელება, გამოძიებას ხელი არ მინდა შევუშალო.

— **როგორ მოხდა თავდასხმა?**

— მანქანა შემყავდა ჩემი სიდედრის სახლის ეზოში, ამუშავებული დავტოვე და კარის გასაღებად გადმოვედი. კარი გორგოლაჭებით მოძრაობს. უეცრად ვიღაც კაცი დამადგა თავს, — დაგვიანებით გილოცავთ შობა-ახალ წელსო. — გმადლობთ-მეთქი, ვუპასუხე და კარი გავწიე. ჩავჯექი მანქანაში, ის იყო, უნდა შემეყვანა უკანა სვლით, მოვიხედე და კარი სანახევროდ იყო დახურული. გამიკვირდა, გადმოსვლა დავაპირე და მაშინ დამადგა ავტომატით ნიღბიანი თავზე და მანქანა მომეციო — მითხრა. ეს მიზეზი იყო, თორემ მანქანა რომ ნდომოდათ, ცარიელში ჩასხდებოდნენ. გამოძიებისთვის თვალის ასახვევად გაამახვილეს მანქანაზე ყურადღება. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. კონდახი დამარტყა ძალიან მწარედ ჯერ ხელებში, მერე შუბლში, მეორე დარტყმაზე გავითიშე.

გონს რომ მოვედი, მანქანა შემოვიყვანე, ამოვედი და ტახტზე დავწექი. ტვინის უმძიმესი შერყევა მქონია თურმე, ენა ოთხგან მქონდა გადაჭრილი. ძლიერი სისხლის დენა დამეწყო...

— **სამართალდამცველებისგან რა ისმის?**

— პროკურატურა ძალზე მონდომებულია. ვფიქრობ, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სწორ გზას ვადგავართ. თავდასხმა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოტივით მოხდა. ვიცი ორი შემკვეთი. მესამეზე ზუსტი ინფორმაცია არა მაქვს

და არ მინდა ის დაისაჯოს, ვინც შეიძლება ჩემი მოწინააღმდეგეა, მაგრამ ამ საქმეში ხელი არ ურევია. საავადმყოფოში ყოფნის დროს გამაოგნა ერთერთ გაზეთში გამოქვეყნებულმა კაკუბავასა და გოგიტიძის გამონათქვამებმა. კლინიკური სიკვდილი გადავიტანე, ისინი კი უხერხულობის გრძნობის ნაცვლად, უკანასკნელი სიტყვებით მლანძღავდნენ.

— **რა დაუშავეთ ასეთი კაკუბავას?**

— არაფერი, პირიქით, გენო კალანდია რომ კლავდა, ხელიდან გამოვტაცე სოხუმში. ომის დროს ბორია კაკუბავა დაგეგმილ ოპერაციაზე არ მივიდა. გენოს ბორიას ხახაში ჰქონდა „სტეჩკინი“ ჩადებული, კლავდა. მაშინ არ უნდა შემეშალა ხელი. მისი დეპუტატობის იმუნიტეტის აღდგენაზე უარი უნდა მეთქვა. ხმა მივეცი და იმავე საღამოს ჩემს წინააღმდეგ გამოვიდა. ასლან აბაშიძეს იცავს ჩემთან დაპირისპირებით, ჩემი გინებით.

— **მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ჯერ არ ამხელთ დამნაშავეებს, ამ საუბრიდან ჩანს, რომ ბორის კაკუბავა და თუნდაც გოგიტიძეც თქვენს თავდამსხმელებთან ალიანსში გყავთ მოაზრებული.**

— ამ დღეებში ყველაფერი გაირკვევა, ახლა ვერავის დავასახელებ.

— **შურისძიებას აპირებთ?**

— მათსავით ლაჩრულად ვერ მოვიქცევი. ეს ხალხი უნდა ვაიძულოთ, საქართველო დატოვონ. მათ უბედურების მეტი არაფერი მოაქვთ.

P.S. დიმა ჯაიანს ალბათ მალე ვიხილავთ პარლამენტში. ტელესერიალის „ძილის წინ“ გადაღების პროცესშიც ჩაერთვება. ასე რომ, როგორც ჩანს, პარლამენტიდანაც და ფილმიდანაც მოვლენების საინტერესო გაგრძელება გველის, ვნახოთ.

ეკა ლომიძე

„ეს ოქმ მცდელობა, ორი ავტონომიის გადაკიდება მომხდარიყო...“

„ხაბურძანია და ოსაძე უნდათ განტევების ვაცად გამოიყვანონ“

„საიდუმლო“ დოკუმენტის გამოქვეყნებამ წინა კვირას დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, მავანმა ეს ფაქტი ორი ავტონომიის გადაკიდების მცდელობადაც კი შეაფასა. რა მოხდა სინამდვილეში და ჰქონდა თუ არა დეპუტატს გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტის გაჟღერების უფლება, ამ საკითხებზე პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეს მიხეილ ოსაძეს ვესაუბრებით, თავიდან კი ამ დოკუმენტს შემოგთავაზებთ (მცირედი შემოკლებით).

„მოგახსენებთ, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების ხელშეწყობით შეიქმნა საზოგადოებრივი საქველმოქმედო ორგანიზაცია „იუპიტერი“, რომლის საფარქვეშ ფაქტობრივად ფუნქციონირებს არაკანონიერი დანაშაულებრივი დაჯგუფება. აღნიშნული დაჯგუფების აქტიური წევრები არიან არაერთგზის ნასამართლევი პირები, სხვადასხვა სახის სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. ნ. კირცხალია, რუსთავის სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად, 1992 წელს აფხაზეთში საომარი მოქმედებების პერიოდში ქ. გუდაუთაში სპეპარატისტთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა, როგორც აგენტი — ეწეოდა ქართველი ეროვნების მძევლებისა და ტყვეების დამუშავებას. ზემოდასახელებული პირები ფაქტობრივად „ატერორებენ“ ლეგიტიმური ხელისუფლების ხელმძღვანელობის პოლიტიკურ ოპონენტებს, სარგებლობენ რა ლეგიტიმური ხელისუფლების ხელმძღვანელობის მფარველობითა და ხელშეწყობით, „იუპიტერის“ წევრები ხშირ შემთხვევაში იარაღით შედიან „იმელში“, შენობაში, რომელშიც ფუნქციონირებს ისეთი მნიშვნელოვანი დაწესებულებები, როგორებიცაა: საკონსტიტუციო სასამართლო და ცენტრალური საარჩევნო კომისია, რეციდივისტთა იარაღით ყოფნამ შეიძლება მძიმე შედეგები გამოიწვიოს. „იუპიტერის“ წევრთა მიმართ ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ განხორციელებულმა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებებმა შეიძლება გაამწვავოს დაპირისპირება „იუპიტერის“ მფარველებსა და სამინისტროს შორის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს განკარგულებას, „იუპიტერის“ მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება დაავალოთ საქართველოს სუს ანტიტერორისტულ ცენტრს.

გარკვეული პოლიტიკური წრეებისთვის მისაღებია ნებისმიერი ხმაური, რომელიც ქაოსამდე და ესკალაციამდე მივა და მაინც, საიდან აგორდა ეს ყველაფერი და რატომ განვითარდა მოვლენები ასე? ვესაუბრებით ამ შემთხვევაში ხაბურძანიას ადრესატს, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეს **მიხეილ ოსაძეს,** რომელმაც, თავის მხრივ, ნაკვერჩხლის გაღვივებაში პარლამენტის თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს დასდო ბრალი.

— **ბატონო მიხეილ, გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტის გამოქვეყნებას რა რეაქციაც მოჰყვა პარლამენტის სხდომაზე, გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, როგორ და რატომ გამოგიგზავნათ უშიშროების მინისტრმა ეს ინფორმაცია და საერთოდ, რა უძღოდა ამ ყველაფერს წინ?**

— მინდა გითხრათ, რომ ექვსმა პარლამენტარმა დეკემბრის პირველ ნახევარში ოფიციალური წერილით მიმართეს პარლამენტის თავმჯდომარეს, ქ-ნ ნინო ბურჯანაძეს. წერილში აღნიშნული იყო, რომ მათ ხელთ არსებული დაზუსტებული ინფორმაციით, სახელმწიფო უშიშროების მინისტრის სახელზე არსებობს 2002 წლის 14 აგვისტოს რიცხვით დათარიღებული წერილი, რომელშიც საუბარია 1-ელ აგვისტოს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ჯემალ გამახარიაზე მოწყობილი თავდასხმის შემკვეთებსა და შემსრულებლებზე.

(გაგრძელება იხ. გვ. 7)

„მიშას პრეზიდენტობა უნდა, მაგრამ შეძლებს?“

მთავრობის ორდღიანი გაფართოებული, მაგრამ მონოტონური სხდომა, ძირითადად, ორი პიროვნების გამოსვლამ გამოაცოცხლა. პირველი შთამბეჭდავი გამომსვლელი ოპოზიციის მებაირახტრე მიხეილ სააკაშვილი გახლდათ. საკრებულოს თავმჯდომარემ საქართველოს ყველა უბედურების სათავედ ხელისუფლება მიიჩნია და მისი მოცილების ერთადერთ შანსად პრეზიდენტის გადადგომა დაასახელა — თქვენ რომ წახვალთ, თქვენი მინისტრები შარშანდელი თოვლივით გაქრებიანო...

სააკაშვილის საყვედურებს პრეზიდენტი მშვიდად შეხვდა (ყოველი შემთხვევისათვის, გარეგნულად ასე ჩანდა) და მხოლოდ მეორე დღეს დაუბრუნა პასუხი — მიშას პრეზიდენტობა უნდა, მაგრამ შეძლებსო?

— მრავალმნიშვნელოვნად იკითხა.

მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტის დასკვნითი სიტყვა სახელისუფლებო პარტიებმა დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს და ალბათ, გულის ფიცარზეც დაიწერეს, თუმცა ოპოზიციამ გამოსვლაში საეჭვო დეტალები დაინახა.

გიორგი ბარამიძე: — პრეზიდენტის გამოსვლაში კიდევ ერთხელ დავინახე, რომ ის საბოლოოდ მოსწყდა რეალობას. შესაძლოა სხვა ქვეყანაში გახარებოდა ვინმეს, რომ პრეზიდენტი გამოდის და სისულელეებს ლაპარაკობს, — მაგრამ მე არ გამხარებია. ბ-ნი პრეზიდენტი 4-5 წლის წინანდელ ამბებს იხსენებს, ახსენა 1998 წლის რუსეთის კრიზისი, რომელიც კარგა ხანია თავად რუსებსაც აღარ ახსოვთ. ერთადერთ გამოსავალს უკვე იმაში ვხედავ, რომ ეს ხელისუფლება ექსცესების გარეშე შეიცვალოს. აქამდე პრეზიდენტის კულტირება ხდებოდა, ამბობდნენ — ის რომ წავა, რა გვეშველებაო. დღეს გამოკვეთილმა პოლიტიკოსებმა უკვე აუცილებლად უნდა იფიქრონ ქვეყნის პირველკაცობაზე და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებაზე.

— **მაგრამ პრეზიდენტი, როგორც ჩანს, ჯერჯერობით ვერ ხედავს თავის შემცვლელს.**

— შევარდნაძე ბევრ რამეს ვერ ხედავს. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტი ვერ ხედავს ვერც ზურაბ ჟვანიას და ვერც მიხეილ სააკაშვილს. სინამდვილეში ის მათში საკუთარი საქმის გამგრძელებელს ვერ ხედავს. ქვეყანა კორუფციის ჭაობშია. სახელმწიფო სიმდიდრე გადანაწილებულია 200 ოჯახზე, დანარჩენი საქართველო კი სიღატაკის ზღვარზეა. ამიტომ მისი საქმის გამგრძელებლები ნამდვილად არ იქნებიან ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი. მის საქმეს ალბათ ჯორბენაძე, მამალაძე და ვიტალი ხაზარაძე გააგრძელებენ, ამიტომაც არ მიკვირს, რომ პრეზიდენტი ამ თვალსაზრისით რაღაცას ვერ ან არ ხედავს.

იზო რიკაძე

ქართველი ჩინოვნიკების გულები ისმინება?

იარაღი, რომელსაც პოლიტიკოსები მუდამ ეპოტინებიან...

თავის დროზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელი ლი პენი უმაღლესი თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით წავიდა. მის ადგილზე შეირჩა ახალგაზრდა, ენერგიული ადამიანი. ქვეყნის კომპარტიის ყოფილ პირველ პირს კი კულისებში ერგო მოხერხებული ადგილი. მოხერხებული იმიტომ, რომ სიცოცხლის ბოლომდე ჩინეთს, ფაქტობრივად ლი პენი მართავდა. ხელისუფლებიდან წასვლის, უფრო სწორად კი, ხელისუფლებაში დარჩენის სქემაც მის მიერ გახლდათ შემუშავებული. ელცინისა და პუტინის მაგალითი ანალოგად ნამდვილად არ გამოდგება.

ადგილმონაცვლისა თუ მემკვიდრის თემა სულ უფრო აქტიური ხდება. გასაკვირი არ იქნება, რომ უფლისწულობის მსურველთ საოცნებო ვარიანტები უკვე ჰქონდეთ შერჩეული მეტიც, თითოეულ მათგანს, ალბათ, სათადარიგო გეგმა გააჩნია იმ შემთხვევისათვის, თუ შევარდნაძის მმართველობა მოულოდნელად შეწყდა... რა გასაკვირია, თუ გეგმის საიმედოობაში დაეჭვებულმა მგზავრებმა თითო გასაბერი ნავი შეიგულონ... მერე ამ ნავის კაპიტნობაზეც შეიძლება ფიქრი...

თუმცა, გეგმის იდეაში ქონა ერთია და მისი ამოქმედების მცდელობა, თუნდაც სჯაბაასის მოწყობა — მეორე. ასეთ სიმღერებს ჩინოვნიკები ამირანივით გულში მღერიან, რადგან ხმამაღლა ნათქვამმა შეიძლება ყველანი ერთად დატოვოს ბორტს მიღმა. აი, მათი გულები ისმინება თუ არა, ძნელი სათქმელია.

გასულ კვირას ხმა გავარდა, შევარდნაძეს შეთქმულებას უწყობენო, ამ ხმამ ბევრი შეაკრთო, ზოგს კი უბრალოდ, საღერღელი აუშალა. „ბრალდებულთაგან“ უმეტესობა შესაშურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა და აშკარა იყო, ეს მათი მსახიობური უნარის გამოვლენა არ გახლდათ. ცხადია, კულუარულ ვერსიებში მათ სიმშვიდესაც მოუძებნეს მიზეზი — ედუარდ შევარდნაძემ ზემოთ ხსენებული ხმების გავრცელებამდე ორი კვირით ადრე იცოდა, რომ ვითომც შეთქმულების შესახებ ლეგენდა ითხზვებოდაო. შეიძლება იცოდა, შეიძლება — არა, ისე კი ამ ვერსიას გაგრძელებაც აქვს. უფრო სწორად კი — დასაწყისი, რომელიც გვამცნობს, რომ მოწინავე ოპოზიციურმა სპექტრმა შევარდნაძისა და სახელმწიფო მინისტრის დასაშორებლად ხმამაღალი მითი შეთხზა და შემდეგ ორი ხელით მის აგორებას შეუდგაო... ისე, ავთანდილ ჯორბენაძეს ყველაზე მეტად გაუჭირდა უდარდელი სახის მიღება. ყოველ შემთხვევაში, დაძაბულობა სახელმწიფო მინისტრის ქცევასა და საუბარში ნამდვილად იგრძნობოდა და ამასაც შეიძლება მოენახოს ახსნა — ყოფილმა ჯანდაცვის მინისტრმა ჩინის მამატებასთან ერთად ახალი ჰობი „გაიჩინა“ — მტრების შეგროვება. კოლექციონერობის ეს სახე კი ადრე თუ გვიან, განაწყენებულთა გაერთიანებით მთავრდება. შეიძლება ერთიანობის ასეთი გამოვლინება იქცა ჯორბენაძის ღელვის მიზეზად? ვინ იცის...

ისე კი, თქვენც კარგად იცით, რომ ჭორს ხელით არავინ აგორებს. ამისთვის უკვე არსებობს დამუშავებული ტექნოლოგიები, რომელიც იმასაც ითვალისწინებს, რომ ჭორი სიმართლეს უნდა ჰგავდეს. კიდევ იმას, რომ ლეგენდა საზოგადოებას უნდა ამცნოს მისთვის სანდო და ავტორიტეტულმა წყარომ, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგად, შეიძლება გამეღავნებული საიდუმლო კი არა, ახალი ანეკდოტი მივიღოთ. ჰგავდა თუ არა ნათქვამი მართალს, თავად განსაჯეთ, ავტორიტეტულ წყაროდ კი სხვა ვინ, თუ არა... მედია დასახელდა!

სენსაცია ის საწვავია, რომელზეც პრესა და ტელევიზია საუკეთესოდ მუშაობს. რეიტინგული საინფორმაციო საშუალების თანადგომამ კი შეიძლება უხეირო პოლიტიკური ტექნოლოგიის პროდუქტიც წარმატებულად აქციოს. ეს კი სულ უფრო ზრდის პოლიტიკოსების დამოკიდებულების ხარისხს მედიაზე... იმის გარკვევა, კარგია ეს თუ ცუდი, ძალიან შორს წაგვიყვანს. ფაქტი კი ისაა, რომ პოლიტიკური ბრძოლების არენა — სატელევიზიო ეთერი და პრესის ფურცლებია, ანუ მასმედია ის იარაღია, რომელსაც პოლიტიკოსები მუდამ ეპოტინებიან... (იშვიათად, თუ ჭეშმარიტ პროფესიონალიზმს აწყდებიან, სათავისოდ ვერ იყენებენ).

უკვე ვთქვით, რომ ლეგენდების შექმნის გზა (და არა მარტო) პოლიტიკური ტექნოლოგიების ცოდნაზე გადის, ეს ტექნოლოგიები კი შავით თეთრზე ბევრ წიგნშია აღწერილი. დაწერილის კითხვაც არ გახლავთ აუცილებელი. ხსენებული სპეციალისტები სოლიდური თანხის სანაცვლოდ არ დაიშურებენ მთელ თავის ხელოვნებას და იმ ფერიას როლს შეასრულებენ, კონკია მეჯლისისთვის რომ გამოაწყო. თქვენ უბრალოდ ამ ჯადოქრობის უნდა იწამოთ და... ხელი არ შეუშალოთ.

სხვათა შორის, ხელისუფლება ამ ტექნოლოგიის ცოდნაშიც მოიკოჭლებს, ყოველ შემთხვევაში, მცოდნეებს ნამდვილად შინაური მღვდლებივით ექცევიან, მაგრამ პატარა საპასუხო წკიპურტი ამჯერად მაინც შეძლეს. წკიპურტი კი პარლამენტის თავმჯდომარისთვის იყო განკუთვნილი — აქაოდა, ორი კვირით ადრე გცოდნიათ შეთქმულების ამბავი და რატომ ხმა არ ამოიღეთ, ხელმწიფის ტახტი თქვენთვის ხომ არ გინდოდათო — უთვლიან ნინო ბურჯანაძეს...

მოიკოჭლებენ „ახალი მემარჯვენეებიც“... მათზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ გამოცდილებას ახალნაზიარებნი არიან და, შესაბამისად, შეცდომებიც მოსდით.

ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი კი ამ ტექნოლოგიების პირმშოები არიან და კი არ ფლობენ, უბრალოდ გრძნობენ ყველა საჭირო ხერხს... შესაბამისად, თეთრი ძაფითაც არაფერს კერავენ... საკრებულოს თავმჯდომარე მართლაც ბრწყინვალედ ახერხებს სასურველი იმიჯის შენარჩუნებას და ამასთან, საჭიროების მიხედვით თანამშრომლობს განსხვავებულ პოლიტიკურ ძალებთან. დროდადრო კი, მეამბოხის სახელის განსამტკიცებლად ბობოქრობს ხოლმე...

შეთქმულებიდან დავიწყეთ და ამითვე დავამთავროთ. შეფასება შეიძლება ნაადრევი აღმოჩნდეს! მაგრამ ამბავი ისე ვერ გასკდა, რომ დღემდე ეხმაურა. შეიძლება მედიამ დააკლო ხელი, შეიძლება ეს მძაფრსიუჟეტიანი თამაშების მხოლოდ დასაწყისია... ვნახოთ.

ისე კი, ვინ იცის, იქნება მართლა მიჰბაძოს ლი პენს ბატონმა ედუარდმა?!

მაია გაბუნია

როდემდე უნდა გაჰყიდრდნენ ხალხის კუთვნილი მიწით?!

თავდამსხმელებისგან ოფიცერთა მეუღლეებმა გადამარჩინეს

— საერთო საცხოვრებელში კავშირგაბმულობის ბატალიონის უფროსი ოფიცრების ოჯახები უკვე რვა წელიწადია, რაც ცხოვრობენ. როგორც გითხარით, სამხედრო ნაწილის ტერიტორია და საერთო საცხოვრებელიც კერძო ფირმამ იყიდა. ახლა შენობის სასწრაფოდ დაცლას მოითხოვენ. გვეუბნებიან, აქედან თუ არ წახვალთ, ტრაქტორს მოვაყენებთ და ისე დავანგრევთ შენობასო. სად უნდა წავიდეთ?

თბილისის ცენტრში, კერძოდ კი ე. წ. ელიავას ბაზრობასთან მდებარე კავშირგაბმულობის სამხედრო ნაწილის სამსართულიანი ყაზარმის მკვიდრად ნაგები შენობები, თავისი მიწის ფართობიანად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შარშან, ზაფხულში გაყიდა. მანამდე კი, თუ რამ მოძრავი ქონება ჰქონდა კავშირგაბმულობის ბატალიონს, ახალი დისლოკაციის ადგილზე გადაიტანეს. თითქოს ყველაფერი კანონიერად მოხდა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სამხედრო ნაწილის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები 14 ოფიცრის ოჯახი „დაავიწყდათ". ოფიცერთა ოჯახები დღემდე ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ახალმა მეპატრონემ ტერიტორიის შენობა-ნაგებობებისგან გაწმენდა დაიწყო — ყოფილ ყაზარმებს გამალებით ანგრევენ, ჯერი მალე საერთო საცხოვრებელზეც მიდგება. ოფიცრები საგონებელში არიან ჩავარდნილნი — სად უნდა წაიყვანონ ცოლ-შვილი?! სამინისტროს კი ეს საკითხი არ აღელვებს. სხვათა შორის, ყოფილი სამხედრო ნაწილის შენობა-ნაგებობები და ორი ჰექტარი მიწა ჩალის ფასად გაიყიდა.

ახალ მეპატრონეს გასაიდუმლოებული აქვს, რას აკეთებს ნაყიდ ტერიტორიაზე. არამკითხე თვალმა რომ ნგრევა არ შენიშნოს, ღობეს ფერადი ბრეზენტი ჩამოაფარეს.

ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე შესვლა თითქმის შეუძლებელია — მას ახლა უფრო მკაცრად იცავენ, ვიდრე მაშინ, როცა იქ კავშირგაბმულობის ბატალიონი იყო განთავსებული. როდესაც მთავარი შესასვლელით დავაპირეთ იქ მოხვედრა, ალაყაფის კარის ნახვრეტიდან მკაცრად მომზირალმა ფიზიონომიამ გამოგვხედა და გვითხრა: — თავდაცვის სამინისტროს ნებართვის გარეშე, ვერავის, მით უმეტეს ჟურნალისტს, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ვერ დავუშვებო და სანამ რამეს ვეტყოდით, კარის ის მომცრო ნახვრეტიც ამოქოლა. რა უნდა გვექნა, ღობეს გავყევით სხვა შესასვლელის პოვნის იმედით და გაგვიმართლა კიდეც — ერთ ადგილას პატარა რკინის კარი შევნიშნეთ. ჯერ დავაკაკუნეთ, მაგრამ არავინ გვიპასუხა. მოვსინჯეთ და, საბედნიეროდ, ღია აღმოჩნდა. ასე მოვხვდით კავშირგაბმულობის ბატალიონის ყოფილ ტერიტორიაზე. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით და ორსართულიან შენობასთან აღმოვჩნდით. მის წინ ახალგარეცხილი სამხედრო ფორმები გაეფინათ, ხოლო სადარბაზოსთან კი გაწმენდილი სამხედრო „ბათინკები" ჩაემწკრივებინათ. იქვე მოთამაშე ბავშვები სამხედროების შვილები აღმოჩნდნენ, ხოლო ორსართულიანი შენობა სწორედ ზემოთ ნახსენები საერთო საცხოვრებელი გახლდათ. უეცრად სადარბაზოდან ქალბატონი გამობრძანდა, სწორედ მასთან დავაზუსტეთ, მართლაც გაყიდული იყო თუ არა სამხედრო ნაწილის ტერიტორია.

— დიახ, — დაგვიდასტურა ქალბატონმა, — თავდაცვის სამინისტრომ ამხელა ტერიტორია თავის შენობებიანად ვიღაც კერძო პირებს კაპიკებად მიჰყიდა, მათ შორის, აი, ეს საერთო საცხოვრებელიც. რაც რამ ქონება ჰქონდათ, სხვაგან გადაიტანეს და ნაწილიც მეტრო „ისანთან" გადავიდა. ჩვენ არავის გავხსენებივართ. ამ საერთო საცხოვრებელში კავშირგაბმულობის ბატალიონის უფროსი ოფიცრების ოჯახები უკვე რვა წელიწადია, რაც ცხოვრობენ. როგორც გითხარით, სამხედრო ნაწილის ტერიტორია და საერთო საცხოვრებელიც კერძო ფირმამ იყიდა. ახლა შენობის სასწრაფოდ დაცლას მოითხოვენ. გვეუბნებიან, აქედან თუ არ წახვალთ, ტრაქტორს მოვაყენებთ და ისე დავანგრევთ შენობასო. სად უნდა წავიდეთ? არავინ დაინტერესებულა ამ 14 ოჯახის ბედით, არავის შემოუთავაზებია სხვა საცხოვრებელი ადგილი. როგორ შეიძლება ბავშვებმა იმ ეზოში ითამაშონ, სადაც ნგრევაა დაწყებული, ამასთან, აქ უამრავი სატვირთო ავტომობილი და ტრაქტორი მიდი-მოდის. ამ ადგილზე ადრე აგურით ნაშენი ღობე იყო, — სამხედრო ნაწილის ტერიტორიას საერთო საცხოვრებლის ეზოსგან გამოჰყოფდა. ახალმა მეპატრონეებმა ღობე მოანგრიეს და ბავშვებიც თავისუფლად შედიან სამშენებლო მოედანზე. „მობრძანდით და თვითონ ნახეთ, რა პირობებში ვცხოვრობთ", — ამ სიტყვებით შეგვიძღვა ერთ-ერთი ოფიცრის მეუღლე საერთო საცხოვრებელში. ქალმა სხვა მობინადრეებსაც უხმო და ორიოდ წუთში ვიწრო დერეფანში ტევა აღარ იყო. მასპინძლებმა ყველაზე დიდი ფართობის მქონე ერთ-ერთ ოჯახში მიმიწვიეს, — როგორც გაირკვა, იმ ოთახში ექვსი სული ცხოვრობს (ცოლ-ქმარი და ოთხი ბავშვი). ოთახი ფარდით ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთი ნაწილი მეუღლეებს საწოლ ოთახად გადაეკეთებინათ, მეორე — უფრო დიდი — მისაღებიც არის, სასადილოც, სამზარეულოც და ღამით ბავშვების საძინებელიც. ოთახის ერთ კუთხეში შეშის ღუმელი ბუუტავდა. ჭერს და კედლებს აშკარად ეტყობოდათ წვიმის კვალი. აი, ასეთი გახლავთ საქართველოს არმიის უფროსი ოფიცრების ოჯახების (მათ შორის კავშირგაბმულობის ბატალიონის შტაბის უფროსისაც) თავშესაფარი. „ჩვენმა მეუღლეებმა რა გულით უნდა შეასრულონ საბრძოლო დავალებები, როცა იციან, რა პირობებში ცხოვრობს მათი ცოლ-შვილი?! ამასაც რომ არ გვანებებენ? ალბათ დღე-დღეზე ახალი მფლობელი ბულდოზერს მოაყენებს და ჭერს თავზე დაგვანგრევს", — მითხრა ერთ-ერთი ოფიცრის მეუღლემ. მას სიტყვა ვიცეპოლკოვნიკის ცოლმა ჩამოართვა: „ერთი სიტყვაც არავის უთქვამს სამინისტროდან, როცა ნაწილის დისლოკაციის ადგილის გაყიდვა გადაწყვიტეს. ეს მაშინ მოხდა, როცა ჩვენი მეუღლეები პანკისის ხეობაში იყვნენ მივლინებულები საბრძოლო დავალების შესასრულებლად. თითქმის ნოემბრის ბოლომდე თბილისში არც ერთი არ ჩამოსულა. ჩამოვიდნენ და აი, ეს დანგრეული ეზო და გამოსახლების პერსპექტივა დახვდათ." „ოფიციალური წერილი დავწერეთ მინისტრის სახელზე, სადაც ბინებით დაკმაყოფილებას ვთხოვდით. მინისტრმა განცხადებას ასეთი რეზოლუცია დაადო: „ამ საკითხთან დაკავშირებით მე ნუ შემაწუხებთ". ეს არის მინისტრის საკადრისი რეზოლუცია? რატომ არ დააწერა იმ განყოფილებას ან სამმართველოს, რომელსაც ეს ეხება, თვითონ ხომ ცხოვრობს სასახლეში? კარგად ვიცით, რა ფასად გაყიდეს ოფიციალურად ეს ნაწილი და ისიც ვიცით, რა თანხაც გადაახდევინეს არაოფიციალურად მყიდველს. ის ფული სამინისტროს ჩინოვნიკების ჯიბეში ჩავიდა და ჩვენთვის საკომპენსაციოდ ერთი თეთრიც ვერ გაიმეტეს. თვითონ ხედავთ, რომ ამ პირობებში ბავშვების გაზრდა შეუძლებელია. ხშირად ავადმყოფობენ, ბევრს უკვე ქრონიკული დაავადება ჩამოუყალიბდა. იმ მიზერულ ხელფასებსაც კი, რაც ჩვენს მეუღლეებს ეკუთვნით, დროზე არ იძლევიან. კი, ბატონო, მათ ფიცი აქვთ დადებული და ყველაფერს უნდა გაუძლონ, მაგრამ ფიცი მათ შვილებს ხომ არ დაუდიათ. გგონიათ, არ აქვს თავდაცვის სამინისტროს თავისუფალი საბინაო ფონდი? აქვს, მაგრამ არ იძლევა", — გვითხრა ერთ-ერთი მაიორის ახალგაზრდა მეუღლემ. თითქმის ყველა ოთახი დამათვალიერებინეს. ყველა ოთახში აუტანელი სიღატაკე სუფევდა. გულდამძიმებული გამოვეშშვიდობე ჩემს მასპინძლებს და ყურად არ ვიღე მათი გაფრთხილება, — ყოფილი ნაწილის ტერიტორიაზე ფოტოების გადაღებისგან თავი შეიკავე. ახალ მფლობელს დაცვა ჰყავს დაყენებული და თუ შეგნიშნეს, უსიამოვნება არ აგცდებაო.

ფოტოაპარატი მაინც მოვიმარჯვე და ადგილის შერჩევა დავიწყე კარგი კადრის გადასაღებად. ერთხელ ჩავაჩხაკუნე, მეორეჯერ, მესამეჯერ და ისე დავშორდი უხიფათო ზონას, ვერც კი შევნიშნე. სამაგიეროდ, ტერიტორიის დაცვამ შემნიშნა და ჩემკენ გამოქანდნენ. გაქცევა ვიუკადრისე, მაგრამ ფოტოაპარატი საგულდაგულოდ გადავმალე.

— აქ რას აკეთებ, ვინ მოგცა უფლება, ფოტოებს რომ იღებ. — დამაყარეს კითხვები. განსაკუთრებით ერთი აქტიურობდა.

— აი, იქ პატარა კარია, ღია იყო და იქიდან შემოვედი. საერთო საცხოვრებელში ვიყავი და ოფიცრის ოჯახების საცხოვრებელ პირობებს ვეცნობოდი.

— ეს ტერიტორია უკვე კერძო საკუთრებაა და უნებართვოდ ფოტოების გადაღება აკრძალულია. შენი საბუთები გვაჩვენე და თან ფოტოაპარატიც მოგვეცი...

— ჯერ თქვენ წარმომიდგინეთ საბუთები, რომ აქაურობა ნამდვილად კერძო საკუთრებაა და ისიც ამიხსენით, თქვენ ვინ ხართ.

— ახლავე მოიტა ფოტოაპარატი... — და დაცვის ორი წევრი დამეჯაჯგურა. ჩვენი ჭიდაობა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. სიტყვა-პასუხი ჯერ გამძაფრდა, შემდეგ კი არც უწმაწური ლექსიკონის გამოყენებაზეც უთქვამს უარი ე. წ. დაცვის ორ თანამშრომელს. ჩემთან გამკლავება რომ ვერ მოახერხეს, დასახმარებლად მუშებს უხმეს. ჩაქუჩებიანმა მუშებმა თავდასხმა ზურგიდან სცადეს. დახმარებას არსაიდან მოველოდი, გაქცევასაც არ ჰქონდა აზრი, ან ხუთ კაცს სად გაეექცეოდი. მოულოდნელად მშველელად ოფიცერთა მეუღლეები მომევლინენ და პირდაპირ ხელიდან გამოჰგლიჯეს ჩემი თავი თავდამსხმელებს. დაცვის ხალხი ოფიცრის მეუღლეებს დაემუქრა, — ხვალვე ბულდოზერს მივაყენებთ თქვენს ქოხმახს, მიწასთან გავასწორებთ და მერე გინდ ჟურნალისტს დაუძახეთ და გინდ მინისტრსო. დაცვამ მობილური ტელეფონით მომხდარის შესახებ მეპატრონეს აცნობა, მაგრამ როცა გაიგო, მისი მყუდროების დამრღვევი ჟურნალისტი ყოფილა, მობრძანება გადაიფიქრა.

მეორე დღეს საერთო საცხოვრებლის ბინადარი ოფიცრები დამიკავშირდნენ და მათთან მისვლა მთხოვეს. თან დამამშვიდეს, 14 ქართველი ოფიცერი ქუჩაში დაგხვდებიან და ნაწილის ტერიტორიაზე უპრობლემოდ შეგიყვანთო.

ოფიცრებს საღამოს ვეწვივე. ისინი მართლაც ქუჩაში მიცდიდნენ. მათ შორის ჩინით და თანამდებობით ყველაზე მაღლა მდგომმა, კავშირგაბმულობის ბატალიონის შტაბის უფროსმა დაიწყო ჩემთან საუბარი: „მადლობას მოგახსენებთ, რომ ჩვენი მდგომარეობით დაინტერესდა თქვენი გაზეთი... სამაგიეროდ, ჩვენს სამინისტროს არაფრად უღირს თავისი ოფიცრები. ჩვენი საქმეა საბრძოლო დავალებებზე წასვლა და მისი წარმატებით შესრულება, ხოლო სამინისტროს ჩინოვნიკების საქმე თბილისში უცხოური მანქანებით გრიალი და გრანტებისა და კრედიტების ჭამა გახლავთ. რა თქმა უნდა, ჩვენი ცხოვრების წესი თვითონვე ამოვირჩიეთ. როცა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, სხვაგვარად არ შეგვიძლია. თუმცა ისიც ვიცით, რომ არც ჩვენით იწყება საქართველოს შეიარაღებული ძალები და არც ჩვენით მთავრდება. მტვირთავად რომ ვიმუშაოთ ბაზრობაზე, ჩვენს ხელფასზე, 80 ლარზე მეტს ვიშოვით. მაგრამ ჩვენ ხომ ფულის გასაკეთებლად არ ჩაგვიცვამს სამხედრო ფორმა? ჩვენი ვალი სამშობლოს დაცვაა. მინისტრსაც ვაცნობეთ ჩვენი საბინაო პირობების შესახებ. მან შესაბამის სამსახურს დავალება მისცა — როგორც გინდათ, ისე დაკმაყოფილეთო, მაგრამ შემდეგ არაფერი გაკეთებულა. სამინისტროს ხალხმა ნაწილის ტერიტორია აზომა, შენობა-ნაგებობები დაათვალიერა და აქტი შეადგინა, რომ თითქოს შენობები ქვისგან არის ნაგები. სინამდვილეში, აქ აგურით ნაშენი სამსართულიანი კაპიტალური ყაზარმები იყო. აქტში ქვა იმიტომ დააფიქსირეს, რომ ღირებულება ხელოვნურად შეემცირებინათ. თუ ქვით იყო ნაშენი ყაზარმები, ამდენი აგური საიდან მოიტანეს? ყოველდღე აგურით დატვირთული ათეულობით მანქანა გადის ტერიტორიიდან. ყველაფერი ეს ნაწილის უძრავი ქონების იაფად გაყიდვის მიზნით გაკეთდა".

საუბარში ერთ-ერთი ოფიცერი ჩაგვერთო: „სამინისტროში გეტყვიან, სამხედრო ნაწილის ყაზარმები გასულ საუკუნეში იყო აშენებული, შარშანდელმა მიწისძვრამ დააზიანა და თითქმის ამორტიზებული იყოო. ეს კედელი ძლივს დაანგრიეს, ისე მტკიცედ იყო ნაგები. ყაზარმები სულ ცოტა, ას წელს მაინც გაუძლებდა. აქაურობა, უპირველესად, ჩვენთვის უნდა შემოეთავაზებინათ, იქნებ ჩვენ ვყიდულობდით? სად გინახავთ, დიდუბეში, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთი კვადრატული მეტრი მიწა 7 ლარად იყიდებოდეს? აქ ერთი კვმ მიწის საბაზრო ფასი 150 დოლარზე ნაკლები არაა. არადა, სწორედ 7 ლარად გაიყიდა სამხედრო ნაწილის ორი ჰექტარი მიწა. არ მინდა დავიჯერო, რომ ამ საქმეში თავდაცვის მინისტრია გარეული, სამწუხაროდ, მასზე ბევრი კორუმპირებული ჩინოვნიკია მიტმასნილი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დღესვე შეუძლია საბინაო პრობლემების გადაჭრა, მაგრამ ფულია საჭირო. მაგალითად, ოროთახიან ბინაში 2.000 დოლარს იღებენ, ისე საღორესაც არ გაღირსებენ..."



მალე ამ საერთო საცხოვრებელს დაანგრევენ და ოფიცერთა ოჯახები ქუჩაში დარჩებიან

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს პრივატიზაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, **დავით ძიძიას** დავუკავშირდით. როგორც მან ბრძანა: — საპრივატიზაციო ობიექტი, ანუ თქვენთვის ხარინტერესო სამხედრო ნაწილის უძრავი ქონება და ნაწილის ტერიტორია თავდაცვის სამინისტროსთან ერთობლივად შექმნილმა საპრივატიზაციო კომისიამ წარმოადგინა და იგი შეყვანილ იქნა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში. რა თქმა უნდა, ობიექტს თან ახლდა შენობების შეფასების დანართი. მიწის მართვის დეპარტამენტმა კი დადგენილი მეთოდიკით მიწის ფართობი შეაფასა. ორივეს — მიწისაც და ქონებისაც — ღირებულება შეჯამდა და საწყის ფასად დადგენილ იქნა 270 ათასი დოლარი. აქედან მიწის ფასი (18 ათასი კვადრატული მეტრი) შეადგენდა 58 ათას დოლარზე ოდნავ მეტს. ე. ი. ერთი კვმ მიწა შეფასდა 7 ლარად და 20 თეთრად.

— ხომ არ გეჩვენებათ, რომ მიწის ფასი ხელოვნურადაა შემცირებული. დიდუბეში თითოეული კვმეტრი მიწის რეალური ფასი ხომ 150 დოლარია?

— ვიმეორებ, მიწის ფასი, მისი შეფასების მეთოდიკიდან გამომდინარე, აბსოლუტურად სწორად აქვს განსაზღვრული მიწის მართვის დეპარტამენტს. გინახავთ სადმე, ერთი კვმ მიწა ვინმეს თუნდაც 100 დოლარად გაეყიდა(?!)...

მიწის მართვის თბილისის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ზაზა ზირაქიშვილი:** „საპრივატიზაციო მიწის ფასის დადგენა არსებული მეთოდიკით და კანონმდებლობით განისაზღვრება. ჩვენ სწორად შევაფასეთ მიწის ფართობი. დანარჩენი თავდაცვის სამინისტროში გაარკვიეთ".

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ **რეზო ბეჟაშვილს:** — მე შევხვდი კავშირგაბმულობის სამხედრო ნაწილის უფროსი წოდების ოფიცრებს და ავუხსენი, რომ სამინისტრო ეძებს მათთვის საუწყებო საბინაო ფართს, რომლის პრივატიზება შესაძლებელი იქნება ორდერის გამოწერიდან მხოლოდ ათი წლის შემდეგ. ასე რომ, მათ დროებითი საცხოვრებელი ფართი უახლოეს ხანებში გამოეყოფათ.

— მაინც რა აუცილებლობით იყო გამოწვეული კავშირგაბმულობის სამხედრო ნაწილის ტერიტორიისა და ქონების გაყიდვა?

— კანონით ბიუჯეტის შესახებ უფლება გვაქვს ზენორმატიული ნაწილების განთავსების ადგილები და მათი ქონება გადავცეთ ქონების მართვის სამინისტროს საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანად. მიღებული შემოსავალი შედის ჩვენს სპეცანგარიშზე და ხმარდება იმ სფეროების დაფინანსებას, რომლის უზრუნველყოფასაც ბიუჯეტი ვერ ახერხებს. არის სხვა მიზეზებიც. ჩვენ რუსეთის საოკუპაციო არმიისგან მემკვიდრეობით გვერგო ინფრასტრუქტურა, რომელიც გათვლილი იყო 300 ათას სამხედრო პირზე. ჩვენი არმია ამჟამად 16 ათას კაცს ითვლის. ამდენ ობიექტს დაცვა სჭირდება, დარაჯების არმიად ხომ არ გადავიქცევით, ამიტომ რაც ზედმეტია, უნდა გავყიდოთ. შენობების ნაწილი გასულ საუკუნეში, ხოლო ნაწილი კი სამამულო ომის შემდეგ არის აშენებული. ასე რომ, ნაგებობების 70%, ფაქტობრივად, ამორტიზებულია. გარდა ამისა, ჩვენი უცხოელი პარტნიორების რეკომენდაციით, სამხედრო ნაწილები ქალაქგარეთ, მჭიდროდ დასახლებული ადგილიდან მოშორებით უნდა იყოს დისლოცირებული. რაც შეეხება საერთო საცხოვრებელს, იგი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბინაო ფონდში არ ირიცხება. იქაურ მობინადრეებზე არ გამოწერილა ორდერები, ე. ი. თვითნებურ შესახლებასთან გვქონდა საქმე.

— რა ექნათ უბინაოდ დარჩენილ ოფიცრებს ან ახლა რა ქნან?

— წესით, ერთ-ორ წელიწადში ოფიცერი საბინაო ფართით უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ აუწყობელ ქვეყანაში ვცხოვრობთ. გენერალური შტაბის გადაწყვეტილებით, ნაწილი უნდა გადავიდეს სხვა ტერიტორიაზე. იქ მობინადრეებს სხვა საცხოვრებელ ფართს შევთავაზებთ. ზოგი შესაძლოა ღია საბინაო ფონდით, ანუ ქალაქში მდებარე ბინებით დავაკმაყოფილოთ, ზოგს კი სამხედრო ნაწილებში მდებარე დახურულ საერთო საცხოვრებლებში მივუჩინოთ ბინა. არის მესამე ვარიანტიც: უბინაოდ დარჩენილებს გადავცეთ არასაცხოვრებელი ფართი, რომელსაც წინასწარ გადავაკეთებთ საცხოვრებლად.

— ამბობენ, რომ თავდაცვის სამინისტრომ, გარდა ოფიციალური თანხისა, მალულად ნ-ჯერ მეტ თანხას გამოჰკრა ხელი.

— ყველა ვერსიას და ვარაუდს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ჩემთვის თქვენი ვერსია აბსოლუტურად მიუღებელია...

— ვინ იყიდა სამხედრო ნაწილის ტერიტორია და უძრავი ქონება?

— მართალი გითხრათ, არც დავინტერესებულვარ.

როგორც გავიგეთ, გაყიდული ტერიტორიის მეპატრონე შპს „გელდი" ყოფილა. დაუზუსტებელი ინფორმაციით კი, ტერიტორია თითქოს ე. წ. ელიავას ბაზრობის ხელმძღვანელობამ შეისყიდა ბაზრობის გაფართოების მიზნით.

P.S. სტატია დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ, რომ საქართველოს სამხედრო პროკურატურა ამ ობიექტის პრივატიზების საკითხით დაინტერესებულა, მაგრამ პროკურატურაში ამ თემაზე საუბარი არავინ ისურვა, საქმე შეწყვეტილი ყოფილა დანაშაულის არარსებობის გამო(?!). რა ეშველებათ უბინაოდ დარჩენილ ოფიცრებს და მათ ოჯახებს და როდემდე უნდა გამდიდრდნენ ერთეულები ხალხის კუთვნილი მიწით?!

ზვიად ჩაკვეტაძე

„იქო მცდელობა, ორი ავტონომიის გადაკიდება მოეხდარიქო...“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

„ვინაიდან აღნიშნულ დოკუმენტში მოტანილი ფაქტები ეხება ხელისუფლების მიერ ოპოზიციურად განწყობილი პიროვნებების დევნის საკითხს, კატეგორიულად მოვითხოვთ: დაავალოთ მიხეილ ოსაძის კომისიას გამოითხოვოს აღნიშნული დოკუმენტი და მისი შინაარსი გააცნოს პარლამენტს“ — აღნიშნული იყო წერილში, რომელსაც ხელს აწერდნენ ანზორ აბრალავა, ელიზბარ ჯაველიძე, რომან ბაქრაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, ჯემალ გამახარია და გიორგი თარგამაძე. უნდა გითხრათ, რომ ეს წერილი გაამრავლეს და დაურიგეს ბიუროს წევრებს. მიაქციეთ ყურადღება, — წერილის ავტორები ითხოვდნენ დოკუმენტის შინაარსის გაცნობას პარლამენტისთვის, ხოლო ბიუროზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შინაარსი მოხსენებოდა ბიუროს.

— გინდათ თქვათ, რომ დოკუმენტი გრიფით „საიდუმლო“, რომელიც ხაბურძანიამ აგვისტოს თვეში მიიღო კორძახიასგან, ცნობილი იყო დეპუტატებისთვის?

— დიახ. მეტსაც გეტყვით, მათ ეს დოკუმენტი უკვე ხელთ ჰქონდათ.

— საიდან?

— ჩემი ვარაუდით, აფხაზეთის უშიშროებიდან. ამჟამად, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უშიშროების სამინისტროში იკვლევენ, საიდან მოხდა ამ დოკუმენტის „გაჟონვა“. შეგახსენებთ, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა. რაც შეეხება ჯემალ გამახარიას საბჭოთა პერიოდში უშიშროებასთან საიდუმლო თანამშრომლობას, მინდა გითხრათ, რომ ამასთან დაკავშირებით სიყალბის ფაქტზე უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება. დოკუმენტები, რომელიც მაშინ გამახარიასთან დაკავშირებით წარმოადგინეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში შეიძლება გაეყალბებინათ. კიდევ არის ინფორმაციის გაჟონვის სხვა ფაქტები.

— დეპუტატების უმრავლესობა ბიუროს დახურულ სხდომაზე წინააღმდეგი წავიდა, პარლამენტის სხდომამდე გამოიქვეყნებინათ გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტი.

— კი, მაგრამ ჯემალ გოგიტიძემ თქვა, რომ ის იცნობდა ამ დოკუმენტს და თუ ბიუროს წინააღმდეგი წავიდოდა, მეორე დღესვე გამართავდა პრესკონფერენციას, რომელზეც თავად გააცნობდა მის შინაარსს ჟურნალისტებს. იმავე საღამოს ამ დოკუმენტის რამდენიმე დეტალი ტელევიზიის პირდაპირ ეთერშიც გაჟღერდა ჩემი კოლეგების მიერ.

— პრინციპში, პირველმა გოგიტიძემ წაიკითხა გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტი. რამდენად ჰქონდა მას ამის უფლება?

— თუ ჩვენ მივუდგებით იმ კუთხით, რომ დოკუმენტი იყო გრიფით „საიდუმლო“, რა თქმა უნდა, გოგიტიძეს მისი წაკითხვის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მან დაარღვია, დოკუმენტს, რომლის წაკითხვასაც ვაპირებ, გრიფი „საიდუმლო“ არ ადევს, არც ის ვიცი, სრულიად საიდუმლოა თუ არა. ამიტომ ვიყენებ კონსტიტუციით მონიჭებულ უფლებას, მაინტერესებს ამ ინფორმაციის გაჟღერებაო და გააჟღერა კიდეც. ამ შემთხვევაში გოგიტიძის ქმედებაში არ არის კანონის დარღვევა. სხვათა შორის, სხდომაზე უკვე თამაზ ნადარეიშვილიც კატეგორიულად მოითხოვდა დოკუმენტის წაკითხვას... გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტის წაკითხვის უფლება მე არ მქონდა. ამიტომ მის წაკითხვამდე ნადარეიშვილს შევთავაზე, მოეყვანათ აფხაზეთის უშიშროების მინისტრი კიკნაძე, რომელსაც ჰქონდა გრიფის მოხსნის უფლება. ეს ჯერ კიდევ დღის პირველ ნახევარში ხდებოდა. როგორც კი ლევან კიკნაძე მოვიდა, მაშინვე ავედი ქ-ნ ნინო ბურჯანაძესთან და ვუთხარი: ქ-ნო ნინო, დებატები გრძელდება დილიდან, მოსულია აფხაზეთის უშიშროების მინისტრი, გააკეთებს განცხადებას და დოკუმენტის გაცნობასთან დაკავშირებით პრობლემა მოიხსნება-მეთქი. მან მიპასუხა: ჯერ არა, მერეო.

— ალბათ მაშინ არ იყო ამის დრო და იმიტომ წავიდა წინააღმდეგი.

— ეს რომ მაშინ გაკეთებულიყო, ჯემალ გოგიტიძეს აღარ დასჭირდებოდა მისი წაკითხვა და აღარც ის შეხლა-შემოხლა მოხდებოდა, რისი მომსწრეც გავხდით. სხვათა შორის, ნადარეიშვილი ყურადღებით მადევნებდა თვალს და ბურჯანაძისგან დაბრუნებულს მკითხა, — რა გითხრაო. მეც ვუთხარი. მერე ნადარეიშვილმა პირდაპირ ლოჟიდან დაურეკა ქ-ნ ნინოს მობილურზე და იგივე შესთავაზა. ვერ გეტყვით, ნინომ რა უპასუხა, მაგრამ ფაქტი დარჩა ფაქტად — მან კიკნაძეს სიტყვა არ მისცა. რაც შემდეგ მოხდა, უკვე იცით.

— გინდათ თქვათ, რომ ბურჯანაძემ შეცდომა დაუშვა, როცა დროში გაწელა დოკუმენტის წაკითხვა?

— მე ფაქტები გითხარით და კომენტარი მკითხველისთვის მიმინდვია. განგებ მოხდა, სიტუაცია ვერ შეაფასეს, თუ შეცდომა დაუშვეს — ეს ჩემი შეფასების საგანი არ არის.

— ფაქტია, რომ „აღორძინებისა“ და აფხაზეთის ხელისუფლების დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. არ ფიქრობთ, რომ თქვენც, ხაბურძანიაც და სხვებიც ამ პოლიტიკური თამაშის მონაწილეები ალმოჩნდით?

— სხვათა შორის, პარლამენტში იმ დეპუტატმაც კი (გიორგი თარგამაძე), რომელსაც ხელი აქვს მოწერილი დოკუმენტზე და კატეგორიულად ითხოვდა მის გამოთხოვას, ბრალი დამდო, რომ ჩემი გამოსვლა დარტყმის ქვეშ აყენებს დოკუმენტზე ხელის მომწერს. კი, მაგრამ, მამაცხონებულო, თქვენ არ ითხოვდით ამას?! მე რას მედავებიან... ამ დოკუმენტის გამოქვეყნება სჭირდებოდა „აღორძინებას“, მისი შინაარსიდან გამომდინარე. გამახარია დაინტერესებული იყო დანაშაულის შემკვეთების მხილებით.

— მოდით, პირდაპირ თქვით, შეიძლება თუ არა გადაუმოწმებელი იყოს ინფორმაცია, რომელიც არის გრიფით „საიდუმლო“?

— მოდით, ვთქვათ ასე — რა არის უშიშროების ფუნქცია? მან უნდა მოიპოვოს პირველადი ინფორმაცია, გადაამოწმოს, გააანალიზოს და დადასტურების შემთხვევაში, მოახდინოს რეაგირება ინფორმაციაზე. ვფიქრობ, აღნიშნული დოკუმენტი მხოლოდ ინფორმაციას ეყრდნობოდა. გარდა ამისა, უშიშროებაში არსებობს ასეთი სტილი — „ჩვენთან შემოსული გადაუმოწმებელი ინფორმაციით“, ან კონკრეტულად მიუთითებენ წყაროს. ამ დოკუმენტში კი ასეთი რამ ნათქვამი არ არის. ერთი რამ ვიცი — როდესაც ხაბურძანიამ მიიღო ეს ინფორმაცია, მოქმედებდა ისე, როგორც შეჰფერის მინისტრს. მან მისცა მითითება აფხაზეთის უშიშროების მინისტრს, — გადაამოწმეთ და ვიმუშაოთო. მაგრამ მოხდა ისე, რომ კორძახია აფხაზეთის უშიშროების მინისტრის პოსტიდან (დოკუმენტის უშიშროებაში შემოსვლიდან ათი დღის შემდეგ) გაათავისუფლეს და მოადგილედ გადაიყვანეს. სხვათა შორის, რა მიზეზით გაათავისუფლეს იგი, გასარკვევია. ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება. იქნებ ვიღაცას დასჭირდა ყოველივე ამის სპეციალურად გათამაშება და ახლა უნდათ ხაბურძანია და მიხეილ ოსაძე განტევების ვაცად გამოიყვანონ. მინდა ყველა დავარწმუნო, რომ ეს არ გამოუვადა.

— ბატონო მიხეილ, ბოლოს და ბოლოს, საინტერესოა დოკუმენტში სიმართლე წერია თუ ტყუილი?

— უხერხულ კითხვას მაძლევთ. თუ დოკუმენტში სიმართლე წერია, მაშინ საქმე ძალზე სერიოზულია. ფაქტია, რომ კორძახიას დართული აქვს დოკუმენტზე შსს-დან ამოღებული ოფიციალური ცნობა ამ პირების ნასამართლეობის შესახებ, ანუ ეს ნაწილი დასტურდება ხომ?.. გამახარიაზე პირველში რომ მოხდა თავდასხმა, ესეც ფაქტია და აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დოკუმენტში დასახელებული გვარებიდან ორი პიროვნება პასუხისგებაშია მიცემული. დანარჩენი მოითხოვს გადამოწმებას. საერთოდ კი, ამ ორი ავტონომიის გადაკიდება ქვეყნის საწინააღმდეგოდ მიმაჩნია. ეს ვიღაცებს აძლევდათ ხელს და მოხდა მცდელობა, რომ დაპირისპირება შემდგარიყო.

მარინა მამისაშვილი

„საიდუმლოს საფლავში ჩავიტან“

საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა დიპლომატიურ მანევრებზე და ამერიკა-ერაყის კონფლიქტში თავისი პოზიცია დააფიქსირა — შევარდნაძე ამერიკელებს ვაზიანის ბაზის გამოყენებას სთავაზობს. პრეზიდენტის პირდაპირობა არაერთგვაროვნად აღიქვეს საქართველოში (იხ. გვ. 9).

განსაკუთრებით კრიტიკულები შევარდნაძის ამ ნაბიჯის მიმართ აჭარის წარმომადგენლები იყვნენ.

ჯემალ გოგიტიძე:

— მაოცებს საქართველოს ხელისუფლების „უშიშარი“ გაუაზრებელი დამოკიდებულება იარაღსა და ომთან. ჩეჩნეთის საკითხის გამო, საქართველოს მთელ მსოფლიოში ეჭვით უყურებენ და ჩვენს ქვეყანას იცნობენ, როგორც ტერორისტების მოსამზადებელ ბუდეს. ამის გამოა, რომ ამერიკასა და ევროპაში საქართველოს მოქალაქეების შესვლა გამკაცრებულია. ასეთივე დამოკიდებულებაა ქართველების მიმართ თურქეთსა და რუსეთშიც. ყოველივე ეს საქართველოს ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის შედეგი გახლავთ. მეტად წამგებიან მდგომარეობაში იგდებს თავს შევარდნაძე, როცა ამბობს, — ამერიკას საქართველოს ბაზებს დავუთმობო. რა გარანტია აქვს საქართველოს, რომ თვითონ არ შეიქნება აგრესიის მსხვერპლი?

ერაყი ისე დახელოვნებულია ტერორისტული აქტების მოწყობაში, როგორ გგონიათ, საქართველოს არ ემუქრება საფრთხე? ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა ნულის ტოლია (ამაში ხომ არაერთხელ დაგვარწმუნა საქართველოს ტერიტორიის დაბომბვებმა), შევარდნაძე ან ვერ აცნობიერებს არსებულ ვითარებას, ან კიდევ საკუთარ ქვეყანას მტრობს. მაგრამ იცით როგორ არის საქმე? შევარდნაძე ამ განცხადებით ამერიკას აწონებს თავს — თავისი სავარძლის გამყარება სურს. ვფიქრობ, პრეზიდენტის ნათქვამს სხვა დატვირთვა არ აქვს.

— მაგრამ როცა ჩვენს მეზობლად ვითარება ასე დაძაბულია, ისე ხომ ვერ მოვიქცეოდით, თითქოს ვერაფერს ვხედავთ და არაფერი გვესმის?

— როდესაც გერმანია, საფრანგეთი და ევროპის ბევრი ქვეყანა არ ემხრობა აშშ-ის მიერ ომის დაწყებას, ჩვენ ნეიტრალური პოზიცია მაინც დაგვეჭირა. როდესაც დიდი ქვეყნები თავს იკავებენ აშკარა აგრესიისგან (შეიძლება სურვილი კი ჰქონდეთ, მაგრამ არ გამოხატავენ), ჩვენი ქვეყნის მეთაურის განცხადება საშიშიცაა და უგუნურიც.

„ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო“

— მაგრამ არის იმის პერსპექტივაც, რომ ამერიკული სამხედრო ბაზა მოიკიდებს ფეხს საქართველოში.

— საქართველოში ჯერჯერობით, რუსული სამხედრო ბაზები დგას (და ეს რუსეთმა და ამერიკამ გადაწყვიტეს). ქვეყნის ხელმძღვანელი იმას ვერ უნდა მიხვდე, რომ ერთ თოფიან კაცს გვერდით მეორე თოფიანი არ უნდა დაუყენო?! ნათქვამია, თოფი წელიწადში ერთხელ თავისით ისვრისო და რით ვართ ჩვენ დაზღვეულები? ასეთი ნაბიჯებით ქვეყანას უსაფრთხოებას კი არა, საფრთხეს ვუქმნით.

მსოფლიო პროცესებს აშშ და რუსეთი მშვენივრად აბალანსებენ. ასე რომ, შევარდნაძე არაფერში სჭირდებათ, მაგრამ პრეზიდენტი ამ პროცესებში არამკითხე მოამბესავით მაინც ეჩრება და ავიწყდება, რომ მისნაირები უმეტეს შემთხვევაში, გალახულები რჩებიან. ვშიშობ, შევარდნაძის გამო საქართველო არ დაისაჯოს.

— გამორიცხავთ, რომ აშშ-ს შესაძლოა თავად ეთხოვა საქართველოსთვის მხარდაჭერა?

— შესაძლოა სთხოვეს კიდეც შევარდნაძეს, — მხარი დაგვიჭირეო, მაგრამ მას დელიკატურად უნდა ეპასუხა, — ნეიტრალიტეტს დავიცავ, რადგან თავდაცვის გარანტიები არ მაქვსო. როდესაც ერაყი დაინახავს, რომ ჩვენნაირი ჯუჯა სახელმწიფო ასე გაუაზრებლად ჩაერთო აქლემების დოღში, ბუნებრივია, კარგი თვალით არ შემოგვხედავს. რა გარანტიაა, რომ საქართველოში დივერსიული აქტები არ მოხდება.

მით უმეტეს, საშინაო ვითარებაც დაძაბულია, ათასგვარი შეიარაღებული ფორმირების არსებობა იმის საწინდარია, რომ ყველანაირი მოულოდნელობისათვის მზად უნდა ვიყოთ.

გასულ კვირას ნამდვილად არასასიამოვნო ფაქტი მოხდა პარლამენტში... თამაზ ნადარეიშვილმა ჯერ საწერკალამი მესროლა, მერე შემაგინა და ჩემკენ გამოიწია. ბუნებრივია, მეც მქონდა ადეკვატური რეაქცია, ემოცია ვერ დავმალე და ამის შემდეგ დარბაზში 4 ავტომატებით შეიარაღებული პირი შემოვარდა, ნადარეიშვილის ე.წ. დაცვის თანამშრომლები. მინიშნება იყო თითქოს ჩემი დაცვის თანამშრომელი შემოვიდა დარბაზში. მართლაც დამყვება ჩემი მეგობარი ყოველგვარი იარაღის გარეშე, ოფიციალური დაცვა არ მყავს, მაგრამ ამ ინციდენტის შემდეგ იძულებული ვარ, ავიყვანო. შეგიძლიათ, გადაამოწმოთ, ჩემს მეგობარს იარაღი ჩაბარებული ჰქონდა. გთხოვთ ისიც ნახოთ, ნადარეიშვილის ხალხს ჰქონდა თუ არა ჩაბარებული იარაღი 11 თებერვალს. ისინი განგებ დადიან გრძელი ლაბადებით, რომლის ქვეშ იარაღს ატარებენ. თუ ხელისუფლება ელემენტარულ წესრიგს არ დაამყარებს და შეუძლებელი იქნება არჩევნების ჩატარება, შემოდგომაზე სამოქალაქო ომს მივიღებთ. ხედავთ, როგორი მძიმე ვითარებაა ქვეყანაში? — საერთაშორისო კონფლიქტში ვართ ჩათრეულები, ვითომ ამერიკას ვეხმარებით და წესრიგს ვერ ვეღირსეთ საკუთარ ქვეყანაში. ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო, ისეა ჩვენი საქმე.

— ნადარეიშვილის ე.წ. შეიარაღებული ფორმირების არსებობას ვალერი ხაბურძანია უარყოფს. ითქვა, მიხეილ ოსაძემ იმიტომ „ამხილა“ ნადარეიშვილი, რომ საარჩევნო სიაში ჩასვით.

— ოსაძე უშიშროების გენერალია. მას „აღორძინება“ ვერ მართავს და არც არაფერს შევპირებივართ. მითხრა კიდეც ერთმა, ვიცი ოსაძე მეთხუთმეტედ გყავთ სიაშიო. ჯერ ის არ ვიცი, მე მერამდენე ვიქნები და საიდან გაიგეს ზოგიერთებმა ოსაძის ამბავი?

— მაგრამ ხაბურძანიამ არ დაადასტურა კორძახიას მოხსენებით ბარათში ჩაწერილი ფაქტები.

— პარლამენტში გამოსვლის წინადღეს კორძახიას ფიზიკური განადგურებით დაემუქრნენ. დანარჩენი, რაც პარლამენტში მოხდა, ყველაფერი შეთანხმებული იყო. განგებ ითქვა, გადამოწმდა ეს ინფორმაცია და არ დადასტურდაო.

— თვითონ კორძახიამ გითხრათ, რომ დაემუქრნენ?

— არა, სხვამ დამირეკა და შემატყობინა ეს ამბავი. ამიტომ იყო შეშინებული კორძახია პარლამენტში გამოსვლისას. თუ ხაბურძანია ოსაძის დასკვნას არ ეთანხმებოდა, გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტს რომ უგზავნიდა, მაშინ რატომ არ თქვა ეს? ამიტომ ვამბობ, რომ კორძახიას წერილში ყველაფერი სიმართლეა.

შევარდნაძეს ყველაფერი იქითკენ მიჰყავს, რომ შემოდგომაზე არჩევნები არ ჩატარდეს. პირველკაცობის გულისთვის ის დესტაბილიზაციას არ მოერიდება. თუ საგანგებო მდგომარეობას შემოიღებენ, შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადა ავტომატურად გაგრძელდება და ის ამით ეწევა საწადელს, — პრეზიდენტობას სიცოცხლის ბოლომდე.

რაც შეეხება საიდუმლო დოკუმენტს, ის დოკუმენტი მიხეილ ოსაძეზე ბევრად ადრე მე მქონდა და არსად აწერია, რომ ის საიდუმლოა. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლება აქვს ისე გაახმოვანოს ინფორმაცია, რომ არ დაასახელოს წყარო. კონსტიტუციით ვიყავი უფლებამოსილი, ეს დოკუმენტი პარლამენტის წინაშე წამეკითხა. ალბათ ბევრს აინტერესებს ჩემი წყაროს ვინაობა, მაგრამ ამ საიდუმლოს საფლავში ჩავიტან...

იზო რიკაძე

ოპერაცია „ელდა და ცახცახი“ ამერიკულად

გამოუცხადებელი ომი ერაყთან ერთი თვეა მიმდინარეობს

რა იარაღით დაუპირისპირდებიან რეალურ ბრძოლებში ამერიკელები და ერაყელები ერთმანეთს

ატომური ავიამზიდი „თეოდორ რუზველტი“



სტრატეგიული ბომბდამშენი B-52H

სტრატეგიული ბომბდამშენი B-1B

ფრთოსანი რაკეტა „ტომაჰავკი“

გემბანის თვითმფრინავი AV-8A

დამრტყმელი შვეულმფრინი AH-64 „აპაჩი“

ტანკი M1A1 „აბრამსი“

ქვეითთა საბრძოლო მანქანა M2 „ბრედლი“

ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა MLRS

აშშ-ის შეიარაღება

14 თებერვალს, გაეროს უშიშროების საბჭოს მორიგ სხდომაზე, საერთაშორისო სამხედრო ინსპექტორების ხელმძღვანელობას კატეგორიულად რომ განეცხადებინა — ერაყი მალავს მასობრივი განადგურების იარაღსო, ეს დღე შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო. მაგრამ ასეთი განცხადება არ გაკეთებულა. პირიქით, გაეროს სამხედრო ინსპექტორები ითხოვენ ერაყის ტერიტორიის შესწავლის გაგრძელებას. მათ აქტიურად უჭერს მხარს გაეროს უშიშროების საბჭოს სამი მუდმივი წევრი — საფრანგეთი, რუსეთი და ჩინეთი. ამ ამბით აღშფოთებული ვაშინგტონი აგრძელებს დამატებითი ძალების გადასროლას ერაყის გარშემო. პენტაგონმა პირველად 1991 წლის ომის შემდეგ დაიქირავა 15 სამოქალაქო ლაინერი 4.000 სამხედროს სპარსეთის ყურეში გადასასროლად.

შუა თებერვლისთვის სპარსეთის ყურეში 130 ათასამდე ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ მოიყარა თავი, ხოლო გემებზე მყოფი პირადი შემადგენლობის ჩათვლით, უკვე 150 ათასამდე კაცია. ეს ის მინიმალური რაოდენობაა, რომელიც საჭიროა საბრძოლო ოპერაციის დასაწყებად.

პენტაგონს მხარში უდგას დიდი ბრიტანეთი. ის ახალი კონფლიქტის ზონაში 40 ათასი სამხედრო მოსამსახურის გადასროლას ამთავრებს.

მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერჯერობით, ამერიკელები ვიდრე სპარსეთის ყურეში არ გადაიყვანენ თავის ყველაზე ელიტარულ სამხედრო ნაწილებს — 82-ე და 101-ე საავიაციო-მოიერიშე და მე-4 სახმელეთო დივიზიების დანაყოფებს, მანამ აქტიური საბრძოლო ოპერაციის დაწყებისგან თავს შეიკავებენ.

როგორც ჩანს, გაეროს უშიშროების საბჭო ახლო მომავალში ნამდვილად არ მიიღებს ისეთ რეზოლუციას, რომელიც ვაშინგტონს ერაყთან სანქცირებული შეტევის დაწყების უფლებას მისცემდა. თუმცა, ეს, ეტყობა, თეთრ სახლში უკვე ნაკლებად აღელვებთ, რადგან ვაშინგტონიც და ლონდონიც მზად არიან ერთ-ორ კვირაში ყოველგვარი სანქციის გარეშე შეუტიონ ჰუსეინის რეჟიმს, მით უმეტეს, რომ საიდუმლო ომი ერაყის ტერიტორიაზე თვეზე მეტია, მიმდინარეობს.

ერაყთან ომის სცენარი

პენტაგონის წარმომადგენლებიც კი აღარ უარყოფენ, რომ აშშ-ის შეიარაღებული ძალების სპეცდანიშნულების დანაყოფები უკვე მოქმედებენ ერაყის სხვადასხვა კუთხეში. ეს, ფაქტობრივად, სახმელეთო ოპერაციის პირველი ფაზაა. ისინი ეძებენ ერაყელთა საკომუნიკაციო საშუალებებს, იარაღის საწყობებს, „სკადების“ გასაშვებ მობილურ დანადგარებს, რადიოლოკატორებს და დივერსიებით ანადგურებენ მათ. ეს მებრძოლები უმთავრესად SOF-ის — სპეციალური ოპერაციების ძალების შემადგენლობიდან არიან. არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის ის ამერიკელი სპეცრაზმელებიც იყვნენ, რომლებიც შარშან „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს სამხედრო ძალების საშტაბო ოფიცრებისა და „კომანდო“-ს ბატალიონის მებრძოლებს ამზადებდნენ.

ორი ასეთი სპეცდანიშნულების რაზმი მუდმივად მოძრაობს ერაყის ტერიტორიაზე და უფრო მსხვილი ამერიკული სამხედრო შენაერთების ერაყში შესაჭრელად საფუძველს ამზადებს.

პენტაგონის საბრძოლო მოქმედების გეგმა რადიკალურად განსხვავებული იქნება „უდაბნოს ქარიშხლის“ მანევრებისგან.

რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამერიკელები შეტევის მთავარ ფაზას ერაყის სტრატეგიული ობიექტების მასობრივი საჰაერო დაბომბვით არ დაიწყებენ, როგორც ეს მოხდა 1991 წელს, ომის პირველი, 38 დღის განმავლობაში.

თავდაპირველად, პენტაგონი სახმელეთო ოპერაციას განახორციელებს ძალზე ორიგინალური სახელით „ელდა და ცახცახი“ და შეეცდება ერაყის ტერიტორიის მეტი წილი ძალზე მცირე დანაკარგებით დაიპყროს.

ამერიკელი სამხედრო ექსპერტების მოსაზრებით, პენტაგონს აქვს საშუალება, „ტყვიის გაუროლელად“ დაიკავოს ერაყის ტერიტორიის 75%. ამის მტკიცების შესაძლებლობას კი შემდეგი რეალური სიტუაცია იძლევა — ერაყის ჩრდილოეთს დიდი ხანია აკონტროლებენ ამბოხებული ქურთები, რომლებიც გულმოდგინედ ეხმარებიან ამერიკელ სამხედროებს ამ რეგიონში ორი-სამი აეროდრომის მოწყობაში.

ერაყის სამხრეთი შიიტებითაა დასახლებული, რომლებსაც ბაღდადში გაბატონებული სუნიტები გულზე არ ეხატებათ და არც ისინი შეაკლავენ თავს ამერიკელებს.

ერაყის დასავლეთი ნაწილი კი ძირითადად უდაბნოა და თუნდაც ერაყელებმა გზები დანაღმონ, მისი გადალახვა ამერიკულ ჯავშანკოლონებს მაინცდამაინც არ გაუჭირდებათ.

თუ ომი სწორედ ამ მიმართულებით დაიწყო, ორ-სამ კვირაში სადამ ჰუსეინის ხელში მხოლოდ ბაღდადი და მისი ჩრდილოეთი რაიონები დარჩება. მათ შორის, სადამის მშობლიური ტიკრიტიც.

ბრძოლის ახალი ტაქტიკის გეგმის შემუშავებას მიაწერენ ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის არმიის სარდალს გენერალ ტომი ფრენქსს. მან ამ მეთოდით ერთხელ უკვე იმოქმედა ავღანეთში. ზედმეტი დაბომბვები, რომელთა დროსაც გარდაუვალია მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი, მხოლოდ გაურთულებს ამერიკელებს საქმეს.

თუმცა მთლად საჰაერო დარტყმების გარეშე ომი არ დასრულდება. ამერიკული სამხედრო დაზვერვის მონაცემებით, სადამ ჰუსეინის ბრძანებით, ერაყელი სამხედროები მთელ ქვეყანაში აგროვებენ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს და მათ ბაღდადის გარშემო ამონტაჟებენ. დედაქალაქის დასაცავად გადასროლილია სხვა საბრძოლო ტექნიკაც, რაც მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მთავარი ბრძოლები, მათ შორის დაუნდობელი საჰაერო თავდასხმებიც, ძირითადად სწორედ ბაღდადისთვის გაიმართება. პარალელურად, ამერიკელი სპეცრაზმელები ეცდებიან, სასწრაფოდ ხელში ჩაიგდონ ნავთობის ჭაბურღილები მანამდე, ვიდრე მათ ერაყელები ააფეთქებენ.

ვინ რითი იბრძოლებს

ამერიკელთა მთავარი დამრტყმელი ძალა ავიამზიდებია. ამჟამად სპარსეთის ყურეში დგას ავიამზიდი CV-64 „კონსტელეიშნი“ (მის გემბანზე განთავსებულია 85 საბრძოლო თვითმფრინავი და შვეულმფრენი). ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში კურსირებს ავიამზიდი „ჰარი ტრუმენი“, ხოლო არაბეთის ზღვის აკვატორიაში — ატომური ავიამზიდი CVN-72, „აბრაამ ლინკოლნი“ (მის გემბანზეა 90 საბრძოლო საფრენი აპარატი). დღე-დღეზე სპარსეთის ყურეში შევა კიდევ ერთი ამერიკული ატომური ავიამზიდი CVN-71 „თეოდორ რუზველტი“ — 90 თვითმფრინავითა და შვეულმფრენით. მომავალი შეიარაღებული კონფლიქტის ზონისკენ იაპონიიდან გაემართება მეხუთე ამერიკული ავიამზიდი — CV-63 „კიტი ჰოკი“ (85 საფრენი აპარატით).

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ხუთივე ამერიკულ ავიამზიდს თან ახლავს საკუთარი დაცვის სახომალდო ჯგუფები, რომელთა შორისაა ორი მრავალდანიშნულების ატომური წყალქვეშა ნავი — „კოლუმბია“ და „პიტსბურგი“, მართვადი სარაკეტო იარაღით აღჭურვილი სამი კრეისერი, ოთხი კორვეტი და 9 სხვადასხვა დანიშნულების სამხედრო ხომალდი, მათ შორის სადესანტო გემებიც. ეს მნიშვნელოვანი ამერიკული საზღვაო დაჯგუფება დღეისათვის ითვლის სულ 21 მცურავ საშუალებას, რომელთაგან 9 შეიარაღებულია საზღვაო ბაზირების 249 ცალი „ტომაჰავკის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტით.

ამერიკულ სამხედრო-საჰაერო დაჯგუფებას კონფლიქტის ზონაში 500-მდე საბრძოლო თვითმფრინავი ჰყავს, მათგან 160 გემბანის, ხოლო 350 — სახმელეთო ბაზირების დამრტყმელი თვითმფრინავია. მათ შორისაა F-14, F/A-18, F-16, F-15, F-117A, AV-8A, A-10A და სხვა ტიპის გამანადგურებელი და მოიერიშე თვითმფრინავები. უფრო სერიოზული საჰაერო დამრტყმელი ძალა 12 B-52H; და 8 B-1B სტრატეგიული ბომბდამშენების სახით დიეგო-გარსიას (ჩაგოსის არქიპელაგი ინდოეთის ოკეანეში) და მარკაზ-თამარიდის (ომანი) სამხედრო-საჰაერო ბაზებშია დისლოცირებული. საჰაერო დაზვერვისა და ადრეული რადიოლოკაციური აღმოჩენის E-3 „ავაქსის“ და E-8 „ჯისტარის“ ტიპის 20 თვითმფრინავი ომანში, საუდის არაბეთსა და თურქეთში (ინჯირლიყში) არიან თავმოყრილნი.

ქუვეითსა და საუდის არაბეთში დგანან ამერიკის სახმელეთო ძალები. მათ შეიარაღებაშია ასობით M1A1 „აბრამსის“ ტიპის ტანკი, ათასობით ჯავშანმანქანა (მათ შორის M2 „ბრედლი“) და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი (ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა MLRS-ების ჩათვლით). შეტევითი ოპერაციების დაწყებისთანავე მათ დაეხმარება სამხედრო-სადესანტო ხომალდებიდან გადმომსხდარი საზღვაო ქვეითთა კორპუსის დანაყოფები და დამრტყმელი შვეულმფრენები AH-64 „აპაჩები“.

რაც შეეხება ერაყელთა ძალებს, მათი ზუსტი რაოდენობის შესახებ ცნობები თვით ამერიკის დაზვერვასაც არ მოეპოვება, მაგრამ 2002 წლის ბოლო მონაცემებით, ერაყის სახმელეთო ჯარების პირად შემადგენლობაში 350 ათასი კაცი უნდა იყოს. მათ შეიარაღებაშია ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტების 6 (იგულისხმება SCUD-B გასაშვები სარაკეტო კომპლექსები), ხოლო ტაქტიკური რაკეტების 50 გასაშვები მობილური დანადგარი. 2.600 ტანკი (მათ შორის 700 T-72); 1.200 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1 და БМП-2; 1.800 ჯავშანტრანსპორტიორი БТР-60 და БТР-70; 400 ჯავშნიანი სადაზვერვო მანქანა; 1.900 ბუქსირებადი ჰაუბიცა (მათ შორის Д-30-ებიც) და ქვემეხი; 200 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი; 200 ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა (მათ შორის БМ-21 Град-ები) და 164 შვეულმფრენი (მათ შორის 62 საბრძოლო Ми-24 ტიპის).

ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალებში დაახლოებით 37 ათასი ადამიანი მსახურობს (აქედან 17 ათასი საჰაერო თავდაცვაშია გამწესებული, რომლებიც საზენიტო საშუალებებს — С-125-ებსა და Шилка-ებს ამზადებენ საბრძოლველად). შეიარაღებაშია 316 საბრძოლო თვითმფრინავი, მათ შორის, 40 МиГ-21, 50 МиГ-23, 17 МиГ-25, 10 МиГ-29, 40 Су-22, 2 Су-24, 50 Mirage F.1.

სამხედრო-საზღვაო ძალებით ერაყელები ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან და საქართველოს სამხედრო ფლოტსაც კი ჩამორჩებიან — 2 ათასამდე ერაყელ მეზღვაურს შეიარაღებაში მხოლოდ ერთი, 205-ე პროექტის სარაკეტო და ერთიც საპატრულო კატარღა აქვს. ანუ ამერიკელებს ზღვაზე სრული უპირატესობა გააჩნიათ და შეუძლიათ თითქმის შეუფერხებლად (დანაღმული სანაპირო ზოლის ფაქტორის გათვალისწინებით) განახორციელონ ზღვიდან დესანტირება.

გამანადგურებელი МиГ-23

გამანადგურებელი МиГ-29

ოპერატიულ-ტაქტიკური კომპლექსი SCUD-B

საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი С-125

ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21 Град-ი

ტანკი T-72

ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1

თვითმავალი საზენიტო დანადგარი ЗСУ-23-4 Шилка



ჰაუბიცა Д-30

ერაყის შეიარაღება

ქართული ვაზიანიდან ერაყულ ბაღდადამდე „სასიკვდილო რეისებს“ ამერიკული ბომბდამშენები შეასრულებენ?!

წელიწადზე მეტია, ლაპარაკობენ, პენტაგონი უსათუოდ გამოიყენებს ქართულ სამხედრო აეროდრომებს ურჩი ერაყის დასაბომბადო.

ყოველ შემთხვევაში, ეტყობა, საქართველოს ხელისუფლებას სწორედ ასე სურს, რასაც ადასტურებს გასულ კვირას ბრიტანული „ბი-ბი-სის“ მოსკოვის ბიუროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია.

მაგრამ ერთია, რა სურს თბილისს და მეორე — რა აძლევს ხელს ვაშინგტონს. „კვირის პალიტრამ“ ამ თემას რამდენიმე სტატია მიუძღვნა.

ოპერაციულ-ტაქტიკური თვალსაზრისით, თბილისიდან (მაგალითად, ვაზიანის სამხედრო აეროდრომიდან) ბაღდადის დაბომბვა სახიფათოა, რადგან ამ შემთხვევაში, ამერიკული თვითმფრინავები ერაყში ჩრდილოეთიდან უნდა შეიჭრნენ და ვიდრე ქვეყნის შუაგულში მდებარე ბაღდადს თავს დაესხმებიან, მოუწევთ ერაყის თითქმის ნახევარ ტერიტორიაზე გადაფრენა. რაც უფრო დიდხანს იმყოფება საფრენი აპარატი მოწინააღმდეგის საჰაერო სივრცეში, მით მეტად იზრდება შესაძლებლობა მისი ჩამოგდებისა.



გარდა ამისა, ვაზიანიდან ბაღდადამდე პირდაპირი ხაზით 900 კმ-მდეა, ეს მანძილი კი, ამერიკული ტაქტიკური დამრტყმელი თვითმფრინავების საბრძოლო მოქმედების რადიუსის მაქსიმუმია. ყველა ამერიკული საბრძოლო თვითმფრინავი ჰაერში საწვავით გაწყობის სისტემითაა აღჭურვილი და საწვავის მიღება საჰაერო ტანკერიდანაც შეუძლიათ, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ პროცედურის ჩატარება მათ ერაყის საჰაერო სივრცეში, თანაც შედარებით დაბალ სიჩქარეზე მოუწევთ და ე.წ. საწვავგამწყობებზე „გამობმულები“ ვერ მოახერხებენ ანტისაზენიტო მანევრის ჩატარებას. ეს კი ერაყს მათი ჩამოგდების შესაძლებლობას მისცემს.

ბაღდადზე დასარტყმელად ამერიკელებმა წითელ ზღვასა და სპარსეთის ყურეში (იხ. გვ. 8) თავი მოუყარეს საბრძოლო თვითმფრინავებსა (მათ შორის გემბანის) და ფრთოსან რაკეტებს.

მაგრამ ვაზიანის, ისევე, როგორც დიდი შირაქის, სამხედრო აეროდრომის მნიშვნელობა გაიზრდება, თუკი პენტაგონი საქართველოს ტერიტორიიდან ერაყის ჩრდილოეთ რაიონში სამხედრო-სატრანსპორტო ოპერაციებს შეასრულებს.

ერაყის ჩრდილოეთში ამჟამად იქმნება სადამ ჰუსეინის მოწინააღმდეგე ადგილობრივი ძალები (მათ შორის ქურთთა შეიარაღებული რაზმები), რასაც ამ რაიონებში რამდენიმე თვით ადრე გადასხმული ამერიკული და ბრიტანული სპეცსამსახურების წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ. ჩვენი ინფორმაციით, უშუალოდ ერაყის ტერიტორიაზე ორი აეროდრომი მზადდება ოპოზიციისთვის საბრძოლო საჭურვლის მისაწოდებლად.

ასეთ შემთხვევაში პენტაგონმა ვაზიანის აეროდრომი შეიძლება გამოიყენოს ერთგვარ შუალედურ რგოლად ევროპის ამერიკული სამხედრო ბაზებიდან ერაყის ჩრდილოეთში პირადი შემადგენლობისა და ტყვიაწამლის გადასასროლად.

მაგრამ ამ შემთხვევაში ერაყი და მუსლიმანური სამყაროს უდიდესი ნაწილი საქართველოს ამერიკელების აქტიურ მოკავშირედ მიიჩნევს, რასაც არც ისე სასიამოვნო შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

თუკი ამერიკელები მაინც დათანხმდებიან პრეზიდენტ შევარდნაძის თხოვნას თუ ხვწნას და საქართველოს რომელიმე აეროდრომს თავისი მიზნებისთვის გამოიყენებენ, მაშინ მათ კეთილი უნდა ინებონ და ჩვენთან, თვითმფრინავების გარდა, მძლავრი და თანამედროვე საზენიტო-სარაკეტო კოპლექსებიც უნდა განათავსონ.

სადამ ჰუსეინს შეიარაღებაში აქვს მობილური სარაკეტო დანადგარები, რომლებითაც 12 წლის წინ მან 23 დარტყმა მიაყენა ისრაელს. ჰუსეინის ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების SCUD-B ტიპის ბალისტიკური რაკეტა, რომელიც 300 კმ-ზე ისვრის, ნამდვილად ვერ მოსწვდება თბილისს (ერაყის ჩრდილოეთი საზღვრიდან საქართველოს სამხრეთ საზღვრამდე 450 კმ-ია), მაგრამ ერაყელთა გაუმჯობესებულ რაკეტას „ალ-ჰუსეინს“ (იგი ჩრდილოეთ კორეისგან იყიდეს) 600 კმ-ზე შეუძლია ფრენა.

რასაკვირველია, თითქმის გამორიცხულია, ჰუსეინმა ბალისტიკური რაკეტები დაუშინოს საქართველოს, მაგრამ თავის დასაზღვევად თადარიგის დაჭერა ცუდი არ იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებს ჯერჯერობით არ დაუწყიათ რომელიმე ქართული სამხედრო აეროდრომის ინფრასტრუქტურის მომზადება ერაყთან ომში გამოსაყენებლად, საჭიროების შემთხვევაში, მათ ამის გაკეთება 48 სთ-შიც შეუძლიათ — აეროდრომზე ჯდება აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სპეციალური სარემონტო ბრიგადა, რომელიც გაპარტახებულ ყოფილ საბჭოთა აეროდრომზე დაამონტაჟებს განათების სისტემას, დააყენებს აეროსანავიგაციო მოწყობილობას და აამოქმედებს მობილურ რადიოლოკატორს. ყოველივე ეს ამერიკელ მფრინავებს საშუალებას მისცემს, დღე-ღამის ნებისმიერ დროს და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებშიც კი იფრინონ.

მაგრამ რჩება კიდევ ერთი საშიშროება ჩვენი მოსახლეობისთვის — ნებისმიერ ინტენსიურად ფუნქციონირებად აეროდრომზე და მის სიახლოვეს ყოველთვის ხდება ავარიები და კატასტროფები, რის მაგალითადაც ის საბჭოთა თვითმფრინავებიც გამოდგება, რომელთა ნაწილები ჯერ კიდევ ყრია ქართულ მიწაზე.

იუგოსლავიის კამპანიის დროს ამერიკელ პილოტებს უჩიოდნენ იტალიელი მეთევზეები — თავზე ბომბები დაგვაყარესო. სიცილიიდან აფრენილი ზოგიერთი ამერიკული ბომბდამშენი ვერ პოულობდა სამიზნეს ყოფილ იუგოსლავიაში და უკან, ბაზაში, სრული საბრძოლო კომპლექტით — რაკეტებითა და ბომბებით ბრუნდებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ აეროდრომზე ბომბებით დაჯდომა აკრძალულია, პილოტები მათ ზღვაში ყრიდნენ, რითაც სიცილიის სანაპიროს გარკვეული ეკოლოგიური საფრთხე შეუქმნეს (ბომბებს, ავარიულ ჩამოყრამდე, „აუფეთქებელ“ რეჟიმზე აყენებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი ჩამოყრა დიდ საფრთხეს უქადდა მეთევზეებს). ამის გამო, ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა, სად დაცლიან თავიანთ „სასიკვდილო ნობათს“ ამერიკელი პილოტები, თუკი ვაზიანის აეროდრომიდან აფრენისას სასწრაფო კატაპულტირება მოუხდებათ?

საერთოდ, ომში ჩართული სხვა ქვეყნისთვის, თუნდაც საუკეთესო მეგობრისთვის, საკუთარი ტერიტორიის დათმობა დიდ დაფიქრებას მოითხოვს და იგი, წესით, საერთო-სახალხო რეფერენდუმით უნდა წყდებოდეს.

ჩრდილოეთ საზღვარს ხევსურეთიც ამაგრებენ

12 თებერვალს ბარისახოში ახალმა სამხედრო დანაყოფმა სამშობლოს ერთგულება შეჰფიცა და საბრძოლო დროშა მიიღო. როდესაც ქართული სამხედრო ნაწილები ერთიმეორის მიყოლებით გადადიან კადრირებული სამხედრო სამსახურის (მაქსიმალურად შემცირებული პირადი შემადგენლობით) რეჟიმზე, ახალი ცალკეული სამხედრო დანაყოფის შექმნა ერთი შეხედვით გაუგებარია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ბარისახო და მთლიანად ხევსურეთი გზაფხულზე კვლავ სტრატეგიული (საქართველოს მასშტაბებით) მნიშვნელობის მიმართულება აღმოჩნდება, ჩრდილოეთი საზღვრის გასამაგრებლად ახალი ზღუდის შექმნა უთუოდ მისასალმებელია. თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის სამთო-მსროლელი რაზმი „ხევსურეთი“ მესაზღვრეთა კომპეტენციაში არ შეიჭრება, იგი, სასაზღვრო საგუშაგოების შემდეგ, ჩრდილოეთი საზღვრიდან მომავალი გარე საფრთხის თავდაცვის მეორე ზღუდედ იქცევა.

ეს შემთხვევით არ კეთდება. გაიხსენეთ სამი წლის წინანდელი მოვლენები: ასას ხეობით ინგუშეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ორმოციოდე შეიარაღებული უცხოტომელის ბლოკირება დაგვიანებით და ისიც ბარისახოში თავდაცვის სამინისტროსა და შინაგანი ჯარების დანაყოფების გადასროლის შემდეგ მოხერხდა. გასაგები მიზეზებით, მაშინ საქვეყნოდ არავის უთქვამს, რა ნერვიულობად დაჯდა ეს. ოპერაციის დამთავრების შემდეგ კი, უსაწვავობის გამო ბარისახოდან სამხედრო დანაყოფების მუდმივი დისლოკაციის ადგილზე დაბრუნება გაჭირდა. რაზმი „ხევსურეთი“ იმავე პრინციპით დაკომპლექტდა, როგორითაც კოდორის ხეობაში მდგარი „მონადირის“ ბატალიონი.

„ხევსურეთში“ ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა მსახურობს, რომელთა უმეტესობას ჯარიც აქვს გამოვლილი და მთასაც, ცხადია, კარგად იცნობს. სხვათა შორის, ფიცის დადებისას ბევრ მათგანს ქუდის მოხდა ცოტა ერიდებოდა — ჭაღარა აშკარად ამხელდა მათ ასაკს.

ისინი რაზმში ხელშეკრულებით ჩაირიცხნენ და, ბუნებრივია, ჩვეულებრივი ჯარისკაცის ანაზღაურებაზე მეტი ანაზღაურება ექნებათ, ალბათ 150 ლარამდე.

მაგრამ აქ მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ნიუანსია, რომელიც ძალზე აქტუალურია საზღვრისპირა რაიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის. ხევსურეთში, ისევე, როგორც სხვა საზღვრისპირა მთიან რაიონებში, მოსახლეობის დასაქმება ძალზე ძნელია. უმეტესობა ბარში, ქალაქში ეძებს მუდმივ სამუშაოს. თუკი თავდაცვის სამინისტრო, ისევე როგორც სასაზღვრო დეპარტამენტი, ადგილზე დასაქმებს მთის მოსახლეობას და მით უმეტეს, ისეთი ვაუკაცური საქმიანობით, როგორიცაა ქვეყნის საზღვრებისა და ტერიტორიების დაცვა, ამით მოგებული დარჩება სახელმწიფოც და მოსახლეობაც.

ოღონდ ერთია — ექსტერიტორიული პრინციპის (ანუ როცა სამხედრო პირი ოჯახიდან მოშორებით მსახურობს) უგულებელყოფა და ადგილობრივი მოსახლეობით სამხედრო ნაწილის დაკომპლექტება მხოლოდ მაშინ გაამართლებს, თუკი ნაწილში საჭირო დისციპლინა იქნება, რადგან ავტომატიანი კაცი შეიძლება კარგი მებრძოლიც დადგეს და „კარგი“ კრიმინალიც. სამწუხაროდ, 10-12 წლის წინ რაიონების დაყოფის პრინციპით შექმნილი ბატალიონების ნაწილმა სახელი გაიფუჭა — დაუნდობელ კრიმინალურ დაჯგუფებებად იქცა.

ცხინვალიდან „გვოზდიკებს“ გვიღერებენ

საქართველოში ეუთო-ს წარმომადგენლებმა ცხინვალიდან 10 კმ-ში, სოფელ გუბედასთან დააფიქსირეს ოსური სამხედრო ნაწილი, რომელიც თავის თავს კონფლიქტის ზონაში ოსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონად ნათლავს.

ამასთან, ქართული მხარე ავრცელებს ინფორმაციას, რომ როკის გვირაბის გავლით, შარშან, წლის ბოლოს, ჯავის რაიონში რუსმა სამხედრო ინსტრუქტორებმა შემოიყვანეს 19 ტანკი, მათ შორის 13 ერთეული T-55 და ექვსიც — T-62 ტიპისა.

უცხოელმა დამკვირვებლებმა კი გუბედასთან ჰაუბიცა „გვოზდიკაც“ აღმოაჩინეს...

ამ „აღმოჩენათა“ ნუსხის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ საკითხავია, ნუთუ კონფლიქტის ზონაში წლობით მომუშავე ეუთო-ს დამკვირვებლები, ისევე როგორც ქართველი დიპლომატები, მხოლოდ დღეს აფიქსირებენ, რომ ცხინვალი შეიარაღებას რუსეთიდან წლების განმავლობაში მუდმივად იღებდა?

იგივე „გვოზდიკები“, უფრო სწორად კი, 122 მმ კალიბრის თვითმავალი საარტილერიო დანადგარები — 2C1 Гвоздика ოსებს არაერთხელ უჩვენებიათ თავიანთ აღლუმებზე ცხინვალში. არც დამატებითი ტანკების გამოჩენაა ახალი ხილი, რადგან ორჯონიკიძის სამხედრო სასწავლებელი სისტემატურად ეხმარებოდა თავის მოძმეებს.

სამშვიდობო ბატალიონს ნამდვილად არ სჭირდება ისეთი მძიმე საბრძოლო ტექნიკა, როგორიცაა ტანკები და, მით უმეტეს, შორსმსროლელი არტილერია.

ეს ყველაფერი უფრო იმაზე მიუთითებს, რომ თვითგამოცხადებული, სეპარატისტული ხელისუფლება რაღაცისთვის ემზადება. არც ისაა გამოსარიცხი, რომ ცხინვალს ეშინია, პანკისის მაგვარი ანტიტერორისტული თუ ანტიკრიმინალური ოპერაცია მის მისადგომებთანაც არ ჩატარდეს და თან ოკუპანისგაღმელი მეგობრების დახმარებით. ასეთ შემთხვევაში არტილერიაზე აქცენტის გაკეთება შემთხვევითი არ არის — „გვოზდიკა“ თავის 122 მმ კალიბრის ფუგასურ ან მსხვრევად-ფუგასურ 22 კგ ჭურვებს 15 კმ-ზე შორს ისვრის.

ეს ფაქტორი, ისევე როგორც აფხაზთა ხელში არსებული ზალპები ცეცხლის რეაქტიული სისტემები БМ-21 Град-ები (ისვრის 21 კმ-მდე) საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატისტული წარმონაქმნების ხელმძღვანელებს საშუალებას აძლევს, შეტაკების განახლების შემთხვევაში, საარტილერიო იერიში მიიტანონ მჭიდროდ დასახლებულ ქართულ სოფლებსა თუ ქალაქებზე.

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

„ომის მეფე“ პოზიციებს არ თმობს

XXI საუკუნის იარაღს უკვე ბაგარა ქვეყნებიც ქმნიან

თუკი ერაყის მოსალოდნელ ომში ამერიკელები პირველი „წერტილოვანი“ საბრძოლო დარტყმების მიყენებას ფრთოსანი რაკეტებითა და მართვადი ბომბებით აპირებენ, შედარებით ღარიბი სამხედრო ბიუჯეტის მქონე ქვეყნების არმიები თავის შეიარაღებაში კვლავ ტრადიციულ იარაღს იყენებენ.

კორეის რესპუბლიკას გაჭირვებული ნამდვილად არ ეთქმის (თავისი ჩრდილოელი კომუნისტი თანამოძმეებისგან განსხვავებით), მაგრამ ძალზე ძვირად ღირებული ულტრათანამედროვე იარაღის ნიმუშების შექმნის ნაცვლად, უფრო ტრადიციულ და ეფექტიან საბრძოლო საშუალებებს სრულყოფს.

ამ დღეებში სამხრეთკორეელმა ინჟინრებმა დაამთავრეს ახალი თვითმავალი საარტილერიო დანადგარის K-9 „ტანდერფაიერის“ საპოლიგონო გამოცდები. „ტანდერფაიერს“ კორეელი სამხედრო ექსპერტები XX საუკუნის იარაღად ნათლავენ. იგი, თავდაპირველად, თავის შეიარაღებაში გერმანიის ბუნდესვერმა მიიღო, ხოლო სამხრეთ კორეა აზიის პირველი ქვეყანაა, სადაც ასევე მოიწონეს ეს თვითმავალი საარტილერიო დანადგარები.

46,3 ტ-იანი „ტანდერფაიერის“ ეკიპაჟი 5-კაციანია, უყენია ათას ცხ.ძ-იანი დიზელის ძრავა, რომელიც მოასფალტებულ გზაზე მაქსიმალური — 67 კმ/სთ სიჩქარის განვითარების საშუალებას იძლევა. საწვავი მარაგი 360 კმ-ზე ჰყოფნის.

„ტანდერფაიერის“ ძირითად შეიარაღებას 155 მმ კალიბრის ქვემეხი წარმოადგენს (კოშკურაზე საჰაერო თავდამსხმელების მოსაგერიებლად დამონტაჟებულია 12,7 მმ კალიბრის საზენიტო ტყვიამფრქვევი), რომლისთვისაც 48 ჭურვია შენახული საბრძოლო კომპლექტში.

რაც ყველაზე საინტერესოა, „ტანდერფაიერის“ ეკიპაჟს ბრძანების მიღებიდან 30 წმ-ში შეუძლია გახსნას ცეცხლი პოზიციაზე დგომისას, ხოლო თუკი მოძრაობს, მის გასაჩერებლად და პირველი დამიზნებითი გასროლისთვის ერთი წუთიც კმარა. სროლის ტემპი წუთში 6-8 გასროლას აღწევს,



სამხრეთკორეული თვითმავალი ჰაუბიცა „ტანდერფაიერი“

ოღონდ პირველი 3 წუთის განმავლობაში, რადგან ლულა მეტისმეტად ცხელდება; თუმცა ამის შემდეგაც შეიძლება უწყვეტი სროლის გაგრძელება, ოღონდ შედარებით ნაკლები ტემპით — 2-3 გასროლა/წთ-ში. სროლის მაქსიმალური სიშორე 40 კმ-ს აღწევს.

თვითმავალი საარტილერიო დანადგარის უპირატესობა, ჩვეულებრივ ბუქსირებად ქვემეხთან და ჰაუბიცასთა შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლია სამიოდ წუთში მოწინააღმდეგის პოზიციისკენ 7 ჭურვის გაგზავნა. შემდეგ სასწრაფოდ ტოვებს საცეცხლე პოზიციას და მოშორებით, ახალ ადგილს ირჩევს სასროლად. მოწინააღმდეგის საარტილერიო დაზვერვა მართალია, ორ-სამ წუთში მოასწრებს რადიოლოკაციური საშუალებებით იმ ტრაექტორიის გამოთვლას საიდანაც მოფრინდნენ ჭურვები, მაგრამ საპასუხო ცეცხლი უკვე ცარიელ ადგილს „მოხვდება“.

„ტანდერფაიერის“ ანალოგი, საკმაოდ თანამედროვე თვითმავალი საარტილერიო დანადგარის 2C19 Мста-С-ის ერთი ეგზემპლარი ქართულ არმიასაც აქვს, რომელიც რუსეთმა ვარდიკო ნადიბაიძის დროს გვისახლოვრა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას დღეს დასამიზნებელი და სროლის გამომთვლელი ელექტრონული მოწყობილობების ნაწილიც უნდა აკლდეს, რომ აღარაფერი ვთქვათ, ჭურვების საჭირო მარაგზე. ეს სამხედრო საიდუმლოება არ არის, ეს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის სირცხვილია, რომ ერთადერთ თანამედროვე თვითმავალ საარტილერიო დანადგარს ვერ უვლის.

რუბრიკა მოამზადა
ირაკლი ალადაშვილმა

ჩოდის გაიტაცეს პირველად მანქანა გაყიდვის მიზნით

ახლანდელი გამტაცებლები უფრო „ჰუმანურები“ არიან?!

არ იქნა და არ აეწყო ახალგაზრდების ცხოვრება. თავისთვის რომ ყოფილიყვნენ, კიდევ არა უშავდა რა. აქ კი, მაყვალას მშობლებთან, ყველა ხელს აფათურებდა ჩასიძებული კაცის საქმეში — ხან მისი სოფლელობა არ მოსწონდათ, ხან დაბალი ხელფასი, ხან კი ის, რომ დიპლომი არ ჰქონდა. რაკი ბინის დაქირავება არ შეეძლო, ერთ მშვენიერ დღეს გელამ თავისი ბარგი-ბარხანა წამოკრიფა და წავიდა. მეულლე კი უყვარდა, მაგრამ გაგდებას ისევ გაცლა ამჯობინა. მერე კი ახალი სიყვარული მოვიდა და ოჯახიც შეიქმნა, თუმცა ღია ცის ქვეშ. მოგვიანებით, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ საწარმომ, სადაც გელა მუშაობდა, ახალდაქორწინებულები ოროთახიანი ბინის ერთ ოთახში შეასახლა, რომლის მეორე ოთახში გაურკვეველი წარსულის მქონე ლოთი და უსაქმური ივან ვორობიოვი ცხოვრობდა... ტრაგედიაც აქედანვე იწყება.

ივან ივანიჩმა ძალზე გაიხარა ახალი მეზობლების გამოჩენით — ახალდაქორწინებულებთან ქართული ტრადიციის თანახმად ხშირი სტუმრიანობა იყო და სახელდახელოდ სუფრებიც იშლებოდა. მაგრამ დამთავრდა თაფლობის თვე და როგორც კი მიხვდა, მუქთა გრიალს ბოლო მოეღოო, პროტესტი გამოთქვა — თქვენ იმიტომ შემოგიხიზნეთ, არაყი და „ზაკუსკა“ არ მომკლებოდა, თორემ ისე როგორ შემოგიშვებდითო. მერე და მერე ცხოვრება უფრო გაუსაძლისი გახდა — ლოთი გვიან ღამით ბრუნდებოდა შინ და სადარბაზოდანვე იწყებდა გელასა და იზას გინებას. მერე ცოლ-ქმრის ოთახის კარს მიადგებოდა და ვიდრე არაყი არ გამოუნელდებოდა, მთელი ძალით აბრახუნებდა. გაწამდა ხალხი. საწარმოში, რომელსაც ბინა ეკუთვნოდა, გელას გამოუცხადეს, თუ უკმაყოფილო ხარ, შეგიძლია ოთახი დაცალოთო (აბა, როგორ, რუსს ხომ არ ანყენინებდნენ).

— წავიყვან ამ შობელძაღლს რაიონში, ჩემებთან შაბათ-კვირას და ხეთქოს რამდენიც უნდა... იქნებ რამდენიმე დღე დაგვასვენოს, — უთხრა ერთ დღეს ცოლს გელამ და რუსთან ერთად ავტოსადგურისკენ აიღო გეზი.

— შვილო, შენ იზასთან ერთად გელოდით და ეს ვინღაა? თუმცა ვინც უნდა იყოს, სტუმარი ღვთისაა და მასპინძლობა გვმართებს, — დაფაცურდა გელას მამა.

საღამოს მეზობლებსაც დაუძახეს. ივანმა კარგად მოილხინა. მართალია, რამდენიმე სასმისის შემდეგ თავი საცივიან თასში ჩარგო, მაგრამ მის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გამოღვიძებულმა ნახა, რომ ქეიფი კვლავაც გრძელდებოდა. გამთენიისას ჯერ ისევ მთვრალმა ღრიალი მორთო, რომ დამაწვინეთ, რატომ არაყიც არ დამიდგით თავთანო.

— წაიყვანე, შვილო, გაატარე, ეგებ სასმელზე მეტად ესიამოვნოს სუფთა ჰაერი. ირგვლივ ისეთი სანახები გვაქვს, არაყი აღარც გაახსენდება. ასე აჯობებს.

— მაგასაც ვცდი, მამა. თუმცა არა მგონია, ამას რამემ უშველოს.

საგზალი გელას უმცროსმა დამ, ნონამ ჩაალაგა სამგზავრო ჩანთაში და ჭიშკრამდე გააცილა ძმა და მისი სტუმარი. ივანი ამღვრეული თვალებით უმზერდა გოგოს. მერე კი, როცა დიდოს ხევის სამოთხეში რამდენიმე ჭიქა არაყი გადახუხა, გელას გამოუცხადა: შენი და ჩვენთან წავიყვანოთ და ღამღამობით შენი და იზას ოთახიდან გამოსულმა ულტრაბგერებმა რომ არ შემაწუხოს, ნონასთან გავერთობი ხოლმე. მისთვისაც მადლი იქნება, იმ ასაკშია, როცა კაცი ყველაზე მეტად უნდათ გოგონებსო.

სისხლი თავში აუვარდა გელას — არაყი აღარ გყოფნის, ახლა დასაც მთხოვ, შე ღორროო და ის ნახევარლიტრიანი გამწარებულმა ისეთი ძალით დაუშვა ივანის თავზე, რომ რუსი იმწამსვე უსულოდ დაენარცხა მიწას. გელას დიდხანს აღარ უფიქრია — გვამი ხევში მოისროლა და საღამოს შინ დაბრუნდა.

— სტუმარი სადაა, შვილო, — მიაგება ჭიშკარში შეფეთებულმა მამამ.

— გზად რუსთავში მიმავალი სატვირთოს მძღოლი ნახა და იმას დაემგზავრა, ამაღამაც რომ თქვენთან დავრჩე, ვაითუ, წუხანდელივით შევრცხვეო და გაგვეცალა.

— ხედავ? შენ კი ამბობდი, არაფერი ეშველებაო. მიხვედრილა კაცი თავის სიგლახეს და ეგაა.

ერთხანს სიწყნარე იყო რაზმაძეების ოროთახიან ბინაში. ახირებული მეზობლის ღრიალი რომ აღარ ესმოდათ, მარტო ეს რად ღირდა. მიუხედავად ამისა, იზას გულმა აღარ მოუთმინა და ნაცნობ-მეგობრებში მაინც მოიკითხა ივანი.

— რას დაეძებ, ისა სჯობია, ჩვენს საქმეს მიხედოთ, — შეუღრინა გელამ. ქალს მოეჩვენა, რომ ქმარი ამ სიტყვების წარმოთქმისას ზედმეტად განერვიულდა, მაგრამ აღარ ჩასძიებია — იმ საზიზღარი ივანის გამოა ამ დღეში, მერე და მერე ალბათ დაწყნარდებაო, — დაიმშვიდა გული.

გელა სულ გადაირია, როცა მილიციიდან მიაკითხეს. ეგონა, ყველაფერი შეიტყვეს და ჩემს დასაჭერად მოვიდნენო. ისინი კი ივან ივანიჩს ეძებდნენ — რუსეთიდან შეტყობინება მივიღეთ, ივანიჩი ცოლ-შვილს გამოჰქცევია და პასუხისგებაში ყოფილა მიცემული ალიმენტის გადაუხდელობისათვის. ასე რომ, გამოჩნდება თუ არა, შეგვატყობინეთო. იზას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— ხომ გეუბნებოდი, მოთმინება სჯობს-მეთქი. გააგდებენ მაგ უპატრონოს თავის რუსეთში და ვიცხოვრებთ წყნარად.

გელას არაფერი უთქვამს. პირიქით, ამ ამბავმა კიდევ უფრო გააღიზიანა. საკუთარ თავს საყვედურობდა — რომ არ ავჩქარებულიყავი, ყველაფერი რიგზე იქნებოდაო, მაგრამ ახლა უკვე გვიანი იყო. ის მკვლელია და დღეს თუ არა, ხვალ ყველაფერი გამოაშკარავდება. ამიტომ, აჯობებს დარჩენილი სიცოცხლე უზრუნველად გაატაროს, მაგრამ ამისთვის ფულია საჭირო, ბევრი ფული. ამ ქვეყანაში კი ბევრ ფულს პატიოსანი შრომით ვერ იშოვი. ერთი გზა რჩება — ძალადობა. ეს მან ერთხელ უკვე შეძლო. მაშასადამე, წილი ნაყარია. ახლა საჭიროა ერთი-ორი თანამზრახველი და ხელის განძრევა საკბილოს საშოვნელად.

ორიოდ დღეში იშოვა „საქმეზე“ წამსვლელი ბიჭები და ერთ გვიან ღამით მამამისის მეზობლად მცხოვრებ შეძლებულ ოჯახს მიადგნენ. იცოდა, ახალდაქვრივებული კაცი მარტო რომ ცხოვრობდა. ღონიერი ოჯახი ჰქონდა, არაფერი აკლდა, მაგრამ უძილობას უჩიოდა და გადაწყვიტა, უაზროდ ღამეების ტეხას, ღამის დარაჯად ვიმუშავებო. ასე რომ, გელას და მის თანამოსაქმეებს სახლი გამოკეტილი უნდა დახვედროდათ, მაგრამ მოულოდნელად, სიბნელეში, ოჯახის პატრონის ვაჟს გადააწყდნენ. ბიჭი რამდენიმე დღით მამასთან ჩამოსულიყო.

— ვინა ხართ, ხალხო, აღარ იტყვით?!

გელამ მაშინვე შეაგება:

— მილიციიდან გამოგვაგზავნეს — მამაშენი პოსტზე არ გამოცხადებულა ამ საღამოს და გაიგეთ, რაშია საქმეო.

— მამას ჩემს დასთან უნდა გაევლო მეზობელ სოფელში და მერე მივიდოდა სამსახურში.

— თუ ასეა, საგანგაშოც არაფერი ყოფილა. წავედით, ბიჭებო, — სიბნელეში უკან დაიხია გელამ და მისიანებიც თან გაიყოლა.

— რა ლუკმა დავკარგეთ, მაგის დედა ვატირე, რაღა დღეს მოუნდა ამ შობელძაღლს მამის მონახულება.

მეორე დღეს რაიონის ცენტრში, ბირჟაზე ერთი დაფეხვილი „ჟიგულის“ მძღოლს ჩაუჯდა. ბავშვობის მეგობრის მონახულებას აპირებდა, იქნებ რაიმე საკბილო შემოგვთავაზოს და ბარემ ჯგუფშიც ავიყვან, მით უმეტეს, რომ თვალი სულ ქურდობაზე უჭირავსო, მაგრამ ვიდრე მის სახლამდე მივიდოდნენ, ისეთმა აზრმა გაუელვა, ოსტაპ ბენდერსაც რომ შეშურდებოდა.

— ჩვენი ძმა, ამ დანგრეული მანქანით რომ დადიხარ, ან თავი არ გეცოდება, ან მგზავრები?

— ახალს თხუთმეტი ათასი მანეთი უნდა. ვინ მომცემს ამდენ ფულს?

— ხუთი ათასად რომ მოგიყვანო?

— მეხუმრები? ხუთი ათასად ნაყიდი ალბათ ამნაირივე ჯაგლაგი იქნება.

— გეუბნები, ახალ მანქანას მოგიყვან, ასე ერთი-ორი თვის ნახმარს. მერე ავტოშემკეთებელი სახელოსნოდან ცნობას აიღებ, რომ შენი ძველი მანქანა გაარემონტე, გადაღებე და იგრიალე რამდენიც გინდა.

— მიგიხვდი, მაგრამ ნაქურდალ მანქანაში ხუთი ათასს ვერ მივცემ. შარია...

— აბა, რამდენს იძლევი?

— სამი ათასზე მეტს ვერ მივცემ. პროფილაქტიკის ცნობაც ხომ ფული დაჯდება.

— აგრე იყოს. მისამართი მითხარი და ხვალ საღამოს შინ დამელოდე.

მეორე დღესვე გავიდნენ ქალაქში მოტაქსავე მანქანების ბირჟებზე გელა და მისი მეგობრები და მალევე დაადგეს თვალი ახალთახალ თეთრ „ჟიგულის“ და სართიჭალაში წაყვანა სთხოვეს.

— თუ ძმა ხარ, აგერ, აქ გადაუხვიე. იქით, მინდორში, ღორების ფერმაა და მამაჩემი მწყემსავს. რაკი აქა ვარ, ვინახულებ, გაუხარდება მოხუცს.

მანქანამ გზიდან გადაუხვია და გატკეპნილ საურმე გზას გაუყვა. სადღაც შორს, სიბნელეში, ერთადერთი ცაცხვის ხე მოჩანდა ფარების შუქზე. იმ ხეზე მიაბეს „ჟიგულის“ საბრალო პატრონი. მეორე დღეს იპოვეს იქაურმა მწყემსებმა კოღო-ბუზისაგან დაკბენილი კაცი, რომელიც ისე მიეკრათ ხეზე, თითებიდან სისხლი სდიოდა.

სამოცდაათიანი წლები იწურებოდა. თუ არ მეშლება, იმ დროისთვის ეს იყო მანქანის პირველი გატაცება გაყიდვის მიზნით.

— იქნებ ვინმეს კიდევ უნდოდეს მანქანა შენს სამეგობროში? ორ დღეში გავუჩენ ახალთახალს... — უთხრა გელამ მანქანის მყიდველს მას შემდეგ, როცა ფული მიითვალა.

— ჩემი სიძე არ იტყოდა უარს. თუ დამიცდით, ნახევარ საათში მოვიტან პასუხს.

იმ დღეს კიდევ ერთი მანქანის შეკვეთა მიიღეს გელამ და მისმა ძმაკაცებმა და დანაპირებიც შეასრულეს — ორ დღეში ახალი მანქანა ჩააბარეს კლიენტს. მერე კი საქმე ისე აეწყო, კვირა არ გავიდოდა, ერთი-ორი მანქანა არ გაეტაცათ. პატრონებს ხეზე აბამდნენ და მივარდნილ ადგილას ტოვებდნენ. მძღოლები ისე დაშინდნენ, ახალგაზრდებს უარს ეუბნებოდნენ მომსახურებაზე.

— ქალი გვჭირდება აუცილებლად, თორემ ახლოს აღარ გვიკარებენ. ერთი პროფესიონალი მძღოლიც უნდა შევიამხანაგოთ, — იმ ღამით ახალთახალი მანქანა მივატოვეთ გზაში. არ იქოქებაო, როგორ დაიქოქებოდა, ავზში ბენზინი არ ყოფილა. მოკლედ, ვახო, იმ კნაჭა ლიას მოიყვან, შენ კი ოთარ, შოფერი ნახე ვინმე, ისეთი, სანდო რომ იყოს...

ბირჟაზე გაპრიალებული „ვოლგა“ და მისი პატრონი კლიენტის მოლოდინში გატრუნულიყვნენ.

მანქანასთან ორნი მივიდნენ, ოთარი და ლია. ქალის ხელჩანთიდან ბავშვის საწოვარას ამოეყო თავი.

— სოფელში გვინდა ასვლა, ბავშვი გვყავს დატოვებული დედამთილთან და ცოტა გვეჩქარება. მე და ჩემი მეუღლე ვართ, თუ წაგვიყვანთ, არ გაწყენინებთ.

— ოცი მანეთი დასჭირდება მაგ საქმეს და არც მე გაწყენინებთ, — გაუღრიჭა მძღოლმა კლიენტებს და გასაღები შეათამაშა.

შინ დაბრუნებულ გელას იზამ ამბავი დაახვედრა: დიდოს ხევში ადამიანის ჩონჩხი უპოვიათ. მილიციიდან იყვნენ — თქვენი მეზობელი ივანისა ხომ არ იქნებაო. შემეშინდა და ვუთხარი, ივანს იქ რა უნდოდა-მეთქი? შენ რომ სოფელში წაიყვანე, მას შემდეგ დაიკარგა. გული ცუდს მიგრძნობს, გელა.

— სად წავიყვანე, ვინ წავიყვანე, არავინაც არ წამიყვანია! იქ თვითონ ჩამოვიდა და იქიდანაც თვითონ დაბრუნდა. თუ ისაა, ეტყობა, თავის მოკვლა ჰქონდა ჩაფიქრებული.

მეორე დღეს დასახლებაში განგაში ატყდა: ოთარის საყვარელი ლია ვიღაც „ვოლგიანს“ გაუტაცია და ქალი რომ არ დანებებია, მანქანაშივე მოუკლავსო. ამ ამბით შეშფოთებულ მეზობლებს ისიც შეემჩნიათ, რომ ივანის დაკარგვის შემდეგ გელა თავის თავს აღარ ჰგავდა — უცნაურად აგრესიული გამხდარიყო. ერთადერთი, ვინც ყველაფერს მიხვდა, იზა იყო. იგი დარწმუნდა, რომ ივანი მისმა ქმარმა მოკლა და არც ის ეეჭვებოდა, რომ ლიას მკვლელობაშიც მისი ხელი ერია. „ვოლგის“ პატრონი დააპატიმრეს. არავინ მოუსმინა მის აღსარებას — ჩემი მანქანით ვტაქსაობდი (ნუ დაგავიწყდებათ, იმ დროს ეს აკრძალული იყო. — ვ. გ.), ოთხნი ჩამისხდნენ და მანქანის წართმევას მიპირებდნენო. ვის რაში სჭირდებოდა ეს ზღაპარი, როცა ყველაფერი „სახეზე“ იყო. თუმცა...

— რაიონში უნდა ჩავიდეთ. უნდა გავიგოთ, რას ფიქრობენ იქაურ მილიციაში. თუ ჩემს დაჭერას აპირებენ, აჯობებს რუსეთში გადავიხვეწო, — გამოუცხადა გელამ ოთარს და იმავე დილით მორეისე ავტობუსს გაჰყვნენ. გადაწყვიტეს, ძველი კლიენტები მოენახათ, გატაცებული პირველი მანქანები რომ მიჰყიდეს. ერთი შინ არ დაუხვდათ, მეორეც სადღაც წასულიყო, მესამეზე კი უთხრეს, ცოტა ხნის წინ აქ იყო, აგერ, იქო და ამ ბოდიალში იქაური მილიციის უბნის ინსპექტორს გადაეყარნენ, რომელსაც ორი პატარა ბიჭი მოსდევდა კვალდაკვალ. გელას დანახვაზე ბიჭებმა ფეხი შეანელეს, მერე თანამგზავრს წამოეწივნენ და აშკარა იყო, რაღაც უთხრეს. შეცბუნებულმა უბნის ინსპექტორმა გელას წამით თვალი თვალში გაუყარა და სასწრაფოდ გასცილდა იქაურობას.

— დიდოს ხევში მკვლელობის ჩამდენი აგერ, ქალაქში დასეირნობს, ორნი არიან და ვერაფერი შევბედე... ბიჭებმა მითხრეს, ეგაა და ახლაც ის ქურთუკი აცვია, ტყეში რომ ეცვა, მკვლელობის დროსო. ბიჭები იმ დღეს დაკარგულ უშობელს ეძებდნენ თურმე...

— ყველას თავი მოუყარე და თხუთმეტ წუთში გათოკილები მომგვარეთ ორივენი...

მოსახვევიდან მანქანამ გამოუხვია თუ არა, გელა მიხვდა, გაყიდული რომ იყო, — მანქანა მილიციის თანამშრომლებით იყო სავსე. იარაღი იშიშვლა და ალყის გარღვევას შეეცადა, მაგრამ პისტოლეტი არ გავარდა. გამწარებული უახლოეს ჭიშკარში შევარდა, ოთარიც უკან მიჰყვა. გელა ფიქრობდა, სახლში ვინმე იქნება და მძევლად ავიყვან, მერე კი რაღაცას მოვიფიქრებო, მაგრამ სახლი ცარიელი დაუხვდა. სიჩქარეში ოთახში მიდგმულ კომოდს წამოედო. კომოდი გადაბრუნდა და ერთ-ერთი უჯრიდან სამკაულები გადმოცვივდა. ახლაღა გაახსენდა, ეს იმ მარტოხელა დარაჯის სახლი იყო, სულ პირველად რომ დაუპირა გაქურდვა, მაგრამ ახლა მას ძვირფასეულობაზე კი არა, სიცოცხლეზე უნდა ეზრუნა. თუმცა ესეც დაგვიანებული აღმოჩნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ის და ოთარი მილიციელებმა ბორკილებით გადააბეს ერთმანეთს. მერე ისიც გაახსენდათ, „ვოლგის“ პატრონი რომ ჩიოდა, ქალი მე არ მომიკლავს, ყაჩაღებმა მოკლესო და ყველა წესის დაცვით ამოცნობა ჩაატარეს. „ვოლგის“ პატრონი არც დაფიქრებულა, ჯერ ერთს დაადო ხელი, მერე მეორეს და როცა „ვოლგიდან“ ამოღებული თითების აქამდე უცნობი ანაბეჭდებიც მათისას დაემთხვა, ამ მკვლელობის ბრალდებაც წაუყენეს.

გელა მომდევნო წლის გაზაფხულზე დახვრიტეს, ოთარს კი თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ ციხიდან ვეღარ გამოაღწია, ათი წლის შემდეგ ტუბერკულოზით გარდაიცვალა ქსნის კოლონიაში (მოქმედი პირების გვარ-სახელები შეცვლილია გარკვეული მოსაზრების გამო).

ყველაფერი ეს ამ ოცდახუთი წლის წინ მოხდა. მას შემდეგ ბევრი ქარბორბალა გადავიტანეთ. ადამიანებს ისევ იტაცებენ, ოღონდ ახლა უფრო ხშირად, ვიდრე ოცი-ოცდახუთი წლის წინ. სამაგიეროდ, მანქანის გამტაცებლები უფრო „ჰუმანურები“ გახდნენ — ხშირად მანქანებს ისე იტაცებენ, პატრონს ძილსაც არ უფრთხობენ. თუმცა არც კაცთმოძულე ყაჩაღები გვაკლია.

ვაჟა გავაშელი

მანქანამ გზიდან გადაუხვია და გატკეპნილ საურმე გზას გაუყვა. სადღაც შორს, სიბნელეში, ერთადერთი ცაცხვის ხე მოჩანდა ფარების შუქზე. იმ ხეზე მიაბეს „ჟიგულის“ საბრალო პატრონი. მეორე დღეს იპოვეს იქაურმა მწყემსებმა კოღო-ბუზისაგან დაკბენილი კაცი, რომელიც ისე მიეკრათ ხეზე, თითებიდან სისხლი სდიოდა.

იმ დღეს კიდევ ერთი მანქანის შეკვეთა მიიღეს გელამ და მისმა ძმაკაცებმა და დანაპირებიც შეასრულეს — ორ დღეში ახალი მანქანა ჩააბარეს კლიენტს. მერე კი საქმე ისე აეწყო, კვირა არ გავიდოდა, ერთი-ორი მანქანა არ გაეტაცათ. პატრონებს ხეზე აბამდნენ და მივარდნილ ადგილას ტოვებდნენ. მძღოლები ისე დაშინდნენ, ახალგაზრდებს უარს ეუბნებოდნენ მომსახურებაზე.

„ამ არჩევნებში გაიმარჯვებს ფული და იარაღი“

ძნელი სათქმელია, რას მიაგნებს პროკურატურა და ვის ჩასაძირად არის გათვლილი ეს ყველაფერი, მაგრამ შეთქმულების, თუ გნებავთ პარტიებში არსებული შეიარაღებული ფორმირებების თემის წინა პლანზე წამოწევა ყველას შეგვახსენებს, რომ წინასაარჩევნოდ უკვე დატრიალდა დენთის სუნი. სხვათა შორის, გასულ კვირას გენერალურ პროკურატურაში „საიდუმლო სერობასთან“ დაკავშირებით ***ელენე თევდორაძეც*** *დაჰკითხეს.*

„ჯონდი ბაღათურიამ და მისმა ბიჭებმა ჩემ თვალწინ ამოიღეს იარაღი“

— არ დაგიმალავთ, რომ პირველ რიგში საჯაიას თვითმკვლელობა გამახსენდა. თუმცა ჩემს ვერსიას ამაგრებდა ჩემი და ბატონი ნუგზარის საუბარი, რომელიც თვითმკვლელობამდე ერთი თვით ადრე შედგა. ვერსიის დონეზე ვთვლიდი, რომ მზადდებოდა შეთქმულება ბატონი ნუგზარის მიმართ, მან ვერ აიტანა ეს ინტრიგები და თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე, რადგან პრეზიდენტს ნუგზარ საჯაიაზე უფრო ერთგული ადამიანი არც მაშინ ჰყოლია კანცელარიაში და მით უმეტეს არ მეგულება დღეს. მაშინ გარკვეული ძალები ცდილობდნენ, პრეზიდენტისთვის ჩაეწვეთებინათ, რომ საჯაია არ იყო მთლად მისი ერთგული. საჯაია ძალიან განიცდიდა ამას. პრეზიდენტს აწვეთებდნენ, რომ თითქოს ბატონი ნუგზარი შეეკრა ჟვანიას და მის გუნდს, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ოქტომბერ-ნოემბრის მოვლენებს საჯაიასაც უკავშირებდნენ. ამ ინტრიგამ იმუშავა და პრეზიდენტიც მასთან ძველებურად აღარ იყო. ამჟამად პრეზიდენტის გვერდით ასეთ ერთგულ ადამიანს ვეღარ ვხედავ. პრეზიდენტის ვადა იწურება. ვერავინ დამარწმუნებს, რომ კანცელარიაში არსებული დღევანდელი გუნდი პრეზიდენტის ერთგული მსახურია და პარალელურად არ ფიქრობს თავის მომავალზე.

წინასაარჩევნო პერიოდებში ყველას ჰყავდა მობილური, ასე ვთქვათ მოჩხუბარი ჯგუფები. ეს ჩემს თავზე ვიწვნიე თბილისში, ვაკის რაიონში არჩევნების დროს. როცა ირინა სარიშვილი და მიშა სააკაშვილი იყრიდნენ კენჭს, მაშინ ჯონდი ბაღათურიამ და მისმა ბიჭებმა ჩემ თვალწინ ამოიღეს იარაღი. შევიდნენ ერთ-ერთ უბანში და გაიტაცეს ყუთი. მე იქვე ვიდექი. ერთმა ჰაერში ისროლა და მეორემ კი იარაღი მე მომიშვირა.

მომავალში ძალაუფლებას ვგულისხმობ. ამჟამად ავთანდილ ჯორბენაძე არის სახელმწიფო მინისტრი, ასევე არის მოქალაქეთა კავშირის პარტიული ლიდერი. ვთვლი, რომ ის საკმაოდ ჭკვიანია და კარგად ხედავს, რომ მას შემდეგ, რაც პარტიის თავმჯდომარე გახდა, „მოქალაქეთა კავშირის“ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება არ შეცვლილა. არჩევნების მომენტში კი შეიძლება რეიტინგი უფრო დაეცეს. ლოგიკურია, რომ საჭიროა ალტერნატიული გზის მოძებნა. ამიტომაც შესაძლოა ერთ-ერთ ალტერნატიულ გზად ჯორბენაძეს მიეჩნია რუსული ვარიანტი. ცნობილია, რომ „ელცინის ვარიანტი“ რუსეთში ძალიან უმტკივნეულოდ ჩატარდა და ისე დამთავრდა, როგორც ელცინს ჰქონდა დაგეგმილი. კიდევ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი. თუკი მართლა სურდათ „ელცინის ვარიანტის“ გათამაშება, ჩემი ვერსიით, მათ ჰქონდათ ერთი ხელისშემშლელი მომენტი. კონსტიტუციის მიხედვით, თუ პრეზიდენტი ვადაზე ადრე წყვეტს მუშაობას, მაშინ ქვეყნის მეორე პირი — პარლამენტის თავმჯდომარე, ვალდებულია, 45 დღეში დანიშნოს არჩევნები. დააკვირდით რა ხდება: პარლამენტში მუდმივად მუსირებს თემა ნინო ბურჯანაძის იმპიჩმენტის შესახებ. ვინ წევს ამ საკითხს? — ხან რჩეულიშვილი, ხან ხაზარაძე. ხელმოწერების შეგროვებაც კი დაიწყეს და შეაჩერეს. შეთქმულების მიხედვით, პარლამენტის თავმჯდომარე უნდა გამხდარიყო რჩეულიშვილი ან ხაზარაძე, ასე რომ, ლოგიკაში ჯდება. აი, ეს ვუთხარი პროკურატურას. მათ აინტერესებდათ, მქონდა თუ არა რაიმე სამხილი. მე უბრალოდ ავუხსენი, რომ ეს იყო ჩემი ვერსია.

— მეორე მხრივ, იმასაც ამბობენ, რომ ყოველივე მოუწყვეს ჯორბენაძეს, როგორც პრეზიდენტის ფავორიტს. ან იქნებ სხვა პოლიტიკური გათვლაა, იქნებ პრეზიდენტის ინტერესებში შედიოდა?

— ვერ გეტყვით. რა ხდება პრეზიდენტის თავში, ყოველთვის გაუთვლელია. თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ შევარდნაძე საოცრად ეჭვიანი და ფრთხილი ადამიანია. თავიდან, როდესაც მქონდა მასთან შეხვედრები და ვაწვდიდი რაღაც ინფორმაციას, არ მალავდა, რომ ჰქონდა რამდენიმე წყარო და მერე აკეთებდა დასკვნას. გარდა ამისა, როგორც უკვე ცნობილია, ჯორბენაძემ პრეზიდენტს წარუდგინა დოკუმენტი, რომელშიც საუბარი იყო სახელმწიფო მინისტრის უფლებამოვალეობების გაფართოებაზე. სახელმწიფო მინისტრი შეწყალებასაც კი თავის თავზე იღებდა. განა ეს დოკუმენტი არ იძლეოდა ეჭვის საფუძველს? როგორ ფიქრობთ, შევარდნაძეს არ გაუჩნდებოდა ეჭვი ჯორბენაძის მიმართ? აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის პრეზიდენტისგან მოდიოდეს ეს ტალღა. ფაქტია, რომ ჯორბენაძის დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში პრეზიდენტი რჩებოდა „ანგლისკაია კარალევასავით“.

— როგორ ფიქრობთ, რითი დამთავრდება შეთქმულებაზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე პროკურატურაში?

— თუ გახსოვთ, პრეზიდენტმა მოითხოვა, რომ ინფორმაცია პირადად მას დაუდონ მაგიდაზე. რას დაუდებს ორი კვირის თავზე პროკურატურა პრეზიდენტს, ჩვენ ვერ გავიგებთ, მაგრამ მოვლენები გვიჩვენებს, რა მოხდება.

— არანაკლებ მნიშვნელოვანია შეიარაღებული ფორმირებების თემა...

— რატომღაც ეს თემა ახლა წამოტივტივდა, თუმცა სხვა დროსაც, წინასაარჩევნო პერიოდებში ყველას ჰყავდა მობილური, ასე ვთქვათ მოჩხუბარი ჯგუფები. ეს ჩემს თავზე ვიწვნიე თბილისში, ვაკის რაიონში არჩევნების დროს. როცა ირინა სარიშვილი და მიშა სააკაშვილი იყრიდნენ კენჭს, მაშინ ჯონდი ბაღათურიამ და მისმა ბიჭებმა ჩემ თვალწინ ამოიღეს იარაღი. შევიდნენ ერთ-ერთ უბანში და გაიტაცეს ყუთი. მე იქვე ვიდექი. ერთმა ჰაერში ისროლა და მეორემ კი იარაღი მე მომიშვირა. ვკითხე, უნდა მესროლოთ-მეთქი?!. ასე რომ, ჩემთვის ამაში ახალი არაფერია. რა ძალები შედის პარტიებში, არ კონტროლდება. აქცენტი კეთდება რაოდენობაზე და არა ხარისხზე. ახლა ამბობენ, რომ „ნაციონალებს“ ჰყავთ შეიარაღებული ჯგუფი. გახსოვთ ალბათ, სააკაშვილს იუსტიციის მინისტრობის დროს ჰყავდა სპეცნაზი და ამას დაუფარავად აცხადებდა. გილიგაშვილთან არ გამირკვევია, დარჩა თუ არა ეს ჯგუფი იუსტიციის სამინისტროში. როგორც ჩანს, არ დარჩა, რადგან ციხეში მომხდარი ბუნტის ჩასაქრობად ბატონმა როლანდმა გამოიძახა შსს-ს გულუას სახელობის დანაყოფი. მაშ სად წავიდნენ ის ბიჭები? ერთ-ერთი ვნახე სააკაშვილის პარტიაში; რაც შეეხება „მოქკავშირს“, მათი შეიარაღება ყველამ საკუთარი თვალით ვიხილეთ. არ ვიცი, ყველა ორგანიზაცია „ომი და მშვიდობის“ წევრია თუ არა. ვინ არიან ეს ბიჭები? ომგამოვლილები, რომლებიც დღესაც არ უარყოფენ, რომ ფორმის შესანარჩუნებლად სულ ვარჯიშობენ.

თვითმმართველობის არჩევნების დროს ბარამიძე რომ არ შეუშვეს „იმელის“ შენობაში, ერთ-ერთმა ასეთმა ბიჭმა იცით რა მითხრა?! „გახსოვთ, ქალბატონო ელენე, ციხეში რომ გეუბნებოდით, მოვა ისეთი არჩევნები, როცა სისხლი დაიღვრება“... ეს ხალხი ვნახე მე მერე ლევან მამალაძესთან. დაიშალა ეს ორგანიზაცია? — არა... ავიღოთ ხაჩიშვილის შექმნილი პარტია „დათვი“. არავითარი პრეტენზია არ მაქვს პარტიის შექმნასთან დაკავშირებით, მაგრამ პარტიის შექმნამდე რომ იმუქრები, არ დავუშვებ ჟვანიასააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლასო — რა უფლებით აცხადებ ამას?! მიაქციეთ ყურადღება, ვინ დგას მის გვერდით, უიარაღოდ არიან? ეს — რაც ვიცით. მაგრამ, როცა სხვა პარტია ამას უყურებს, თავდასაცავად ისიც შექმნის ასეთ დაჯგუფებას, ხომ? ასე რომ, ამ არჩევნებში გაიმარჯვებს ფული და იარაღი. ყველა ცდილობს არასამართლებრივი გზით მოვიდეს ხელისუფლებაში. საბოლოო ჯამში კი დესტაბილიზაციას და არეულობას მივიღებთ.

მარინა მამისაშვილი



ბრიტანეთ პეტროლიუმის ექსკლუზიური
დისტრიბუტორი
შ.პ.ს. აკვიტანიკა სერვისი
გთავაზობთ "ბი პი"-ს ავტოლუბრიკანტების
საპატიოსანი ხარისხის



როცა 18 წლის ბიჭები ომში კვდებიან...

ტირილით მივდევდი ავტობუსს, მაგრამ მე დამიჯერებდა?..

1993 წლის 25 ივნისს აფხაზეთში, კოდორის ხიდთან, კასპელმა ბადრი ბახტაძემ ომში პირველი ტყვია ისროლა. ამ ტყვიით მეგობრები და მთელი სოფელი გადაარჩინა, თვითონ კი საპასუხო ტყვიით იქვე დაიღუპა.

ახლა სახლში, სადაც ბადრი გაიზარდა, ისეთი დარდია ჩამდგარი, ერთხელ რომ შემოვა და ვერასოდეს გააგდებ.

ჯარისკაცები თავად წერენ ისტორიას. ეს ისტორია ბადრიმაც დაწერა, მაგრამ ცოტა მეტი ტკივილით, ვიდრე სხვებმა...

18 წლის ბიჭებით სავსე ავტობუსს ტირილ-ტირილით მისდევდა მისი დედადაქცეული ბიცოლა...

გიული ძალოს მას შემდეგ ცრემლი არ შეშრობია. ახლაც დაწითლებული თვალებით მეხვეწება, — მაპატიე, სულ ასე ვტირი. შვილებს შინ შემოსვლა შევაძულეო...

რით გინდა ანუგეშო? დაწყებით კი ვიწყებ, — ასე ნუ აკეთებთ, ერთი თუ მოკვდა, დანარჩენებმა რა დაუშავეს, ბიჭები შეიცოდეთ, დედის ცრემლი კაცებისთვის ძნელი ასატანიამეთქი, მაგრამ მალევე ვჩუმდები — გონიერი ქალი ჩანს და მე რომ არ ვუთხრა, ამაზე ისედაც ბევრი ექნება ნაფიქრი. ჩემს ნუგეშზე ცოტა ხნით მშვიდდება, მერე ხელს ჩაიქნევს. დგება. სასკოლო რვეულები, ფოტოალბომი და კიდევ რაღაც ფურცლები შემოაქვს. უცებ იწყებს ლაპარაკს: — აი, სულ აქ ჩავაწერინე ჩემი შვილის ამხანაგებს ყველაფერი. აქა კიდევ, ამ ალბომში მისი შეყვარებული მყავს. აბა, ნახე, რა გოგოა... დედა მოუკვდეს, ის რო ცოცხალი მყოლოდა, ცოლს მოიყვანდა და ახლა ხუთი შვილი ეყოლებოდა. აბა, ამათ კი არ ემსგავსებოდა, უცოლშვილოდ რომ დაეხეტებიან, — საყვედურობს დანარჩენ შვილებს...

რვეულებს ვშლი და რაღაცნაირად ბავშვურ-კაცური ხელით ნაწერს ვკითხულობ: „ბადრი ბახტაძეს რომ არ გაესროლა, ყველანი დავიხოცებოდით“... „მათ კოდორის ხიდის აფეთქება უნდოდათ. ეს რომ მომხდარიყო, მთელ სოფელსა და ჯარის ნაწილებს დაიკავებდნენ“... „იმ საღამოს ბადრი არ უნდა წასულიყო ხიდთან სამორიგეოდ, მაგრამ მოვიდა და მითხრა: ბიჭო, წინა ღამესაც შენ იყავი. დღეს ცოდო ხარ, დაისვენე, მე წავალო... რახან ბადრიმ მე შემიცვალა მორიგეობა, ბონდო იდუკაშვილმა მამუკა პეპენაშვილს გაუცვალა“... „ბახტაძეს ყურთან ჰქონდა ტყვია მოხვედრილი, იდუკაშვილს — ყელში, გულში — გელაშვილს“...

მოკლედ, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, როცა 18 წლის ბიჭები ომებში გამოწრთობილი სნაიპერების პირისპირ აღმოჩნდებიან: ბრძოლაში გასვლისთანავე 5 კაციდან 3 დაიღუპა. ერთ-ერთი ბადრი ბახტაძე იყო. სიკვდილის შემდეგ დაღუპულებს ვახტანგ გორგასლის ორდენი მიენიჭათ. ცოდვა იმათ კისერზე იყოს, ვინაც ეს სისხლის ფასი ორდენები დღეს ჩალის ფასი გახადა — როცა 18-20 წლის ბიჭები ომში იღუპებიან, საზოგადოებას უნდა ეყოს სინდისი, ღირსება მიანიჭოს ჯარისკაცის ჯილდოს...



შვილებში ყველაზე თბილი მყავდა. ეს სამნი ჩემს გაჩენილებს არა ჰგვანან, ის ჰგავდა ჩემს გაჩენილსა. ესენი სიყვარულს ვერ გამოხატავენ, ის კიდევ, მოვიდოდა და შემომხვევდა ხელსა... ამათ რო ვეტყოდი, — ბიჭო, ადექით საქმეს მიხედეთ-მეთქი, ის წამოხტებოდა ლოგინიდან, ის მიცოდებდა, ისა... გული მომიკვდებოდა, დაფიქრებულს რომ ვნახავდი ხოლმე. ერთი ხერხი მოვიგონე, ვითომ რაიმეს ვუშველიდი იმის დარდსა: ავდექი და ეს ჩემი ნაბოლარა ზურა იმას „მივუამხანაგე“. ვეტყოდი ხოლმე, შენ და ზურა ციცოსი ხართ, ავთო და გიორგი კიდევ ჩემები-მეთქი.

— ციცო დედა იყო?

— ჰო, დედაა. თბილისში ცხოვრობს. ვერ შეეწყვნენ ეგ და ჩემი მაზლი ერთმანეთს. გაშორდნენ. ბადრი და მისი ძმა ჩვენ მოგვიყვანეს გასაზრდელადა. მე თვითონა ობოლი ვარ, მარტო უფროსი და მყავს. ავიყვანე ეს ობლები და ერთ წლიწადს ვზარდე ჩემს შვილებთან ერთად. ხუთნი მყავდნენ. მერე ფილტვის ინფარქტი დამემართა — ნეტავ, რამ გადამარჩინა, რატო მაშინ არ მოვკვდი?! ჩემმა დედამთილმა ბადრის ძმა დედამისს ჩაუყვანა, ესა კიდევ, ჩემთან დარჩა. 5 წლისა იყო. ჩემ შვილებს რამეს რო აჩუქებდნენ და მაგას არა, მეხი დამეცემოდა ხოლმე. ერთხელაც ჩემმა დამ ჩემებს, სამივეს, თეთრი სარორჩკები ჩამოუტანა. ეს დამრჩა ისე... მოვკვდები, ამასაც თუ არ ვუყიდე-მეთქი. ჩავიცვი და ქარ-თოვაში ჩავედი ქალაქში. თეთრი ველარ ვიშოვე, ცისფერი ამოვუტანე... თვალები გაუნათდა — ასეთი სიხარული იცოდა. ერთხელაც საშარვლე ნაჭერი ვუყიდე ოთხივეს. აუღია ასე, გაუჭრელად და სკოლაში წაუღია ბალღებისთვის საჩვენებლად — ნახეთ, ძალომ რა მომიტანაო... ჩემი ნაბოლარა ბიჭი გეტყვის, ბალღებს როგორ უყვარდათ... თურმე ერთი მაგისი ამხანაგი წყალში ჩავარდნილა. ტირილი დაუწყია, — ბადრი, შენ ხო ჩემი ძმაკაცი ხარ, რატო არ ჩამოდიხარო... ამასაც შეცოდებია და თვითონაც ჩამხტარა იმ სიცივეში... აი, ეგეთი იყო, გულს ამოიღებდა და აჩუქებდა კაცსა, ამეტირებოდა ხოლმე მაგის გულჩვილობაზედა. ახლა სუ სატირლად გამიხადა საქმე.

მერაბ შერმადინი:

— კასპელები ყველა ერთად წაგვიყვანეს ჯარში... თბილისიდან გომბორის ბატალიონში გაგვიშვეს. იქ ერთი თვე ვიყავით. ერთხელაც მეთაური მოვიდა, მთელი ბატალიონი გამოგვიყვანა და გვითხრა, — ბიჭებო, ვისაც უნდა აფხაზეთში იომოს, ერთი ნაბიჯი წინ გადმოდგითო. შეთანხმებული არ ვყოფილვართ, არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ ასე იყო — ყველამ უსიტყვოდ გადადგა ფეხი. მხოლოდ სოხუმში ჩასვლისას შეშინდა ერთი, მაშინვე უკან გამოვუშვით.

ბადრისთვის კოდორის ხიდთან მორიგეობა ომში პირველი გასვლა იყო. იმ ხიდიდან შემოჰქონდათ ტყვია-წამალი და საჭმელი. ხუთნი გავიდნენ. მტრის ნიშნის დანახვისას ბადრის პირველს გაუსვრია, მერე დანარჩენებს; ვინც დაიღუპა, იმათ — ბადრის და კიდევ ორს, ტყვია გაჭედვიათ ავტომატებში... დანარჩენი ორი, სანამ ბიჭები არ მიეშველნენ, ისროდნენ... ხუთივეს სნაიპერების ტყვიები ფეხებზე ჰქონდათ გადატარებული, რომ ვეღარ წამომდგარიყვნენ...

— ბადრის რომ არ ესროლა, გადარჩებოდა?

— არა, გაღმიდან სნაიპერები ისროდნენ და ამათ ხედავდნენ. ბადრი მიხვდებოდა, სიცოცხლის შანსი რომ ცოტა ჰქონდა, მაგრამ ბატალიონის გასაფრთხილებლად ისროლა. მერე ხაშურის ბატალიონი მოვიდა მოსაშველებლად. გომბორის ბატალიონის უფროსი ზაზა დუმბაძე, რომელიც ძალიან კარგი ბიჭი იყო, ბრძოლაში მეორე გასვლის დროს ინფარქტით გარდაიცვალა — დახოცილი ბიჭების ყურებას ვერ გაუძლო... იმ დღეს მე სხვა პოზიციაზე ვიყავი. შტაბში მამუკა ჩიტიშვილი შემხვდა, არც ხმა გამცა და არც შემომხედა. ბიჭებმა მიამბეს მერე ყველაფერი... ბადრის მხოლოდ აეროპორტში დავხედე და ვეღარ ვიცანი... დაღუპულები გომბორის ბატალიონში წამოვასვენეთ. მთელი სოფელი მოვიდა. სამი დღე ხალხი, როგორც ღვიძლ შვილს, ისე ტიროდა...

გიული ძალო:

— მადლობელი ვარ იმ ხალხისა, ჩემი ბიჭი ვინც დაიტირა. გული მიტირის, ის ორი რომ მახსენდება. განა იმათ დედებს არ უგრძნობდათ გული, მათ შვილებს რაც მოელოდათ? მეც ტირილით მივდევდი ავტობუსსა, მაგრამ ვერ დავიტოვე... აბა, მე დამიჯერებდა და ამხანაგებს ჩამორჩებოდა?.. კომისარიატში მითხრეს, — თბილისში წავიყვანთ, კომისიაზე გავიყვანთ და ისევ უკან ჩამოგიყვანთო... ის კიდევა, ჩასულა, ნაცნობი უნახავს და გომბორში წასულა... ეს რომ გავიგე, სახლის უკან გავედი და იქა ვქვითინებდი, არ მინდოდა ცრემლი ქმარ-შვილისათვის დამენახვებინა. ჩემმა ქმარმა — რათა ტირი, აბა, ბიჭი ჯარში არ უნდა წავიდესო?..

მერე ორ კვირაში ამხანაგის ხელით წერილი გამომიგზავნა, შევეხვეწე იმასა, ობოლია, მიმიხედე-მეთქი. მითხრა, — დეიდა, ორ კვირაში ჩამოგიყვანო. ასე მითხრა, თორე, ჩავიდოდი იმ გომბორში, დავუჩოქებდი მეთაურსა და წამოვიყვანდი ჩემ შვილსა — გული ცუდს მიგრძნობდა... ვიჯექი, ვუქსოვდი წინდებს — გომბორში ზაფხულშიც ცივა და შევტიროდი ჩემი დედამთილის სურათს — ნეტაი შენ, რომ მოკვდი-მეთქი. რათ ვტიროდი, რა ვიცი... ავიჩემე, — სამი დღე გამომქონდა ბადრის საბანი გიჟივითა და ვამზეურებდი...

> ცოდვა იმათ კისერზე იყოს, ვინაც სისხლის ფასი ორდენები დღეს ჩალის ფასი გახადა – როცა 18-20 წლის ბიჭები ომში იღუპებიან, საზოგადოებას უნდა ეყოს სინდისი, ღირსება მიანიჭოს ჯარისკაცის ჯილდოს...

იმ დილით სამსახურისთვის გავემზადე. მივედი ჭიშკრის გასაღებად და უკან გამოვბრუნდი... ვიარე ერთი საათი ეზოში. არადა ისეთი მკაცრი მთავარი ექიმი მყავდა, დაგვიანებას არ გვაპატიებდა. ვფიქრობდი, — ნეტა, რა მომდის, ავად ხომ არ ვარ-მეთქი... უეცრად ტელეფონმა დარეკა, სულიკო შინ არისო — ჩემს ქმარზე მკითხეს. არა-მეთქი. კიდევ დარეკეს — სად არიო... აი, მაშინ ვიკივლე, რა ამბავია ჩემს თავს-მეთქი. იმ ზაქრომ მითხრა, თქვენი შვილი დაიღუპაო... იდგნენ თურმე გზაში და მოსვლას ვერ ბედავდნენ, ან კი როგორ გაბედავდნენ, ვეხვეწებოდი, შვილს ნუ წამართმევთ, მომიკლავენ-მეთქი... ეს დანარჩენებიც კინაღამ დამეხოცნენ ამ ამბავზე. ერთს ენა წაერთვა, მეორეს უცბად გასცვივდა თმა. გამოვლენ ხოლმე გარეთ და დგანან გარინდებულები... მე კიდე შევტირი ამ სურათებს, ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ და ასე მგონია ბეჩავსა, შვილს ვაცოცხლებ.

— ღვიძლი დედა თუ მოვიდა დაკრძალვაზე?

— მოვიდა, იჯდა. დედის ცრემლები მადლიაო. ტიროდა, — მე რა დედა ვარო... დადის და დაატარებს თავის ჭირსა.

P.S. რატომ ვტიროდი გიული ძალოსთან ერთად, თვითონაც არ ვიცი... ვერც იმას გეტყვით დანამდვილებით, რატომ მომინდა ამ ამბის სამზეოზე გამოტანა — აფხაზეთში ხომ უამრავი კარგი ბიჭი დაიღუპა და დარდიც ბევრ ქართულ ოჯახშია ჩაბუდებული. იქნებ ამ წერილით კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ დედობა ნიჭი და უფლის მადლია და არა მხოლოდ შვილის შობის უნარი. იქნებ ამ ამბავში სხვა ბევრი ცოდვამადლიანი საკითხიც არის, რაზეც ღირს დაფიქრება, თუკი, რასაკვირველია, ერის გასაჭირი ისევ გვაწუხებს...

ამ ამბის არსი კი ერთია: ჯარისკაცები თავად წერენ თავიანთ ისტორიას და მათი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღს შორის წუთისოფლისა და ქვეყნის ცოდვა-ბრალია ხიდად გადებული...

ეთერ ერაძე

ღია კარის დღე ამერიკულ აკადემიაში

26 თებერვალს, 17 საათზე ამერიკულ აკადემიაში ჩატარდება ღია კარის დღე 2003-2004 სასწავლო წელს მე-9 კლასში სწავლის გაგრძელების მსურველებისა და მათი მშობლებისათვის.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 37ა (ახალი ეკლესიის უკან). დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელ: 22 74 41; 22 78 89

რას გვეტყვი, მამაო?

— სწორია თუ არა, რომ ზოგიერთ ეკლესიაში გარედან შეტანილ სანთლებს არ გვანთებინებენ — აქვე უნდა შეიძინოო...

— ეს აკრძალვა სწორი არ არის. ეკლესიაში შეიძლება დავანთოთ ჩვენივე ხელით ჩამოქნილი სანთელიც — სანთელი არის შესაწირავი ღვთისადმი; მაგრამ როდესაც ეკლესიაში იქვე შეძენილ სანთელს ვანთებთ, ეს არა მარტო შესაწირავია, არამედ მოწყალების გაღებაც არის ტაძრისა და ტაძრის მსახურების მიმართ, რათა მათ იარსებონ. ამ შემთხვევაში უფალსაც სწირავთ და მოწყალებასაც იღებთ.

ამიტომ სჯობს, სანთელი ეკლესიაშივე შეიძინოთ. ეკლესიის მსახურს კი შეუძლია მხოლოდ რჩევა მოგცეთ ამის შესახებ.

— რით აიხსნება, რომ ზოგიერთი მღვდელი უცხოური მანქანებით დაქრის, იესო ქრისტე კი ცხენზეც არა ჯდებოდა და თავმდაბლობის გამო ვირზე იჯდა...

— განა თქვენ არ გინახავთ მღვდელი, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან სულაც ფეხით დადის? დაყუდებული ბერები კი მონასტრებში ცხოვრობენ... მაგრამ ზოგადად, დღევანდელი ცხოვრების ტემპი მოითხოვს, რომ ადამიანი სწრაფად გადაადგილდეს. დრო რაციონალურად გამოიყენოს. ამისთვის საჭიროა მანქანა.

ამიტომ მანქანა, თუნდაც უცხოური (რაც უმეტესწილად, უფრო ხარისხიანს ნიშნავს), შეიძლება სასულიერო პირსაც ჰყავდეს. ისიც ხომ საზოგადოების რიგითი წევრია და გარეგნულად ცხოვრების წესს ისევე ემორჩილება, როგორც ნებისმიერი ადამიანი. მანქანის ყოლა არაფერს ცვლის, მთავარია, სასულიერო პირი ღვთისგან მინიჭებულ მოვალეობებს პირნათლად ასრულებდეს.

— არ მახსოვს ნათლობის სახელი. როგორ მოვიქცე ზიარების დროს? მქვია ნუნუ, წარმოვთქვა ეს სახელი?

— თქვენი სახელი შედგენილ სახელს ჰგავს, ალბათ ნაწარმოებია რომელიმე ეკლესიური სახელისგან — ნინოსგან ან ნანასგან. ზიარების დროს მისი წარმოთქმა სასურველი არ არის. სჯობს, მოძღვარს მიმართოთ და ის შეგირჩევთ რომელიმე საეკლესიო სახელს, რომელთანაც ახლოს ხართ შინაგანი მდგომარეობით ან საკუთარი სახელის ასოთა წყობით. შემდგომში ამ სახელით ეზიარებით.

— ქრისტე ამაღლდა თუ არა ხორციელი ბუნებითაც?

— ქრისტე ხორციელი ბუნებითაც ამაღლდა — ამაშია მთელი დიდება უფლისა — კაცი განეღვრთო. ღმერთმა ადამიანური ბუნება ზეცაში აიტანა, ადამიანი აქცია მარადიულად. ეს არის ამაღლებისა და აღდგომის მთელი საიდუმლო, თორემ თვით ღმერთი ისედაც უკვდავია. ქრისტეს ამაღლება ადამიანური ბუნების ამაღლებაა. წმინდა სამებაში ადამიანური ბუნებაც მოიაზრება.

— ჩემს სოფელში, საჩხერის რაიონის სოფ. მახათაურში არის წმინდა თეოდორეს სახელობის ეკლესია. გთხოვთ გვიპასუხოთ, ვინ იყო წმინდა თეოდორე?

— საქართველოში ყველა ეკლესია, რომელიც თეოდორეს სახელს ატარებს, ბერძენი წმინდანის, თეოდორე ტირონის სახელობისაა. წმინდა თეოდორე რომაელი მხედართმთავარი იყო. იგი ქრისტეს სახელისთვის ეწამა (306 წ).

მის სახელს უკავშირდება ერთი საინტერესო ამბავი: ქვეყნის მმართველმა ქრისტიანობის წასაბილწად კერპებისთვის მსხვერპლად შეწირული ცხოველების სისხლი აპკურა ქალაქის ბაზარში პროდუქტებს. ადგილობრივ მღვდელმთავარს წმინდა თეოდორე გამოეცხადა და უთხრა, გაეფრთხილებინა ქრისტიანები, არ შეეძინათ ბაზრის არც ერთი პროდუქტი, ეჭამათ მხოლოდ დასათესად გამზადებული ხორბალი. მას შემდეგ მოხარშული ხორბალი, ანუ კოლიო წმინდა კერძად ითვლება.

თეოდორე ტირონის ხსენების დღეს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს დიდმარხვის პირველ შაბათს. ამავე დღეს იკურთხება კოლიოც.

— გთხოვთ გვიპასუხოთ, როდის იწყება წელს დიდი მარხვა.

— საეკლესიო მართლმადიდებელი კალენდარი გვიჩვენებს, რომ წელს დიდი მარხვა იწყება 10 მარტს (ახ. სტილით).

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.

მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.

„უკანონოდ მითვისებულ ქონებას წავართმევთ“

მშენებლობა თავისუფლების მოედანზე

თბილისის ახალი საკრებულოს სარევიზიო კომისია დედაქალაქის მილიონობით დოლარის ღირებულების განიავებული ქონების დაბრუნებისთვის იწყებს ომს. ბრძოლა რომ მძიმე იქნება, კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი ოქრუაშვილმა თავიდანვე გაგვიმხილა, — მისივე თქმით, მას პრეზიდენტის გარემოცვასთან მოუწევს შერკინება. ამ წერილში მხოლოდ ერთ ორგანიზაციას, ს/ს „თბილისი სიტის“ შევეხებით:

ირაკლი ოქრუაშვილი: — თბილისის ომის დროს დანგრეული შენობა-ნაგებობების აღსადგენად პრეზიდენტ შევარდნაძის მითითებით შეიქმნა სააქციო საზოგადოება „თბილისი სიტი“. რაკი ის ქონება (შენობები, მიწის ნაკვეთები) მერიის საკუთრება იყო, იგი ავტომატურად გახდა ამ საზოგადოების მეწილე. „თბილისი სიტიში“ 33% მერიას ეკუთვნოდა, 67% კი გადაინაწილეს ცნობილმა პირებმა: ნუგზარ შევარდნაძემ, რესან კონცელიძემ, გივი ახრახაძემ და ა.შ.

— ვინ იყო იმ დროისათვის ქალაქის მერი?

— თუ არ ვცდები, ბადრი შოშიტაიშვილი, მაგრამ ის უფრო პასიური ჩანს ამ საქმეში, სამაგიეროდ, ვიცე-პრემიერი კ. კაპანაძე, როგორც კერძო პირი, „თბილისი სიტის“ მეწილე გახდა.

— კონკრეტულად, რა ქონება ჩაიდო „თბილისი სიტიში“?

— თავისუფლების მოედანზე მშენებარე სასტუმროს მიწის ნაკვეთი, მხატვრის სახლის ტერიტორია, სასტუმრო „თბილისი“. შენობა სასტუმროდან რუსთაველის თეატრამდე, მთაწმინდის პლატო, ფუნიკულიორი და რესტორანი, ზაარბრიუკენისა და ვორონცოვის მოედნები, მარჯანიშვილის ქუჩაზე მშენებარე სახლები, გოთუას ქუჩაზე მშენებარე ექვსსართულიანი სახლის კარკასი.

— რა ღირებულების იყო ეს ქონება?

— ყველაფერი ეს 450 ათას დოლარად(!) შეაფასეს, მაშინ, როდესაც მხოლოდ მერიის წინ მშენებარე სასტუმროს მიწის ნაკვეთი მოგვიანებით მილიონ დოლარად გაიყიდა. მეწილეებმა 67%-ის მისაღებად „თბილისი სიტიში“ 4 მლრდ კუპონი და 37 ათასი დოლარი გაიღეს. ამის შემდეგ კი აფერების წყება იწყება. კერძოდ, ეს თანხა ქრება. „კავკასიის ბანკი“, სადაც ამ ორგანიზაციის ანგარიში იყო გახსნილი, გაკოტრდა (მისი დამფუძნებელი ამირან ქადაგიშვილი გახლდათ და პარალელურად, „სიტის“ მეწილეც). დაიწყო დავა. აღმოჩნდა, რომ მთაწმინდის პლატოს მიმდებარე ტერიტორია და ფუნიკულიორის რესტორანი ერთხელ უკვე იყო შეტანილი მერიის მიერ დაფუძნებულ ერთ-ერთ საწარმოში.

ირაკლი ოქრუაშვილი

მოგვიანებით, „თბილისი სიტი“ ამერიკულ ფირმა „ბობ უოლშისთან“ ერთად ერთობლივ საწარმოებს აფუძნებს. სულ სამი საწარმო შეიქმნა — „თბილისის უძრავი ქონების კომპანია“, სასტუმრო „თბილისი“ და „მთაწმინდის პლატო“. მათზე კი „თბილისი სიტის“ მთელი ქონება გადანაწილდა, მათ შორის, მერიის წილიც, რაც უკანონობა იყო. ასე, აორთქლეს მერია საქმიდან. ამ დროისთვის „სიტის“ ქონება აუდიტორებმა უკვე მილიონებად შეაფასეს(!).

— როგორ გაიყვეს წილები „ბობ უოლშმა“ და „თბილისი სიტიმ“?

— „სიტი“ იღებს 40%-ს, „ბობ უოლში“ — 60-ს. ამის შემდეგ ხდება კიდევ ერთი აფერა — ამერიკული მხარე აცხადებს, სასტუმრო „თბილისში“ ინვესტირებას ვნყვეტ, რაკი ეს ქონება სადავო ყოფილა. (იგულისხმება „მთაწმინდის პლატო“, რომელიც მერიას ერთხელ უკვე ჩადებული ჰქონდა ახალ საწარმოში).

— ვინ დაობდა ამ ქონების გამო?

— კონტროლის პალატა... იუსტიციის სამინისტრომაც გააკეთა დასკვნა, რომ სასტუმრო „თბილისი“ და „მთაწმინდის პლატო“ უკანონოდ გადაეცა ამერიკელებს. მთავრობაზე დაიწყო ზეწოლა, — ამერიკულმა კომპანიამ მთავრობისგან მოითხოვა გარანტია, რომ იგი მომავალში აღარ შეედავებოდა მას და „სიტის“. პრეზიდენტი დათანხმდა და მისი ბრძანებით, მაშინდელმა პრემიერმა გია შერაძემ ამერიკელებთან ხელშეკრულება დადო, რომლის თანახმად აიღო ვალდებულება, რომ სახელმწიფო არასოდეს გახდიდა ამ ქონებას სადავოდ. საგულისხმოა ერთი საინტერესო დეტალიც. როდესაც თბილისის მერი ნიკო ლეკიშვილი გახდა, მან ამ ამბების ამოწევა დაიწყო და გასცა ბრძანება, რომ მერია წამოსულიყო „თბილისი სიტიდან“ და სააქციო საზოგადოებაში თავის დროზე შეტანილი ქონება მერიას დაბრუნებოდა. ხუთი თვის შემდეგ ლეკიშვილმა თავისი განკარგულება გააუქმა. ეტყობა, მან თავის დროზე წილი მოითხოვა, უარი უთხრეს და ამიტომ გამოსცა განკარგულება „თბილისი სიტიდან“ მერიის გამოყვანის თაობაზე. მაგრამ ჩანს, შემდეგ მოილაპარაკეს, ლეკიშვილს არ „აწყენინეს“ და მანაც გააუქმა განკარგულება.

— რა ვითარებაა დღეს?

— ისეთივე. ქონების დასაბრუნებლად ოპტიმალური ვარიანტი იქნება, თუ მერია შეძლებს „თბილისი სიტის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის დათხოვნას (მასში ის პირები არიან, რომლებმაც დაგეგმეს ხიძოხსენებული აფერები და აღნიშნული ობიექტები სახელმწიფოს მოჰპარეს), დანიშნავს ახალ ხალხს, რომლებიც თავის მხრივ დაითხოვენ დირექტორატს. ახალი დირექტორატი კი უსასყიდლოდ დააბრუნებს იმ ქონებას, რაც დარჩენილია „სიტიში“. ასევე, დააბრუნებს იმ სილებს, რაც „სიტის“ ეკუთვნის სასტუმრო „თბილისში“, უძრავი ქონების კომპანიასა და „მთაწმინდის პლატოში“.

— რამდენად შესაძლებელია ეს ქონების დაბრუნება, როდესაც კანონი მესაკუთრის უფლებებს იცავს?

— არსებობს კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მესაკუთრის ცნება. კანონი მხოლოდ კეთილსინდისიერ მესაკუთრეს იცავს. ავიღოთ თავისუფლების მოედანზე მშენებარე სასტუმრო. ამერიკელები იმ შემთხვევაში იქნებოდნენ კეთილსინდისიერი მესაკუთრეები, რომ არ სცოდნოდათ, როგორი შეხლა-შემოხლა იყო ამ მიწის გამო. მათ იცოდნენ, რომ მერიამ უკანონოდ შეიტანა ეს მიწა „სიტიში“.

უახლოეს მომავალში ვაპირებთ სასტუმრო „მეტეხის“ საქმიანობის შესწავლასაც. იქ 85% მერიას ეკუთვნის, მაგრამ ზარალის მეტი მისგან არაფერი უნახავს. ცხადია, „მეტეხიდან“ ამოღებული ფული ვიღაცის ჯიბეში მიდის. ამ პირებზე მალე წარმოვადგენთ მასალებს.

ეს ხალხი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. იმით მაინც უნდა დაისაჯონ, რომ უკანონოდ მითვისებულ ქონებას წავართმევთ. ამ პირების საქმეს პროკურატურას გადავცემთ, თუმცა წინასწარ ვიცით, რა დასკვნებსაც გააკეთებს პროკურატურა, მით უმეტეს, როცა ლაპარაკია პრეზიდენტის ძმისშვილსა და მის გარემოცვაზე. მიუხედავად ამისა, ქონებას მაინც დავიბრუნებთ, არ ვაპირებთ სასამართლოში ორწლიან დავას. ჩვენ პრობლემის მოგვარების უფრო იოლი გზა ავირჩიეთ. „თბილისი სიტის“ სამეთვალყურეო საბჭოში მოსულ ახალ ხალხს შეუძლია ერთი ხელმოწერით დააბრუნოს ქონება.

იზო რიკაძე

AXIS აქსილი

- 2 ოთახიანი 75 მ²
- 3 ოთახიანი 110 და 130 მ²
- 4 ოთახიანი 150-დან 220 მ²-მდე
- დუპლექსის ტიპის ბინები ტერასებით და ბუხრებით
- ჭერის სიმაღლე 3.24მ
- ერთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის და მომსახურე პერსონალის ხელ-ფასს უზრუნველყოფს კომპანია აქსილი.

მშენებარე სახლი თამარაშვილის ქუჩაზე-(იპოდრომთან)

- აქსილი საშუალებას გაძლევთ იცხოვროთ კომფორტულ სახლში თამარაშვილის ქუჩაზე, სადაც თქვენ მყუდროდ და უსაფრთხოდ იგრძნობთ თავს.
- ინფრასტრუქტურა: საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, სილამაზის სალონი, დაცვის, ტექნიკური და სანიტარული მომსახურება, მარკეტი, მიწისქვეშა სადგომი.
- შენობას სამი მხრიდან უსაზღვრება იპოდრომის ტერიტორია. ექნება 1000 კვ.მ. კეთილმოწყობილი ეზო და საბავშვო მოედანი.

არაყიშვილის ქ. №14

ტელ: 25 34 34
91 25 34
91 25 33

e-mail: axis@axisbuilding.com

კომანდოსი მილეგისათვის

საქართველოს ენერგეტიკულ და სატრანსპორტო კომუნიკაციებზე გაუთავებელი საგანგებო შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, აშშ-მა ნავთობსადენის დაცვა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად ცნო. პრაქტიკულად დამთავრებულია სწრაფი რეაგირების ერთობლივი შენაერთის შექმნა სახელწოდებით „სამხრეთკავკასიური ანტიტერორი“, რომელსაც ნავთობსადენის დაცვა დაეკისრება.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დასაცავად დაგეგმილია ამერიკული სარადარო სამეთვალყურეო სისტემის, უპილოტო მზვერავი თვითმფრინავებისა და ანტიტერორისტული ქვედანაყოფების ამოქმედება. ლაპარაკია სუპერთანამედროვე თვითმფრინავზე „გლობალური ქორი“.

აზერბაიჯანი და საქართველო მილგაყვანილობას ცხენოსანთა რაზმითა და შვეულმფრენებით გააკონტროლებენ, მაგრამ თუ მათ „ზემლია-ზემლია“-ს ტიპის რაკეტებით შეიარაღებული ტერორისტები შეუტევენ, ვერაფერს გახდებიან. ამიტომ ნავთობსადენის ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭიროა მილის დამცველებმა იცოდნენ მთელ რეგიონში საერთაშორისო ტერორისტების ზუსტი ადგილსამყოფელი. მილს კი, რომელიც 1740 კმ-ზე გაიჭიმება, დაიცავს გაერთიანებული სპეცრაზმი, რომელსაც საქართველოში ამერიკელი ინსტრუქტორები წვრთნიან, აზერბაიჯანში — თურქები. თურქულ მონაკვეთზე კი თავად თურქები იზრუნებენ.

ტექნიკა და შეიარაღება ნატოს სტანდარტების შესაბამისი იქნება, თანხებს აშშ გაიღებს.

თუ ეს პროექტი განხორციელდება, სამხრეთ კავკასიაში პირველად გაჩნდება ამერიკის ან ნატოს სამხედრო ბაზის მსგავსი ბაზა.

გარდიანი

საქართველო აშშ-ს სამხედრო ბაზებს სთავაზობს

სადამ ჰუსეინთან საბრძოლველად აშშ-ს შავი ზღვისპირეთში ახალი მოკავშირე გამოუჩნდა — საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მზად არის თავის ტერიტორიაზე განალაგოს ამერიკული სამხედრო ბაზები.

პენტაგონის წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ამერიკის საბრძოლო თვითმფრინავებს ვაზიანის სამხედრო აეროდრომი შესთავაზა, ხოლო, როდესაც ერაყთან დაგეგმილი ომი დამთავრდება, შესაძლოა ეს ბაზები დიდი ხნით გადავიდეს აშშ-ის სამხედროების სარგებლობაში. სანაცვლოდ ვაშინგტონს სთხოვს, აიძულოს მოსკოვი, რათა სწრაფად გაიყვანოს საქართველოდან თავისი ჯარისკაცები. ამასობაში პენტაგონში უკვე იხილება საქართველოს აეროდრომის სამხედროსაჰაერო ბაზების სისტემაში ჩართვის საკითხი, საიდანაც შესაძლებელი იქნება ერაყის გარკვეულ სამიზნეებზე შეტევა.

თბილისმა დაარწმუნა ვაშინგტონი, რომ თუ აშშ-ის სამხედროები საქართველოში განლაგდებიან, მათ ადგილობრივი მოსახლეობა გულთბილად მიიღებს, საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები კი სამხედრო ბაზის პერსონალს უსაფრთხოებას ჰპირდებიან.

ბი-ბი-სი

ჩანს კი სინათლე გვირაბის ბოლოს?

რას მოვესწარით! რუსეთს არც ერთ სახელმწიფოსთან არა აქვს ისეთი ცუდი ურთიერთობა, როგორიც საქართველოსთან — ასე აშკარად დაბომბვით არავის დამუქრებია, დსთ-ის არც ერთ სახელმწიფოსთან არ შემოუღია სავიზო რეჟიმი, ტელევიზიითაც არავისთვის უწოდებია „ბანდიტური სახელმწიფო“. ამავე დროს, კარგა ხნით მიყუჩებული, სულთმობრძავი რუსული და ქართული ინტელიგენცია სწორედ ამ დაძაბული ვითარების დროს გამოფხიზლდა და იკითხა: „ორი ქვეყნის საუკუნოვან მეგობრობას რა ვუყოთ?“ ქართველებსა და

რუსებს არ სძულთ ერთმანეთი. გამოდის, რომ პოლიტიკოსები თავის ამომრჩეველთა აზრს არაფრად დაგიდევენ.

აკად. **ალექსანდრ იაკოვლევის** აზრით, როგორც კი ქართველი პოლიტიკოსები ჩეჩნეთის ომს შეახსენებენ რუსებს, მათში მაშინვე ველიკოდერჟავული შოვინიზმი იღვიძებს და გაიძახიან: თქვენ ვინა ხართ, გაჩვენებთ სეირს, დაგბომბავთო!.

პოლიტიკოსი **ვიაჩესლავ ნიკონოვი** რუსულ-ქართულ ურთიერთობას აშშ-ის და კუბის დამოკიდებულებას ადარებს. როგორც არ უნდა აძაგოს ფიდელ კასტრომ ამერიკული იმპერიალიზმი, ამით მხოლოდ კუბელები ზარალდებიან. ამიტომ პოლიტიკის შეცვლა კუბას და საქართველოს მოუწევს და არა ამერიკას და რუსეთს.

გულისტკივილით ლაპარაკობს საგარეო დაზვერვის ყოფილი გენერალი, ამჟამად კი საფინანსო ჯგუფ „რენესანს-კაპიტალის“ გენდირექტორი **იური კობალაძე**: ხშირად, შეიძლება შეუცნობლად, რუსი პოლიტიკოსები შეურაცხყოფენ ქართულ მენტალიტეტს. რუსეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს აწესებს, მაგრამ გამონაკლისს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის უშვებს. ამით მიანიშნებს, მოსკოვისთვის ქართველები მეორეხარისხოვანი მოქალაქეები ხართო. საქართველოს უჭირს. რუსეთმა სულგრძელობა უნდა გამოიჩინოს და არა დაბომბვით, ან გაზის გადაკეტვით დააშინოს.

მეცნიერი **ლეონიდ გრიგორიევი** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოსაგვარებლად პოლიტიკოსებს ცოტა ხნით განზე გადგომას სთავაზობს — ეკონომისტებს დაუთმეთ გზაო...

ისე, რა კარგი იქნებოდა, კიევში შევარდნაძის და პუტინის შეხვედრა თანამედროვე დიპლომატიის ეტიკეტით წარმართულიყო: ესადილათ რომელიმე ქართულ რესტორანში ესაუბრათ იმაზე, რომ რუსული კულტურიდან შეუძლებელია ნოდარ დუმბაძის კეთილი წიგნების, გიორგი დანელიას, ოთარ იოსელიანის, თენგიზ აბულაძის ფილმების ამოძირკვა. კოტე მახარაძის შესანდობარი შეესვათ, მერე კი საცივითა და მწვადებით ნასიამოვნებთ „ქინძმარაულით“ ორი ქვეყნის საუკუნეებით გამოცდილი მეგობრობის სადღეგრძელო ეთქვათ...

ეხო პლანეტი №5

შევარდნაძემ ევროპას ზურგი აქცია

ბრიუსელში გაჩენილმა ბზარმა, რომელმაც სამყარო ორად გახლიჩა — ვაშინგტონის აგრესიული კურსის მომხრეებად და ალტერნატიული, მშვიდობიანი გზის მაძიებლებად — ამიერკავკასიამდეც მიაღწია. საქართველოს ხელისუფლება, რომელიც თავის ქვეყანას ევროპულად თვლის, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ოკეანისგაღმელთა პოლიტიკის დამცველად იქცა. ამის დასტური იყო ის უპრეცედენტო შემთხვევა, რომელიც თბილისში ამას წინათ მოხდა:

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფი საქართველოს დედაქალაქს ეწვია. მაგრამ მათ აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ტრაპიდან ჩამოსულებს არავინ შეხვედრია. ამაოდ ეძებდნენ დეპუტატები ოფიციალურ მასპინძლებს, სამაგიეროდ აეროპორტის ადმინისტრაციას გადაეყარნენ, რომელმაც ვიპ-დარბაზით სარგებლობის ანგარიში წარუდგინა. ქართული „სტუმართმოყვარეობით“ გაოცებულმა სტუმრებმა გამთენიისას ძლივს მიაღწიეს სასტუმროს.

რას ნიშნავს ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, უპატივცემულობა? — ჩინოვნიკების ბედოვლათობას თუ ეს ევროპის წარმომადგენლობისადმი თბილისის დამოკიდებულების გამოხატვის ორიგინალური ხერხია? ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ექსპერტები საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის გასარკვევად ჩავიდნენ, სწორედ მათ მოხსენებაზეა დამოკიდებული, დარჩება თუ არა საქართველო ევროსაბჭოში.

მათი აზრით, ბოლო ორი წლის მანძილზე საქართველოში უხეშად ირღვევა ადამიანის და რელიგიურ უმცირესობათა უფლებები, საარჩევნო კანონი. ქვეყანაში კორუფცია ყვავის, უბრალო ხალხი დაუცველია, პარტიებს შორის არის მტრული დამოკიდებულება, აშკარად იზრდება ძალადობის ტენდენციები. თუ საარჩევნო კანონებში ივნისამდე რეალური პროგრესი არ მოხდა, სექტემბერში საქართველოს ალბათ ევროსაბჭოდან გარიცხავენ.

ამ ბრალდებებს ოფიციალური ხელისუფლება უარყოფს.

ყველა გააოგნა შევარდნაძის განცხადებამ იმის შესახებ, რომ მას, გაეროს ინსპექტორებისგან განსხვავებით, დამატებით ცნობები აქვს ბაღდადში წარმოებული ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის შესახებ, რომ ახლა ერაყი წყალბადის იარაღს ქმნის.

ალბათ სწორედ ამერიკელი პარტნიორებისადმი ორთოდოქსული ერთგულებაა მიზეზი ევროპელი პოლიტიკოსების ასეთი უგულებელყოფისა.

სტრანა.რუ

პანკისში გელაევს ელიან

საქართველომ განაცხადა, რომ რუსლან გელაევი გზაფხულზე კვლავ შეეცდება პანკისის ხეობაში შესვლას. ამიტომ თბილისმა მესაზღვრეების დასახმარებლად შექმნა ხევსურთა ბატალიონი. შევარდნაძის აზრით, ქართველმა და რუსმა მესაზღვრეებმა უნდა ითანამშრომლონ, ჩეჩნებს კი მიანიშნა, ბოევიკებს თუ ნამუსი აქვთ, პანკისის გზა უნდა დაივიწყონო.

საქართველოს სასაზღვრო უწყების შტაბის უფროსის ცნობით, კასპიისკიში დაგეგმილია რუსი და ქართველი მესაზღვრეების პირველი ერთობლივი სწავლება, რომელშიც აზერბაიჯანელი კოლეგებიც მიიღებენ მონაწილეობას. აპრილში კი, ერთობლივი პატრულირების დეტალებს განიხილავენ.

რუსლან გელაევის დაახლოებული პირის ცნობით, გელაევი ახლა ჩეჩნეთშია და სულაც არ აპირებს საქართველოში დაბრუნებას.

ვრემია ნოვოსტეი

„ცისფერჩაფხუტიანთა“ გასაჭირი

აფხაზეთში მდგარი რუსეთის „ცისფერჩაფხუტიანები“ დაბნეულნი არიან. მოსკოვში რუსულ-ქართული მოლაპარაკებისას, თითქოს გადაწყდა სამშვიდობოების მანდატის გაგრძელება, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ისმის.

როგორ განვითარდება მოვლენები აფხაზეთში რუსი სამხედროების გასვლის შემდეგ?

მამუკა არეშიძე, *კავკასიის საკითხების ექსპერტი:* — აფხაზეთში ომი არ დაიწყება, თუ მას მესამე მხარე არ წააქეზებს. საქართველოს ელვისებური ომის ჩატარების ძალა არ შესწევს, ხოლო ხანგრძლივ ომს ჩვენი ეკონომიკა ვერ გაუძლებს. სამხრეთ ოსეთში რუსეთის, საქართველოს და სამხრეთ ოსეთის სამშვიდობოები დგანან და იქ გაცილებით მშვიდი მდგომარეობაა. იგივე უნდა მოხდეს აფხაზეთშიც.

რუსლან ჰაშიგი, *აფხაზეთის პრეზიდენტის პრესმდივანი:* რუსეთის სამხედროების შემცვლელებს ვერ ვხედავთ. თუ რუსეთის სამშვიდობოები მაინც დატოვებენ რესპუბლიკას, მათ ადგილს მაშინვე ჩვენი მესაზღვრეები დაიკავებენ...

ანდრეი ნიკოლაევი, *რფის დუმის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:* აფხაზეთ-საქართველოს შეთანხმების მიხედვით, რეგიონში ამა თუ იმ სახელმწიფოს სამხედრო ძალების ყოფნა ორივე მხარის თანხმობით უნდა მოხდეს. მაგალითად, აზერბაიჯანი მზადაა კონფლიქტის ზონაში თავისი სამხედროები გაგზავნოს, მაგრამ ამისათვის სოხუმის თანხმობაა საჭირო. უკრაინას მხოლოდ გაეროს ეგიდით უნდა მოქმედება. კონსტრუქციულად გამოიყურება სამხრეთ ოსეთის მაგალითი, მაგრამ სოხუმს ქართველი სამხედროების სახელის გაგონებაც არ უნდა.

გაზეტა რუ

რჩევა დამწყები ბიზნესმენისა ან მომავალი პარლამენტარისადმი

ძვირფასო მეგობარო,

თუ თქვენ გსურთ გახდეთ ცნობილი ბიზნესმენი ან კიდევ უარესი – პარლამენტის წევრი, ამთავითვე უნდა შეეგუოთ ერთ აზრს – თქვენ არ იქნებით ის, ვინც ხართ!..

ასე, მაგალითად, ერთ მშვენიერ დღეს პრესის ფურცლებიდან შეიძლება შეიტყოთ, რომ მიუხედავად თქვენი წარმატებული ბიზნესისა, თვითონ თურმე არაფერი გიკეთებიათ, წარმატებული კი მაინც თქვენ გქვიათ.

ანუ შენ კი ხარ წარმატებული, მაგრამ შენ არა ხარ შენ!

სწორედ ასეთ მოვლენაზე იხუმრეს გენიალურად, როცა „დათა თუთაშხიას“ ავტორის ვინაობაში ჭორთუხუცესებმა ეჭვი შეიტანეს – „დათა თუთაშხია“ კია ჭაბუა ამირეჯიბის დაწერილი, მაგრამ თვითონ ჭაბუა ამირეჯიბი არ არის ჭაბუა ამირეჯიბიო...

კიდე უარესი, – სხვისთვის მშვენიერ ერთ საღამოს სულ ადვილი შესაძლებელია, ცისფერი ეკრანიდან გაუწყოთ ყვითელი პრესის რეკლამამ, რომ თურმე საკუთარი შვილების გარდა სხვათა ბაიების მშობელიც ყოფილხარ.

ამ ერთობ სასიამოვნო ინფორმაციის მიუხედავად, თუ ბაიას დედასთან გატარებული სასიამოვნო პროცესი არც გახსენდებათ, მაშინ თქვენ უნდა შეეგუოთ იმ აზრს, რომ თქვენ არ ხართ ის, ვინც ხართ!..

სხვათა შორის, ამგვარ მოვლენაზე ხუმრობს მარკ ტვენი:

მოქალაქე ფ-მ პარლამენტარობა ანუ ცნობილ კაცად გახდომა გადაწყვიტა, – სხვა დანაშაული მას არ ჩაუდენია. ატყდა და რა ატყდა. კონკურენტებმა ერთ გაზეთში – ეგ ის არ არის, ინდოეთში (ინდოეთში ნამყოფი არც იყო) ხალხს რომ მონებივით აწამებდაო?!

მეორე გაზეთმა – ეგ ამა და იმ შესაძლებლობებით არასრულყოფილი, ეგაო.

იგივე გაზეთმა არაიმავე ნომერში – ეგ სექსუალური მანიაკი, ქალწულებს რომ ცხვირსახოცებივით იცვლისო.

ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს კი ამ და სხვა პუბლიკაციებს ბეჭედიც ზედ დაუსართეს – ის იყო ცნობილობის კანდიდატს სიტყვა უნდა წარმოეთქვა, რომ რამდენიმე უპატრონო ბავშვი, ზოგი სირბილით, ზოგი სიარულით, ზოგი ბობღვით, ზოგი მულატი, ზოგი ყვითელკანიანი და ზოგიც თეთრკანიანი გნიასით ფეხზე შემოეხვია – მამი, მამი, დაგვიბრუნდიო...

ჩამოვიდა ტრიბუნიდან გაოგნებული კანდიდატი და უკან აღარც მიბრუნებულა.

დარჩა არაცნობილად და აღარც არავის შეუწუხებია.

ძვირფასო დამწყებო ბიზნესმენო ანთუ მომავალო პარლამენტარო, არჩევანი შენზეა: ან დარჩი შეუმჩნეველი და დადექ ჩრდილში, ან იშრომე და გახდი წარმატებული, მაგრამ იმთავითვე შეეგუე ერთ აზრს – შენ არ იქნები ის, ვინც ხარ!

მაშ, ვინ იქნები?

რა ვიცი, შენი მოშურნენი რას გადაგიწყვეტენ!..

პატივისცემით,

ზაზა ოქუაშვილი

– პარლამენტის წევრი, სამწუხაროდ წარმატებული ბიზნესმენი ამა და ამ წლის ესა და ეს რიცხვი

R

გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

ჭეცარები გერიოლობენ

***

4 წლის ანანო მუკბანიანი ვერ იძინებდა. უცებ აზლუქუნდა და ვიდრე ვინმე შეეკითხებოდა, რატომ ტირიო, დაასწრო პასუხი:

— არ ვტირი, უბრალოდ, ტირილი მაწვება და მჯობნისო.

***

საბავშვო ბაღის მასწავლებელი დიდხანს ესაუბრებოდა ბავშვებს მუსიკალურ ინსტრუმენტებზე. ბოლოს იკითხა, — აბა, ვის რა ინსტრუმენტი გაქვთ შინო?

პატარა ცოტნემ ყველას დაასწრო:

— დრელე, მაგრამ მარტო მამა უკრავს, მასწ!

***

პატარა ხატია არჩვაძე დედიკოსთან ერთად უყურებს ქართულ ფილმს „შერეკილები“.

ისმის ტელეფონის ზარი და ხატია პასუხობს:

— კი, დედიკო შინ არის და „გადარეულებს“ უყურებს.

***

3 წლის ირაკლის მაღალი სიცხე აქვს...

ექიმი მშობლებს არიგებს: — სიცხემ თუ აუწია, სანთლები გაუკეთეთო.

შეშინებულმა ირაკლიმ იკითხა:

— ანთებული? — და ტირილი დაიწყო.

ძვირფასო მშობლებო!

იქმნება თანამედროვე საბავშვო პერსონაჟი ბუთქუნა. თქვენი შვილი შეიძლება ბუთქუნასა და მისი მეგობრების პროტოტიპი აღმოჩნდეს. ასე რომ, „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნეთ ბავშვების ფოტოები, სადაც ისინი დაახლოებით 4 წლისანი არიან და დაელოდეთ ბუთქუს!



III

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ იმ ცხოველს, რომელმაც წითელქუდა და ბებია გადაყლაპა.

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში



ეპოვე 10 განსხვავება

I ანბა, გამოიცანი

1. რა არ შეიძლება იყოს ცრუ?

ა) ფუსფუსი; ბ) ცრემლები; გ) ცნობა; დ) სიმართლე.

2 რომელი უნივერსიტეტია საფრანგეთში?

ა) სორბონის; ბ) ოქსფორდის; გ) კემბრიჯის; დ) ჰარვარდის.

3 ჩამოთვლილთაგან რომელია ცეკვა?

ა) სილუეტი; ბ) მენუეტი; გ) კაპუეტი; დ) კაპულეტი.

4 ვინ უფრო ადრე მეფობდა?

ა) დავით აღმაშენებელი; ბ) ერეკლე II; გ) ვახტანგ გორგასალი; დ) თამარ მეფე.

5. ცნობილი გამონათქვამის თანახმად, როგორ დადის მეტისმეტად ნელა მოსიარულე?

ა) ჭიანჭველას ნაბიჯით; ბ) ლოკოკინას ნაბიჯით; გ) რწყილის ნაბიჯით; დ) კუს ნაბიჯით.

6. რომელია ესპანეთის დედაქალაქი?

ა) მადრიდი; ბ) ბარსელონა; გ) სევილია; დ) ვალენსია.



II რებუსი

მოძებნე ნახატზე 4 ვარსკვლავი და გააფერადე



მიიყვანე გოჭი ჰამბურგერთან



რომელი ნივთები ეკუთვნის ექიმს?

ჯიჯვოჰდი

სამკურნალო საცხი						თუთაშხიას სახელი				„ახალი ცოცხი კარგად ...“				შეძახილი ცხენის გასარეკად				რის წისქვილებს ებრძოდა დონ კიხოტი?					„ობლის ... ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვა“ (ანდ.).					
ხერხემლის ნაწილი						ის, რასაც ახალგაზრდები მისდევენ				ღამურას წინაპარი				ძღვენი									პატარა საზოგადო ბაღი ქალაქში					

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები ივლისის 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მარეკა ხუციშვილმა

ჰეი, მაესტრო!

ამირეჯიბთა საგვარეულო სათავეს შორეულ წარსულში იღებს. ამირეჯიბობა (მსახურთუფროსობა, დარბაზთბატონობა) ქართველ მეფეთა კარზე ერთ-ერთი საპატიო თანამდებობა იყო. სწორედ აქედან წარმოდგება გვარი „ამირეჯიბი“. ქართული ისტორია ამ გვარის ბევრ ღირსეულ ადამიანს იცნობს. საქართველოს სახალხო არტისტი, პიანისტი, პროფესორი **თენგიზ (გიზი) ამირეჯიბიც** ამ დიდებული შტოს ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია.

მამაპაპური ძირები ქარელთან ახლოს მდებარე სოფელ საღოლაშენიდან მოდის. სწორედ აქ, ამ მამულსა და სახლში ბატონი გიზის ბებიამ — ქალბატონმა მაკინე ამირეჯიბი-ავალიშვილისამ დააარსა ერთ-ერთი პირველი მუსიკალურ-ლიტერატურული სალონი. ოჯახში ყველა შესანიშნავად მღეროდა — მამიდები, ბიძები... ამ ოჯახის ერთ-ერთი უძვირფასესი რელიკვია დღეს ლიტერატურის მუზეუმშია დაცული. ეს გახლავთ ავტოგრაფებიანი სუფრა — ყველა საპატიო სტუმარი, ტრადიციულად, ამირეჯიბების სახელგანთქმულ სუფრაზე სამახსოვრო წარწერას ტოვებდა. მხატვარი ნახატს შეასრულებდა, პოეტი ექსპრომტს მიაწერდა. შემდეგ მას ამოქარგავდნენ. ამ ისტორიულ სუფრას ამშვენებს ილიას, აკაკის, არტურ ლაისტის ავტოგრაფებიც.

ბატონი თენგიზის მამას — კონსტანტინე ამირეჯიბს შესანიშნავი ბარიტონი ჰქონდა და დიდებულად ასრულებდა არიებს ცნობილი ოპერებიდან. მას აკომპანემენტს უწევდა მეუღლე, ქალბატონი ნინა, რომელსაც მუსიკალური განათლება ჰქონდა მიღებული. მამა პროფესიით ინჟინერი გახლდათ. ამირეჯიბებს ბოლშევიკებმა ყველაფერი წაართვეს. მთელი ოჯახი საკუთარი, უზარმაზარი სახლის ორ ოთახში შეყარეს — თავადიშვილობა საშიშ და მძიმე ტვირთად იქცა.

— მაშინ 13 წლის ვიყავი, — იხსენებს ბატონი გიზი, — წარმოუდგენელი სიდუხჭირე იყო, უმძიმესი პერიოდი გადავიტანეთ, თუმცა შუქი იყო, მხოლოდ ანთება გვეკრძალებოდა. გვიჭირდა, მაგრამ ისეთი მორალური დამცირება, როგორიც ბოლო წლებში გადავიტანეთ, ომის დროსაც კი არ მახსოვს. არა მგონია, სუბიექტური ვიყო, ძალიან ბევრი იმავეს ამბობს...

აღსავალი

ტრადიციებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ბიჭუნა თავის მომავალს ხელოვნებას დაუკავშირებდა. ეს ერთმა შემთხვევამაც დააჩქარა. თურმე ოჯახი ბორჯომში ისვენებდა. პარკში ორკესტრი უკრავდა. ბიჭუნა უფროსების გვერდით მიაბიჯებდა და ხელებს მუსიკის ტაქტს აყოლებდა — „დირიჟორობდა“. ორკესტრის დირიჟორს ეს არ გამოჰპარვია და... საკუთარი ადგილი დაუთმო! 6-7 წლის ბიჭი, რომელსაც მუსიკაში ჯერ ერთი გაკვეთილიც არ მიეღო, არ შემკრთალა — ქართულ-კახურ, ლირიკულ სიმღერებს გაჩვეულმა ყურმა შესანიშნავი სამსახური გაუწია და საკმაოდ რთულ ამოცანას იოლად გაართვა თავი.

გიზი ამირეჯიბი: — ჩემი „ტალანტით“ მოხიბლულმა დირიჟორმა ჩემს მშობლებს ურჩია — უსათუოდ აჩვენეთ ბავშვი ევგენი მიქელაძესო. როდესაც ბატონ ევგენისთან წარმადგინეს, მან თავის მხრივ გვირჩია, ხემიანს საკრავებს დავუფლებოდი, რათა სადირიჟორო კარიერისთვის წარმატებით გამერთვა თავი. გამაქანეს ნიჭიერთა ათწლედში. ჩავირიცხე ვიოლინოს კლასში, ქალბატონ ქსენია ჯიქიასთან. მე-ვიოლინეები ფორტეპიანოს კურსსაც გავდიოდით. ბედმა გამიღიმა და აღმოვჩნდი პედაგოგ ქალბატონ ანასტასია თულაშვილთან. თქვენ წარმოიდგინეთ, სპეციალობაზე მეტი წარმატებები სწორედ ფორტეპიანოს განხრით მქონდა. მართალია, მშობლები კიდევ კარგა ხანს იმედოვნებდნენ, რომ ჩემგან სახელგანთქმული დირიჟორი დადგებოდა, მაგრამ ჩემი მომავალი საბოლოოდ და სამუდამოდ ფორტეპიანოს დაუკავშირდა.

ამირეჯიბის სკოლა

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული საფორტეპიანო სკოლის დიდი ავტორიტეტი, უპირველესად, ბატონი თენგიზ ამირეჯიბის სახელს უკავშირდება. მის საშემსრულებლო ხელოვნებას კარგად იცნობენ არა მხოლოდ ჩვენში, არამედ უცხოეთშიც. ამირეჯიბის სკოლა უდავოდ მსოფლიო დონისაა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მის კლასში გაიარეს პროფესიული წრთობა საქართველოს სახალხო არტისტმა, პროფესორმა მანანა დოიჯაშვილმა, ელისო ბოლქვაძემ, ალექსანდრე კორსანტიამ, რომლებმაც ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებას მთელ მსოფლიოში გაუთქვეს სახელი. ბატონი თენგიზი ქართული საფორტეპიანო მუსიკის ლეგენდაა, ქართული საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიაში ყველაზე გამორჩეული ფიგურა.

ბატონ თენგიზს არ უყვარს მისი ღვაწლისა და პიროვნების წარმოჩენა, ამიტომაც ჩვენი საუბარი უმეტესად მუსიკალური ავტორიტეტების ირგვლივ წარიმართა:

— რა თვისებებს აფასებთ ხელოვანში?

— ადამიანი, ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც, უნდა იყოს კეთილი და... გულუბრყვილო! ბოლო დროს მოდად იქცა მანერულობა. შემსრულებლები თავის მოვალეობად მიიჩნევენ რაღაც გამოიგონონ, რაღაც „შემატონ“ ნაწარმოებს... ეს იმის ნიშანია, რომ ნიჭი სრულყოფილი არ არის. ყველაზე რთული ხომ სწორედ ის არის, მარტივად და სადად, მაგრამ ღრმად გადმოსცე ურთულესი.

— რა აზრის ბრძანდებით ინტერპრეტაციაზე?

— მუსიკალური ტექსტი ხელშეუხებელია! ის, რასაც ჩვენ ვუკრავთ, გენიოსების დაწერილია. თვით ვირტუოზი შემსრულებლის ჩარევაც კი, უბრალოდ, სასაცილოა. ოსტატობა სწორედ ის არის, ავტორის ჩანაფიქრს ჩავწვდეთ.

— თუ არ ვცდები, უამრავ სახელგანთქმულ პიანისტთან გქონდათ ახლო ურთიერთობა.

— გილესი ყოველთვის მიწვევდა ჟიურის წევრად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დიქტატორი იყო. საბჭოს სხდომებზე, მაგიდის თავში, სტალინივით იჯდა ხოლმე. თბილისში რომ ჩამოვიდა, ოპერაში გამართა კონცერტი. დიდი წარმატება ხვდა წილად. კულისებთან მილოცვის მსურველთა უზარმაზარი რიგი დგას. რიგის თავში ცკ-ის ხალხი ჩამწკრივებულიყო. ვატყობ, დილამდე ვერ მივაღწევ მასთან. უცებ კარი გაიღო, გამოვიდა გილესი და დაიძახა — ამირეჯიბს დამიძახეთო! ცკ-ის წარმომადგენლები გვერდზე გადგნენ და გაოცებულნი გაიძახოდნენ — ნეტავ ვინ არის ეს ამირეჯიბიო?

— რიხტერსაც ხომ არ გაიხსენებდით?

— სვიატოსლავს მოსკოვიდან ვიცნობდი. იქ ვსწავლობდი იგუმნოვთან. რიხტერი თბილისშიც ხშირად ჩამოდიოდა. ერთხელ კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტს ატარებდა, საღამოს რეპეტიცია მქონდა. სწორედ იმ დროს შემოვიდა რიხტერი ინსტრუმენტის სანახავად. ერთმანეთს მივესალმეთ. მკითხა, რომელი როიალი სჯობსო? იდგა ძალიან ძველი „ბეჰშტაინი“ და ახალთახალი „ბლუტნერი“. მე „ბეჰშტაინი“ ვურჩიე. მან ორივე მოსინჯა და „ბლუტნერი“ ამჯობინა. მეორე დღეს კონცერტი კი გაიმართა, მაგრამ საშინელება იყო — ხან კლავიში არ პასუხობდა, ხან სხვა პრობლემა უჩნდებოდა — არაფერი გამოუვიდა. შესვენებაზე მასთან რომ მივედი, მითხრა: „Какой я дурак, как я вам не поверил!“ მეორე განყოფილებისთვის როიალი გამოცვალა და ბრწყინვალედ დაუკრა.

— ბატონო გიზი, ახლა სულ უფრო ხშირად და კატეგორიულად ლაპარაკობენ პიანისტურ პოლუსებზე „ჩვენთან“ და „იქ“–

— მილშტეინი ხშირად აღნიშნავდა, და არა მარტო იგი, ქართველების ნიჭიერებას. ნიჭიერებიც ვართ და, სამწუხაროდ, ზარმაცებიც. ჩვენთან ყოველ ტაქტს საათობით ვუკირკიტებთ და შეიძლება მომდევნო გაკვეთილისთვისაც არ იყოს სრულყოფილი. რუსეთში მიხვალ ერთხელ გაკვეთილზე, გეტყვის პედაგოგი სად, რა, როგორ, მეორედ — საეჭვოცაა და უხერხულიც იმავეს გამეორება. მესამედ უკვე კონცერტზე უკრავ... ამერიკაში თუ ნაწარმოები თავიდან ბოლომდე გაასრულე, ეს დიდ რამეს ნიშნავს! მახსოვს, ნიუ-ორლეანის კონსერვატორიაში მთხოვეს, მომესმინა ერთი ულამაზესი პიანისტი გოგონასთვის. ვიფიქრე, თუ ასევე ლამაზად უკრავს, ბედნიერება იქნება-მეთქი. დაუკრა. საშინელება იყო — ყოველ ტაქტზე ჩერდებოდა. ვიკითხე, როდის უკრავს კონცერტზე-მეთქი და... ოთხი საათის შემდეგო! ჩვენთან ამგვარი რამ წარმოუდგენელია.

— და მაინც, ქართველი ახალგაზრდობა ინტენსიურად მიდის უცხოეთში.

— არც გაემტყუნებათ! ცხოვრება ხომ უნდათ? ის, რასაც ჩვენ ვლებულობთ ხელფასის სახით, უკეთეს შემთხვევაში 4-5 დღის ბიუჯეტს შეადგენს... თუმცა... იცით, მე ბევრგან ვყოფილვარ და მომგებიანი პირობებიც შემოუთავაზებიათ, მაგრამ ყველგან საათებს ვითვლიდი, ერთი სული მქონდა, როდის ჩამოვიდოდი თბილისში. უპირველესად, სამშობლო უნდა გიყვარდეს. უამისოდ განწირული ხარ, როგორც ადამიანი და ხელოვანი! თუ ღმერთი გწამთ, ამას ხმამაღალ ნათქვამად ნუ ჩამითვლით..

ალექსანდრე ბერიძე

კარლ(ი)ო — ქართველების სიძე და მეგობარი



როცა ინტერვიუს ასაღებად **კარლ ლინე

რუბრიკის ავტორები მკითხველები არიან...

სარედაქციო ფოსტას ყოველთვის მოჰყვება მკითხველთა ლექსები. რედაქციაში ხშირად მოდიან ავტორები: 17 ნლის ბიჭი „კვირის პალიტრის" საშუალებით აპირებს გულისნადები გაუმყღავნოს საყვარელ გოგონას; ახალგაზრდა ქალი მოხუცი მამის პოეტურ სტრიქონებს გვანვდის, თქვენს გაზეთში რომ მამას ლექსები დაბეჭდეს, მისთვის ამაზე დიდი საჩუქარი არ მეგულებაო; ერთი ქალბატონი სნეულ მეუღლეს უძღვნის ამღელვებელ სტროფებს... ვის ნოსტალგია მოსძალებია, ვის აფხაზეთის ტკივილი, ვის ყოფნა-არყოფნის საკითხი და ვის უბრალოდ, ლექსის სიყვარული.

ამჯერად მკითხველს მკითხველისვე ჰოეზიას ნარკუდგენთ. ამ ლექსებში იქნება როგორც პოეტური სტრიქონები, ასევე გაურანდავი ნათქვამი, მაგრამ ყველა სიტყვას, ყველა სტროფს ლექსის სიყვარული აერთიანებს...

ამიტომაც მკითხველთა ლექსები სამსჯავროზე როდი გამოგვაქვს, ეს უბრალოდ გულიდან ამოსული სტრიქონებია, ანუ როგორც ჩვენს რუბრიკას ჰქვია, ეს უბრალოდ, ფრაზაა, ჩვენი მკითხველის გულის გასათბობად ნათქვამი ფრაზა...

გიორგი ჩოხელი

•••

მომნატრებია ტიალი,
ჩემი ლურჯაის ფაფარი,
ტყიანი ქედის გადაღმა
მარტოდ შთენილი ჭადარი.
შორით მზირალი კლდეები,
დედაღვთისმშობლის საყდარი,
ჩემი ბაღი და მინდვრები,
სათიბ-სახვეტი-სამკალი...
სუფრა, კაკლის ძირ გაშლილი,
სადღეგრძელოს თქმა თამადის,
ხაჭო-ერბოთი ავსილი
თიხის ქოთნები თავამდის.
...ჩემს დიდ ბებიას ვსაკლისობ,
მარწყვ აღარ მააქვ კალთითა,
გავსილა იქაურობა
ტურა-მელით და ხალთითა...
არსად სთესია სიმინდი,
არც კარტოფილი, ლობიო,
აღარც არავინ მეძახის
– შვილო, შინ მალე მოდიო...
ბევრჯერ, გულს შამამეყრება,
აიშლებიან დარდები,
მამაგონდება ბალღობა,
ბოლთასა ვცემ და ვჯავრდები...
მაგრამ, აბა რას გავაწყობ,
ესე ყოფილა სოფელი,
შვილი აქ უნდა დარჩეს და
მიწას ჩავიდეს მშობელი...

დიდგორობა

მთა ჯანღებს დაუფარია,
დანამულია მინდორი,
უამრავ ხალხით გავსილა
გმირთა სავანე – დიდგორი.
მოუყვანიათ კურატი,
შესაწირავად აღთქმული,
ევედრებიან უფალსა,
შაიწყალეო ტანჯული.
მოიგონებენ გმირებსა,
ვინც რომ აქ სისხლი დაღვარა,
დაადგო უპატრონოდა
ტიალი ცხენი საღარა...
გაიმართება ჯირითი,
ცხენებსა სცდიან რბოლაში,
ეჯიბრებიან ერთურთსა
კარგ ხმალ-ხანჯლის ქონაში.
დაუკრვენ დოლს და გარმონსა,
ჩაღდება ცეკვა ქართული,
ტრიალებს ჯარასავითა
ხალხი, ფერხულში ჩართული...
მთა ჯანღებს დაუფარია,
დანამულია მინდორი,
რა კარგი სანახავია
დიდგორობის დღეს დიდგორი...

შალვა აფციაური

•••

ჩამოეყარა ხეებს ფოთლები,
სადღაც იქითკენ თოვდა,
აქ ერთი ვაჟი ლამაზ ქალიშვილს,
ლამაზ სიყვარულს სთხოვდა.
ზამთარს უთმობდა შემოდგომა
თავის სევდიან დღეებს,
თეთრი ფიქრების კორიანტელი
შემოხვეოდა ხეებს.
სევდა ახლავდა ამ კორიანტელს,
მოძალებული დარდის, ფიქრისა,
თითქოს უნდოდა ეთქვა ამბავი
ერთი პატარა სიყვარულისა.

•••

ვუძღვნი შორენა ფაფიას

თოვდა...
მომყვებოდი გვერდით, სიყვარულო,
შენს უგულობას მე მიმტკიცებდი.
თოვდა,
სიყვარულს გთხოვდი, სანატრელო,
შენ კი ჩემს თხოვნას აღარ ისმენდი.
თოვდა
და მაშინ სხვას ეკუთვნოდი,
მას შენი გული ვეღარ ელეოდა.
თოვდა, ბაგეზე ცრემლად გეღვრებოდი
ვეღარც ჩემი გული გელეოდა.:
ფიფქი ვიყავი, შენს წამწამს შერჩენილი,
ცრემლად ვდნებოდი...
გვერდით მედექი,
შენს სუნთქვას ვგრძნობდი,
მაინც გელოდი...

დავით გაჩეჩილაძე

სოხუმური ბალადა

ამ სიმღერას ომში მღეროდნენ ჩვენი ბიჭები

ჩემი სამშობლო აფხაზეთია,
ძველი კოლხური მიწა.
მე არასოდეს დამავიწყდება
შენი ამრა და რიწა.
მესმის კივილი, ცეცხლის წივილი,
სულის შფოთვა და გმინვა.
ბიჭებს გიკლავენ, ჩემო ქალაქო,
შენი ქუჩების გმირებს.
ალბათ ისევე განმეორდება,
დიდი ბართლომეს ღამე.
ჩემი სამშობლო აფხაზეთია,
ძველი კოლხური მიწა.
მე არასოდეს დამავიწყდება
შენი ამრა და რიწა.
ვიცი, პირს მობანს ნაზი იები,
ჭურვით დაპობილ მიწას.
მოფრინდებიან თეთრი ჩიტები,
ჩამოსხდებიან ნაპირს.
მოცვივდებიან გოგო-ბიჭები,
მზეს აჩუქებენ რიწას.
არ დაიდარდო, ჩემო სამშობლოვ,
შენი დიდების გვჯერა.
ჩემი სამშობლო აფხაზეთია,
ძველი კოლხური მიწა.
მე არასოდეს დამავიწყდება,
შენი ამრა და რიწა.

მე და ის

ერთი გოგო შემიყვარდა, ბავშვი იყო მთლიანად,
თეთრი კაბა უხდებოდა, წითლდებოდა მთლიანად.
თავზე შარავანდი ედგა, კაშკაშებდა მთლიანად...
მერე ჩემი სატრფო იყო, მაგიჟებდა მთლიანად...
როცა ჩემი ცოლი გახდა, სითბო იყო მთლიანად,
ჩემი შვილის დედაც გახდა,
თან ჰყვებოდა მთლიანად...
ახლაც ჩემი მუზა არის, თუმც გათეთრდა
მთლიანად,
ბუხრის პირას მჭადებს აცხობს,
მთვარესა ჰგავს მთლიანად...
მინდა ისევ ბავშვი იყოს,
წითლდებოდეს მთლიანად,
თავზე შარავანდი ედგას, კაშკაშებდეს მთლიანად...

მხატვარი ინგა ბაიაშვილი. „ვედრება" (მასალად გამოყენებულია მინა, ბრინჯი, გიშერი, სხვადასხვა ფერის მძივები, მარგალიტი...)

ლია სვანიძე

ნოსტალგია

ეს რა კაცი გავიცანი,
კაცია თუ ბრძენი ერთი?!
– რად დასტოვე საფიცარი, –
მეკითხება, – მითხარ, ერთი!
კილო სევდანარევია,
სახე მკრთალი, ნაღვლიანი...
თმაში თოვლი გარევია,
კეთილია, ხათრიანი...
ვუპასუხე: – ჩემი რწმენა,
ჩემი ხატი ჩემთან არის!
არსად დამიტოვებია,
სულისთქმაა ჩემი ქნარის!
სიზმარშიაც, ცხადშიც, ყველგან
ჩემი ქვეყნის ფერებია;
მიყვარდა და ისევ მიყვარს,
განა დამიჩემებია?!
სვეტიცხოვლის სხივის დარი
აქეთ არც რა შემხვედრია!
(სიშორე კი, ალბათ, ჩემი
არსებობის წილხვედრია).
მენატრება ჩემი ქვეყნის
აფრენილი არწივები;
თუნდაც, ძველი ქვაფენილი,
ჩემს სახლის წინ დაფენილი,
სოლოლაკის ბილიკები,
ჩუღურეთის აღმართები,
ახალი წლის ჩილიკებით,
მამაპაპურ ადათებით...
ისევ მინდა, მიკაწრავდნენ
სახეს მარტის ქარ-წვიმები;
დე, თბილისში მეწყებოდეს
გაზაფხული, გაცივებით...
კონსტანტინეს ნიჭის დარი,
აქეთ არცრა შემხვედრია;
აქ არც გალაკტიონია
და არც ლურჯი მესხეთია...
ალბათ, ისევ ამშვენებენ
რუსთველს ჩვენი ლამაზები!
პროსპექტს სიზმრად თუ შემორჩა
ტყვიის წვიმა, ამაზრზენი...
სიზმარშიაც, ცხადშიც, ყველგან
ჩემი ქვეყნის ფერებია!
მიყვარდა და ისევ მიყვარს!
განა დამიჩემებია?!

ჰოლანდია

ლევან ლორია

ყოფნა-არყოფნა

რა მინდა, ნეტავ ვიცოდე,
ანდა ვინა ვარ, ნეტავ,
იქნებ ჰამლეტის სული ვარ,
ან დონ კიხოტის სევდა.
იქნება მზე ვარ ჩამქრალი
ან მთვარისა ვარ ლოდი.
იქნებ მწირი ვარ, საწყალი,
ან გულკეთილი ლოთი.
იქნებ ხმელი ვარ, წიფელი,
ან წვიმისა ვარ, წვეთი,
ერეკლეს ხმალი ნაფერი,
ანდა გელათის სვეტი.
იქნება გაზაფხული ვარ,
ზამთრის მიწურულს რომ ჩანს,
ან იქნებ სულაც არა ვარ,
სულაც არ ვარ და მორჩა!..

•••

ამ სოფლის ყველა ვალი
დაე, მე მედოს ვალად,
ოღონდ მომაპყარ თვალი,
ოღონდ ნუ მეტყვი, არა!
არ მინდა არა ვერცხლი,
ოქრო არ მიღირს ჩალად,
ოღონდ დამინთე ცეცხლი,
ოღონდ ნუ მეტყვი, არა!
მზის ბილიკებზე ვივლი,
მთვარეს ვიფარებ ფარად,
ოღონდ გამიხსენ გული,
ოღონდ ნუ მეტყვი, არა!..

პეპელა ჭულუხაძე-დადუნაშვილი

ჩემს მეუღლეს

თითქოს პატარა ჩიორა იყო,
უსუსური და გულით სნეული.
აღარ ფრთხიალებ, შიშმა შეგიპყრო,
სულ გიკანკალებს მთელი სხეული.
არწივი იყავ, ჩიტად იქეცი
და მინდა ისევ არწივი იყო.
მეც დამატეხე ფრთები, საფრენი,
როგორ გიშველო, რა უნდა გიყო.
...და სატკივარი, მეც მტკივა შენი,
მტკივა და თითქოს ძალაც მელევა.
მეც შენთან ერთად ჩიტს დავემსგავსე,
გულს დარდი, სევდა აღარ ელევა.
... ერთს გვევედრები, ჩემო ძვირფასო,
კვლავ ისევ ლაღად იფრინე ცაში,
არწივო ჩემო, შეუდრეკელო,
კვლავ ინავარდე ბარში და მთაში.
გულს ნუ გაიტეხ, ჩემო ძვირფასო,
მაგ შენს სატკივარს ქარი წაიღებს,
რაც გითესია, იმას მოიმკი,
ღმერთი სიკეთეს შენთვის გაიღებს.
შემოგწირავდი ამ ჩემს სიცოცხლეს,
თუ ეს იქნება შენთვის მალამო,
დიდი ცხოვრება, ჩვენს სიყვარულზე
ლექსებად წერე, ჩემო კალამო...

ბონდო ტეფნაძე



•••

ხეებს ფიფქები დაათოვს
და ცალად რომ არ ეწამო,
შენ ჩემთან დარჩი, დაგათბობ,
ნუ გაფრინდები, მერცხალო!
ნახე, რა ნაზად მღერიან
ალაზნის მშვიდი ტალღები,
საფრენი სივრცე ვრცელია,
წახვალ და დამეკარგები!..
იქნებ, ცად ქარმაც დაგახრჩოს,
ვძრწოდე, შენს გზაზე გამყურე,
იქ სითბოს განა არა სჯობს,
ჩემს გულში გაიზაფხულე...
ისე გეფერო, დაგთბუნო...
თუ მაინც წახვალ, დამტოვებ...
ვაი, გრძნეულო ქართულო...
ვაი, საფლავებს წლებიანს,
მამა-პაპათა ძვლებიანს,
ვაი, შენ ჩემო მამულო,
თუ ასე გაგეცლებიან!..

•••

ყველა ქვა კვნესის დაჯახებიდან,
ყველა კარი კვნესს ანჯამებიდან,
ყველა გული კვნესს მოძძის ღალატით,
ყველა ხე კვნესის ნაჯახებიდან!..
ძმათა სისხლისღვრის არის „ნავარდი",
ვით შევძლო გასვლა ამ ჯანღებიდან...
როს აღარ გჯერა სიტყვა თამადის –
მწდევ! ვით დავლიო მაგ ჯამებიდან!?

•••

– რად გარბიხარ?
– მეჩქარება!..
– არ შეიცდი?
– არა!
– მაინც საით?
– სადაც ჩემი
წინაპრები წვანან!..
– ნუთუ დათმობ
ამ მზის ნათელს,
მთვარეს, ღამის მთოვარს?
– ლეშს, სატანის თარგზე ნაკერს
გავიხდი და მოვალ!..

•••

შევძელი და ვძერწე კარგი ლექსი,
შევძელი და არ გავწირე ქალი,
შევძელი და ვასათნოე გესლი,
შევძელი და სიოდ მოვქენ ქარი!..
ხმა წინაპრის: – მაგით სახელს ეძებ...
როცა მამულს დასდის სისხლის ღვარი?
გვითხარ, „გმირო!" გვითხარ ყოვლის შემძლევ –
დარუბანდის ჩამოხსენი კარი!?

რედაქციისგან: გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ ბონდო ტეფნაძის გარდაცვალების შესახებ. „კვირის პალიტრის" მკითხველთა სახელით თანაგრძნობას ვუცხადებთ ბატონი ბონდოს ოჯახსა და ახლობლებს.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝ

17 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲙᲘᲜᲝ ᲐᲚᲘᲥᲘᲜᲐ

07.30 ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔ 09.45 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
10.00 ᲓᲘᲐᲜᲐ. ᲙᲘᲜᲝᲜᲐᲠᲗᲘ 11.45 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
12.00, 15.00, 20.00 ᲐᲮᲐᲚᲘ 12.15 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
13.00 ᲙᲐᲜᲗᲘᲡᲣᲚᲘ 14.05 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
14.30 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
15.45 ᲙᲘᲜᲝᲠᲔᲠᲘᲜᲒᲘ
17.45 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
18.00 ᲙᲘᲜᲝᲠᲔᲠᲘᲜᲒᲘ
18.20 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
19.50 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
20.00 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
21.50 ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ 22.05 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
23.00 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

19.00, 22.00 ᲛᲐᲜᲘᲐ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ 19.10 ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔ 19.40 ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ ᲗᲐᲜᲓᲘᲜᲘᲜᲓᲘᲐᲜᲘ 20.30 ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲜᲘ 21.00 ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ 21.30 ᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ 22.00 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

07.00 ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔ 07.30 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
08.00 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
09.40 ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ ᲗᲐᲜᲓᲘᲜᲘᲜᲓᲘᲐᲜᲘ
10.30 ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲜᲘ 11.00 ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ
11.30 ᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ
12.00 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
13.00 ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

13-დან 19-მდე

ფილმი „მანანა“ კინოთეატრების ეკრანზე რომ გამოჩნდა, მისი მთავარი როლის შემსრულებლის, 12 წლის ნანული სარაჯიშვილის დედას, ქალბატონ ქეთევან აფაქიძეს, ნაცნობ-მეგობრები ერთსა და იმავეს ეკითხებოდნენ, როგორ უძლებ ამ ბავშვსო. არადა „მანანა“ ცხოვრებაში, როგორც დედამისი მეუბნება, საოცრად მშვიდი და მოწესრიგებული ბავშვი ყოფილა. მას შემდეგ ჩვენი გმირის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ქალბატონ ქეთევანთან ჩვენი სტუმრობის მიზანი ის გახლდათ, რომ ნანული სარაჯიშვილის მოზარდობის წლებზე გვესაუბრა.

— ჩემს შვილს მსახიობობაზე არასოდეს უოცნებია

— ქალბატონო ქეთევან, მახსოვს „მანანა“ რომ ვნახეთ, დედაჩემმა თქვა, — ეს რომ ჩემი შვილი იყოს, სახლში არ გავაჩერებდიო.

— რას ამბობთ, ნანული და მანანა ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. ფილმის ნახვის შემდეგ მეც სახტად დავრჩი, ეს ჩემი გოგონაა-მეთქი? არ მახსოვს ნანულის გამო სკოლაში მასწავლებელს დავებარებინე; ვერ ვიტყვი, ფრიადოსანი იყო და სწავლის გამო თავს იკლავდა-მეთქი, მაგრამ მის გარეშე სკოლაში არანაირი ღონისძიება არ ტარდებოდა, შემოქმედებითი საღამოების სულისჩამდგმელიც იყო და სპორტულ შეჯიბრებებშიც (არ გაგიკვირდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ტანადობით არ გამოირჩეოდა, კალათბურთზე დადიოდა და წარმატებებიც ჰქონდა) იღებდა მონაწილეობას.

ნანული 51-ე სკოლაში სწავლობდა. მაშინ სკოლები ხშირად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ უკეთეს ღონისძიებას ჩაატარებდა. 51-ე სკოლა თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ხშირად გამიგონია მშობლების ნათქვამი, მაგათ რა დაამარცხებთ, ნანული ჰყავთ, სარაჯიშვილიო. როგორც ყველა დედას, მეც მიხაროდა ჩემი შვილის წარმატებები და ამით ვამაყობდი.

— როგორც ჩანს, ბავშვობიდანვე გამოიკვეთა, რომ ნანული სარაჯიშვილი მსახიობი უნდა გამოსულიყო.

— არა. ჩემი შვილისგან არასოდეს გამიგონია, მსახიობობა მინდაო. უბრალოდ, ბატონი რეზო ჩხეიძე ჩემს უფროს ქალიშვილს ლიას იცნობდა. მანანას როლის შემსრულებელს რომ ეძებდნენ, როგორც ჩანს, რეჟისორმა თავის ასისტენტებს ლიაზე მიუთითა, ისინიც სახლში გვეწვივნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ლია ასაკით როლისთვის შეუფერებელი იყო. სტუმრებმა ნანულის დაადგეს თვალი. გასინჯვაზე მე არ წავყევი, მომერიდა, სამაგიეროდ, შვილი ნათესავ ქალს გავაყოლე. აღმოჩნდა, რომ გასინჯვაზე ნანულის რამდენი არ ეხვეწნენ ლექსი მაინც გვითხარიო, ხმა არ ამოუღია, მაინც არ მოეშვნენ და ისევ დაიბარეს. მერე რა დაემართა, არ ვიცი. თურმე იმდენი უცეკვია, გარშემმყოფნი გაოცებულნი მდგარან, ეს ის გოგოა, ამას წინათ ხმა რომ არ გაგვცაო? ერთი სიტყვით, გოგონა როლზე დაამტკიცეს და ბათუმში გადაღებებიც დაიწყო.

ნანული ყოველთვის მასწავლებლობაზე ოცნებობდა. ეზოს ბავშვებს დარაზმავდა, გარშემო შემოიკრებდა და კარგი დედმამიშვილიყავი და „გაკვეთილი არ ჩაგებარებინა“. „მანანას“ გადაღებები რომ დამთავრდა, გადამღებმა ჯგუფმა ბანკეტი მოაწყო. მაშინ ნანულისთვის უკითხავთ, რა უნდა გამოხვიდეო, — მასწავლებელიო! — უპასუხია. ატეხილა ერთი ამბავი, შენგან კარგი მსახიობი დადგება, შენ კი თურმე რაზე ოცნებობო. სკოლა რომ დაამთავრა, სიტყვაც არ დასცდენია, თეატრალურში უნდა ჩავაბაროო. მერე სესილია თაყაიშვილი შეუჩნდა და მასწავლებლობა გადაატეხინა. ასე გახდა ნანული მსახიობი.

— ფილმში გადაღებამ ალბათ თავდავიჯერებულობა შესძინა.

— ეამაყებოდა კინოთეატრში ან ტელევიზორში რომ გამოჩნდებოდა, მაგრამ ამას არ გაუყოყოჩებია. ერთ ჩვეულებრივ, არავისგან გამორჩეულ გოგონად დარჩა.

— მშობლები მაინც თუ ათამამებდით, ხუმრობა ხომ არ იყო, პატარა მსახიობი გყავდათ ოჯახში.

— ჩემს გოგონებთან ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა მქონდა. არც ერთმანეთისგან განმისხვავებია. მამა მკაცრი ჰყავდათ, ტრადიციების ერთგული. ხშირად შვილებს ზომაზე მეტად მკაცრად ექცეოდა. ერთხელ თავისი მეგობრის სახლში (მის შვილთან ნანული მეგობრობდა) ნანულის სურათი ნახა. საშინლად გაეცეცხლდა. ჩემი გოგოს სურათს ბიჭის ოჯახში რა უნდაო. ხშირად გოგოებს თუ არ უწყრებოდა, შვილების გამო რისხვა მე მატყდებოდა.

— ქალიშვილს პირველი სიყვარული რომ ეწვია, როგორ შეიტყვეთ?

— სამწუხაროდ, ასეთი რამ არ მახსენდება, ეტყობა, მაშინ ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. ერთ ისტორიას კი გავიხსენებ: მე-8 თუ მე-9 კლასში იყო, შინ ატირებული მოვიდა. გულზე შემომენთო, კარგა ხანს ვეხვეწებოდი, მითხარი, რა მოგივიდა-მეთქი. ბოლოს ამოთქვა, ერთი ბიჭი სკოლის ეზოშია სულ ატუზული, კლასელები დამცინიან, შეყვარებულია და შენი გულისთვის დგასო. მერედა, შენ რა გატირებს-მეთქი — სიცილი ამივარდა, — იქ დგომა თუ უნდა, იდგესო, — მიპასუხა და თავადაც გულიანად გაიცინა.

ნანული სარაჯიშვილი სკოლაში გატარებულ წლებზე დიდი სითბოთი მიყვება და არ ავიწყდება, ის და მისი მეგობრები ყოველ დილით ბაფთებით თმადამშვენებულები რომ მიდიოდნენ. „არაჩვეულებრივი დირექტორი გვყავდა, ქეთო ჩიჩუა. აბა, გაგებდა და ფორმის გარეშე დაენახე, კლასში არ შეგიშვებდა. ჩემი თაობის სკოლა განსაკუთრებული იყო. ჩემი თაობის მოზარდებიც სხვანაირები ვიყავით. დღეს ახალგაზრდობა მეტად განათლებული და უფრო შემტევია, კომპრომისებზე არ მიდიან. ეს თან მომწონს კიდეც და თან — არა. არ იფიქროთ, თითქოს ჩვენ არ ვცუღლუტობდით, გაკვეთილებიდან არ ვიპარებოდით, მაგრამ მეჩვენება, რომ დამოკიდებულება ჩვენსა და მასწავლებლებს შორის სულ სხვანაირი იყო. მახსოვს, „მანანა“ პირველად ეკრანზე რომ გამოვიდა, იმ დღეს სკოლაში მარტო მე მივედი. დირექტორი დერეფანში გაცეცხლებული დარბოდა და მოსწავლეებს ეძებდა. მერე ვიღაცას უთქვამს, დღეს ნანულის ფილმის ჩვენებაა და ყველანი კინოში წავიდნენო. ქალბატონ ქეთოს გაუღიმია: თუ ასეა, არაფერი მეთქმის, ამ „შატალოს“ ვაპატიებ ჩემს მოსწავლეებსო.“

საყვარელი „პალიტრავ“

იმედია, ბოლოსდროებოლ ვერ დამტოვებთ

მერამდენე წელიწადია, ყოველი კვირა თქვენით იწყება. თუ რომელიმე ორშაბათი „კვირის პალიტრის“ ახალი ნომრის გარეშე დაიწყო, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ოჯახის რომელიმე წევრი შინ არ დაბრუნდა. არ მინდოლა წერილი ისე დამეწყო (როგორც სხვები იწყებენ, სიყვარულის ახსნით), მაგრამ მგონი სხვაგვარად შეუძლებელია. ძალიან მიყვარს წერილების წერა, მაგრამ გული მიკვდება, რომ ვფიქრობ, ვაითუ არ წაიკითხოთ. თქვენთან ხომ უამრავი ასეთი წერილი მოდის.

16 წლის ვარ, თბილისში ვცხოვრობ და ჯერჯერობით ისევ სკოლაში დავდივარ. პატარა ნოველებს ვწერ. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თქვენ უცნობი ადამიანების ლექსებსა და მოთხრობებს არ აქვეყნებდით, მინდოდა ჩემი ნაწერები გამომეგზავნა, მერე მომერიდა. როდესაც ჩემი თანატოლების ნამუშევრების გამოქვეყნება დაიწყეს — პასუხისმგებლობა მომემატა.

ამჯერად მშობლებისგანაც შეუფასებელ მოთხრობას გიგზავნით. არ ვითხოვ, გამოაქვეყნეთ-მეთქი, მაგრამ არც დავმალავ. თუ მოგეწონებათ, ძალიან მესიამოვნებოდა. ჩემს სახელს და გვარს არ ვიტყვი (ჩემი ბებოს სახელითა და გვარით ვისარგებლებ) იმიტომ, რომ ბევრი ჩემი კლასელი კითხულობს ამ გაზეთს. არ მინდა მათ სალაპარაკო თემად ვიქცე.

დარწმუნებული ვარ, ოდესმე მაინც წაიკითხავთ ამ წერილს და არც ჩემს პატარა ნოველას დატოვებთ შეუფასებელს.

გულწრფელად თქვენი ნოკო ჩხეიძე

მეგობრებს ვერ მიშვებენ

ორი წის წინ, ჩემი მშობლები ერთმანეთს დასცილდნენ. ორივემ ახალი ოჯახი შექმნა. პირველ ხანებში ყველაფერი კარგად იყო. მამას ახალი ოჯახი გავიცანი, ის კი არა, მის გერს, ჩემს თანატოლ მაიკოსაც დავუმეგობრდი. მამინაცვალთანაც ნორმალური ურთიერთობა მქონდა. თითქოს ერთმანეთის გვესმოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო!

რამდენიმე თვის წინ დედამ და მამინაცვალმა კატეგორიულად განმიცხადეს, მამაშენთან აღარ წახვალო. იმ დღიდან მშობლებთან ურთიერთობა ძალიან დამეძაბა. დედას რომ ვთხოვ, მეგობრებთან გამიშვი-მეთქი, უარს მეუბნება, მამასთან წასვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მამინაცვალიც რაღაც უცნაური გახდა, სულ მიბღვერს. მეც ნერვებმოშლილი სულ ვჩხუბობ და ყველაფერზე პროტესტს გამოვთქვამ. რამდენჯერმე დედასთან დალაპარაკება ვცადე, არაფერი გამომივიდა. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, სახლში ყოფნა ჯოჯოხეთად მექცა.

იქნებ თქვენ მაინც დამეხმაროთ და მირჩიოთ რამე, მე ხომ მამასთან დაშორება არ შემიძლია.

მარინა გორჭილაძე, 16 წლის, თბილისი

მარინა, როგორც ჩანს, დედასა და მამინაცვალს შორის ურთიერთობა დაიძაბა და იმისათვის, რომ თავიანთი პრობლემა მიჩქმალონ, „ძალები“ შენკენ მომართეს, ან გადაწყვიტეს მეტი კონტროლი გაგიწიონ. თუმცა შესაძლებელია ეჭვიანობენ, რომ მამა უფრო მეტად გიყვარს, ვიდრე — ისინი. იქნებ არ დაკვირვებიხარ და მამისგან შინ მობრუნებულს აღფრთოვანებით მოგიყოლია მის ახალ ოჯახში გატარებული სასიამოვნო წუთების შესახებ. ამას, როგორც ჩანს, შენდა უნებურად ხაზი გაუსვი, რომ მამასთან უკეთ გრძნობ თავს, ვიდრე — მათთან. დედასა და მამინაცვალს კი შეეშინდათ, რომ არ დაგკარგონ და სწორედ ამიტომ ახალი გზა აირჩიეს — ალარ გაგიშვან მამასთან!

კარგად დაფიქრდი, იქნებ აგრესიის ნაცვლად, მათ მიმართ მეტი სითბო გამოიჩინო. დარწმუნებული იყავი, ისინი შენს ყურადღებასა და სიყვარულს დააფასებენ (სულაც არ არის აუცილებელი შენს გულში მამის ადგილი მამინაცვალმა შეცვალოს). იცოდე, სულ მალე ყველაფერი შეიცვლება და ოჯახშიც სიმშვიდე დაისადგურებს.

ვარსკვლავები

ფიქრობთ, რომ თქვენი სათაყვანებელი მსახიობები სუპერვარსკვლავებად დაიბადნენ? ძალიან ცდებით! დააკვირდით ფოტოებს და თავად მიხვდებით, რომ ისინი ჩვეულებრივი გოგონები და ბიჭები იყვნენ.

ჯულია რობერთსი — აი, ასეთი იყო „ლამაზმანი“ სათვალეებითა და მეჩხერი კბილებით.

მაიკლ ჯექსონი — ალბათ არ დაიჯერებთ, რომ ეს ყმაწვილი მაიკლ ჯექსონია!



ანჟელინა ჯოლი: — წარმატების საიდუმლო — გულწრფელი ღიმილია. ანჟელინამ ეს ბავშვობაშიც იცოდა.

ბრედ პიტი — ჯერ კიდევ ბავშვობაში იწონებდა თავს თავისი ქერა კულულებით.

გვერდი მოამზადა ლია იაკობაშვილმა

ᲒᲐᲘᲒᲔᲗ, ᲠᲐ, ᲝᲡᲔ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲪᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ...

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ. ᲡᲐᲜᲐᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲨᲔᲡᲬᲔᲕᲡ, ᲛᲐᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲪᲠᲘᲡᲤᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲓᲐᲐᲙᲚᲔᲑᲡ.

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲝᲠ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲜ...

„ᲠᲐᲪ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ, ᲘᲒᲝᲜᲔᲑ ᲘᲛ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲡ, ᲐᲗᲐᲡᲜᲐᲘᲠᲘ ᲡᲘᲡᲣᲚᲔᲚᲔ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲒᲐᲓᲔᲜᲘᲜᲐ, — *ᲒᲕᲬᲔᲠᲡ 40 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲖᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ,* — ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ. ᲘᲒᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚ ᲡᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲕᲮᲕᲓᲐᲕᲓᲘ. ᲘᲝᲜᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲮᲚᲝᲕᲔᲑᲔᲚᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲕᲑᲔᲓᲐᲕᲓᲘ. ᲥᲐᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲐ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲝᲡᲬᲝᲠᲜᲡ. ᲘᲡᲘᲪ ᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ ᲔᲛᲐᲙᲣᲠᲐᲕᲓ ᲓᲐᲒᲚᲘᲚᲘᲓᲐ. ᲛᲔ ᲙᲘ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲚᲐᲛᲘᲡ �გᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲛᲕᲐᲠᲓᲜᲝᲓᲐ ᲡᲐᲒᲣᲚᲔᲓᲐᲜ. ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲘ, ᲠᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲫᲮᲓᲝᲛᲝᲓᲐ, ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲛᲘᲛᲔᲚᲝᲪᲐ. ᲛᲝᲛᲔᲪᲘᲗ-ᲛᲔᲗᲔᲥᲘ. ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲘᲨᲘ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲑᲝᲗᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ. ᲛᲘᲜᲘᲡ ᲢᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘ ᲘᲥᲕᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲔ, ᲩᲐᲕᲐᲑᲐᲠᲔᲑ ᲑᲝᲗᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲛᲘᲮᲐᲙᲘᲗ (ᲕᲘᲪᲝᲓᲐ, ᲗᲔᲗᲠᲘ ᲛᲘᲮᲐᲙᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ). ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲕᲘᲖᲘᲓᲔ ᲑᲝᲗᲚᲔᲑᲘ, ᲒᲐᲕᲐᲙᲠᲘᲐᲚᲔ, ᲝᲠ ᲗᲝᲛᲐᲠᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲐᲬᲧᲔᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲣᲓᲔᲥᲘ ᲒᲖᲐᲡ. ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲡ ᲓᲐᲕᲘᲯᲔᲥᲑᲓᲘ... ᲫᲚᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲕᲘᲗᲐᲜᲔᲗ ᲞᲣᲜᲥᲢᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ — ᲙᲐᲠᲔᲑᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲝᲭᲚᲝᲛᲘ ᲰᲙᲘᲓᲘᲐ, ᲘᲥᲕᲔ ᲙᲘ ᲬᲔᲠᲘᲐ: „ᲨᲔᲡᲕᲕᲔᲜᲔᲑᲐ 2-ᲓᲐᲜ 4 ᲡᲐᲗ-ᲛᲓᲔ“. ᲐᲠᲐᲓᲐ ᲔᲡ-ᲔᲡᲐᲐ 2 ᲡᲐᲐᲗᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲑᲝᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲥ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲑᲔᲓᲔ, ᲕᲐᲘᲗᲣ ᲛᲝᲘᲠᲝᲜ-ᲛᲔᲗᲔᲥᲘ, ᲐᲛᲘᲗᲝᲛᲐᲪ ᲣᲙᲐᲜ ᲬᲐᲕᲐᲗᲠᲘᲔ. 4 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲠᲘᲡ ᲕᲐᲘ-ᲕᲐᲒᲚᲐᲮᲘᲗ ᲛᲘᲕᲘᲗᲐᲜᲔ. ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲡᲐᲛᲘᲝᲓ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲪᲔᲡ. ᲒᲣᲚᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲔᲧᲐᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲙᲐᲜ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲜᲘᲔ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲫᲕᲘᲠᲘ ᲦᲘᲠᲓᲐ. ᲡᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲪᲐᲚᲘ ᲛᲘᲰᲐᲙᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲒᲣᲚᲘᲡ ᲤᲐᲜᲪᲥᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲡ. ᲓᲐᲕᲠᲔᲯᲔ ᲖᲐᲠᲘ. ᲡᲐᲜᲐᲛ ᲙᲐᲠᲡ ᲒᲐᲐᲦᲔᲑᲓᲜᲔᲡ, ᲙᲘᲑᲔᲖᲔ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘᲡ ᲰᲛᲐ ᲛᲝᲛᲔᲡᲛᲐ. ᲛᲘᲕᲘᲮᲔᲓᲔ. ᲯᲮᲔᲓᲐᲕ, ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲘ ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲡ, ᲣᲙᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲩᲐᲜᲡ. ᲙᲐᲠᲘᲪ ᲒᲐᲘᲦᲝ ᲓᲐᲣᲓᲔᲥᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲗᲝᲗᲠᲘ ᲛᲘᲮᲐᲙᲘᲗ (ᲕᲘᲪᲝᲓᲐ, ᲗᲝᲗᲠᲘ ᲛᲘᲮᲐᲙᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ). ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲕᲘᲖᲘᲓᲔ ᲑᲝᲗᲚᲔᲑᲘ, ᲒᲐᲕᲐᲙᲠᲘᲐᲚᲔ, ᲝᲠ ᲤᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲪᲘᲗ-ᲛᲔᲗᲔᲥᲘ. ᲢᲝᲛᲐᲠᲐ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲪᲒᲐ ᲗᲐᲕᲘ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲒᲬᲔᲠᲗ, ᲥᲐᲚᲛᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲝᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐᲝ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲪᲐᲐ. ᲩᲔᲛᲚ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲖᲒᲠᲐᲖᲝᲑ — ᲠᲐᲓ ᲒᲐᲕᲩᲔᲜᲓᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲪᲝᲓᲐᲕᲘ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲧᲕᲣᲧᲣᲠᲔᲑᲨᲘ, ᲡᲣᲚ ᲛᲔ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑ ᲡᲮᲕᲔᲑᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲣᲚ ᲛᲔ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲘᲪᲝᲓᲘᲚᲝ ᲛᲔᲗᲔᲥᲘ. ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲘᲓᲐᲜ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲑᲝᲗᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲘᲪᲕᲓᲜᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲕᲜᲐᲢᲠᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲗᲜᲕᲔ ᲬᲧᲕᲔᲢᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡ, ᲛᲔ ᲙᲘ ᲘᲛᲓᲔᲜ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲕᲣᲬᲔᲕ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ, ᲠᲝᲛ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ, ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲓᲘ, ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲠᲩᲘ. ᲔᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲔᲠᲗ ᲐᲮᲚᲝᲛᲝᲚᲔᲡᲐᲪ ᲓᲐᲕᲣᲡᲕᲘ ᲓᲐ ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ? ᲐᲠᲐ ᲣᲨᲐᲕᲡ, ᲛᲝᲘᲗᲝᲛᲘᲜᲔ, ᲡᲐᲚᲐᲒᲘᲔᲠᲝᲗ, ᲡᲐᲡᲣᲤᲔᲕᲔᲚᲨᲘ ᲓᲐᲘᲛᲘᲯᲕᲘᲓᲠᲔᲑ ᲐᲓᲒᲘᲚᲡᲝ... ᲐᲠᲐᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲛᲨᲣᲠᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲕᲚᲘᲚ, ᲒᲐᲚᲐᲦᲔᲑᲣᲚ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲛᲐᲧᲔᲑᲣᲚ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ... ᲔᲠ ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲗ, ᲩᲔᲛᲘ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲔᲭᲕᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲐᲜᲣᲮᲔᲑᲓᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲓᲠᲔᲜᲐᲓ „ᲡᲣᲚᲔᲠᲗᲘᲐ“ ᲢᲘᲐ-ᲘᲐ, ᲛᲘᲯᲠᲝᲑᲡ ᲘᲔᲭᲕᲘᲐᲜᲝᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲔᲑᲓᲘ, ᲕᲧᲣᲕᲐᲠᲕᲐᲠ-ᲛᲔᲗᲔᲥᲘ. ᲢᲝᲛᲐᲠᲐ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲪᲒᲐ ᲗᲐᲕᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲛᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ, ᲔᲡ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲗ... ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲫᲕᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲕᲘᲯᲔᲓᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ. ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲚᲔᲜᲔᲗ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ. ᲨᲘᲜ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲖᲔ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲓᲐᲒᲑᲠᲣᲜᲓᲘ ᲓᲐ ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲩᲛᲛᲐ ᲥᲛᲐᲠᲛᲐ? — ᲒᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲒᲔᲚᲘᲐ, ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲠᲔᲪᲮᲘ ᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲤᲝᲕᲔᲗ? ᲒᲐᲜᲐ ᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲐ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲘᲒᲕᲘᲜᲔᲗ, ᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲧᲐᲕᲘᲗ!

ᲛᲐᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲕᲗᲮᲝᲕᲡ ᲠᲩᲔᲕᲐᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲭᲘᲠᲡ. ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲛᲐᲜ ᲛᲘᲠᲩᲘᲝᲡ ᲠᲐᲛᲔ, ᲠᲐ ᲕᲥᲜᲐ, ᲠᲘᲗ ᲕᲣᲨᲕᲔᲚᲔᲑᲗ ᲡᲐᲣᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲘ? ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲕᲐ ᲓᲘᲓ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲗ ᲓᲐᲛᲫᲮᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲓᲘᲡ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲑᲔᲑᲘᲐ 16 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲘᲧᲝ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲛᲝᲘᲢᲐᲪᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲒᲣᲠᲣᲚᲛᲐ ᲧᲐᲖᲐᲮᲛᲐ. ᲙᲘ, ᲛᲝᲛᲘᲢᲐᲪᲐ, ᲛᲐᲠᲐ, ᲐᲠᲪ ᲛᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲒᲔᲒᲘ, ᲙᲐᲘ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲓᲐᲡᲝ, — ᲘᲢᲧᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲓᲘᲓᲘ ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲑᲔᲑᲘᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲒᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ, ᲑᲐᲑᲣᲐ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲘᲓᲘᲜᲯᲔᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ. ᲑᲔᲑᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲕᲔ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲨᲔᲙᲔᲠᲘᲚᲘ ᲗᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲧᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲣᲙᲘᲪᲮᲐᲕᲡ — ᲠᲐᲦᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲗᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘᲐ, ᲡᲐᲪᲐᲐ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲒᲐᲐᲩᲔᲜ ᲗᲝᲯᲘᲜᲔᲑᲡᲝ! ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗ, ᲑᲔᲑᲘᲐᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐᲡᲪᲓᲔᲜᲘᲐ ᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲘ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ — ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲐᲠᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ. ᲨᲔᲜᲘ ᲢᲝᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲒᲘᲒᲔᲑᲡ, ᲘᲡᲔ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲚᲠᲓᲕᲐᲚᲘ ᲠᲐᲡ ᲛᲘᲮᲕᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐ ᲥᲐᲠᲘ ᲒᲘᲥᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘᲝ.

ᲐᲜᲐ (33 ᲬᲚᲘᲡ): — ᲐᲮᲚᲐ ᲑᲐᲚᲖᲐᲙᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘᲐ ᲛᲝᲓᲐᲨᲘ — ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲘ ᲕᲐᲟᲘ. ᲠᲐᲦᲐᲪ ᲔᲢᲐ�პᲐᲛᲓᲔ ᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲠᲔ ᲐᲡᲐᲙᲘ ᲓᲐ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲐ ᲨᲕᲠᲔᲑᲐ. 10 ᲬᲚᲘᲗ ᲣᲤᲠᲝᲡ ᲥᲐᲚᲡ ᲓᲘᲓᲮᲜᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲓᲒᲔᲑᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲘᲭᲗᲐᲜ, ᲕᲔᲠᲪ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲭᲐᲑᲣᲙᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲑᲐ ᲓᲘᲓᲮᲜᲘᲡ 30 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲝᲛᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ. ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲯᲔᲠ ᲐᲓᲐᲛᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲔᲕᲐ. ᲐᲡᲝ ᲠᲝᲛ, ᲯᲔᲠ ᲙᲐᲪᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲘ. ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲡ ᲒᲐᲣᲒᲔᲑ ᲒᲐᲓᲐᲠᲔᲣᲚ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ, ᲘᲛᲜᲐᲘᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲨᲗᲔᲠᲔᲑᲐ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ...

ᲚᲘᲚᲘ (49 ᲬᲚᲘᲡ): ᲥᲐᲚᲘ ᲗᲣ ᲙᲐᲪᲘ ᲕᲘᲡᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲞᲝᲕᲘᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ, ᲛᲘᲡᲘᲜ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲪ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ. ᲮᲐᲚᲮᲡ ᲭᲝᲠᲬᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲙᲘᲚᲕᲐ ᲧᲣᲧᲕᲐᲠᲡ. ᲘᲡᲔ, ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ. ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲪᲐᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲭᲙᲣᲐᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲜᲐᲘᲠᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲰᲔᲓᲝᲡ. 90 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲗᲔᲗᲔ ᲗᲣ 19 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ, ᲐᲜ ᲡᲘᲑᲔᲠᲔᲨᲘ ᲬᲐᲡᲣᲚᲛᲐ ᲩᲐᲠᲚᲘ ᲩᲐᲞᲚᲘᲜᲛᲐ 17 ᲬᲚᲘᲡ ᲣᲜᲐ ᲨᲔᲘᲠᲗᲝ ᲪᲝᲚᲐᲓ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲪᲝᲚᲥᲛᲠᲝᲑᲐ?

ᲗᲐᲛᲐᲠᲘ (62 ᲬᲚᲘᲡ): — ᲠᲐ ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ ᲭᲙᲣᲐᲓᲐᲛᲯᲓᲐᲠᲘ, ᲐᲡᲐᲙᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲪᲝᲚᲝᲑᲐ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲥᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲮᲔᲚᲘᲡᲒᲣᲚᲖᲔ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ. ᲗᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ. ᲩᲔᲛᲘ ᲥᲛᲐᲠᲘ 25 ᲬᲚᲘᲗ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲩᲔᲛᲖᲔ, 15 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲒᲐᲕᲧᲔᲕᲘ ᲪᲝᲚᲐᲓ. ᲓᲐᲭᲔᲠᲝᲑᲐᲜᲐᲡ ᲕᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲘᲗ ᲐᲮᲚᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡᲔᲑᲘ. ᲡᲣᲚ ᲛᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲐ — ᲡᲘᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲔᲡ ᲛᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑᲝ. ᲛᲔᲪ ᲛᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ...

ᲚᲐᲜᲐ (18 ᲬᲚᲘᲡ): — ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲪᲝᲚᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲡᲯᲝᲑᲓᲔᲡ. ᲐᲮᲐ, ᲭᲧᲘᲜᲢᲛᲐ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲛᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲠᲐ ᲘᲪᲘᲡ? ᲑᲔᲑᲘᲐᲩᲔᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲡᲛᲔᲜᲘᲐ — ᲙᲐᲪᲘ ᲝᲪᲓᲐᲐᲗ ᲬᲔᲚᲡ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲐᲑᲘᲯᲔᲑᲡ, ᲛᲔᲠᲔ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲓᲐᲦᲕᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲪᲝᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡᲐᲪ ᲘᲒᲘᲑᲡᲝᲡ.

ᲛᲔᲪ ᲐᲡᲔᲗ ᲙᲐᲪᲡ ᲕᲔᲫᲔᲑ...

ᲔᲙᲐ ᲚᲝᲛᲘᲫᲔ

ᲣᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝᲓ...

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲫᲕᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲖᲘᲡᲥᲕᲔᲨᲔᲗᲨᲘ, ᲪᲕᲓᲔᲑᲐ, ᲘᲤᲘᲢᲔᲑᲐ, ᲛᲢᲕᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲤᲔᲠᲤᲚᲐᲓ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲐᲚᲡ.

ᲐᲗᲐᲡᲘ ᲑᲐᲑᲘᲚᲝᲜᲘᲡ ᲒᲝᲓᲝᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲐᲥᲪᲘᲐ ᲟᲐᲛᲗᲐ ᲡᲕᲚᲐᲛ, ᲐᲗᲐᲡᲘ ᲒᲝᲠᲝᲖᲝ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲫᲐᲮᲘᲚᲘ ᲨᲔᲣᲠᲘᲐ ᲓᲘᲓ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲗᲐ ᲓᲐᲣᲡᲐᲑᲐᲛᲝ ᲛᲓᲣᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ.

ᲣᲓᲐᲑᲣᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲘᲛᲘᲠᲐᲛᲘᲓᲘᲡ ᲑᲐᲚᲔᲑᲘᲪ...

ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, Რ



ბუდისტის ნეტარება
გერმანელი ფილოსოფ.
შეძენილი იმუნოდეფ-იციტის სინდრომი
I არხის დილის გადაცემა
ტალანტი
ა. დიუმას „... წლის შემდეგ“
ჩინელი ფერმწერი ... ბაიში
ღია, მკრთალი
მამალი თხა
მიუზიკლი მადონას მონაწილე-ობით
ფეხის ჩარტყმა
ფრანგული პარფიუმე-რიული ფირმა
ტრაფალ-გართან ბრძოლის გმირი
პალეოგე-ნის შუა ეპოქა
პამელა ანდერსონის ქმარყო-ფილი
მომრევი (საბა)
„ფაუსტი“ (გერმ. მწერალი)
იაპონური ფირმა
ზოდიაქოს ნიშანი
მომავალში გადასახდე-ლი დანახარჯი
10^6
ქალაქი საფრანგეთ-ში
საქართვე-ლოს რაიონული ცენტრი
გოგენის კუნძული
ქალაქი თურქეთში
ქრისტეს დაბადების ადგილი
ნოტი
მ/ფ „კლეო-პატრა“ (მსახიობი)
„კარმენი“ (კომპოზი-ტორი)
მწვავე გადამდები დაავადება
ვახტანგ ხურციძის მეტსახელი
ბოსტნეუ-ლის კერძი
ლურჯი საღებავი
კაკლის გარეთა გარსი
ადამიანის ორეული ეგვიპტ. მითოლოგ.
ყელის სამკაული
საჯინიბო
ქართული ხალხური ზღაპარი
ბილიარდის სათამაშო ჯოხი
ელიავა
ზუზუნი
ქმრის ძმა
ჩინური ჭადრაკი
ვარდის მცველი
იტალიის ჩემპი-ონატის ბომბარდირი
შპრიცის ნაწილი
ყველაზე პატარა სახელმ-წიფო
ლაპარაკის მოყვარუ-ლი ჩიტი
ნიზამი „... და მაჯნუნი“
მართალს ამბობს „დაისში“
... გარდნერი
ღამის ფრინველი
ადამიანი სიცოცხლის 1/3 ატარებს (მდგომარ.)
რბილი ლითონი
ფრანგული ავტომანქანა
მასში ჭეშმარ-იტებაა
გარემომ-ცველი წრე, პირობები
აბრეშუმის ჭიის ნუგბარი ფოთოლი
მუსიკალური სპექტაკლი
რუსული თვითმ-ფრინავი
„ჭინ-ჭრაქა“ ბ. გეფეკორის პერსონაჟი
იგივეა, რაც ფოტოგრა-ფია
რიკ-ტაფელას სათამაშო ჯოხი
მოსამსახ-ურე ბიჭი სასტუმროში
მწყობრი ნაბიჯით სვლა
სველი განგრენა

წინა სკანვორდის პასუხები: 1. კანკანი; 2. სინჯარა; 3. კვანძი; 4. საკინძე; 5. ტანძია; 6. მიჯნა; 7. მეა; 8. საფრა; 9. ჭია; 10. ჭაჭა; 11. არია; 12. ჩაი; 13. სპა; 14. პაი; 15. ონო; 16. ლისტი; 18. „გიხაროდენ“; 18. ლიხი; 19. ჩიხი; 20. გოია; 21. ეროსი; 22. კია; 23. კუჭი; 24. პაპაი; 25. პა; 26. ნემსი; 27. ნახერხი; 28. მორი; 29. ხერხი; 30. რეისი; 31. მინუსი; 32. ლითონი; 33. აისი; 34. იარა; 35. ქუდი; 36. უთო; 37. დენი; 38. ლანჩი; 39. ნანდუ; 40. მასხარა; 41. უნია; 42. ბიკინი; 43. ხაჩი; 44. შედუ; 45. შივა; 46. ყინვა; 47. შური; 48. ხაშური; 49. შევა; 50. ბენდენა; 51. სიგრძე; 52. არა; 53. აბატი; 54. ყირა; 55. ჯაგარი; 56. მაპუტუ; 57. ნავსი; 48. რეზიუმე; 59. ჯა; 60. რუმბა; 61. კვირა; 62. ფინტი; 63. ფარშავანგი.

1. პატარა აგასი; 2. მძიმეა სპორტსმენის ცხოვრება; 3. რამდენი წლისა ხარ; 4. ჯარაექიმი; 5. ფინჯან ყავაზე.

პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.

შეადგინა
რამაზ ალანიამ

CMYK

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲮᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲜᲐᲓᲐᲠᲜᲘ

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘ და ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘ თქვენ კი არა, თქვენს შორეულ ნაცნობსაც კი აშორის ღმერთმა რომელიმე მათგანთან წამალი შეხება კი, მაგრამ უნდა ვიცნობდეთ ჩასაფრებულ საშიშროებას. თქვენ ხომ მოგზაურობაც გიყვართ — მაგრამ არ სძინავს, ვიფხიზლოთ ჩვენც

დედამიწაზე — წყალსა თუ ხმელეთზე ძალიან ბევრი ჩვენთვის უცნობი ქვეწარმავალი, მღრღნელი თუ ფრინველი ბინადრობს. მათთან მიახლოება არც ისე უსაფრთხოა, ზოგჯერ მომაკვდინებელიც კი...

გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

ყველაზე შხამიანია მოყვითალო-შავი ფერის ფართოკუდიანი **ᲖᲚᲕᲘᲡ ᲒᲕᲔᲚᲘ**. იგი ბინადრობს ავსტრალიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, ტიმორის ზღვაში, აშმორის რიფთან. მისი შხამი იწვევს დამბლას, ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებას და ყბის კუნთების სპაზმებს, ქუთუთოების შესივებას და საბოლოოდ, სიკვდილს. მისი შხამი 10-ჯერ ძლიერია კობრას შხამზე და მოქმედებას იწყებს რამდენიმე საათის შემდეგ. ზღვის გველის სიგრძე 1,5-2 მ-დეა.

ᲖᲚᲕᲘᲡ ᲖᲚᲐᲠᲑᲘ ძალიან საშიშია. მოცურავე, შეეხება თუ არა მის ეკლებს, შეიძლება მაშინვე ჩაიძიროს. ეკლები მოჭრილიც კი გამოყოფს შხამს. შხამი იწყებს მოქმედებას შეხებიდან 5 წუთში იწვევს მწვავე ტკივილს, სუნთქვის დარღვევას, დამბლას. მოწითალო ან მოშავო-მონაცრისფროა... სიგრძით 1-2 სმ-ია.



ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲙᲝᲑᲠᲐ მსოფლიოში ყველაზე გრძელი და შხამიანი გველია. გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ინდოეთში. ის მეტისმეტად „ზრდილობიანია“ — ყოველთვის აფრთხილებს მასთან მიახლოებულს — კუდზე დგება და კაპიუშონს შლის. შხამი მოქმედებს 10 წთ-დან — 4 სთ-მდე, ნაკბენი შუპდება, იწყება ძლიერი ტკივილი, ორგანიზმი დუნდება, ირღვევა მოძრაობის კოორდინაცია, რასაც მოჰყვება დამბლა. მისი სიგრძეა 3,65-4,5 მ. შრი-ლანკაში ყოველწლიურად უსსენებლის ნაკბენით იღუპება საშუალოდ 800 ადამიანი.

დედამიწის ზურგზე ყველაზე **ᲨᲮᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲝᲒᲝᲒᲐᲐ** ე.წ. **„ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲐ“**, რომელსაც ნეიროტოქსიკური შხამი აქვს. იგი ძალიან აგრესიულია და სწრაფად დარბის. შხამი რამდენიმე წუთში იწყებს მოქმედებას. ნაკბენი სივდება, შეიძლება განგრენაში გადავიდეს და ნეკროზიც განვითარდეს. იწვევს კუნთების სპაზმს, გუგების შევიწროებას, კონიუნქტივიტს, თვალებში სისხლის ჩაქცევას, არტერიული წნევის მომატებას და გულის უკმარისობას. იგი ქვიშისფერია, თითქმის შეუმჩნეველი, მუცელი დაფარული აქვს ბუსუსებით. სიგრძით 10-12 სმ-ია.

ობობა **ᲧᲐᲠᲐᲐᲛᲣᲠᲘᲗᲘ** ბინადრობს შუა აზიაში, დასავლეთ ტიან-შანში, აღმოსავლეთ კავკასიასა და ყირიმის მთებში, სხვა ადგილებშიც... შხამიანია მხოლოდ დედალი ობობა. იგი ცხოვრობს ქვების ქვეშ, მტაცებელია. პარტნიორ მამალ ობობას შეწყვილების დასრულებისთანავე ახრამუნებს ხოლმე. მისი შხამი 5-20 წუთის შემდეგ იწყებს მოქმედებას, რასაც მოჰყვება ფეხების დამბლა, შიშის შეგრძნება, ფსიქიკური აღგზნებულობა, თავბრუსხვევა, სუნთქვის შეგუბება, კრუნჩხვები, პირღებინება, სახის გალურჯება, პულსის შენელება, მოთენთილობა. 3-5 დღის შემდეგ, ავადმყოფს კანზე გამოაყრის და მდგომარეობა უმჯობესდება. ობობა შავი და მრგვალია, დაფარულია მოწითალო ფერის ლაქებით. სიგრძით 1-1,5 სმ-ია.

ყველაზე შხამიანი **ᲡᲫᲔᲚᲙᲣᲓᲐ ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ** ბინადრობს თითქმის მთელ აფრიკაში და აზიის ქვეყნებში (ინდოეთი, ისრაელი, პაკიტანი, საუდის არაბეთი, იემენი). უყვარს ადამიანებთან ახლოს „ცხოვრება“, რაც არც ისე სასიამოვნოა. შხამი მოქმედებას იწყებს კბენიდან 5-20 წუთის შემდეგ. იწვევს ტკივილს, შესივებას, მოთენთილობას, ურჟოლას, იმატებს ტემპერატურა. მორიელი მოყვითალო-მონაცრისფროა და სიგრძით 10 სმ-ია. მისი ნაკბენით მექსიკაში ყოველწლიურად იღუპება 1000-მდე ადამიანი.

შხამიან თევზებს შორის ყველაზე შხამიანია **ᲛᲔᲩᲔᲭᲐ ᲗᲔᲕᲖᲘ**. ბინადრობს წყნარი და ინდოეთის ოკეანეების ტროპიკულ წყლებში. მისი ფარფლების წვეტებზე შეხებაც კი ჰკლავს ადამიანს. უყვარს ნაპირზე „სეირნობა“ და ფეხშიშველა ტურისტებთან „თამაში“. შხამი შეხებისთანავე იწყებს მოქმედებას. მსხვერპლი კარგავს გონს, კანზე გამოაყრის, ჭრილობის ირგვლივ ჩნდება „მწველი“ რკალი, იწყება შესივება, გულის უკმარისობა, ბოდვა, პირღებინება და კრუნჩხვები.



ამ 40 სმ სიგრძის თევზს თავი დაფარული აქვს მეჭეჭებით, ძალიან შეუხედავი და საზიზღარია, კანი უქერცლო აქვს და ისე წააგავს რუხი ფერის ქვას, რომ მისგან გარჩევაც კი ძნელია.

დედამიწაზე ყველაზე შხამიანია **ᲮᲔᲛᲫᲠᲝᲛᲘ ᲑᲐᲧᲐᲧᲘ**. იგი ბინადრობს სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში. მისი შხამი 1000-ჯერ ძლიერია კალიუმის ციანიდზე და 35-ჯერ ძლიერი — შუაზიური კობრას შხამზე, რომელიც 1500 ადამიანს ეყოფოდა სასიკვდილოდ. შხამიანია ხემძრომის ლორწო, რომლითაც მთელი კანი აქვს დაფარული და შეხებისთანავე იწყებს მოქმედებას. ბაყაყი მოშავო-მოწითალო ფერისაა და სიგრძით 5 სმ-ია.

ᲮᲕᲚᲘᲙᲔᲑᲘᲓᲐᲜ ყველაზე შხამიანია ე.წ. **ᲨᲮᲐᲛᲙᲑᲘᲚᲐ**, რომელიც ბინადრობს მექსიკასა და აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთის მშრალ ადგილებში. შხამს შეიცავს მისი კბილები. თამამად ნადირობს თხებზე, ძროხებზე და განსაკუთრებით „უყვარს“ ადამიანი...



შხამკბილა მუქი რუხი ფერისაა, დაფარულია ნარინჯისფერი, ყვითელი ან წითელი ლაქებით. სიგრძით 60 სმ-ია.

ᲚᲝᲙᲝᲙᲘᲜᲐ ᲙᲝᲜᲣᲡᲘ ძალიან უყვარს თბილი ზღვები, განსაკუთრებით მარჯნის რიფები. საოცარი სილამაზის გამო ბევრი იწყებს მის შეგროვებას და არც კი იციან, თუ რა ელით. შხამი შეხებისთანავე იწყებს მოქმედებას, იწვევს ნერვული სისტემის დარღვევას, თითების დამბლას, გონის დაკარგვას, გულის ცემის მომატებას და სუნთქვის შეკვრას. მისი ნიჟარა ძალიან ლამაზადაა მოხატული. სიგრძით — 15-20 სმ-ია.

ᲘᲮᲕᲘᲡᲙᲐᲠᲢᲐᲡ შხამიანი დეზები, რომელთა სიგრძე 1-2-1,5 სმ-ია, განლაგებული აქვს უკანა თათებზე. თითოეული დეზი დაკავშირებულია გვერდების განსაკუთრებულ ჯირკვლებთან, რომლებიც გამოიმუშავებენ შხამის სეკრეციას. შხამი შეხებისთანავე იწყებს მოქმედებას და იწვევს ძლიერ ტკივილს, შეშუპებას, თუმცა შხამი სიცოცხლისთვის საშიში არ არის. ამ ფრინველს იხვისმაგვარი ცხვირი აქვს, მისი სიგრძეა — 30-45 სმ, კუდისა —10-15 სმ.

ᲚᲣᲠᲯᲬᲣᲓᲐ ᲘᲤᲠᲘᲢᲐ ახალი გვინეის ბინადარია. ადგილობრივი მოსახლეობა მას წიწაკასავით მწარე ხორცის გამო, „მწარე ჩიტს“ ეძახის. მისი შხამი იწვევს გულის რიტმის დარღვევას, ხოლო ჩიტის ხელში დაჭერა — ძლიერ ალერგიულ ხველებას.

მაგრამ ეკოლოგებისა და მეცნიერების აზრით, თურმე კაცობრიობისთვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს ჩვეულებრივი, ყველასათვის ნაცნობი, ნაცრისფერი ვირთხა...

MBG ᲔᲛᲑᲘᲯᲘ

MICROFINANCE BANK OF GEORGIA

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲙᲠᲝᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲑᲐᲜᲚᲘ

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲡ!

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ 21-Ე, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲓᲔᲞᲝᲖᲘᲢᲡ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲙᲠᲝᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲑᲐᲜᲚᲘᲡ
ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲡ,
ᲓᲔᲞᲝᲖᲘᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ 40 ᲚᲐᲠᲡ.

ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲡᲔᲚᲘ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 380012
ᲗᲔᲗᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲡ ᲑᲐᲖᲠ. 18
ᲢᲔᲚ.: (995 32) 92-16-16
ᲤᲐᲥᲡᲘ: (995 32) 25-05-80
e-mail: mbg@mbg.com.ge

ᲕᲐᲚᲘᲡ ᲑᲐᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 380079
ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲡ 1. 8
ᲢᲔᲚ.: (995 32) 25-88-06
ᲤᲐᲥᲡᲘ: (995 32) 25-88-07
e-mail: vake@vake.mbg.com.ge

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲑᲐᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ, 384410
Ვ. ᲙᲘᲠᲙᲘᲗᲔᲚᲘᲡ 1. 2
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: (8 236) 66-439
e-mail: kobuleti@batumi.mbg.com.ge

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲑᲐᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘ, 383130, ᲠᲝᲚᲘᲡᲣᲠᲘᲡ 1.63
ᲢᲔᲚ.: (8 257)-8-16-00 8 (257)-8-16-50
ᲤᲐᲥᲡᲘ: (822) 94-31-36
e-mail: info@marneuli.mbg.com.ge

ᲚᲘᲚᲝᲡ ᲑᲐᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 380015
ᲡᲐᲑᲩᲝᲡ ᲛᲐᲰᲐᲯᲐᲜᲘᲡ 112
ᲢᲔᲚ.: (995 32) 77-96-35
ᲤᲐᲥᲡᲘ: (995 32) 77-96-36
e-mail: mbgl@access.sanet.ge

ᲭᲔᲗᲐᲠᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ
ᲭᲔᲗᲐᲠᲘ 384000
ᲗᲔᲗᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲡ 1. 85
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: (8 231) 4-14-14; 4-51-64
e-mail: mbgk@mbg.com.ge

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ
ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ, 383500, ᲙᲔᲡᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘᲡ 1. 10
ᲢᲔᲚ.: (8 293) 9-30-64, 9-73-05, 33-46-57
ᲤᲐᲥᲡᲘ: (8 92) 33-46-58
e-mail:info@gori.mbg.com.ge

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ 384500 ᲠᲔᲕᲘ ᲐᲚᲐᲗᲣᲜᲘᲡ 1. 18
ᲢᲔᲚ.: (8 88 222) 7-24-80
ᲤᲐᲥᲡᲘ: (8 88 222) 7-19-54
e-mail: info@batumi.mbg.com.ge

ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 380067
ᲠᲝᲖᲐ ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲘᲡ 1. 1
ᲢᲔᲚ.: (995 32) 57-01-01
ᲤᲐᲥᲡᲘ: (995 32) 57-10-01
e-mail: gldani@gldani.mbg.com.ge

ᲕᲐᲙᲔᲗᲘᲡᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 380052
ᲙᲝᲙᲝᲩᲝᲕᲘᲡ 2-Ე ᲛᲘᲜᲘ
ᲢᲔᲚ.: (995 32) 76-44-82
ᲤᲐᲥᲡᲘ: (995 32) 76-44-81
e-mail: vaketili@mbg.com.ge

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ
ᲤᲝᲗᲘ 384690
Ვ. ᲙᲘᲠᲙᲘᲗᲔᲚᲘᲡ 1. 23
ᲢᲔᲚ.: (8 293) 28-28-5, 28-28-3
ᲤᲐᲥᲡᲘ:(8 293) 28-28-3, 28-28-4
e-mail:mbgp@internet.ge

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ 384900
ᲬᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡ 1. 9
ᲢᲔᲚ.: (8 292) 510-22; 554-58
ᲤᲐᲥᲡᲘ: (8 22) 33 36 69
e-mail: mbgz@kutaisi.mbg.com.ge

ეული ნაძვი „გოფილექგის“ ბაღში

ყოველი სპექტაკლი ფაცხაში ლხინით თავდებოდა

ზოგ ადამიანს შეუძლია თავისი პატარა სამყარო შექმნას და ამ სამყაროთი შეავსოს დიდი სივრცეებიც კი. მისი ნიჭი უფრო შორს მიდის, ვიდრე ერთი კაცის ნიჭიერებაა და ხშირად მთელ შემოქმედებით კოლექტივს, ამ შემთხვევაში კი, თეატრს მოიცავს. გესაუბრებით დაუვიწყარ თენგიზ ჩანტლაძეზე. მას ისინიც კარგად იცნობენ, ვისაც ბატონი თენგიზი სცენაზე არ უნახავთ. მისი როლები და პაროდიები იმდენად სიცოცხლისუნარიანნი აღმოჩნდნენ, რომ დღესაც კი ტელევიზიით უჩვენებენ, როგორც ყველაზე ღიმილიან, სახალისო ფრაგმენტებს. მისი სიტყვებით ლაპარაკობენ სუფრასთან, მეგობრებში. ზოგმა შეიძლება არც კი იცის, რომ ხუმრობა, რომელმაც ასე აცინა და შემდეგ მანაც გაახალისა სხვები, ათეული წლების წინ თენგიზ ჩანტლაძემ მოიფიქრა... არა, კი არ მოიფიქრა, მისგან წამოვიდა, როგორც მდინარე, იმიტომ, რომ მას არ სჭირდებოდა დიდი გარჯა, ყველაფერი ბუნებრივად გამოსდიოდა.

თენგიზი თავის სახელგანთქმულ ფარდასთან

წელს **თენგიზ ჩანტლაძის** საიუბილეო წელია. 5 ივნისს ის 70 წლისა გახდებოდა. მასზე სასაუბროდ მის მეუღლეს, ქალბატონ **ზაირა ჩანტლაძეს** ვეწვიეთ. ქალბატონმა ზაირამ ტკივილით გაიხსენა მეუღლე და რამდენიმე ისეთი ამბავიც გვიამბო, რომელიც ფართო მკითხველისათვის ჯერ კიდევ უცნობია.

ნიჭი – ბავშვობიდან...

თენგიზ ჩანტლაძის ოჯახი ძალიან სტუმართმოყვარე იყო. მამამისი, აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე, თსუ ფინანსებისა და კრედიტების კათედრის გამგე გახლდათ. მათთან ხშირად იმართებოდა წვეულებები. ჩანტლაძეები მეგობრობდნენ კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახთან. ერთ-ერთ წვეულებას სახელგანთქმული მწერალიც ესწრებოდა. მაშინ თენგიზი 7-8 წლისა ყოფილა. ბატონ კონსტანტინეს საღღეგრძელოში ერთი ამბავი გაუხსენებია. ყველას გაუღიმია, რადგან ამბავი სამხიარულო ყოფილა. უცებ სტუმრებს გულიანი, ლაღი სიცილი შემოესმათ თურმე. ირგვლივ გაკვირვებულებს მიმოუხედავთ, არავინ ჩანდა... პატარა თენგიზი დიდი, შავი როიალის ქვეშ მოკალათებულიყო და კისკისებდა...

„ლუარსაბ თათქარიძე“

იუმორის გრძნობაცა და პაროდიის ნიჭიც ადრეული ბავშვობიდან მოსდევდა. ერთხელ მამამისი თანამშრომლებს ელოდებოდა. კარზე ზარი გაისმა. 8 წლის თენგიზი კარის გასაღებად გაიქცა. მამამისს მალე საუბარიც შემოესმა. როგორ ხარ, თენგო, — ჰკითხა ერთმა სტუმარმა. არა მიშავს, — უპასუხა ბიჭმა. საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა. ხან ერთი მეცნიერი ლაპარაკობდა, ხან მეორე, ხან მესამე. ბატონმა ვასილმა კაბინეტის კარი გამოაღო. ჰოლში მისი შვილი იდგა მარტო და ოთხ ხმაზე ლაპარაკობდა... რაც შეეხება კარზე ზარს, თენგიზის მამიდა მოსულიყო...

„ჯულბარსები“

თენგიზს ძალიან უყვარდა ძაღლები. სულ გვყავდა ოჯახში გერმანული ნაგაზი და ყოველ მათგანს „ჯულბარსი“ ერქვა. ერთ-ერთი „ჯულბარსი“ მეზობელმა მოგვინამლა, ბევრს ყეფდა და აწუხებდა თურმე. უნდა გენახათ, რა ტრიალებდა ჩვენს ოჯახში. მე ხმით ვტიროდი, თენგიზიც ისე წუხდა, თითქოს უახლოესი მეგობარი დაჰკარგვოდა. ამ მდგომარეობიდან ახალმა „ჯულბარსმა“ გამოიყვანა. ერთ-ერთი „ჯულბარსი“ მილიციის სკოლაში დაჰყავდა. ძაღლის სკოლის დამთავრების მოწმობა რომ მისცეს თენგიზს, სასწრაფოდ დაურეკა მეგობრებს: საღამოს ჩემთან მობრძანდითო. რა ხდებაო, — ჰკითხეს. „ჯულბარსმა“ აკადემია დაამთავრაო! ეტყობა, იფიქრეს, თენგიზი ნამდვილ მიზეზს არ ამხელს, უთუოდ ზაირას დაბადების დღე არისო. იმ დღეს ბევრი საჩუქარი მივიღე. არადა სუფრა მართლა „ჯუბას“ პატივსაცემად გაიშალა.

სხვათა შორის, ერთ-ერთი „ჯულბარსი“ მსახიობობდა კიდეც. თენგიზს სპექტაკლში შეჰყავდა ხოლმე. ისეთი ჭკვიანი იყო, მუსიკისა და რეპლიკის მიხედვით ცნობდა, როდის უნდა შეეყვანა პატრონს სცენაზე და კულისებში ბდღვნიდა ყველაფერს.

„ძმობა“ და ლხინი, ლხინი და ძმობა

ყოველი სპექტაკლის შემდეგ ჩვენთან წვეულება იმართებოდა. თეატრში წასვლამდე აუცილებლად ბაზარში შევივლიდით. ძალიან უყვარდა ბაზარში სიარული. ერთხელაც ბაზარში შეგვაგვიანდა. მწნილეულობის რიგში უცებ წარმოსადეგი მამაკაცი გამოეყო ხალხს და გაოცებულმა მოწიწებით უთხრა: — ბატონო თენგიზ, მე დღეს საღამოს თქვენს სპექტაკლზე მოვდივარ... ბაზარში რომ გამომგზავნეს, გავბრაზდი... და აქ თქვენ არ შეგხვდით?! თქვენ მაინც რა გინდათ აქო?! აბა, რას წარმოიდგენდა, რომ თენგიზი საგულდაგულოდ ემზადებოდა, სანოვაგეს იმარაგებდა, რომ სპექტაკლის შემდეგ სტუმრები მოეყვანა შინ.

ჩვენს განთქმულ ფაცხაში ვინ აღარ ყოფილა; დაბადების დღეებსაც იქ ვუხდიდით მეგობრებს. ფაცხის კარზე ჭედური ჭადრის ფოთოლი ეკიდა და ზედ ამოჭრეთილი იყო „ძმობა“. სხვათა შორის, ეს ჯანსუღ ჩარკვიანის იდეა იყო.

კიდევ ერთი რამ უყვარდა ძალიან თენგიზს და ყველა სტუმარს აუცილებლად უჩვენებდა. ეს იყო ჩვენი თეატრის ფარდა — თამაზ ხუციშვილის მოხატული. სტუმრები რომ გვეწვეოდნენ თეატრში, აუცილებლად იტყოდა, — ჩამოუშვით ფარდა და გაანათეთო... თვითონ იდგა ძალიან ამაყი და შესცქეროდა ფარდას.

ორიგინალური ხუმრობა

27 წელი ვიცხოვრეთ ერთად. სიცხე ჰქონდა და სპექტაკლზე არ წამოვიდა (ესეც მხოლოდ ერთხელ მოხდა!). ამ სპექტაკლში („ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები“) დუბლიორი ჰყავდა. მე კურდღელს ვთამაშობდი. წავედი მარტო. მან ხომ ზუსტად იცოდა, როდის ვიქნებოდი სცენაზე და სწორედ იმ დროს დარეკა. ერთი დარაჯი გვყავდა, გოგი. გულუბრყვილო კაცი იყო. მან აიღო ყურმილი. თენგიზს მკაცრად უთქვამს, — ზაირას დაუძახეთო! გაოგნებულა დარაჯი: ბატონო თენგიზ, ზაირა სცენაზეაო. არ ვიცი, დაუძახეთო! ეხუმრებოდა, მაგრამ დარაჯი ვერ მიხვდა. შემოვიდა კულისებში — ბატონი თენგიზი ტელეფონთან გთხოვთო. ვანიშნე — გადი, ნუ გვიშლი ხელს-მეთქი. წავიდა და თენგიზს უთხრა, — არ მოდისო. მანაც დაიჟინა — მოვიდესო! იძულებული გავხდი, გავსულიყავი. ყურმილი ავიღე: არ გრცხვენია, თენგიზ, ხომ ხედავ, გოგი ხელს გვიშლის, დაანებე რა, თავი-მეთქი. კვდებოდა სიცილით.

არაჩვეულებრივი პარტნიორი იყო. არასოდეს არ ვიცოდი, რომელი მხრიდან შემოვარდებოდა სცენაზე. ერთი სპექტაკლი კი ისე დადგა, თვითონ იყო რეჟისორიც და შემსრულებელიც. პარტერიდან მაწვდიდა რეპლიკებს. პრემიერამდე არ ვიცოდი, სად იდგებოდა სპექტაკლში. ასეთი გამოუცნობი იყო...

მთვრალი დარაჯი და გამქრალი კარი

რომ გაბრაზდებოდა, აბობოქრდებოდა, მაგრამ წუთის შემდეგ აღარ ახსოვდა წყენა. ბოღმას გულში არასოდეს ჩაიდებდა.

თენგიზს სჩვეოდა, სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, უსათუოდ თეატრში შეივლიდა.

გამთენიის 5 საათია. წვეულებიდან მოვდივართ. შევიარეთ თეატრში, მივადექით მსახიობების შესასვლელ კარს. მისცა მანქანით სიგნალი, არავინ გამოვიდა. აბრახუნებს კარზე, შენც არ მომიკვდე, არ ესმის დარაჯს. გაგიჟდა თენგიზი. მივიდა კართან, იწვალა, იწვალა და ბოლოს, მარტო კი არ გააღო, მთლიანად ჩამოხსნა და გვერდით, კედელზე მიაყუდა, შევიდა განრისხებული და თავს დაადგა მთვრალ, მძინარე დარაჯს, შეანჯღრია. საწყალი კაცი ფეთიანივით წამოხტა, გოცებული იყურებოდა აქეთ-იქით. კარისკენ გაიხედა, ხედავს — არ არის! შიშით გული გაუსკდა. თენგიზმა რომ დაინახა დამფრთხალი დარაჯი, მოლბა, აღარაფერი უთქვამს.

რომ გაწვიმდებოდა, მაშინვე თეატრში გავრბოდით. ყოფილა შემთხვევა, ფოიეში წყალი შესულა და დამლაგებლის მოსვლამდე მე გამიმშრალებია იატაკი. როგორც საკუთარ სახლს, ისე ვუვლიდით თეატრის შენობას.

ჟორია და სხვები

გახსოვთ ალბათ, პერსონაჟი რომ ჰყავდა — ჟორია. ნამდვილი ჟორია ქუთაისში ცხოვრობდა. ჩვენი მეგობარი, ზურაბ სვანიძე გვიამბობდა ხოლმე მის ამბებს. თენგო ისე მოიხიბლა ამ კაცით, რომ საგანგებოდ წავიდა ქუთაისში, გაიცნო. თენგიზი ჟორიას სცენურ სახეს თავად ქმნიდა. ერთ სპექტაკლზე ჩამოვიდა ჟორია. დავსვით პირველ რიგში, დიდი ზარ-ზეიმით დამთავრდა სპექტაკლი. თენგიზმა მაყურებელს მიმართა: დარბაზში არის ნამდვილი ჟორია და მინდა წარმოგიდგინოთო. წამოდგა ჟორია. ატყდა ოვაცია. ძალიან ბედნიერი იყო.

საღამოს შინ წავიყვანეთ სტუმრად. ზამთარი იყო. თენგიზის მშობლები მოსკოვში იყვნენ. დარეკა მამამისმა. საქალაქთაშორისო ზარი რომ გაისმა, თენგიზმა ჟორიას სთხოვა: ჩვენები რეკავენ და მოდი, შენ ელაპარაკეო. მამა, როგორა ხარო, — ჰკითხა ჟორიამ. კარგი ახლა, თენგო, დამელაპარაკე ნორმალურადო, შეეხვეწა მამა. ბოლოს, თენგიზმა აიღო ყურმილი — მამა, მართლა ჟორია გელაპარაკა, მე არ ვყოფილვარო. მამამისსაც გაუჭირდა ცნობა, ისე ჰქონდა მისი პერსონაჟის მეტყველება შეთვისებული. ხშირად მეკითხებიან, — მილიციელს თუ ჰყავდა პროტოტიპიო. კრებითი სახე იყო. თენგიზი იცნობდა მილიციის თანამშრომლებს, მეგობრობდა კიდეც მათთან...

„მილიციელი“

რაიონში რომ მივდიოდით, სია დგებოდა, რომელ დღეს ვის უნდა სტუმრებოდა თენგიზი. ერთი ქუთაისელი მეგობარი კარგა ხანს არ ელაპარაკებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ მასპინძლების სიაში ვერ მოხვდა.

ლუარსაბის როლზე სინჯები გადაუღეს თენგიზს, მერე რატომღაც არ დაამტკიცეს... ეტყობა, იმდენად დარჩა გულში, რომ გადაწყვიტა, დაედგა სპექტაკლი, რომელსაც „ლუარსაბ თათქარიძე“ დაარქვა. ზურაბ რცხილაძემ და თენგიზმა გააკეთეს ილიას „კაცია-ადამიანის“ ეს ვარიანტი. თენგიზი იმაზელა წუხდა, როგორ ვითამაშო ლუარსაბი ვასო გოძიაშვილის შემდეგო... ბოლოს, მაინც ითამაშა.

რას ერჩოდნენ თენგიზს?

თაყვანისმცემლები თენგიზს ყვავილებით ხვდებოდნენ თეატრის ვიწრო გასასვლელში. ახლა იმ კედელზე წარწერაა — „კაზინო“. კაზინომ და უკეთურმა ხალხმა გვაჯობეს. სადაც ადრე თეატრი იყო, — იქ ახლა აღარაფერია. ერთი ნაძვია ეზოში (ადრე აქაურობას „გოფილექტის“ ბაღს ეძახდნენ), ისიც გახმა. შენობას ლამის მიებჯინა მუსიკალური ცენტრის კედელი... რას ერჩოდნენ თენგიზს? ყოფილიყო იმ მოკრძალებულ შენობაში მისი თეატრი.

თენგიზს ხმაურიანი, ომახიანი კაცის სახელი ჰქონდა, მაგრამ იცით, რა მიმნდობი იყო? ყველაფერი სჯეროდა. დაიჯერა, რომ მართლა აუშენებდნენ თეატრს, თორემ არ ჰქონდა პრეტენზია. 400-მდე მაყურებელი ეტეოდა დარბაზში. ყოველდღე გვქონდა სპექტაკლი.

დიდი სევდა წაიღო ამ ქვეყნიდან. სულ 55 წლისა იყო. მუსკომედიის თეატრს შეფარებული, თავის კაბინეტში იჯდა და ყურს უგდებდა, როგორ ანგრევდნენ თეატრის შენობას. ამას ემსხვერპლა. სრულიად მარტო იყო მაშინ და იმასაც კარგად ხვდებოდა, როგორ მოატყუეს.

P.S. ივნისში დაგეგმილია თენგიზ ჩანტლაძის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა. ალბათ ეს იქნება ყველაზე ღიმილიანი და იმავდროულად, მარტოსული, გამხმარი ნაძვივით ძალიან სევდიანი საიუბილეო საღამო...

ლელა ჯიყაშვილი

მკურნალობის ახალი მეთოდები პროქტოლოგიაში

მედიცინის განვითარების ყოველ ეტაპს მუდამ ახლდა თან ერთი პრობლემა; ოპერატიული ქირურგიის შესაძლო ალტერნატივა, ანუ მკურნალობის ეფექტური მეთოდი ოპერაციის გარეშე. რიგ შემთხვევებში ასეთი შესაძლებლობა რეალურად არსებობს.

ანალური არხის ნაპრალი საკმაოდ გავრცელებულ ავადმყოფობათა რიცხვს განეკუთვნება. მისი განვითარების მიზეზები მეტად მრავალფეროვანია, მათ შორის, წამყვანი როლი ენიჭება ე. წ. მექანიკურ თეორიას: ანალური არხის ნაპრალის მექანიკური დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს ქრონიკული კოლიტის ფონზე არსებულმა შეკრულობამ, განავლოვან მასებში მყოფმა მკვრივმა საგნებმა (ძვალი, ხილის კურკა, მზესუმზირას ქერქი), მძიმე ფიზიკურმა დატვირთვამ და სხვ. ხშირ შემთხვევაში, ავადმყოფობის განვითარებას ხელს უწყობს სწორი ნაწლავის ლორწოვანის ანთებითი პროცესები და ანალური არხის ელასტიურობის დაქვეითება.

დაავადება შეიძლება დაიწყოს ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, ან მწვავედ და მოულოდნელად. დამახასიათებელი სიმპტომებია სისხლდენა უკანა ტანიდან, მეტ–ნაკლები სიძლიერის ტკივილი, ხანდახან გონების დაკარგვამდეც. ხშირად, ტკივილი ვრცელდება მუცლის ქვედა არეში, წელის მიდამოში, რაც შესაძლებელია მცდარი დიაგნოზისა და არამიზანმიმართული მკურნალობის მიზეზი გახდეს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი გართულებების თავიდან აცილება თვით პაციენტსაც შეუძლია. ქრონიკული კოლიტების, გასტროენტეროკოლიტების და ბუასილის დროული მკურნალობა სწორედ ამისი საწინდარია. რაც უფრო ადრე მიმართავს ავადმყოფი ექიმს, მით უფრო მეტია შესაძლებლობა მკურნალობა წარიმართოს კონსერვატიული ანუ უოპერაციო გზით.

დაავადების ხანგრძლივად მიმდინარეობის დროს, სწორ ნაწლავში, უშუალოდ კი მის კუნთოვან ქსოვილებში ყალიბდება იმ სახის პათოლოგიური ცვლილებები, რომელთა ლიკვიდაციაც მხოლოდ ოპერატიული ჩარევით არის შესაძლებელი.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი” შემუშავებულია ანალური არხის ნაპრალის კონსერვატიული მკურნალობის კომპლექსური მეთოდიკა. მთავარი ყურადღება ეთმობა საკუთრივ ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზების (ქრონიკული კოლიტი, ბუასილი და სხვ.) გამოკვლევას, მკურნალობას და შემდგომ პროფილაქტიკას. კლინიკაში გამოიყენება ფართო სპექტრის თანამედროვე მედიკამენტები, ფიზიოპროცედურები, აღმოსავლური მედიცინის მეთოდები, ინდივიდუალურად შერჩეული დიეტა და უშუალოდ, ანალური არხის ნაპრალის მკურნალობის უნიკალური მეთოდიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა პაციენტი, რომელმაც მკურნალობის კურსი ჩაიტარა სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი”, გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმყოფება მუდმივ დისპანსერულ კონტროლზე, რათა თავიდან იქნას აცილებული პათოლოგიური პროცესების შესაძლო განვითარება.

რაც მთავარია, ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ „უხერხული” დაავადებები არ არსებობს, სამწუხაროდ, მათ ძალზე მოხერხებულად იციან ჩვენს ორგანიზმში ფესვების გადგმა და მომავალში დიდი პრობლემების მიზეზად გვევლინებიან.

სამედიცინო ცენტრი
„ექიმი გილი”
ეს 33-00-72 25-27-09
ქ. ოქროფიფქიანი N 1,
8პაქმეილ ქეფეოფლეოფლ9 ®

მედიცინა

შეკითხვა ექიმს

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენ რუბრიკას და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მივცემთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინ გიწევთ.

ჩემს 8 წლის შვილიშვილს საწოლ ოთახში დაძინებისთანავე ეწყება ხველა. ოთახში გვაქვს ყვავილები. შეიძლება თუ არა ხველა იყოს ალერგიული და დასაშვებია თუ არა საწოლ ოთახში ყვავილების გაშენება?

მკითხველი

თუ ბავშვს ხველა მხოლოდ საწოლ ოთახში ეწყება და ასეთი რამ დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება, სავარაუდოა, რომ ხველა ალერგიული ხასიათის იყოს. გამორიცხული არ არის, რომ ალერგენს მართლაც ყვავილის მტვერი წარმოადგენდეს. თუმცა ასეთივე ეჭვი შეიძლება გამოითქვას ოთახის მტვერზე, მატყლის ლოგინზე... გირჩევთ, პატარა დროებით სხვა ოთახში დააძინოთ და თუ ხველა შეუწყდება, მაშინ მისი საძინებლიდან უნდა გაიტანოთ ყველა შესაძლო ალერგენი: ყვავილები, ხალიჩები, მატყლის ლოგინი.

ყვავილები, ერთი მხრივ, სასარგებლოა ადამიანისათვის, რადგან წმენდს და უანგბადით ამდიდრებს ჰაერს, მაგრამ მეორე მხრივ, თუ ადამიანი ალერგიულია, შესაძლოა მისი დაავადების გამწვავების მაპროვოცირებელ ფაქტორად იქცეს.

ჩემს ძმას აქვს სკოლიოზი. გვყავდა მასაჟისტთან, მაგრამ ორწლიანმა მასაჟებმა შედეგი არ გამოიღო. მკურნალობის რა მეთოდს მივმართოთ?

ვ. ჯანეზაშვილი

გააჩნია, რა ასაკისაა თქვენი ძმა. სკოლიოზის მკურნალობა ეფექტიანია დაავადების განვითარების საწყის ეტაპზე, როცა ხერხემლის გაძვალება დამთავრებული არ არის. ამ პერიოდში სამკურნალოდ გამოიყენება მასაჟი, ვარჯიში, ფიზიოპროცედურა. ზოგჯერ მანუალური თერაპიაც, ხოლო როდესაც აღნიშნული მკურნალობა უეფექტოა, დეფექტი კი იმდენად დიდია, რომ სერიოზულ გართულებებს იძლევა, დგება საკითხი ოპერაციული მკურნალობის შესახებ.

ხანდახან მიყვარს არყის სმა, მაგრამ დილაობით მეწყება საშინელი თავის ტკივილი, ვარ ცუდად და თან არაფერი მშველის — არც მეთვე, არც წამლები. რატომ ხდება ასე და როგორ ვებრძოლო ასეთ ნაბახუსევს?

თქვენი ერთგული მკითხველი

როგორც ჩანს, შემკითხველს ორგანიზმში აქვს ძალიან ცოტა ფერმენტი — ალდეჰიდდეჰიდროგენაზა, რომელიც ალკოჰოლს შლის. ვურჩევთ, უარი თქვას ალკოჰოლურ სასმელზე ან უკიდურეს შემთხვევაში, სვას უფრო მსუბუქი სასმელი — მაგალითად, ღვინო. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ღვინო ნაკლებად საშიშია ჯანმრთელობისათვის. უფრო მეტიც, როდესაც არაყს დაამატეს ყურძნის ექსტრაქტი (გამონაწვლილი), რომელიც ღვინის ყველა სასარგებლო კომპონენტს შეიცავდა, ამით არყის მათრობელი თვისება გაიზარდა, ხოლო ნაბახუსევის სინდრომი გაცილებით მსუბუქი გახდა, გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე ტოქსიკური ზემოქმედებაც შემცირდა. დადგენილია ისიც, რომ მაგარი სპირტიანი სასმელები უფრო ადვილად იწვევს ალკოჰოლიზმის განვითარებას და მისი მკურნალობა საკმაოდ რთულია.

კარაბადინი

თქვენს გაზეთში წავიკითხე მრავალი სასარგებლო რეცეპტი, რომლებიც უკვე ბევრჯერ გამომადგა. ძალიან მომწონს ახალი რუბრიკა „კარაბადინი“, სადაც უკვე მკითხველსაც მიეცა საშუალება, საზოგადოებას გააცნოს თავისი გამოცდილება ხალხურ მედიცინაში. ახლა გიგზავნით რეცეპტს, რომლის გამოყენებითაც შევძელი თავი დამეღწია შემაწუხებელი დაავადებისაგან — შარდის შეუკავებლობისაგან. ვიცი, რომ ეს პრობლემა ბევრ ასაკოვან ადამიანს აწუხებს, განსაკუთრებით — ქალებს, ამიტომ გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩემი წერილი, რათა ადამიანებს შვება მიეცეთ. თანაბარი რაოდენობით შეურიეთ კრაზანა და ასისთავა, აიღეთ ამ ნარევის 2 ს/კ დაასხით 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი, დადგით მდულარე წყლის ორთქლზე 15 წუთი, შემდეგ შეაგრილეთ, გადაწურეთ და სვით, როგორც ჩაი. მკურნალობის კურსი 20 დღეა, შეისვენეთ 1 თვე და ისევ გაიმეორეთ.

ია გობეჩია

ექიმის კომენტარი კრაზანა მრავალმხრივი ფარმაკოლოგიური მოქმედებით გამოირჩევა. აღსანიშნავია მისი ანტიბაქტერიული, სპაზმოლიტური (სპაზმების მომხსნელი), ანთების საწინააღმდეგო, ნივთიერებათა ცვლის მომწესრიგებელი ზემოქმედება ორგანიზმზე. ნერვულ სისტემაზე კი მოქმედებს როგორც ნერვული აღგზნების მარეგულირებელი საშუალება; ამდენად, ეს მცენარე საშარდე გზებთან დაკავშირებული პრობლემების დროს ფართო სპექტრის მოქმედების პრეპარატს წარმოადგენს. აცხრობს ანთებით პროცესს, ებრძვის ინფექციას, არეგულირებს საშარდე გზების მაინერვირებელ ნერვულ იმპულსებს. წმენდს თირკმლებს და შარდსაწვეთებს მარილოვანი ნალექებისაგან.

რაც შეეხება ასისთავას, იგი ფიტოთერაპიაში ძირითადად კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს გამოიყენება, როგორც საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების გამააქტიურებელი და ნაწლავთა პერისტალტიკის გამაძლიერებელი საშუალება, რაც შარდის შეუკავებლობის დროს უდავოდ მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან მუცლის შებერვა, ყაბზობა შარდის შეუკავებლობის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.

ამდენად, აღნიშნული რეცეპტის ორივე კომპონენტი საშარდე სისტემაზე დადებითი ფარმაკოლოგიური ეფექტის მქონე სამკურნალო მცენარეა და მათი მიღება ნამდვილად გამოიღებს შედეგს შარდის შეუკავებლობის დროს თუ იგი ფუნქციური ხასიათისაა, მაგრამ თუ ეს პათოლოგია ორგანული ბუნებისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სიმპტომი (ნიშანი) მეორადადაა გამოწვეული რაიმე სხვა დაავადებით, მაგალითად, საშვილოსნოს დაწევით ან შარდის ბუშტის პათოლოგიით, ასეთ შემთხვევაში უნდა მიმართოთ შესაბამის ექიმ-სპეციალისტს.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

ძვირფასო მკითხველო! იმის გამო, რომ შეკითხვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ჩვენი რუბრიკა ყოველთვის ვერ იტევს ყველა მათგანს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ ფურცლებზე მოგაწოდოთ. ეს ჟურნალი უკვე „კვირის პალიტრის“ დამატებას წარმოადგენს და 12 დეკემბრიდან გამოსაწერად ხელმისაწვდომია.

უძილობის მიზეზი კომპიუტერია



როგორც იქნა, მეცნიერებმა აღმოაჩინეს უძილობის ეპიდემიის მიზეზი, რომელმაც მოიცვა რიგი განვითარებული ქვეყნებისა. თურმე, ყველაფერში დამნაშავეა კომპიუტერი. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ადამიანი დიდ რისკზე მიდის, თუ ეკრანის წინ დღეში 5 საათზე მეტს ატარებს. გარდა უძილობისა, შეგაწუხებთ საშინელი თავის ტკივილი და ტკივილი ხერხემლის არეში. აგრეთვე ფსიქიკური მოშლილობა, რომ აღარაფერი ვთქვათ მხედველობის ჯერ დაღლაზე და რაღაც პერიოდის შემდეგ დაქვეითებაზე. 3 წლის მანძილზე მეცნიერები აწარმოებდნენ დაკვირვებებს და დაადგინეს, რომ 5-საათიანი მუშაობის შემდეგ ჩნდებოდა ფსიქიკასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც არ იყო დამოკიდებული კომპიუტერის ტიპზე და მუშაობის ხასიათზე.

ოჯი

გაუფრთხილდით სმენას!

სასმენი აპარატურის სპეციალისტების მონაცემებით, პლეიერის ბგერის ძალა შეიძლება აღწევდეს 114 დეციბელს. ეს საკმაოდ ძლიერია. დისკოთეკებზე კი ხმაურის დონე — 90-100 დეციბელია. მაგრამ იქ ხომ ადამიანი სისტემატურად არ დადის. ტრანსპორტში მოსასმენი აპარატურის გამოყენება სასურველი არ არის და ძალზე მავნებელიცაა.

მეტროში მატარებლის ხმაური ზრდის ვიბრაციას. ახალგაზრდობა ხშირად დადის დისკოთეკებზე, ეტანება ხმაურიან მუსიკას, რაც აქვეითებს სმენას, მოქმედებს ტვინის ქერქზე, იწვევს სპეციფიკურ ასოციაციებს, იმორჩილებს ორგანიზმის მთელ ფუნქციებს.

ძალზე სასარგებლოა დაბალი ხმოვანების ჩანაწერების — ზღვის, წვიმის ხმაურის, ტყის შრიალის მოსმენა. იგი ამშვიდებს ადამიანს, რიტმულად სცემს გული, თავისუფლად სუნთქავს ფილტვები.

მირ ნოვოსტეი №5

თმა და ტემპერატურა

ინგლისელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ხშირი თმის ქონა პირდაპირ კავშირშია ტემპერატურასთან. რაც უფრო თბილია კლიმატი, მით ხშირი თმა აქვთ ადამიანებს. ამიტომაცაა, რომ ცხელ ქვეყნებში ნაკლებად შეხვდებით მელოტ მამაკაცებს — ამ დასკვნის საფუძველზე ექიმი კრიშნა ნულია სიქაჩლის ელექტრონით მკურნალობას აპირებს.

სუსტი ელექტრული მუხტი სისხლის მიმოქცევას არეგულირებს და თმის ძირებს უანგბადით ამარაგებს.

საკმარისია ელექტროთერაპიის რამდენიმე სეანსი, რომ თმის ცვენის პროცესი შეჩერდეს. თუ პროცედურას რამდენიმე კვირას გავაგრძელებთ, შეიძლება თმის ზრდასაც მივაღწიოთ.

მედიცინა №2

საქორწინო ბეჭედი და...

ბევრი მამაკაცის გაუცნობიერებელ უარს, ნიშნობის ბეჭედს არ ვატარებო, სამედიცინო თვალსაზრისით მყარი არგუმენტი აქვს. ტოკიოს სექსოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ ისინი, რომლებიც ნიშნობის ოქროს ბეჭედს არ ატარებენ, ნაკლებად ავადდებიან სქესობრივი დაავადებებით. თურმე, კანთან ხანგრძლივი შეხების გამო, ოქრო შხამიან ელემენტებს გამოჰყოფს. ოქსიდები სისხლში ხვდება და უარყოფით გავლენას ახდენს მამაკაცის სასქესო ჯირკვლებზე.

ქალებზე ნაკლებად ახდენს მავნე ზეგავლენას ოქრო და თან იმიტომ, რომ ქალები ღამღამობით ბეჭდებს იხსნიან, — ირწმუნებიან იაპონელი მეცნიერები.

ზდოროვიე №2

ჩიყვის ხალხური სამკურნალო საშუალებები

— ყელზე გაიკეთეთ ნატურალური ქარვის მძივი.

— ყოველდღე გაიწმინდეთ ჩიყვიანი ადგილი ახალ-ახალი გამხმარი მუხის დამბალი ქერქით, რომელიც ასევე შეიძლება დაიფინოთ ყელზე, შეიხვიოთ და ატაროთ მანამ, სანამ არ გაშრება.

— მწიფე ვაშლი შეიცავს იოდს. ამიტომ, ეს ხილი ჩიყვით დაავადებულთა პროფილაქტიკისათვის ერთ-ერთი ბრწყინვალე საშუალებაა.

— არც ერთი ნაყოფი არ არის ისე მდიდარი იოდით, როგორც შავნაყოფიანი ასფურცელა: 1 კგ ნაყოფი გაატარეთ ხორცსაკეპში, დაამატეთ 1 კგ შაქარი, კარგად აურიეთ და მიიღეთ 1 ჩ/კ 3-ჯერ დღეში. ნარევი რეკომენდებულია სკლეროზისა და ჩიყვის დროს.

სხვათა შორის, ამ ნაყოფის მიღება შეიძლება ნებისმიერი სახით: ახალი, გამხმარი, წვენი, კომპოტი, მურაბა; გამხმარი კენკრა შეიძლება მიიღოთ ჩაის სახითაც.

— ლიმონი და ფორთოხალი სასარგებლოა მიიღოთ ფარისებრი ჯირკვლების გადიდების საწყის სტადიაზე, ასევე ჰიპერტონიის დროს: ნახევარი ლიმონი კანიანად გახეხეთ და შეურიეთ თანაბარი რაოდენობის შაქარი. მიიღეთ 1 ჩ/კ ნარევი 3-ჯერ დღეში.

— ზღვის კომბოსტო რეკომენდებულია ჩიყვისა და ათეროსკლეროზის სამკურნალოდ.

— შავბალახას ახალგამოწურული წვენის 40 წვეთი შეურიეთ 1 ს/კ წყალს და მიიღეთ 3-ჯერ დღეში — ფარისებრი ჯირკვლების გადიდების დროს.

საზამთროდ შავბალახას წვენს ასე ინახავენ: 2 წილ ბალახის წვენს შეურიეთ 3 წილი სპირტი. გააჩერეთ 4-5 დღე-ღამე. დღეში მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ წყალში გახსნილი 20-30 წვეთი, ერთი თვის განმავლობაში. შეისვენეთ ერთი თვე და გაიმეორეთ.

— 4-5 ცალ ალუბლის ფოთოლს (მოკრიფეთ გაკვირტვიდან ერთი თვის შემდეგ) დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი და ადუღეთ. ნახარშს სვამენ როგორც ჩაის.

— კაკლის ყველა ნაწილი შეიცავს დიდი რაოდენობით იოდს.

ჭყინტი კაკალი (დაკრიფეთ მაისი-ივნისში) გაატარეთ ხორცსაკეპში და შეურიეთ თაფლი (1:1). ყოველდღე მიიღეთ 1 ჩ/კ ნარევი 2-ჯერ დღეში ერთი თვის განმავლობაში.

ტაინაია ვლასტ №1

კივი — ნობათი მსუქნების, ჰიპერტონიკებისა და გულით დაავადებულთათვის

კივის, რომელიც მწვანე ხავერდისებრ კარტოფილს მოგვაგონებს, XV ს-ის ჩინურ წყაროებში იხსენებენ, როგორც დეკორატიულ მცენარეს და უწოდებენ ჩინურ ხურტკმელს, დღეს ის ცნობილია, როგორც კალიუმითა და ვიტამინით (რომლის რაოდენობითაც აჭარბებს ლიმონსა და შტოშს) მდიდარი და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ნაყოფი.

კივი ჰიპერტონიკებისა და გულით დაავადებულთათვის ერთ-ერთი აუცილებელი პროდუქტია, რადგან არა მარტო ამცირებს წნევას, არამედ კვებავს გულის კუნთსაც:

— 2-3 ც კანგაცლილი კივი დაჭყლიტეთ, დაამატეთ 1 ს/კ შაქარი (ან თაფლი) და მაშინვე შეჭამეთ.

— ვისაც გასტრიტი (დაქვეითებული მჟავიანობით) ან შეკრულობა აწუხებს — საჭიროა მიიღოს დღეში 100გ კივი.

— კუჭქვეშა ან წინამდებარე ჯირკვლების დაავადებისას ჩაიტარეთ ერთკვირიანი მკურნალობა. 1-2 ც კანგაცლილი კივი ფაფისებურად გახეხეთ და მიიღეთ დღეში 2-ჯერ, ჭამამდე.

— მსუქნებისთვის სასარგებლოა კვირაში ერთხელ კივით განმტვირთავი დღე — შეგიძლიათ მიირთვათ 1 კგ-მდე კივი.

ცელებნიკი №3

„ქოლგეითს“ მეტოქე გამოუჩნდა

1500 წლით ადრე, ვიდრე ამერიკელი ქოლგეითი 1873 წელს კბილების პასტებს გამოუშვებდა, ძველი ეგვიპტელები კბილების სახეხად საგანგებო ნარევს ხმარობდნენ. ნარევი ქვამარილის, პიტნის, გამხმარი ირისისა და პილპილისაგან შედგებოდა. უძველეს რეცეპტს ახლახან ვენაში, დანტისტების კონგრესზე გაეცნენ. „მართალია, ღრძილებიდან სისხლი მომდის ახალ ნარევს შეუჩვეველს, მაგრამ ძველეგვიპტური რეცეპტი იმას მაინც სჯობს, რაც მისტერ ქოლგეითმა შემოგვთავაზა“, — აღიარა ერთმა სტომატოლოგმა.

ოკნა №4

ერაყი

მზადება ომისათვის

პერსონალური კომპიუტერების მქონე ერაყელები ბოლო დღეებში შეტყობინებებს იღებენ. ვინმე ამერიკელი მათ მოახლოებული საფრთხის შესახებ ამცნობს და ურჩევს, საკვები, წყალი და ტანსაცმელი მოიმარაგონ.

ერაყის ხელისუფლებამ დიდ ქალაქებში სანგრების გათხრის ბრძანება გასცა. თავდაცვის სამინისტროს პერსონალმა სამხედრო ფორმა — სამოქალაქოთი შეიცვალა — მათ არ სურთ ომის დაწყების შემთხვევაში სამიზნედ იქცნენ.

საინტერესოა ერთი ტენდენციაც, ბევრი ერაყელი ომს შიშით კი არა, იმედის თვალით შეჰყურებს. ფიქრობენ, ომი სწრაფად დასრულდება და ეგებ ქვეყანას ეშველოსო. დღეს ბაღდადში უჩვეულო აღებმიცემობაა. მიწის ნაკვეთები ფანტასტიკურად გაძვირდა, განსაკუთრებით ყოფილი ამერიკის საელჩოს ახლომახლო. შეძლებული ერაყელები თვლიან, რომ ჰუსეინის დამხობის შემდეგ ერაყში პროამერიკული რეჟიმი დამყარდება და ამერიკის საელჩოს ირგვლივ ბაღდადის ახალი ცენტრი შეიქმნება.

ნიუზიქი

ისრაელი

შარონი შესაძლოა ბელგიაში გაასამართლონ

ბელგიის უზენაესმა სასამართლომ პალესტინელთა 23-კაციანი ჯგუფის (ისინი ამჟამად ბელგიის მოქალაქენი არიან) მიერ შეტანილ აპელაციაზე დაყრდნობით მიიღო არიელ შარონის გასამართლების გადაწყვეტილება. მაგრამ ეს მხოლოდ მისი გადადგომის შემდეგ მოხდება. 1982 წელს ლიბანის ოკუპაციის დროს გადარჩენილი 23 პალესტინელი ისრაელის პრემიერ-მინისტრს, რომელიც იმ პერიოდში თავდაცვის მინისტრი იყო, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულში, კერძოდ კი დევნილთა ბანაკებში დაახლოებით 2000 ადამიანის დაღუპვაში სდებს ბრალს.

მასობრივი მკვლელობები ისრაელელთა მოკავშირეების, ლიბანელ ქრისტიანთა ბრიგადების ხელით ხორციელდებოდა. ტრაგედიის შემდეგ შარონი იძულებული იყო, თავდაცვის მინისტრის პოსტი დაეტოვებინა. შარშან, ზაფხულში, ბელგიის უზენაესი სასამართლოს დაბალმა ინსტანციამ დაადგინა, რომ შარონის საქმეს ვერ განიხილავს ბელგია, რადგან ის ამ ქვეყნის მოქალაქე არ არის. მაგრამ ბელგიის პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა ქვეყნის კანონმდებლობაში, რომლის თანახმად, სამხედრო დანაშაულთან დაკავშირებული საქმეები სასამართლოს შეუძლია განიხილოს იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა და სად იმყოფება ბრალდებული. ბელგიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ ისრაელმა ბელგიიდან თავისი ელჩი საკონსულტაციოდ გიწვია.

ინტერფაქსი

რა ეშველება დსთ-ს

თანამეგობრობას ახალი თავმჯდომარე ჰყავს — ლეონიდ კუჩმა. რუსეთის თორმეტწლიანი მონოპოლია დამთავრდა. რა შეიძლება მოჰყვეს ამას? გარეგნულად ყველაფერი სავსებით დემოკრატიულად გამოიყურება. რა მოხდა ასეთი? თუ ევროკავშირის ხელმძღვანელი შეიძლება მთელ წელიწადს იყოს ჯუჯა ლუქსემბურგის თავკაცი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა რითია უარესი?

გამორიცხული არ არის, დსთ-ის თავმჯდომარედ კუჩმას დანიშვნა იმასთანაც იყოს დაკავშირებული, რომ ფიქრობენ — თუ ამ ორგანიზაციამ ჩაილურის წყალი უნდა დალიოს, სჯობს ეს რუსეთის თავმჯდომარეობის დროს არ მოხდესო.

დღეს დსთ-ის წევრები ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი. პირველის (უკრაინა, უზბეკეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, აზახეთი და ყირგიზეთი) მიმართ აშშ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს და რუსეთს აგრძნობინა, რომ არ დაუშვებს ამ სახელმწიფოების დაბრუნებას მისი გავლენის სფეროში. უახლოეს 10 წელიწადში უკრაინა ნატოს წევრი გახდება, 15 წლის შემდეგ საქართველოც შევა, თუ ნატო იმ დროისთვის არ დაიშალა. მეორე ჯგუფში შედის — ბელორუსია, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, სომხეთი, მოლდავეთი. აშშ-ს ეს ქვეყნები ნაკლებად აინტერესებს.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ თითქმის ყველა რესპუბლიკის ხელისუფლებაში ეროვნული კადრები მივიდნენ, ამიტომაც რუსეთი მათგან კეთილმეზობლურ, გულწრფელ დამოკიდებულებას არც ელის. არც თავად რუსეთშია საქმე მარტივად, მმართველი ელიტის დიდი ნაწილი პროდასავლურადაა განწყობილი. მათთვის მთავარია ურთიერთობა ამერიკასთან, ევროპასა და ჩინეთთან. რუსეთს მეზობლები, ე.წ. „ახლო საზღვარგარეთი“ — დსთ-ის ქვეყნები, ნაკლებად აინტერესებს, მეზობლებს ღობით ემიჯნება, ამავე დროს მსოფლიო საზოგადოებრიობაში ინტეგრირებას ცდილობს. ამის შედეგი კი როგორია? ყველაზე მკაფიო მაგალითი საქართველოა. ეს ქვეყანა, რომელიც მთელი კავკასიის გასაღებია, ჩვენთვის თითქმის დაკარგულია. ედუარდ შევარდნაძეს ალბათ არ შეცვლის პრორუსულად განწყობილი პოლიტიკოსი.

დსთ-ის დასაფლავება ხელს არ გვაძლევს, რადგან, პირველ რიგში, ეს არის ეკონომიკური სივრცე, სადაც რუსეთის საქონელი ჯერ კიდევ კონკურენტუნარიანია. და ეს მარტო ნავთობი და გაზი როდია. თანაც ჩვენი უსაფრთხოება მეტ-ნაკლებად დსთ-ის ქვეყნებზეა დამოკიდებული და იმაზეც, თუ ვისი გავლენის ქვეშ მოექცევიან ისინი.

არგუმენტი ი ფაქტი №6

აზერბაიჯანი გორბაჩოვს უჩივის

აზერბაიჯანის ხელისუფლება აპირებს საერთაშორისო სასამართლოში უჩივლოს მიხაილ გორბაჩოვს, რომელსაც ბაქოში 1990 წლის 29 იანვრის ტრაგიკული მოვლენების მთავარ დამნაშავედ მიიჩნევს. შეგახსენებთ, რომ მაშინ აზერბაიჯანის დედაქალაქში შეიყვანეს ჯარის ნაწილები. შეტაკებებში დაიღუპა 131 მოქალაქე, 744 დაიჭრა.

ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია, რას გადაწყვეტს ჰააგის სასამართლო ამ საქმის გამო, მაგრამ ბევრმა აზერბაიჯანელმა ეს უკვე დაუკავშირა წინასაპრეზიდენტო არჩევნებს. სკანდალური ინიციატივის გამო ატეხილ ხმაურში რატომღაც მიჩუმათდა ერთი დეტალი — კავკასიაში მუსლიმანთა მმართველობის თავკაცს, შეიხ ალ-ისლამ ალაპშუქურ ფაშაზადეს მიაჩნია, რომ გორბაჩოვთან ერთად უნდა გასამართლდეს ევგენი პრიმაკოვი. ხელისუფლებაში ჰეიდარ ალიევის მოსვლის შემდეგ სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს ყოფილი წევრის სახელი „შავი იანვრის“ საქმეებიდან გაქრა. დამკვირვებლები ამ მეტამორფოზას ხსნიან ალიევის გულთბილი დამოკიდებულებით პრიმაკოვის მიმართ. „90-იანი წლების დამდეგს ძიების მასალების ნაწილი მოსკოვს გადაეგზავნა, ის აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს ბაქოს, მათ გარეშე გორბაჩოვის დამნაშავეობის დადგენა გაძნელდება“, — ამბობს შეიხი.

მოსკოვსკიე ნოვოსტი №4

შრედერი ერაყს მშვიდობიანი გზით განაიარაღებს

ჯერ კიდევ შესაძლებელია ერაყის პრობლემის მშვიდობიანად გადაწყვეტა. სპარსეთის ყურეში ომის თავიდან ასაცილებლად გერმანია, საფრანგეთი და რუსეთი ყველაფერს იღონებენ, — განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გენერალურმა კანცლერმა, — ჩვენ შეგვიძლია ერაყი უომრად განვაიარაღოთ და ჩემს მოვალეობად მივიჩნევ ამ შანსის გამოყენებას, — დაურთო მან. შრედერის თქმით, ერაყზე თავდასხმა ისლამურ ქვეყნებში ტერორიზმს გააძლიერებს.

გერჰარდ შრედერი შეეცადა მოეგერიებინა ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლები, რომლებმაც ის ბერლინსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობის დაძაბვაში დაადანაშაულეს.

შტერნი

სპარსეთის ყურეში 150 ათასი აშშ-ის ჯარისკაცი იმყოფება

პენტაგონის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სპარსეთის ყურეში უკვე აშშ-ის 150 ათასი სამხედრო პირი იმყოფება. რეგიონში ჯარისკაცების გაგზავნა განსაკუთრებით ბოლო დღეებში დაჩქარდა. ცხადი ხდება, რომ საჭიროებისას ჯორჯ ბუშს ომის დასაწყებად საკმაო რაოდენობით ჰყავს ჯარისკაცი, მაგრამ ჩანს, პენტაგონი კიდევ ორი კვირით აყოვნებს ერაყზე თავდასხმას. სპარსეთის ყურეში დამატებით უნდა გადაიყვანონ ავიადივიზიისა და ქვეითი ჯარის ნაწილები. ისინი თებერვლის ბოლოს ჩავლენ დანიშნულების ადგილზე, მაშინ უკვე სპარსეთის ყურეში მყოფ ამერიკელ სამხედროთა რაოდენობა 200 ათასს მიაღწევს.

აშშ-ის არმიის სპეციალური ქვედანაყოფები მოქმედებენ ერაყში. ისინი ნიადაგს ამზადებენ იმისთვის, რომ მაქსიმალურად სწრაფად დაიპყრონ ტერიტორია. ერაყში დისლოცირებულ სპეცგანყოფილებებს დავალებული აქვთ, კავშირი დაამყარონ ჰუსეინის რეჟიმის მოწინააღმდეგეებთან, უნდა ააგონ ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალებისთვის ასაფრენ-დასაფრენი ზოლები. პენტაგონის მიერ დამუშავებული გეგმა განსხვავდება 1991 წელს სპარსეთის ყურეში ჩატარებული სამხედრო ოპერაციისგან. ამჯერად ომი ალბათ დაიწყება არა მასობრივი დაბომბვით, არამედ სახმელეთო ოპერაციებით, რაც მთელი ერაყის დაპყრობის საშუალებას მისცემთ და მხოლოდ ამის მერე (თუ საჭირო გახდა) დაიწყება მასობრივი დაბომბვა.

ლენტა.რუ

მოკლედ

ერაყის ომის მოწინააღმდეგეთა ყველაზე ხალხმრავალი გამოსვლები ნიუ-იორკსა და ლონდონში გაიმართა. ანტისამხედრო აქციები შედგა აგრეთვე ბერლინში, პარიზში, რომში, ათენში, ტოკიოში, ამსტერდამში.

ირანის უზენაესმა სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეუცვალა ცნობილ ირანელ რეფორმატორს ჰაშემი აღაჯარის, რომელიც ისლამის შეურაცხყოფისთვის დააპატიმრეს.

პალესტინის ავტონომიის თავკაცმა ევროპელი და ამერიკელი დიპლომატების მოთხოვნით გადაწყვიტა, შემოიღოს პრემიერ-მინისტრის პოსტი. მართალია, მას არც კანდიდატი დაუსახელებია და არც ის დაუზუსტებია, როდის მოხდება ეს, მაგრამ ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ავტონომიას აუცილებლად ეყოლება პრემიერ-მინისტრი. ეს კი არაფატს ჩამოაცილებს ხელისუფლებას და მის თანამდებობას სიმბოლურს გახდის.

რია-ნოვოსტი

გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ

საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი (MBG) – ევროპული სტანდარტი ქართულ რეალობაში

ქართული რეალობა და ევროპული სტანდარტი. ეს ორი ცნება მრავლისმომცველია და ერთმანეთისაგან განსხვავებული. ბოლო ათწლეულის მანძილზე მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების გამო კი მეტად აქტუალური გახდა და შესაბამისად ხშირად ისმის კითხვა თუ რამდენად შეთავსებადია ერთმანეთთან ზემოთ ხსენებული ორი განზომილება?

დასავლური სტანდარტების ზეგავლენა ყველა სფეროში იგრძნობა, განსაკუთრებით კი ბიზნესში. ყველაზე მეტად შეთავსებადობა საბანკო სექტორში აისახა – ნათელი დასტური ამისა არის საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი ემ-ბი-ჯი, რომლის აქციათა 100%-ის მფლობელები სოლიდური უცხოური ბანკები და ფინანსური ორგანიზაციები არიან. აქციონერთა სტრუქტურა დღეისათვის შემდეგია:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) – 10%

ჰოლანდიის სახელმწიფო განვითარების ბანკი (FMO) – 10%

კომერცბანკი Commerzbank AG – 15%

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC) – 16%

გერმანის სახელმწიფო განვითარების ბანკი (KFW) – 20%

საერთაშორისო მიკროსაინვესტიციო კომპანია, (IMI) – 29%

თუ გერმანული ჟურნალის "Die Bank" - ის მიერ შედგენილ გერმანული ბანკების რეიტინგს გადავხედავთ საინტერესო დეტალს აღმოვაჩენთ, ცხრილში მოყვანილია გერმანის 10 საუკეთესო ბანკი. რეიტინგი 2001 წლის მონაცემების საფუძველზეა შედგენილი. სასიამოვნო ფაქტია, რომ ათეულში შესაბამისად მე-4 და მე-9 პოზიციები უჭირავთ ემ-ბი-ჯი ბანკის აქციონერებს კომერცბანკსა და გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკს (KfW).

ადგილი	ბანკი	აქტივები მილიონ ევროში
1	Deutsche Bank AG	918,222
2	Bayerische Hypo- und Vereinsbank AG	728,170
3	Dresdner Bank AG	506,683
4	Commerzbank AG	501,312
5	Westdeutsche Landesbank Girozentrale	431,910
6	DZ Bank AG	364,600
7	Bayerische Landesbank Girozentrale	325,825
8	Landesbank Baden-Wuerttemberg	302,020
9	Kreditanstalt fuer Wiederaufbau (KfW)	244,883
10	Norddeutsche Landesbank Girozentrale	199,855

არსებობის სამი წლის მანძილზე საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი, ემ-ბი-ჯი ქვეყნის ერთ-ერთ უმძლავრეს ბანკად ჩამოყალიბდა. ამას პირველ რიგში განაპირობებს საბანკო საქმის წარმართვის გერმანული პრინციპები და ორიენტაცია მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებზე, მოსახლეობის იმ კატეგორიაზე, რომლებიც ქმნიან ეროვნული ეკონომიკის საფუძველს.

აღსანიშნავია, რომ ბანკის აქციონერები ერთობ კმაყოფილები არიან მიღწეული შედეგებით და ბანკის მენეჯმენტს აბსოლუტურ მხარდაჭერასა და თანადგომას უცხადებენ. სწორედ ამის დასტურია ის ფაქტი, რომ 2002 წლის ნოემბერში აქციონერთა ასამბლეამ საქმიანობის გაფართოების მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის 10.000.000 ლარიდან 20.000.000 ლარამდე გაზრდის შესახებ. კაპიტალის გაზრდის პროცესი უკვე დასრულებულია, მასში ბანკის ყველა აქციონერმა შეიტანა საკუთარი წვლილი.

ის გარემოება, რომ საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკმა შეძლო დასავლური სტანდარტების დამკვიდრება საბანკო სექტორში მხოლოდ ჟურნალისტებისა და მოსახლეობის შეხედულება არ არის, ამ ფაქტმა ოფიციალური აღიარებაც მიიღო, კერძოდ კი 2002 წლის დეკემბერში საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ გამოცემათა სამსახურმა შეაჯამა წლის ტრადიციული კონკურსის ეროვნული ეკონომიკის მეწინავენი — 2001-ის შედეგები. ნომინაციაში, წლის საუკეთესო უცხოური კომპანია, პირველი პრიზი საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკმა დაიმსახურა.

სასიხარულოა, რომ საქართველოში არსებობს ბანკი, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენებზეა ორიენტირებული და თავისი საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

R

ხარებამ ჰკითხა გოგიას, რომელი... ფული სჯობია?

დღეს ბევრს უჩნდება კითხვა, რომელი ვალუტით შეინახოს დანაზოგი, ლარს ვერ ენდობიან, დოლარი და ევრო კი ისეთი თავგამეტებით ეჯიბრებიან ერთმანეთს, ძნელი სათქმელია, ვინ დარჩება მოგებული. ხარებას და გოგიას რა უჭირდათ, იმ დროს ვალუტის არჩევა პრობლემას არ წარმოადგენდა. ნიკოლოზის ოქროსთუმნიანი საუკეთესო საშუალება იყო ფულის მუთაქაში შემნახველებისთვის. დღეს ნაღდი ფულის შენახვა ბანკშიც და „ბანკაშიც“ (სამლიტრიანს ვგულისხმობ) ერთობ სარისკოა, რადგან, ევრო ჯერ ვერ დგას მთლად მყარად, ხოლო მარადმწვანე დოლარს „შემოდგომა“ შეეპარა...

ჩვენ შევეცდებით აგიხსნათ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიზეზები და თუ ზედმეტი ლარები დაგიგროვდათ, თქვენ თვითონ არჩიეთ, რომელ ვალუტაზე გირჩევნიათ მათი გადაცვლა.

რატომ დაეცა „ამერიკელი“

ყველაფერი 11 სექტემბერს დაიწყო. ბოინგები, ფაქტობრივად, მსოფლიო სავაჭრო ცენტრთან ერთად ამერიკის ეკონომიკასაც შეასკდნენ. დაეცა აქციები და დოლარიც ქვეშ მოიყოლა. თუმცა ამერიკელების „უიღბლობა“ ამით არ დასრულებულა, ვიღაც „უნამუსოებმა“ საკუთარი კომპანიების დოკუმენტაცია გააყალბეს და კიდევ უფრო დაუკარგეს ინვესტორებს დოლარისადმი ნდობა. აშშ-ისთვის ამ მძიმე პერიოდში, ქვეყნიდან გავიდა „არაბული“ ფული, ეს კი ასობით მილიარდი ნავთობდოლარია. არაბ შეიხებს არ მოეწონათ ტერორიზმთან დაკავშირებული „ჰიგიენური“ შემოწმების პერსპექტივა და სასწრაფოდ დახურეს ანგარიშები ამერიკულ ბანკებში. ამ ყველაფერს დაემატა ომი ავღანეთში (რომელმაც უზარმაზარი თანხები შთანთქა) და მზადება ახალი ომისთვის ერაყში (რომელიც კიდევ უფრო მეტი დაჯდება). გაძვირდა ნავთობი, რომელიც ამერიკული ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, შესაბამისად გაიზარდა იმ პროდუქციის თვითღირებულება, რომელსაც ამშვენებს წარწერა „MADE in USA“. გაძვირების დასაბალანსებლად ამერიკელებს დოლარის გაუფასურება მოუხდათ.

რამ „დაავაჟკაცა“ ევრო

აშშ-დან „გამოქცევის“ შემდეგ, „არაბული“ მილიარდები სად უნდა დალექილიყო, თუ არა „ბებერი ქალბატონის“ კლანჭებზე. მით უმეტეს, რომ ევროპა ცდილობს, არ ჩაერიოს ამერიკა-ერაყის „სასიყვარულო“ ურთიერთობებში და დღეს ყველაზე სტაბილურ საინვესტიციო არეს წარმოადგენს. ამ გარემობაში ევროც „დავაჟკაცდა“. ევროპელი ინვესტორებიც კი მიიჩნევენ, რომ ფული ოკეანის გაღმა არ უნდა გაუშვან და

არავინ იცის, როდის აღიდგენს დოლარი დაკარგულ პოზიციებს, თუმცა ანალიტიკოსების უმრავლესობა ამაში დარწმუნებულია...

შინ უნდა დააბანდონ.

ჩვენ რას გამოვრჩებით

ამერიკა და ევროპა სავალუტო კუნთებს ათამაშებენ, რას უნდა ველოდოთ ჩვენ და რა ხეირი უნდა ვეძებოთ ამ სიტუაციისგან?

ჩვენ რომ დალაგებული ეკონომიკა გვქონდეს, ევროს გაძვირება დადებითად იმოქმედებდა ადგილობრივ მწარმოებლებზე, რადგან იმპორტის დიდი ნაწილი საქართველოში ევროპიდან შემოდის. ხოლო თუ ევრო გაიზარდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იმპორტი გაძვირდა და ადგილობრივ მწარმოებელს სტიმული მიეცემა. მაგრამ ჩვენი ეკონომიკა ძალიან შორსაა ნორმალური დონისგან და ამიტომ ზემოთ ხსენებული „სიკეთე“ ჩვენგან შორსაა. შეიძლება პირიქითაც მოხდეს, რუსეთშიც დიდია ევროპული იმპორტის მოცულობა. ამიტომ იქაური მეწარმეები შვებას იგრძნობენ და წარმოებასაც გაზრდიან. ჩვენი პარტიზან-კონტრაბანდისტები კი მათ ნაწარმს ყოველგვარი განბაჟების გარეშე „დინამოს“ ბაზრობაზე ჩამოცლიან და ქართულ ვითომცდა „ეკონომიკას“ კიდევ ერთ ალიყურს აჭმევენ.

მოსახლეობის დანაზოგების სტრუქტურაში ცვლილებები ალბათ განხორციელდება, მაგრამ არა კარდინალურად. ჭკვიანი კაცი დოლარს ევროზე არ გადაახურდავებს, რადგან ბანკები კონვერტაციისთვის ისეთ საფასურს ითხოვენ, რომ ეს პროცედურა მოსახლეობისთვის წამგებიანი ხდება. რაც შეეხება ლარის გადახურდავებას, ალბათ ეროვნული ვალუტის მასა ორად გაიყოფა. ნაწილი ევროზე დახურდავდება, ნაწილი — დოლარზე. თუმცა ევროებიანი ქართველების რაოდენობაზე კურსის გარდა ის ფაქტორიც იმოქმედებს, რომ ევროპის ქვეყნებში სამუშაოდ თუ სასწავლებლად წასული ჩვენი თანამოქალაქეები ნათესავებს ევროს გამოუგზავნიან და არა დოლარს. ეს კი საგრძნობლად დიდი ფულადი მასაა ჩვენნაირი ქვეყნისთვის.

რა იქნება მომავალში

მთელი მსოფლიოს ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ამერიკული ეკონომიკა მალე აღიდგენს ძალას და ამ წლის ბოლოსთვის დაიბრუნებს ძველ პოზიციებს. ამ შემთხვევაში დოლარი „მოუხაზავს“ ევროს. თუ ეს არ მოხდა, მაშინ დამყარდება პარიტეტული ფრე — 1:1 (გაიმარჯვებს მეგობრობა).

იგივე ანალიტიკოსები წელს საინტერესო „დაჭერობანას“ გვიწინასწარმეტყველებენ. მათი აზრით, ორივე ვალუტა ეცდება გაასწროს კონკურენტს. ჯერ უცნობია, ვინ იქნება პირველი, თუმცა მეორე ადგილზე გასული რომ ბევრით არ ჩამორჩება, ეს ცხადია.

პროგნოზირებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რა დგას ვალუტის უკან. დოლარის შემთხვევაში ეს არის გიგანტური ეკონომიკა, რომელიც მართალია კრიზისშია, მაგრამ წლიური ზრდის 2%-ს მაინც ინარჩუნებს და მისთვის პანაშვიდის მოწყობა გაუმართლებელია. ბევრი რამ დამოკიდებულია ასევე აშშ-ერაყის ომზე. თუ ომი არ შედგა ან დაიწყო და მალევე დასრულდა ამერიკელთა გამარჯვებით, მაშინ დოლარი უცებ აღიდგენს სტატუს კვოს.

ხანგრძლივი პროგნოზირების ჭრილში დოლარს კიდევ უფრო კარგი პერსპექტივა აქვს. ისტორიდან ცნობილია, რომ ამერიკული ეკონომიკა ჩავარდნების შემდეგ სწრაფად აღიდგენს ხოლმე ძალებს. ევროს კი წინ ევროკავშირის გაფართოება ელოდება, ამას ახალი წევრებისთვის უზარმაზარი სუბსიდიები მოჰყვება, რაც მის კურსს საგრძნობლად შეარყევს.

დოლარი თუ ევრო?

დოლარის ევროზე გადასახურდავებლად „დინამოსკენ“ გაქცევა საჭირო არ არის, მით უმეტეს რომ „ვალუტჩიკებად“ „სამაუჩკა ფოკუსნიკები“ მუშაობენ და უფასო ფოკუსებს უტარებენ მოსახლეობას (100 ლარის ნაცვლად 75-80-ის დათვლა და სხვა). თუ ცოტაოდენი ლარი დააგროვეთ, იყიდეთ ევრო, ის ჯერ იზრდება და ალბათ კარგ „მოსავალსაც“ მოგიტანთ. თუ უეცრად, დუტასთან 20.000 მოიგეთ, მაშინ იყიდეთ ევროც და დოლარიც. გაურკვეველ სიტუაციაში რადიკალიზმს ნუ გამოიჩენთ, ეცადეთ კვერცხები სხვადასხვა კალათში შეინახოთ.

გიორგი ჟორჟოლიანი

დიდი „რვიანის“ ლიდერების ხელფასი

(წლიური დაუბეგრავი ჯამაგირი)

1. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი — $ 400.000;
2. იაპონიის პრემიერ-მინისტრი — $ 378.087;
3. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი — $ 274.486;
4. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — $ 219.648;
5. კანადის პრემიერ-მინისტრი — $ 176.500;
6. იტალიის პრემიერ-მინისტრი — $ 95.850;
7. საფრანგეთის პრეზიდენტი — $ 83.400;
8. რუსეთის პრეზიდენტი — $ 23.000 დოლარი

„ჯობალოვის“ ოჯახის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — ვ-კამერიანია
მის: ფერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

ევროპაში წამყვანი მწარმოებლის
UAB „Bilijardai“ ექსკლუზიური
წარმომადგენელი
Zeus
ზეუსი
ბილიარდის
მაგიდები
აქსესუარები
Bilijardai
ბილიარდი
1000 მეტი დასახელება
ეკონომიკური ფასდაკლება, ბონუსები, ფასდაკლება, ბუმერანგი, რუსტავრაცია
1234 ფასი
ფასი
Master
საუკეთესო წინადადებები
ახალი საბილიარდო ქლუბების გახსნისას
ბ: 95-57-75, ბ/ფაქსი: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №2 (ყოფ. ქამერ)

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
15 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	2,1870
ევრო	2,3674
ინგლ. გირვანქა სტერლინგი	3,5366
რუსული რუბლი	0,0691
თურქული ლირა (1.000.000)	1,3267

საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი (MBG) გამარჯვებულს აჯილდოებს

სს საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკმა (MBG), მოქალაქეებს სასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა: 15 დეკემბრიდან ემ-ბი-ჯიმ დეპოზიტების მოზიდვის სარეკლამო აქცია დაიწყო, რომელშიც ბანკის ყველა ფილიალია ჩართული.

აქციის არსი შემდეგში მდგომარეობს: ყოველი 21-ე მოქალაქე, რომელიც ბანკში დეპოზიტს გახსნის, იღებს პრიზს ბანკისაგან და უფრო მეტიც, ყოველ მე-200-ს ელოდება მშვენიერი საჩუქარი - სარეცხი მანქანა.

აქცია წარმატებით მიმდინარეობს, 15 დეკემბრიდან — დღემდე უკვე 400-მდე მოქალაქემ შემოიტანა საკუთარი დანაზოგი სადეპოზიტო ანგარიშებზე, თანხობრივი მაჩვენებელი კი საერთო ჯამში 1.000.000 აშშ დოლარამდე აღწევს. რამდენადაც მოსახლეობამ დიდი აქტივობა და ინტერესი გამოიჩინა, ბანკის მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ღონისძიების 15 აპრილამდე გაგრძელების შესახებ.

თითქმის ყველა ფილიალში ყოველ 21-ე მეანაბრეს უკვე ერგო ბანკის საჩუქარი, ხოლო MBG-ის რიგით მე-200 მეანაბრე ბათუმის ფილიალის დეპოზიტარი ქ-ნი ციალა გოგიშვილი გახდა, რომელსაც საჩუქრად „არისტონ“-ის წარმოების სარეცხი მანქანა გადაეცა.

აქციის წარმატება მოსახლეობის ბანკისადმი ნდობის მაჩვენებელია, ამას ისიც განაპირობებს, რომ ემ-ბი-ჯის აქციათა 100%-ის მფლობელები არიან წამყვანი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები და ბანკები, მათ შორის: გერმანული საერთაშორისო მიკროსაინვესტიციო კომპანია (IMI), გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკი (KFW), გერმანული კომერცბანკი (Commerzbank), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ჰოლანდიის სახელმწიფო განვითარების ბანკი (FMO), საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC), რაც მოსახლეობის მიერ ემ-ბი-ჯი-ში განთავსებული დეპოზიტების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დამატებითი გარანტიაა.

უპირველესი ფაქტორი მეანაბრეებისათვის არის ჩვენი საიმედოობა, რაშიც უკვე საქართველოს მრავალი ათასი მოქალაქე დარწმუნდა. თუ რატომ ითვლება ჩვენი ბანკი ერთ-ერთ ყველაზე საიმედოდ, მგონი ისიც ნათელია — საქართველოში არსებობის სამი წლის მანძილზე მიღწეული წარმატება საკრედიტო ბიზნესში და ჩვენი აქციონერების ფინანსური სიძლიერე. მარტო კომერცბანკში (ბანკის ერთ-ერთი აქციონერი), რომელიც გერმანიის ერთერთი უდიდესი ბანკია, აქტივების საერთო მოცულობა 500 მილიარდ ევრომდე აღწევს. მეორე ფაქტორია დეპოზიტზე ყოველთვიური საპროცენტო სარგებლის დარიცხვა. სარგებელი განსხვავებულია და დამოკიდებულია თანხის სიდიდეზე, ვალუტას და ვადაზე. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ შევძელით მოსახლეობისათვის ნდობის დაბრუნება, რომლის აშკარა დეფიციტი იგრძნობოდა ბოლო წლების განმავლობაში. ამაზე ჩვენი ფინანსური მაჩვენებლებიც მეტყველებენ: მიმდინარე წელს მოსახლეობის დეპოზიტები 6 მილიონი აშშ დოლარიდან 11 მილიონამდე გაიზარდა — აღნიშნავს ბატონი ფილიპ ზიგვარტი, ემ-ბი-ჯი ბანკის გენერალური დირექტორი.

დაიწყო რა ფუნქციონირება, როგორც მიზნობრივ ჯგუფზე ორიენტირებულმა ბანკმა, რომელიც ძირითადად გასცემდა სესხებს საქართველოში მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოებზე, ჩამოყალიბდა სრულყოფილ ბანკად, რომელიც თავის 16 ფილიალსა და განყოფილებაში მომხმარებლებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სრულ საბანკო მომსახურებას სთავაზობს. ყოველწლიურად ბანკის რამდენიმე ახალი ფილიალი ან განყოფილება იხსნება, არც ეს წელი არის გამონაკლისი. ემ-ბი-ჯი გეგმავს ფილიალების გახსნას საქართველოს რეგიონებში და თბილისის სხვადასხვა რაიონში, რათა მოსახლეობის უფრო ფართო მასებს შესთავაზოს დასავლური სტანდარტების შესაბამისი მომსახურება.

ცხოვრებისეული კურიოზები

„რაზდანზე"

ერთხელ, მე და ჩემი სიძეები ამხანაგი ერევანში წავედით რაღაც საქმეზე (ის პერიოდია, როცა საბჭოთა ფეხბურთი სულს ღაფავდა) ჰოდა, შემთხვევით „რაზდანის" სტადიონს ჩავუარეთ. სანველამ (ასე ჰქვია ჩემს ამხანაგს) მითხრა, ნოდარჯან, ტო, ფეხბურთი ძალიან გიყვარს და რაზდანზე რომ არ შეგიყვანო, ძალიან შევრცხვები შენთანო (თვითონ საერთოდ არ ყოფილა თურმე ამ სტადიონზე). იმ დღეს „არარატი" და მოსკოვის „სპარტაკი" ხვდებოდა ერთმანეთს და უარს როგორ ვეტყოდი. ერთი სიტყვით, შევედით 15 წუთის დაგვიანებით. კიდევ 15 წუთი რომ გავიდა, ეს „მაგარი" სომეხი მეუბნება, ნოდარჯან, „არარატი" რომელიაო. ხელად მივხვდი, რაშიც იყო საქმე და — აი, ისინი, „ზოლი" რომ აქვთ მაისურზე-მეთქი. ერთიც ვნახოთ და, უტეევს „არარატის" ფეხბურთელი და ზედ საჯარიმოს ხაზზე წააქციეს. წამოვხტი და რა წამოვხტი. — „სუდია" პენალ! შენი დედა-მეთქი... გაოცდნენ სომხები. მგონი ფიქრობდნენ, როდის აქეთ ჩამოდიოდნენ ქართველები ერევანში „არარატის" „საბალეშჩიკოდო". ეს რომ სანველამ დაინახა, კინაღამ გული გაუსკდა. ნოდარჯან, ჩუმად ტო, თორე ნახე, აქეთ-იქიდან როგორ გიყურებენ, მე კი არაფერი, მაგრამ შენ ცოცხალს არ გაგიშვებენო. ერთი სიტყვით, ძლივს გამაჩერა.

მეორე ტაიმში ჩვენ ირგვლივ ბევრმა სომეხმა მოიყარა თავი (მანამდე ცოტა მოშორებით ვისხედით), რომ ჩვენთან ერთად „ებალეშჩიკათ". სანველამ ეს რომ ნახა, კინაღამ გაგიჟდა. ნოდარჯან, ოღონდ შენ ხმა არ ამოიღო და რესტორანს „ლიჩნათ" მე ვკისრულობო. მიდის თამაში და კუთხურს აწვდის ზოლიანმაისურიანი, მეკარემ კარგად ვერ მოიგერია და ასხლეტილი ბურთი ზედ თავზე დააჯდა მოშორებით მდგომ მეორე „ზოლიანს", იმანაც გაგზავნა მეკარისაგან დაუცველ მაღალ კუთხეში (100%-იანი გოლი)... ბურთი ჰაერშია და ყველა, მინდორზეც და სტადიონზეც, გაშეშდა. ამ დროს ჩემი „დიდი" სომეხი წამოხტა და დაიღრიალა გووول!.. გووول „ცავატანენ!". ბედად, ბურთი ხარიხას მოხვდა და კარს უკან გადავარდა. უნდა გენახათ, როგორ დაეცა სკამზე, რომ ვუთხარი — სანველ, ჩუმად, შემეშალა, ეგენი „სპარტაკელები" არიანმეთქი. კინაღამ მომკლა და რესტორანიც მე მაკისრებინა...

„ფონიჭალელი"

მიშველე, მშია!..

ის პერიოდია, როდიონოვმა რომ კომენდანტის საათით „დაგვაჯილდოვა" თბილისელები.

სამსახურიდან გვიან გამოსულმა ჯოკია მშვენიერაძემ არ იცოდა ეს ამბავი. სტაცეს ხელი და მიაგრიალეს სამხედრო კომენდატურაში. ბევრი იძახა, აღარ გამოვალ მეტადო, მაგრამ არ გამოუშვეს იმ ღამეს.

6 საათი გახდა და საშინლად მოშივდა. დაეღრიჯა მორიგეს რუსულ-ქართულად და როგორც იქნა, დაარეკინეს სახლში.

— მერიკო, ქალო, ვკვდები შიმშილით. ჩააწყვე რიმე საჭმელი „სუმკაში" და მომიტანე, გაიგე? ბევრი ლაპარაკის დრო არ მაქვს.

— კი მაგრამ, სადა ხარ, სად მოგიტანო? — დაინტერესდა ცოლი „იქითა" მხრიდან.

ჯოკიამ იფიქრა, არაფერი წამომცდეს ცუდი, არ გამიბრაზდნენ ამ სიკეთის დროსო და:

— ქალო, შენ ჩააწყვე მარტო „სუმკაში" და გამოდი ქუჩაში, მერე თვითონ მოგიყვანენ სამხედრო ტრანსპორტით...

მურმან მერკვილიშვილი, თბილისი

პარიზის კუთხე

გაქვთ თუ არა მობილური ტელეფონი?

ტესტი

1. დიდი ხანია, რაც ახლო მეგობარი არ გინახავთ და ძალიან მოგენატრათ, თქვენ:

ა) დაურეკავთ მობილურზე (2 ქულა).
ბ) დაურეკავთ სახლში (4 ქულა).
გ) მიაკითხავთ სახლში (6 ქულა).

2. პიროვნების გაცნობისას რას აქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას:

ა) მის გარეგნობას (2).
ბ) მის ხასიათს (4).
გ) აქვს თუ არა მობილური ტელეფონი (6).

3. გათამაშებაში მოიგეთ გარკვეული თანხა, თქვენ:

ა) იყიდით მობილურს (2).
ბ) გაყიდით ძველ მობილურს და იყიდით ახალს, უკეთესს (4).
გ) ჩართავთ მობილურს, რომელიც დავალიანების გამო გამორთული გქონდათ (6).

4. ჩამოთვლილი ფრაზებიდან რომელი არ არის დაკავშირებული მობილურ ტელეფონთან:

ა) მობილური გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან (2).
ბ) ნომერი, რომელსაც გსურთ დაუკავშირდეთ, დროებით გამორთულია (4).
გ) მატარებელი №678 თბილისი-ფოთი დგას მე-2 ლიანდაგზე (6).

5. გაისმა სხვისი მობილური ტელეფონის ზარის ხმა, თქვენ:

ა) უპასუხებთ ტელეფონს (2).
ბ) გათიშავთ ტელეფონს (4).
გ) მიაწოდებთ ტელეფონს პატრონს (6).

6. სასწრაფოდ დაგჭირდათ ფული, თქვენ:

ა) ჩადებთ მობილურ ტელეფონს ლომბარდში (2).
ბ) გაყიდით მობილურს (4).
გ) იყიდით მობილურს და გაყიდით უფრო ძვირად (6).

დაითვალეთ ქულები:

თუ დააგროვეთ 18 ქულამდე, მაშინ თქვენ გაქვთ მობილური ტელეფონი, მაგრამ თანხა გაქვთ ძალიან ცოტა დარჩენილი. არა უშავს, მალე გექნებათ საშუალება დაამატოთ თანხა. მანამდე, თუ შეიძლება, ზარი გამაშვებინეთ და გადმომირეკავენ.

თუ დააგროვეთ 18-დან 30 ქულამდე, მაშინ თქვენ გაქვთ მობილური ტელეფონი და თანხაც საკმაოდ ბევრი გაქვთ. კარგია, მაგას რა სჯობია, ახლა ერთი თხოვნა მაქვს, უარი არ მითხრა, აუცილებელი საქმე მაქვს და უნდა დამარეკინო, ერთ-ორ სიტყვას ვეტყვი, დიდხანს არ ვილაპარაკებ.

თუ დააგროვეთ 30 ქულაზე მეტი, მაშინ თქვენ არა გაქვთ მობილური ტელეფონი და ალბათ არც გჭირდებათ. უფრო სწორად, აქამდე არ გჭირდებოდათ. გატყობთ, რომ დარეკვა გინდათ და თქმა გერიდებათ. აი ჩემი ტელეფონი, დაჯექით, რა პრობლემაა, ოღონდ ბევრი არ ილაპარაკოთ.

პირდაპირ მობილური ტელეფონით კავშირზე გამოდის ზაქრო ინწკირველი

მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

კახელი მაღაზიაში პამპერსის საყიდლად შევიდა. აიღებს ერთს, ყურზე მიიდებს, დადებს; აიღებს მეორეს, იმავეს გაიმეორებს და დადებს და ასე, რამდენჯერმე.

— რას აკეთებდ?! — ეკითხება გამყიდველი.

— ვარჩევ, ვარჩევ, ტელევიზორში თქვეს, სუნთქავსო, მაშ!..

ბიჭიკია ტრაბახობს:

— ჩემი ცოლი სულ ტელევიზორთან ზის. დიქტორები უკვე ხელის აწევით ესალმებიან.

ნ. გ., ხაშური

— თორმეტგოჯა ნაწლავის ამოჭრა ასი ლარი ღირს, — ეუბნება ჭიჭიკიას ექიმი.

— რას ამბობ, პატივცემულო! ჩემი ცხრა გოჯზე მეტი არ იქნება! — არ დაიბნა ჭიჭიკია.

გაგა გოცაძე, თბილისი

ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, შეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

სიცილი ჯანმრთელობაა

როცა ცხოვრება მძიმდება, — სიცილი უფრო გვიხდება...

გაილიმეთ ჩვენთან ერთად!

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢ-ᲙᲚᲣᲑᲘ 12 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

— მაინტერესებს ინფორმაცია ქართული ინტელექტ-კლუბის შესახებ: როდიდან თამაშობენ, წელიწადში რამდენჯერ იმართება შეჯიბრება და სხვა. ისიც მინდა გავიგო, თუ რატომ შეწყდა ამ თამაშის ტელეევერსია?

თემურ ორთოიძე

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ Უ�პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲝᲡᲘᲫᲔ**, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢ-ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ.

— ჩვენი ინტელექტ-კლუბი დაარსდა 1991 წელს. ეს წამოწყება სტუდენტთა ჯგუფს ეკუთვნის. იმ დროისათვის კლუბის თავმჯდომარე მე გახლდით (ახლა პრეზიდენტი ვარ). წელს დაარსების 12 წლისთავს ვიზეიმებთ. ინტელექტუალები ყველა რეგიონში თამაშობენ. რესპუბლიკის ჩემპიონატი კი წელიწადში ერთხელ, მაისში იმართება. ამ შეჯიბრებაში ყოველწლიურად 50-მდე გუნდი მონაწილეობს. ჩემპიონატამდე ინტელექტ-კლუბის წევრებს შორის ტარდება შიდაჩემპიონატები. მაგალითად, თბილისში ყოველ შაბათს, უნივერსიტეტის საააქტო დარბაზში იმართება თამაშები, რომელიც გამოავლენს 15 საუკეთესო გუნდს და მათ შორის, თბილისის ჩემპიონს. შემდეგ კი ეს გუნდები სხვა რეგიონების გუნდებთან ერთად თამაშობენ საქართველოს ჩემპიონის ტიტულისთვის (შერჩევის წესით მონაწილეობს ქუთაისი და ბათუმი 5-5 გუნდით, ზუგდიდი, ფოთი, თელავი 3-3 გუნდით და ა.შ.). საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებული აგვისტოში გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატზე, ბაქოში. რაც შეეხება ტელევერსიას, ველოდებით სარფიან წინადადებას სხვადასხვა ტელეკომპანიიდან.

ᲐᲠᲪᲗᲣ ᲘᲡᲔ ᲘᲝᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲔᲓᲣᲡᲢᲐᲢᲝᲠᲝᲑᲐ!..

— ტელეეკრანზე ხშირად მინახავს, რომ ღვინის დეგუსტაციისას დეგუსტატორი კი არ სვამს, არამედ პრში იგუბებს და შემდეგ ღვრის სასმელს. აუცილებელია თუ არა ღვინის გადმოღვრა და საერთოდ, როგორ ჭურჭელში უნდა იყოს მოთავსებული სითხე დეგუსტაციისას? ასევე იქნებ მოგვითხროთ დეგუსტაციასთან დაკავშირებული სხვა საყურადღებო წვრილმანების შესახებ.

რევაზ მორჩილაძე



ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ Უ�პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ **ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ**, ᲛᲔᲒᲐᲚᲝᲑᲘᲡ, ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲚᲕᲘᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ-ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲜᲢᲘ.

— ღვინის გასინჯვისას დეგუსტატორი დალევს სასმელს თუ გადმოღვრის, ეს უკვე მის სურვილზეა დამოკიდებული. ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ჭურჭელზე კი შემიძლია მოგახსენოთ შემდეგი: მაგალითად, ღვინის დეგუსტაციისათვის საჭიროა მინის გამჭვირვალე სპეციალური ჭურჭელი ანუ ტიტას ფორმის ბოკალი. კონიაკის დეგუსტაციისათვის გამოიყენება ასევე გამჭვირვალე მინის ჭურჭელი დაბალი, განიერი მუცლითა და ვიწრო ყელით, ხოლო შამპანურისთვის აუცილებელია მაღალი, წვრილმუცლიანი ბოკალი.

დეგუსტაცია ეწყობა დიდ და ნათელ ოთახში (სადაც მზის პირდაპირი სხივები არ უნდა ხვდებოდეს), რომელშიც უნდა გამოირიცხოს მძაფრი სუნის არსებობა. დარბაზში უნდა იყოს სრული სიმშვიდე. დეგუსტაციის დაწყებამდე რამდენიმე დღის განმავლობაში დეგუსტატორმა არ უნდა იხმაროს პარფიუმერიული ნაწარმი. მაგ. სურნელოვანი საპონი, სუნამო და სხვა. არ უნდა მიირთვას ცხარე, მჟავე ან ტკბილი საკვები. არ უნდა ეწეოდეს და სხვა. როგორც ხედავთ, დეგუსტატორის პროფესია საკმაოდ რთულია. ნიჭთან ერთად მას უნდა ჰქონდეს დიდი ნებისყოფა.

ერთი დღის განმავლობაში შეიძლება გაისინჯოს 50-მდე სახეობის ღვინო და 30-მდე სახეობის კონიაკი. ეს პროცედურა გრძელდება საათიანი შესვენებებით. დეგუსტატორი გემოვნებითი რეცეპტორების გასანეიტრალებლად მიირთმევს მხოლოდ უმარილო პურსა და იშვიათად უმარილო ყველს. რაც შეეხება ღვინის დეგუსტაციის წესს, თავდაპირველად უნდა გაისინჯოს ნაკლებად შაქრიანი, მაგალითად, მშრალი თეთრი ღვინო, შემდეგ შემაგრებული, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი, თეთრი, ვარდისფერი და ბოლოს, წითელი ღვინის სახეობები. ანუ ჯერ ისინჯება თხელი, შემდეგ კი შედარებით მძიმე ღვინო. მაგალითად, თავდაპირველად სინჯავენ ევროპულ ღვინოებს და შემდეგ კახურს.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲡᲪᲔᲛᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ?

— რამდენი წელია, რაც ჩვენი სახელმწიფო ენის პალატის წარმომადგენლებს დასავლეთ საქართველოს მიმართულებით არ უმგზავრიათ? ალბათ არც ის იციან, რომ რიკოთის უღელტეხილის საგზაო პუნქტზე გაცემული ჩეკი უცხო ენაზეა შევსებული?

გაიოზ გედევანიშვილი

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲦᲕᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐ**, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ.

— ძალიან ხშირად მიწევს დასავლეთ საქართველოში ყოფნა. ათეულობით ასეთი ჩეკი მაქვს შენახული. ამის თაობაზე არაერთხელ მქონდა საუბარი შესაბამისი სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელებთან. თუმცა, სანამ არ გვექნება კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, მანამ ოფიციალური სანქციის გამოყენება ამგვარი დარღვევების მიმართ სამართლებრივი თვალსაზრისით შეუძლებელია. მაგრამ, რადგანაც კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად ქართულია გამოცხადებული, ნებისმიერი სახელმწიფო უწყება ვალდებულია, დაემორჩილოს კონსტიტუციის ამ მოთხოვნას და მოსახლეობას მოემსახურის ქართული ენის მეშვეობით. როგორც უკვე აღვნიშნე, ჯერჯერობით ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ოფიციალურად მივმართოთ შესაბამის დაწესებულებებს (საგზაო დეპარტამენტს). მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა ბერკეტების ამოქმედება ჩვენს ძალებს აღემატება მანამ, სანამ პარლამენტი არ მიიღებს კანონს სახელმწიფო ენის შესახებ.

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ...

— თქვენს რუბრიკაში გავეცანი ყველაზე მდიდარი ადამიანების სიას და დავინტერესდი შემდეგით: თუ ვინ არის ჰოლივუდის მსახიობებიდან ყველაზე მდიდარი ქალი და მამაკაცი? თუ არ ვცდები, ქალებში პირველობა ჯულია რობერტსს ეკუთვნის.

ნინი კვიციანი

— მართლაც, ყველაზე მდიდარ ქალბატონად ჰოლივუდის მსახიობებს შორის ითვლება 33 წლის ჯულია რობერტსი, რომელმაც „ლამაზ ქალსა“ და „ერინ ბროკოვიჩში“ მთავარი როლის შესრულების შემდეგ 138 მილიონი დოლარი დააგროვა. რაც შეეხება მამაკაცებს, აქ პირველობს 39 წლის ტომ კრუზი („შეუსრულებელი მისია“, „წვიმის კაცი“). აღნიშნულ ფილმებში მიღებული ჰონორარებით კრუზმა 251 მილიონი დოლარი დააგროვა. მან ყველაზე მდიდარ ამერიკელთა შორის მე-19 ადგილი დაიკავა. იმავე რეიტინგში 36-ე ადგილზეა 39 წლის კომიკოსი, მსახიობი ჯიმ კერი. მის მიერ კინობიზნესში დაგროვებული თანხა გახლავთ 171 მილიონი დოლარი. ყველაზე მდიდარი ამერიკელების 40-კაციან სიაში ასევე ფიგურირებს უილ სმიტი და ბრედ პიტი, თუმცა, მათი ქონების შესახებ ინფორმაცია არ არის გავრცელებული.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲔᲜᲘᲡ ᲢᲐᲠᲘᲤᲖᲔ ᲡᲣᲑᲡᲘᲓᲘᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ

— გთხოვთ მიპასუხოთ, რა ხდება ელექტროენერგიის ტარიფთან დაკავშირებით. თელასის მიერ გამოგზავნილ ქვითარში რაღაც მინუსიანი თანხა აღმოვაჩინე. იქნებ გაგვარკვიოთ რა თანხაა ეს და რატომ „გვწყალობს“ „თელასი“?

მეგი შალვაშვილი

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲐ **ᲡᲝᲤᲝ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲩᲣᲙᲛᲐ**, „ᲔᲘ-Ი-ᲔᲡ ᲗᲔᲚᲐᲡᲘᲡ“ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲛᲐ.

— საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 11 ნოემბრის №1417 და 27 ნოემბრის №1477 განკარგულებების თანახმად, სახელმწიფო მოახდენდა ელექტროენერგიის ტარიფის ზრდით გამოწვეული ხარჯების სუბსიდირებას დედაქალაქის მოსახლეობისათვის. ორივე განკარგულებით გათვალისწინებული თანხა, 7,8 მილიონი ლარი, „ეი-ი-ეს თელასმა“ 2003 წლის იანვრის ბოლოს ბიუჯეტიდან უკვე მიიღო.

ასე რომ, სახელმწიფოს მიერ თბილისში თითოეულ კილოვატსაათზე 1,3 თეთრის ოდენობის სუბსიდია გამოიყო. აღსანიშნავია, რომ 2002 წლის 1-ელი ნოემბრიდან თითოეული მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხა გადაანგარიშებულია და განსხვავება ძველსა (12,4 თეთრი) და ახალ (13,7 თეთრი) ტარიფებს შორის ასახულია „ეი-ი-ეს თელასის“ ბარათზე.

„ეი-ი-ეს თელასის“ მონაცემთა ბაზის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტარიფის სუბსიდია აისახა მხოლოდ ამა წლის 23 იანვრის შემდეგ მიღებულ ქვითარში. ასე რომ, თუ ქვითარი 23 იანვრამდე მიიღეთ და მასში არ არის გატარებული თქვენი კუთვნილი სუბსიდია, ეს არ ნიშნავს, რომ სუბსიდია არ მიგიღიათ — მომდევნო თვის ქვითარში გასული წლის 1-ელი ნოემბრიდან მოხმარებული ელექტროენერგიის ტარიფის სუბსიდია სრულად აისახება.

ᲠᲐ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲭᲐᲓᲐᲠᲡ?..

— რა სარგებლობა მოაქვს ჭადრის ხეებს, რომლებიც თბილისში უხვადაა. ბევრს მისი ყვავილობისას ალერგია ეწყება. ასევე გვაინტერესებს, რა პერიოდში უნდა გაისხლას ჭადრის ხე და იქნებ ვინმემ მიაქციოს ყურადღება ვაჟა-ფშაველას №48-ის ეზოში ჭადრის ხის გასხვლის პრობლემას?

აღნიშნულ მისამართზე მცხოვრები მოქალაქეები



ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ **ᲖᲐᲣᲠ ᲗᲐᲑᲐᲒᲐᲠᲘ**, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ.

თავის დროზე დედაქალაქის ჭადრის ხეებით გამწვანება დაიწყეს მისი დადებითი თვისებების გამო. მაგალითად, ჭადარი ნახშირორჟანგის ერთ-ერთ ყველაზე კარგი გადამამუშავებელი და დიდი რაოდენობით ჟანგბადის გამომყოფია. ასევე საუკეთესო ხმაურდამჭერი და „მტვერსასრუტია“. ასე რომ, გაზაფხულზე ყვავილობისას, მართალია მოჭარბებულ ალერგიას იწვევს, მაგრამ უამრავი დადებითი თვისებაც გააჩნია. უსიამოვნებას კი შეიძლება მისი დროულად გასხვლით ავარიდოთ თავი. მაგალითად, 8-10 წელიწადში ერთხელ ჭადარი უნდა გადაიბელოს. ეს კეთდება როგორც მისი გაახალგაზრდავების, ასევე შემაწუხებელი ბუსუსებისგან თავის არიდების მიზნით. გადაბელვისათვის საუკეთესო დრო დეკემბრის დასაწყისიდან 15 მარტამდე პერიოდს მოიცავს. თბილისის საქალაქო სამსახურმა უკვე გასცა განკარგულება, რომ ყოველი რაიონის შესაბამისმა სამსახურებმა მოახდინონ დაავადებული ხეების გადაბელვა. რაც შეეხება ბოლო კითხვას, თუ ხე მდებარეობს ცენტრალურ ქუჩაზე, მისი გადაბელვა ევალება ქალაქის გამწვანების სამსახურს, მაგრამ თუ იგი ეზოშია, პრობლემის მოგვარება მოქალაქეებს თავიანთი ხარჯებით მოუწევთ, ანდა უნდა მიმართონ წერილობითი განცხადებით რაიონის გამგეობის გამწვანების სამსახურს, რომელმაც შესაძლოა გამოძებნოს თანხები წერილში აღნიშნული კორპუსის მცხოვრებთა დასახმარებლად.

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ყორყოლიანმა

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ მკითხველო, „ᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲕᲝᲔᲛᲓᲔ“ ᲔᲪᲓᲔᲑᲐ თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

მილოცვა

ბატონ კორნელი აბზიანიძეს!

სასიხარულოა, რომ ჩვენ გვერდით არიან მხცოვანი ადამიანები, რომელთა ზურგს უკან დიდი შრომითი და საბრძოლო დამსახურებაა. მათ შორისაა სამამულო ომის მონაწილე, ექიმი კორნელი აბზიანიძე. ბატონი კორნელი სპი-ის სამთო ფაკულტეტის სტუდენტი იყო, ფრონტზე რომ გაიწვიეს. დაჭრილი, 1944 წელს თადარიგის ოფიცრად გადაიყვანეს. მალე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი ხდება, რომლის დამთავრებისთანავე ტყვარჩელის საავადმყოფოში იწყებს მუშაობას ქირურგად. აქვე იგი მთავარ ექიმად გადაჰყავთ. 1963 წლიდან თბილისში, ფტიზიატრიისა და პულმონოლოგიის ინსტიტუტში გადმოდის ფტიზიოქირურგად. წლების განმავლობაში იყო ბორჯომი-ჩითახევის ძვალ-სახსრის სანატორიუმის კონსულტანტი. თავისი საქმის პროფესიონალს ორჯერ მიენიჭა ექიმის უმაღლესი კატეგორია. ბატონი კორნელი აბზიანიძე აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიც გახლდათ და სხვადასხვა დროს მრავალი ღირსეული ჯილდოც დაიმსახურა. ამჟამად იგი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის ვეტერანთა №2 საბჭოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუდმივმქმედი კომისიის თავმჯდომარედ მუშაობს და დიდ დახმარებას უწევს ვეტერანებს. მალე ბატონი კორნელი 80 წლისა გახდება. ვულოცავთ ღვაწლმოსილ ექიმს ამ ღირსსახსოვარ იუბილეს. ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და მომავალ წარმატებებს ვუსურვებთ.

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის ვეტერანთა მე-2 საბჭოს პრეზიდიუმი

თამთა ციცხვაიას!

ჩემო საყვარელო პატარა მეგობარო! სულითა და გულით გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ულვევ სიხარულს და შენი ლამაზი ოცნებების ასრულებას. ისეთი ცხოვრებით გეცხოვროს, რომ ყოველთვის მეამაყებოდეს შენი მეგობრობა.

მარად შენი მეგობარი ლევანი

ქალბატონ ლიანა ბერაიას!

ჩემს ერთადერთ ძვირფას დას, ოთხი შვილის დედას, ბედნიერ ბებიას, კარგ პედაგოგს ვულოცავ დაბადების დღეს — 70 წლისთავს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, შვილიშვილებში გახარებას.

და: გული ბერაია

მადლობა

სიტყვას დიდი ძალა აქვს. ზოგჯერ ავადმყოფს წამალზე მეტად, პროფესიონალი ექიმის მიერ ნათქვამი სიტყვა და მზრუნველობა შველის. გაზეთის საშუალებით მსურს, საქვეყნოდ დიდი მადლობა გადავუხადო თვალის კლინიკის განყოფილების გამგეს, დოცენტს **ო. გოლოვაჩოვს** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, ექიმს **ე. ციციაშვილს** გულისხმიერებისათვის, მზრუნველობისათვის, მაღალი პროფესიული დონისათვის, თანადგომისათვის, ჰუმანურობისათვის. მე ვამაყობ, რომ მათი სახით, საქართველოს ჰყავს ღირსეული ექიმები, სამედიცინო საქმის დიდოსტატები, დიდებული ადამიანები. ვუსურვებ დღეგრძელობას და ბედნიერებას!

პატივისცემით, გამომცემლობა „დღე და ღამე“-ს რედაქტორი, ჟურნალისტი თამარ კობაიძე

ქ. თბილისის საკრებულოს საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარეს — ბატონ **პაატა ჯიბლაძეს** და მთელ კოლექტივს მადლობას მოვახსენებთ თანაგრძნობისა და დახმარებისათვის.

პატივისცემით: წყნეთის ქ. №6, №10 და თამარაშვილის ქ. №5-ის მცხოვრებლები

ქართველ ერს გადაშენება არ გვიწერია, მანამ, სანამ ცხოვრობენ გულისხმიერი ადამიანები. გვინდა, მადლობა გადავუხადოთ: №51 სამარშრუტო ტაქსების ბრიგადირს — **ვაჟა ნატროშვილს**; დისპეტჩერებს: **ნუგზარ წიკლაურს, ზურაბ ჭყოიძეს** და **ზაურ გურგენიძეს**; მძღოლებს: **კალე ჯიშკარიანს, ომარ რუხაძეს, მიშა დვალიძეს, თამაზ არჯევანიძეს, ილური მელიას** და **გელა ჩანგალიურს**, რომლებიც დიდსულოვნებას იჩენენ და მთავრობისგან მიტოვებულ, მიწისძვრით დაზარალებულ ოჯახებს, დღეს-დღეობით რომ ჯიქიას ქ. №8-ში არიან შეხიზნულები, ხშირად უსასყიდლოდ ემსახურებიან. ასევე ემსახურებიან მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთ. ღმერთი იყოს მათი და სრულიად საქართველოს მფარველი.

ზინაიდა კანდელაკი და ნარგიზა ლაცაბიძე (ჯიქიას ქ. №8-ში მცხოვრებნი)

გთავაზობთ საქმიანს

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვჭირდება განათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო საოფისეა. კონტრაქტით. საუკეთესო თანამშრომლებს, წელიწადში 2-ჯერ ეძლევათ შანსი, სტაჟირება გაიარონ მსოფლიოს ქვეყნებში. ანაზღაურება მზარდი — თვეში 300-600 ლარიდან. მიღება — შერჩევით. მენეჯერი ბ-ნი მიხეილი. მის. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი №6 ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94 (20 სთ-ის შემდეგ); 899 90-54-78

მომსახურება

ერთადერთი ბაკურიანში! კომფორტული, ფრანგული ტიპის საოჯახო სასტუმრო „სპა“ (სამკერადი კვებით) ეპატიჟება დამსვენებლებს. მოქმედებს მინი-სპაგირო გზა ბავშვებისათვის, თხილამურებით სარეულის სწავლება ფრანგული მეთოდით. გვაქვს სათხილამურო ინვენტარი. ყველაფერი ეს — ხელმისაწვდომ ფასებში. ტელ: 899 91-57-60; 899 10-24-63. ლუსი. მის: ბაკურიანი, კოსტავას ქ. №25

ვაწარმოებთ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას: სამეულებს და სკამებს ვარბილებთ და ვცვლით შალითებს. აგრეთვე ვამზადებთ ლამინატისგან (ДСП) სამზარეულოებს და საოფისე ავეჯს. ტელ: 69-45-18. გიორგი

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გაიკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

სილამაზის სალონი „სტილი“ — ეპილაცია ინდივიდუალური პლატინის ნემსით, ანესთეზიით; თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით (შეგიძლიათ შეეხეცაც), სახესა და ტანზე; სახის გაწმენდა; თმის მოდელური შეჭრა — 5 ლარი; დეკორატიული მელირება — 15-20 ლარი. აგრეთვე, არსებობს კოსმეტიკისა და სპარიკმახერო, მასაჟის კურსები. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი ზინა. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ — 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

მეურნალობა

თბილისში — მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, ფსიქოლოგი — თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი-მაძიებელი, ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და აღმდგენი აპარატებით აღგიდგენთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას — ენაბორძიკობას, ნევროზს, პარეზს და სხვა დარღვევებს. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე — ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე. სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან აშზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, სამწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამო“ პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

სუ ჯოკ თერაპიის ცენტრის მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო დონეზე სერტიფიცირებული სპეციალისტები გთავაზობენ მკურნალობას: თავის ტკივილები, უძილობა, ნევროზი, დეპრესია, ქალური დაავადებები, კისტა, ფიბრომატოზული კვანძები, ჩიყვი, წყლულოვანი დაავადებები. კონსულტაციები უფასოა. მის: ელბაქიძის №12ა, II სართ. ტელ: 92-39-44; 99-56-89

ფასდაკლება! ექსკლუზიური კვალიფიციურ სპეციალისტთან: მუცლის ღრუს ორგანოები, საშვილოსნო, პროსტატიტი. თითო ორგანოს ფასია 3 ლარი. ორსულის გასინჯვა 12 კვირამდე — 5 ლარი, 12 კვირის ზემოთ — 10 ლარი. წინასწარი ჩაწერა ტელეფონზე: 97-11-11 (თქვენთვის ზარი უფასოა). მის: თეიდორე მღვდლის №8 (საერთაშორისო პოლიციის შენობის გაყოლებაზე)

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი CO_2 ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი“. ტელ: 877 468-253; 91-18-33

მეჭეჭებისა და ხორცშეტების (პაპილომები, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, ილლიის ქვეშ, უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. ეფექტი გარანტირებულია! ექიმი რუსეთან საფარელიძე. ტელ: 39-00-70; 39-25-57; 899 56-96-61

მასწავლი

კომპიუტერული სტუდია — „დაჯი“ კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

პირველად თბილისში! ახალი ტიპის სკოლა უზრუნველყოფს ბავშვთა აქტიურ დასვენებას, მრავალმხრივ შემეცნებას — მუსიკა, ხალისიანი ფორმებით: ფსიქოლოგიური საშახური; კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება; ინტელექტუალური თამაშები; სისტემატური შეხვედრები ცნობილ, საინტერესო ადამიანებთან. მიიღებიან ბავშვები 5-დან 15 წლამდე. ჯგუფები დაკომპლექტება ასაკობრივ კატეგორიებად. თითო ჯგუფში — მაქსიმუმ 10 ბავშვი. მისამართი: ნიკო ნიკოლაძის ქ. №6 (ვერის პარკთან). შაბათ-კვირას, 12-18 სთ. ტელ: 98-72-54; 877 43-21-02; 899 56-35-31

იყიდება

სასწრაფოდ! მეან-გინეკოლოგის ადგილი კერძო სამშობიარო სახლში. ტელ: 877 44-73-00; 32-34-92

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

ეძებამ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი“. 12-17 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

ხსოვნა

ოთარ ხახვიაშვილის მონატრება

ძალიან ძნელია იმის შეგრძნება, რომ შენს დაბადების დღეს, 19 თებერვალს, უშენოდ ვხვდებით და ვერ მოვისმენთ შენს საყვარელ სიმღერას „იავნანის“. დიდი წუხილი დაუტოვე შენს ცოლ-შვილს და სამმოს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

სამმო

ჩვენს რაინდს!

(ეძღვნება რაინდი ძაგანიას ხსოვნას)

ჩვენო ვაჟკაცო! გილოცავთ მირქმას და დაბადების დღეს — 15 თებერვალს. ჩვენ — მთელი ოჯახი შენით ვსუნთქავდით და ვხარობდით. პატარაობიდანვე ღვთის სიყვარულით იყავი სავსე. შენს პატარა ნიკოლოზს, წმ. ნიკოლოზის სახელი შენ დაარქვი. შენ ყოველთვის საუკეთესო შვილი, ძმა, მამა და მეგობარი იყავი. შენთვის ანგარება არ არსებობდა. უფრო მეტიც: ღარიბებს და დაჩაგრულებს წყალობდი. შენი დისშვილები სულ შენს სახელს იფიცებენ. შენი აღდგენილი ეკლესიით მთელი სოფელი ამყობს. რომ არა ღვთის სიყვარული და რწმენა, ჩვენ შენთან განშორებას ვერ გადავიტანდით. გვიყვარხარ, გეფერები, გკოცნი, გვენატრები, გვაკლიხარ, ჩვენო საფიცარო რაინდი!

ღმერთმა მარადიულ სასუფეველში გვიმყოფოს შენი სული.

ოჯახი

ჯუმბერ გველესიანის ხსოვნას!

23 თებერვალს შენი დაბადების დღის 65-ე წლისთავი პირველად უნდა აღვნიშნოთ უშენოდ — შენმა ცოლ-შვილმა, ნათესავებმა, მეგობრებმა, ახლობლებმა. ჩვენთვის ეს ძალიან მძიმე დღე იქნება.

ენატრები შენს დანატოვარ ოჯახს. კარგი მეუღლე და მამა იყავი, კარგი მეგობარი, კარგი ნათესავი. შენი დალოცვა მოგონებებით იქნება სავსე.

ვაჟკაცური და კაცური კაცის სახელით წახვედი და განათლებულ გზაზე გევლოს.

ვიცი, რომ შენც გველოცავ იქიდან ყველას, ვისაც არასოდეს დაავიწყდები. ნათელი გეფინოს მუდამ.

შენი ცოლ-შვილი

მარიკა კოდელაშვილს!

ერთი ტკივილიანი წელი გავიდა. ამ ტკივილს უშენობა ჰქვია, შენს საფლავზე გატარებული მწარე დღეები ჰქვია.

სიკვდილსაც კარგი უნდაო...

ამქვეყნად ლამაზ მოგონებად დარჩენილი, უკვე ერთი წელია, იმ საუფლოს ამშვენებ. ნუგეში ისაა, რომ ოდესმე ისევ ერთად ვიქნებით. ყველას დასასრული ხომ მარადისობაა.

ოჯახი

ჯემალ (რევაზ) ნიკოლაიშვილის ხსოვნას!

ჩვენო საყვარელო მამა! ერთი წელია, ტკივილით, დარდითა და მონატრებით ვცხოვრობთ. ერთი წელია, უშენობა აკლია შენს ოჯახს, მამა, ის ულევი სითბო და სიყვარული, ასე უშურველად რომ გვინაწილებდი მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

„შენ მთელი ჩემი სამმო ხარ,
პატარა საქრისტიანო...
ნეტავ, იმდენ ხანს მაცოცხლა,
მოვასწრო, დაგაფრთიანო!“

— წერს პოეტი პატარა ბიჭზე. ეს ხომ შენი ნატვრაცაა, შენი გულისნადები. ნატრობდი და ვერ მოესწარი ბიქს გაზრდას და დავაკაცებას. გვიყვარდეს, იგი. კარგი ადამიანი დადგება და ჩვენ მუდამ ვილოცებთ შენთვის, ვიდრე ვარსებობთ ამ ქვეყანაზე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შვილები: ლია, მაკა; მეუღლე მარგო; შვილიშვილი ბექა; ახლობლები

ჩვენო სვეტა!

მძიმე სენმა მოგისწრაფა ლამაზი სიცოცხლე და ამით ჩვენ — ახლობლებს ძალიან გვტკივა გული. ყველასგან გამორჩეული შენი ლამაზი ღიმილით, ცისფერი თვალებით, განსაკუთრებული ზებუნებრივი ნიჭით და სისპეტაკით.

ჩვენ ძალიან გვიყვარხარ და ვამაყობთ შენით.

უფალს ვთხოვთ, მოგიჩინოს ადგილი, სადაც მართალნი განისვენებენ.

მეუღლე ოთარ ქიზიყელაშვილი; ძმები არნოლდ, რუსლან და მურმან ფენდერავები

მამუკა მაისურაძის და ნინო ქერეფაშვილის გახსენება

მამუკა, 20 თებერვალს მეორე დაბადების დღე მოვა უშენოდ, ტკივილითა და მონატრებით სავსე. რაც დრო გადის, უფრო მეტად გვაკლიხარ და გვენატრები. უბედურ დედაშენს გაუნელებელი ტკივილი და მონატრება დაუტოვე. მისთვის ამქვეყნად ყველაზე უწმინდესი შენი სურათები და საფლავია. ერთადერთ ნუგეშად 5 წლის სალომე (ნინო) დატოვე, დედისგან — 1 წლის, შენგან — 4 წლის ასაკში დაობლებული.

ნინო, 14 თებერვალს მესუთე მწარე დაბადების დღე მოვიდა უშენოდ. საცოდავ შენს მშობლებს წლებმა ვერ გაუნელა ის უსაზღვრო მწუხარება, რაც შენი ამქვეყნიდან წასვლით დაუტოვე. ჯერ კიდევ უსახელო პატარასთან ერთად.

მამუკა, ისევ დაგვრჩენია, ღმერთს შევავედროთ თქვენი სულები ზეციურ სასუფეველში და აგინთოთ წმინდა სანთლები.

დეიდა, დეიდაშვილები

გია ანდრიაშვილის ხსოვნას!



მოსათმენად გაუსაძლისმა ცხრა წელმა გაიარა უშენოდ. ცხრაჯერ ჩადგა ხეში წყალი; ცხრაჯერ გადაიპენტა შენი სოფლის გარემო გაზაფხულის ყვავილებით.

ვარსკვლავებს ეთამაშებიარო, — მგონდება შენი წამოზრდილი ქალ-ვაჟის დანახვაზე. მე კი, საკუთარი დარდისთვის მოუცლელი, მათ თვალებში ფენა-ფენა დალექილ სევდას ვხედავ.

გვენატრები, გვჭირდები, გია!

ნინო ჯუღელი

დავით (კუკური) ქორქიას მონატრება

საყვარელო ძმო! 19 თებერვალი შენი დაბადების დღეა, უშენობით დამძიმებული, ტკივილიანი, ცრემლიანი. ხანმოკლე აღმოჩნდა ის ბედნიერი დღეები, ერთმანეთს სიცოცხლეს რომ ვულამაზებდით. შენი ცხოვრების წესი იყო მაღალი ზნეობა, სიყვარული, პატიოსნება, უანგარობა.

ვლოცულობ შენთვის. ვეფერები უფალს, ნათელში ამყოფოს შენი სული.

შენი დაიკო

ნოდარ ფეტელავას გახსენება

შვიდი თვე გავიდა იმ საშინელი 19 ივლისის შემდეგ, რაც შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ, ჩვენო საყვარელო მამა. 14 თებერვალი ხომ შენი დაბადების დღეა. ძალიან გვენატრები. ვერაფრით ვაკსებთ უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს და ტკივილს. შენ აღარ შემოდიხარ სახლში, შენი ჩვეული ალერსიანი ღიმილით. ვერაფრით ვერ ვერეკვით შენს უდროოდ წასვლას ამ ქვეყნიდან. შენმა კეთილმა, ალერსიანმა გულმა გიღალატა ასე მოულოდნელად და უდროოდ. უდიდესი სიყვარული მოგვეცი და დაგვიტოვე. შენ ხომ ჩვენთვის ყველაფერი იყავი, მაგრამ შენმა გარდაცვალებამ შეძლო ჩვენი დაშორება. ვერ ვიჯერებთ, რომ აღარ მოგვეფერები. 14 თებერვალი, ეს ლამაზი თარიღი ყოველთვის გვეხსომება, ვერასოდეს ამოვშლით ჩვენი ცხოვრებიდან, ვერ დავივიწყებთ, ჩვენო მზრუნველო, საყვარელო, კეთილო, პატიოსანო და დიდად განათლებულო მამა. ჩვენ მუდამ ვილოცებთ შენი კეთილი, ლამაზი და სათნო სულისთვის და ღმერთს შევთხოვთ, მოგანიჭოს ზეციური სასუფეველი. უფალი ფარავდეს შენს კეთილ და მშვენიერ სულს და ღმერთი იყოს შენი მფარველი მუდმივ სასუფეველში.

შენი საყვარელი შვილები — ხათუნა და ზაზა

ეფეფანა არჩვაძე-გიორგობიანის მონატრება

მტკივნეული და ფარული სევდა ხარ, დედა, ჩვენთვის! 20 თებერვალს — შენს დაბადების დღეს, პირველად შევხვდებით უშენოდ. არასოდეს დავივიწყებთ შენს საფლავს და ქვედან მომზირალ მრავლისმთქმელ შენს ლამაზ თვალებს, რომელიც ძვირფასია ჩვენთვის. გეფერა შენი ლამაზი სულისა და ღმერთს ვთხოვთ, მარადიული სასუფეველი დაგიკვიდროს.

მოვალთ საფლავზე, დაგინთებთ სანთლებს,
დარდებს გავანდობთ ჩუმს და დამალულს,
გულზე დაგაყრით მინდვრის ყვავილებს,
ჩუმად დადენილ ცრემლით დანამულს!

შენი მონატრებული ოჯახი

ზვიად დადვანის გახსენება

ზვიად, ჩვენო საამაყო შვილო! 19 თებერვალი შენი და გიოს ლამაზი სიცოცხლის ტრაგიკულად დასასრულის ავადმოსაგონარი დღეა. ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა თქვენი მიწიერი სიცოცხლე — არსთა გამრიგემ მხოლოდ 23 წელი გიბოძათ.

ზვიად, დადვანების ფესვზე შეტეხილო სიცოცხლის ნერგო, რა მწარეა წუთისოფელი შენი დედ-მამისათვის, ხელმოცარული გამზრდელი მამიდისა და შენი და-ძმისათვის. როგორ ოცნებობდა მამა შენს ექიმობაზე... ახლა სჭირდება შენი ხელი — 7 თვეა, შენს საფლავზე ვერ მოსულა.

ძნელია მონატრება სანუკვარი შვილისა, როცა იცი, რომ ვერასოდეს ნახავ, ვერ მოეფერები. დადიხარ დაგლეჯილი გულითა, აფორიაქებული სულით, ცრემლიანი თვალებით და ყველგან დაეძებ, მაგრამ ამაოდ... ფიზიკურად უზადოს, სულიც ლამაზი გიბოძა უფალმა. ვევედრებით ღმერთს, ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული და შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ, სანთლებმა გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში. ნახვამდის, გკოცნით, გეხვევით.

შენი მონატრებული ოჯახი

თამაზ ხორბალაძის ხსოვნას!

40 დღე სრულდება, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ. უზომოდ გვაკლიხარ და გვენატრები. შენ ხომ ჩვენ სიცოცხლეშიც გვენატრებოდი, სამშობლოსა და ახლობლებს მონატრებულო, ძვირფასო თამაზ! ტიტულების შმრალი ჩამონათვალით, ბუნებრივია, ვერ გამოჩნდება იმ მართლაც ღირსეული პიროვნების ღვაწლი, რომელმაც მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მეცნიერებისა და ქვეყნის სამსახურს შეალია, თუმცა, ამის გაკეთება სამშობლოდან შორს, გერმანიაში უნდებოდა. სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლა განგრძო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე. შემდეგ მუშაობდა მცირე სიმძლავრის მანქანების საკავშირო სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო ინსტიტუტში; 1981-84 წლებში იყო მოსკოვის მართვის პრობლემების ინსტიტუტის ასპირანტი. მოსკოვიდან დაბრუნებულმა, მუშობა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლაბორანტად დაიწყო, ხოლო შემდეგ მუშაობდა საკავშირო კვლევით ინსტიტუტში მართვისა და ორგანიზაციის საკითხებში მეცნიერ-თანამშრომლად. 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ტექნიკურ სისტემებში მართვის სპეციალობით. 1986-88 წლებში მუშაობდა სპი-ში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1988-89 წლებში იმყოფებოდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კარლ-მარქს-შტადტის ტექნიკურ უნივერსიტეტში სამეცნიერო სტაჟირებაზე. 1990 წლიდან მოღვაწეობდა გერმანიის ქ. ბონში, სადაც დოქტორის ხარისხი მიენიჭა და ხელმძღვანელობდა განყოფილებას ერთ-ერთ პრესტიჟულ ფირმაში. თამაზი არასოდეს ყოფილა გულგრილი ქართველი ხალხისა და თავისი სამშობლოს მიმართ, აქტიურად ეხმარებოდა ქართველ სტუდენტებს. მან შექმნა ქართული სათვისტომო, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა. მისი ინიციატივით, ქ. ბონის წმ. სამების სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია ქართველთა სულიერი ნავსაყუდელი გახდა, რადგან იქ წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, ბედისწერამ უეცრად შეწყვიტა მისი ახალგაზრდა სიცოცხლე. მისი ხსოვნა სამარადჟამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

ღმერთმა აცხონოს მისი სული.



სოსო მეგრელიძის ხსოვნას!

ჩემო საყვარელო შვილო, სოსო! გასული წლის 8 ოქტომბერს შენმა ტრაგიკულად დალუპვამ შენთან ერთად მეც დამმარხა. 2 მარტს შენი დაბადების დღეა. ვი, რომ უშენოდ უნდა შევხვდეთ ამ ლამაზ და მწარე დღეს. მარადიულია შენი მონატრება გამწარებული დედისთვის, რომელსაც ტკბილ სიბერეს ჰპირდებოდი. შენ ხომ ფიზიკურად და სულიერად სიცოცხლის მშვენება იყავი! იმნე, შვილო, მშვიდად, მშობლიური შრომის მიწაში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ნაღრეკად წასული სული. ღმერთს ვთხოვ, ჩემს დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში!

შენი გამწარებული დედა — ჟუჟუნა მეგრელიძე

ჯუნა თიგიშვილის მონატრება

პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ, ჩვენო თბილო და კეთილო ჯუნა. აუწერელი ტკივილი დაგვიტოვე თითოეულ ჩვენგანს, განსაკუთრებით კი, შენს საყვარელ ოჯახს.

ყველას ძალიან გვენატრები, გვენატრება შენი ტკბილი ხმა და განუმეორებელი ღიმილი. ჩვენ ისევ დავრჩენილა, აქედან მოგილოცოთ 18 თებერვალი — შენი დაბადების დღე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო ლამაზო ჯუნა.

შენი მონატრებული ქმარ-შვილი და საძეგობრო

ᲡᲐᲪᲐ ᲙᲘ ᲓᲐᲕᲘᲑᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲘᲥᲐᲕ ᲡᲐᲛᲐᲠᲔᲒ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ!..

„იქნებ დაგაინტერესოთ ჩემი დის ამბავმაც. საბრალოს, საოცარი სიზუსტით აუხდა წინასწარმეტყველება“, — მითხრა ქეთევან იშხნელმა.

— ვინ უწინასწარმეტყველა-მეთქი, — ვკითხე.

— თვითონვე იცოდა, თუ ოდესმე გათხოვდებოდა, მშობიარობისას დაიღუპებოდა. დაბადებიდანვე დაჰყვა ეს ცოდნა. წელიწადში ორჯერ-სამჯერ მაინც ეზმანებოდა, თითქოს მშობიარობდა. კვნესით და კივილით იღვიძებდა, შველას ითხოვდა.

ექვსი წლის არც იყო, ჩვენი უმცროსი ძმა რომ გაჩნდა. რატომღაც ვერ მოასწრეს სამშობიაროში გადაყვანა და დედამ შინ იმშობიარა. თინიკოზე ორი წლით უფროსი ვარ, მაგრამ ვერც მე მივხვდი, რა ხდებოდა. მეგონა, დედა კვდებოდა. კარის ღრიჭოდან ვუყურებდი მშობიარობას. როცა ბავშვი გაჩნდა, თინიკომ ერთი შეჰკივლა და უსულოდ დაეცა. ძლივს მოაბრუნეს. გონს მოსვლისთანავე იკითხა, სად არის ჩემი ანგელოზიო.

რომელი ანგელოზიო, — ჩაეკითხა ექიმი.

— აქ იყო... მითხრა, არასოდეს გათხოვდე, არც შვილი გააჩინო, თორემ აუცილებლად მოკვდებიო, — წაიჩურჩულა.

ბავშვის ნათქვამი გადატანილ სტრესს მიაწერეს, მაგრამ ეს „ანგელოზი“ წელიწადში ორჯერ-სამჯერ მაინც უფორიაქებდა ხოლმე სულს... რომ გაიზარდა, აღარც სიზმრებზე ლაპარაკობდა და აღარც შიშს ამხელდა, მაგრამ როცა გათხოვებაზე მტკიცე უარი თქვა, მივხვდით, არც ისე იოლად იყო საქმე. ძალიან ლამაზი იყო, ბევრს მოსწონდა, თავადაც არ იყო ზოგიერთების მიმართ გულგრილი, მაგრამ საქმე ქორწილამდე რომ მივიდოდა, აუცილებლად მოიგონებდა რაიმეს და ჩაშლიდა...

ბევრი ჩიჩინისა და მოძღვრის შეგონების მერე გათხოვდა. ქორწილის წინაღამეს ისევ ეჩვენა ის ანგელოზი. დილით მიამბო, ანგელოზმა მითხრა,— ზუსტად ცხრა თვის შემდეგ, ზეცაში შევხვდებით ერთმანეთსო!..

შევშინდი და კინაღამ ჩავშალე ქორწილი...

მაშინ ცხრა წლის გათხოვილი ვიყავი. შვილი არ გვყავდა. ექიმებმა მე და გურამს ბავშვის აყვანა გვირჩიეს. ეს ამბავი არავისთვის გამიმხელია. არც თინიკომ იცოდა რამე. ქორწილის დილას მითხრა: ანგელოზმა დამარიგა — ქეთინო ნუ აიყვანს ბავშვს, შენი გოგონა იქნება მისი შვილიც და სიხარულიცო!..

თინიკო მალე დაფეხმძიმდა. ექოსკოპიამ გოგონა დააფიქსირა და ამანაც შეგვაშფოთა, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ თავად თინამ დაკარგა შიში და მშვიდად ამბობდა: — დაე, იყოს ყველაფერი ღვთის ნებით, მირჩევნია ჩემი სისხლის და ხორცის ნაწილმა იცოცხლოს, თუნდაც ჩემი სიცოცხლის ხარჯზეო. მეცხრე თვეში მთელი სხეული შეუშუპდა. თირკმლების მწვავე უკმარისობა განუვითარდა. დააწვინეს საავადმყოფოში. ძალიან ცუდად გახდა და საკეისრო კვეთის გაკეთება დაუპირეს, მაგრამ... იმ დილით ნაადრევი მშობიარობა დაეწყო. ბავშვი გადაარჩინეს, თინიკო კი დაიღუპა...

წმოვიყვანე გოგონა გასაზრდელად. უკვე 11 წლისაა, მასაც თინიკო ჰქვია...

— მამამ როგორ დაგანებათ ბავშვი?

— თინიკომ სიცოცხლეში მასაც სთხოვა, რომ ბავშვი ჩვენთვის მოეცა... თემურს მეორე ცოლთან ორი შვილი ჰყავს, მაგრამ თინიკოსაც ნახულობს. ბავშვმა იცის, ვინ არის ნამდვილი დედ-მამა, თუმცა ამის გამო კიდევ უფრო ვუყვარვართ მე და ჩემი ქმარი!

ინგა ჯაყელი

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲐᲜᲒᲚᲝᲑᲡ

სამარის ლენინის სახლ-მუზეუმი ულიანოვების სახლშია მოთავსებული. 1890-93 წლებში აქ ცხოვრობდნენ ვლადიმერ ილიჩი, დედამისი, ძმა — მიშა, დები: მაშა და ანა მეუღლით — მარკ ელიზაროვითურთ. იმქვეყნიური ძალები მუზეუმში პირველად 1986 წელს გამოჩნდნენ — იმ წელს შენობის რემონტი დაიწყეს და ხმაურმა, ეტყობა, სულები გააღვიძა.

მოჩვენება აპარატთან

მუზეუმის გამგის კაბინეტი მეორე სართულზეა. მის ქვეშ, პირველ სართულზე, მომსახურე პერსონალის ოთახი. ყოველდღე, როგორც კი უფროსი შინ წავიდოდა, ქვევით ტელეფონი იწყებდა პარალელური აპარატისთვის დამახასიათებელ წიკწიკს, თითქოს კაბინეტიდან ვიღაც ნომერს კრეფდა. პირველ ხანებში დარაჯები თავქუდმოგლეჯილნი არბოდნენ მეორე სართულზე, აღებდნენ კაბინეტს, იქ კი არავინ ჩანდა. ნელ-ნელა ყველა შეეჩვია ამას. მერე მოჩვენებამ ტაქტიკა შეცვალა: როგორც კი მუზეუმი დაიკეტებოდა, მეორე სართულის ოთახებში იწყებდა სეირნობას, ხის შენობაში ისე მკაფიოდ ისმოდა ნაბიჯების ხმა, რომ დარაჯები კვლავ გარბოდნენ შესამოწმებლად. მოივლიდნენ ყველა კუთხე-კუნჭულს, მაგრამ ვერავის პოულობდნენ, როგორც კი გავიდოდნენ ოთახიდან, კვლავ ატყდებოდა ბაკიბუკი...

მეოჯახე სული

ოთახებში სეირნობით რომ გული ოჯერა, მოჩვენებამ სახლში წესრიგის დამყარება მოინდომა: საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ოჯახს „ხორციელი საქმეებისთვის“ არ ეცლებოდაო და ლენინის დის, ანას და მისი ქმრის საწოლები გააცალკევეს, ელიზაროვის საწოლს კაბინეტში მიუჩინეს ბინა. სულს არ მოეწონა ასეთი უსამართლობა და ყოველ დილით მუზეუმის მუშაკებს ელიზაროვის საწოლი აშლილი ან გადაადგილებული ხვდებოდათ. როგორც კი ანას ოთახში ქმრის საწოლი დადგეს, მოჩვენება დამშვიდდა.

ვალოდიას — ნამცხვარი, ოლგას — ყვავილები

ტრადიციულად, ვლადიმერ ილიჩის დაბადების დღეზე დედამისი ღვეზელს აცხობდა. ახლაც, ლენინის დაბადების ან გარდაცვალების დღეს, მუზეუმის მუშაკებს ნამცხვრის სურნელი სცემთ. თანამშრომლები ერთმანეთს ეკითხებიან, ვინ მოიტანა ნამცხვარიო. ვალოდიას დის, ოლგას გარდაცვალების დღეს, რომელსაც ძალიან უყვარდა მინდვრის ყვავილები, მუზეუმის დარბაზებში შროშანის სუნი დგას...

მუზეუმის თანამშრომლები შეეჩვივნენ ყველაფერს, მაგრამ ვერ გაურკვევიათ, ვისი სულია დაბინავებული მუზეუმში. თუმცა, ძნელი გამოსაცნობი არ არისო, — ამბობენ, — ლენინის ნეშტი დღემდე მიწისთვის არ მიუბარებიათ და სული მოსვენებას ვერ პოულობსო.

კომსომოლსკაია პრავდა №14

ᲥᲐᲗᲛᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘᲜᲐᲗ...

ᲡᲝᲤᲚᲘᲓᲐᲜ ᲤᲝᲡᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲣᲙᲕᲐᲚᲝᲓ ᲒᲐᲥᲠᲐ. ᲨᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲡᲘᲡᲮᲐᲛ ᲓᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ — ᲞᲔᲜᲡᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲢᲐᲜᲐᲓ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲐ. ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲘᲙᲘᲗᲮ-ᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲔᲡ. ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐᲘᲪ ᲩᲐᲔᲠᲘᲐ. ᲙᲕᲐᲚᲡ ᲕᲔᲠᲡᲐᲓ ᲛᲘᲐᲒᲜᲔᲡ. ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲘᲓᲒᲐ. ᲭᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲙᲘᲕᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲔᲠᲗ ᲛᲣᲨᲢᲐᲓ ᲨᲔᲔᲙᲠᲐ. ᲗᲐᲕᲐᲓ ᲤᲝᲡᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ. ᲤᲣᲚᲖᲔ ᲦᲘᲠᲘᲡᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲓᲐ. ᲓᲘᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲛᲐ ᲫᲔᲑᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ. ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ ᲡᲝᲚᲘᲓᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ. ᲐᲓᲠᲔᲡᲐᲢᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲬᲔᲠᲓᲐ. ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲦᲘᲠᲐ ᲫᲐᲠᲪᲕᲐ-ᲧᲐᲩᲐᲦᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲛᲮᲘᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲫᲘᲔᲡ.

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲠᲐᲦᲐᲪᲐᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲐ. ᲐᲐᲢᲐᲚᲐᲮᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ. ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲨᲣᲑᲚ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ, — ᲮᲛᲝ ᲮᲔᲓᲐᲕ, ᲙᲕᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ, ᲫᲐᲠᲪᲕᲐ-ᲧᲐᲩᲐᲦᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲠᲘᲪᲮᲔᲗ. ᲡᲮᲕᲐ ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲖᲔ ᲕᲛᲣᲨᲐᲝ. ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲛᲐ ᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲪᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲔᲛᲐᲚᲔᲑᲐᲝ.

ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲝᲜᲔ ᲥᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲒᲝᲜᲡ. ᲬᲔᲚᲐᲗᲠᲔᲣᲚᲛᲐ ᲫᲚᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲨᲘᲜᲐᲛᲓᲔ. ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲢᲣᲓᲐ. „ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲯᲮᲘᲠᲘ ᲐᲘᲦᲝ, ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲛᲜᲘᲔᲑᲘ ᲩᲐᲘᲪᲐᲡ“ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲫᲔᲑᲜᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲡᲬᲘᲜᲐ. ᲓᲐᲓᲘᲝᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ-ᲡᲝᲤᲔᲚ, ᲣᲑᲐᲜ-ᲣᲑᲐᲜ, ᲒᲐᲛᲕᲚᲔᲚ-ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲚᲡ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲝᲓᲐ ᲙᲕᲐᲚᲡ. ᲫᲔᲑᲜᲐ-ᲫᲔᲑᲜᲨᲘ ᲛᲢᲙᲕᲠᲘᲡ ᲜᲐᲰᲘᲠᲖᲔ ᲨᲔᲩᲠᲩᲝᲚᲔᲑᲣᲚ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲰᲙᲠᲐ ᲗᲕᲐᲚᲘ. ᲕᲘᲓᲠᲔ ᲘᲥᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕᲓᲐ, ᲝᲠᲯᲔᲠ ᲬᲐᲘᲪᲐ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲨᲘ ᲫᲐᲚᲒᲐᲐᲛᲝᲚᲔᲣᲚᲘ. 13-14 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲭᲯᲔᲑᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲰᲘᲠᲖᲔ ᲪᲮᲔᲓᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲔᲗᲠᲘᲜᲐᲗ. ᲯᲔᲠ ᲘᲡᲔᲕ ᲨᲔᲠᲩᲔᲜᲝᲓᲐ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲨᲔᲣᲙᲔᲠᲘᲚᲘ ᲭᲠᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲧᲔᲚᲝ...

ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ — ᲕᲔᲠᲐ. ᲡᲐᲥᲛᲔ ᲝᲠ ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲮᲐᲜᲚᲘ ᲒᲐᲣᲮᲡᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ.

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡᲨᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲞᲘᲠᲘᲢᲘᲖᲛᲘᲗ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲰᲙᲐᲓᲠᲔᲑᲓᲐ „ᲛᲩᲮᲘᲑᲐᲝᲑᲐᲨᲘ“ ᲛᲩᲘᲚᲔᲑᲐᲡ. ᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲝᲠᲘᲝᲓ ᲐᲮᲚᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲛᲝᲪᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲡᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ „ᲘᲫᲐᲮᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲣᲚᲔᲑᲡ“. ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲓᲔᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲡ ᲰᲙᲘᲗᲮᲐ თურმე, — ვინ მოგკლა, პეტო? დატრიალდა თეფში და სამად სამი ასო გამოისახა: „ჯია“. ქალმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ „ჯია“ არ დავიწყებია.



ᲒᲐᲛᲝᲮᲓᲐ ᲮᲐᲜᲘ. ᲔᲠᲗ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ ᲓᲘᲡᲬᲣᲚᲘ ᲓᲔᲘᲓᲐᲡ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲐ. ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲛᲐ — ᲥᲐᲗᲐᲛᲡ ᲓᲐᲕᲙᲚᲐᲕᲐᲕ — ᲪᲣᲚᲡ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲫᲔᲑᲜᲐ, ᲕᲔᲠ ᲘᲞᲝᲕᲐ. ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲑᲘᲫᲐᲡᲗᲐᲜ, — ᲯᲘᲐ ᲬᲐᲘᲦᲔᲑᲓᲐ, ᲓᲐᲓᲐᲘᲠᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲐᲠᲗᲔᲗᲘᲜᲝ.

— ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲯᲘᲐ? — ᲘᲙᲘᲗᲮᲐ ᲤᲔᲠᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲛᲐ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲛᲐ. ᲘᲒᲘ ᲓᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘᲡ ᲪᲝᲚᲘᲡᲫᲛᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲔᲤᲘᲜᲐ. ᲘᲛ ᲡᲐᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲘ ᲓᲦᲔᲡ „ᲯᲘᲐ“ (ᲛᲔᲢᲮᲐᲮᲔᲚᲘᲐ) ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲕᲠᲔᲑᲘᲐ ᲡᲘᲫᲘᲡ, ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲪᲝᲢᲐ ᲬᲐᲣᲥᲔᲘᲤᲘᲐᲗ. ᲯᲘᲐ ᲤᲣᲚᲡ ᲓᲐᲮᲐᲠᲑᲔᲑᲘᲐ. ᲛᲝᲣᲙᲚᲐᲕᲡ ᲓᲘᲡ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲕᲗᲣᲚᲒᲐᲛᲝᲛᲭᲚᲘ ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲒᲓᲘᲐ...

თუთი რატიანი

ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲜᲘᲙᲐᲞᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲜᲝᲑᲗ

თურმე საკმარისია ადამიანის ნიკაპს შეხედო და ამით მის ხასიათსაც გაიგებ. ასე ფიქრობდნენ ძველი ჩინელები. სახის ამ ნაწილის იზოლირებულად შეფასება კი არ ხდება, არამედ სახის პროპორციასთან შეფარდებით.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲜᲘᲙᲐᲞᲘ აქვს მოკრძალებულ ადამიანს, ვინც სხვის ყურადღებას გაურბის.

ᲤᲐᲠᲗᲝ ᲧᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲘᲙᲐᲞᲘ ძლიერ პიროვნებას აქვს. წინ წამოწეული მძიმე ყბები, რომელიც ზურგიდანაც კარგად მოჩანს — მეამბოხე ბუნებაზე მიუთითებს.

ᲛᲝᲛᲠᲒᲒᲐᲚᲔᲒᲣᲚᲘ ᲩᲐᲩᲕᲠᲔᲢᲘᲚᲘ ᲜᲘᲙᲐᲞᲘ დამახასიათებელია იმ ადამიანისთვის, ვისაც სხვისი მფარველობა უყვარს. ასეთ ადამიანს შეიძლება საიდუმლო ანდოთ.

ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲦᲠᲛᲐ ᲜᲐᲙᲔᲪᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲐᲓ ᲒᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲜᲘᲙᲐᲞᲘ მხოლოდ საკუთარი თავის მოიმედეს აქვს. ასეთი ადამიანი მარტოობას ირჩევს. გართობას მას წიგნი და ტელევიზორთან ჯდომა ურჩევნია.

ᲬᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲒᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲜᲘᲙᲐᲞᲘᲡ პატრონი ქედმაღალია. ასეთ ადამიანთან მეგობრობა და ურთიერთობა ძნელია.

ᲩᲐᲛᲝᲗᲚᲘᲚᲘ ᲜᲘᲙᲐᲞᲘ დამახასიათებელია ფრთხილი და მერყევი ადამიანისთვის.

ᲒᲠᲫᲔᲚᲜᲘᲙᲐᲞᲘᲐᲜᲘ უმეტესად ეშმაკი და ძუნწია. უყვარს სხვისი დაცინვა, აქვს იუმორის გრძნობა, ცდილობს ყველაფერი თავისებურად გააკეთოს.

ᲒᲠᲬᲧᲔᲚᲜᲘᲙᲐᲞᲘᲐᲜᲘ დაუნდობელი პრაგმატიკოსია, ანგარიშიანი, ცდილობს ყველაფერში სარგებელი ნახოს. საჭირო ადამიანთან დახლოებისთვის ყველაფერს იკისრებს. ასეთ ადამიანს ნამდვილი მეგობარი არ ჰყავს.

ᲚᲐᲠᲐᲒᲘ აქვს ჭამის მოყვარულს. ის ხალისიანი და ემოციურია, მაგრამ ზოგჯერ საშიშიც, რადგან პირად გამორჩენას ყველაზე მაღლა აყენებს.

ვნე ზაკონა №4

ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲘᲠᲣᲠ�გᲘᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ “ᲛᲔᲓᲘ”

ᲡᲐᲮᲘᲡ ᲙᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲕᲔᲑᲐ

ᲤᲘ�გᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲥᲪᲘᲐ ᲚᲘᲞᲝᲡᲐᲥᲪᲘᲘᲗ



MEDI

250-202 306-307

ᲐᲚ. ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ №1

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ

ᲢᲣᲩᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲥᲪᲘᲐ

ᲜᲐᲝᲭᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

„ᲡᲐᲑᲐᲚᲦᲝ-ᲡᲐᲚᲐᲦᲝ“ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

I. ᲐᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲜᲘ
1) — დ); 2) — ა); 3) — ბ);
4) — გ); 5) — დ); 6) — ა);
II. ᲠᲔᲒᲘᲣᲡᲘ
შური თავის პატრონს ჭამსო.
III. მგელი.

პუტინს აღარ შესცივდება

კურსკელმა პენსიონერმა ნადეჟდა ბაჩურინამ კრემლიდან ვლადიმირ პუტინის წერილი მიიღო.

რუსეთის პრეზიდენტი მადლობას უხდიდა ქალბატონს საჩუქრისთვის, რომელიც დაბადების დღისთვის აახლა — ეს იყო სხვადასხვა ფერის ძაფით მოქსოვილი 50-მეტრიანი შალის შარფი. მოიხვევს თუ არა პუტინი საჩუქარს, ვინ იცის, მაგრამ პენსიონერს გარჯა დაუფასა. ერთი პირობა ვიფიქრე, დავარღვევ და შვილიშვილებს მოვუქსოვ რამეს-მეთქი, — ამბობს ქალბატონი, მაგრამ ასე არ მოიქცა, რადგან ეტყობა, პრეზიდენტზე ზრუნვის სურვილი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ახლა ბაჩურინა ალა პუგაჩოვაზე ზრუნავს — საყვარელი მომღერლისთვის 100-მეტრიან შარფს ქსოვს. იმედოვნებს, რომ მომავალი ზამთრისთვის დაუთბუნავს ყელს რუსული ესტრადის ვარსკვლავს.

მოსკვა

ექიმებმა თავი მიაკერეს

შარშან ზაფხულს ამერიკელი მარკოს პარა ავარიაში მოყვა. მის „ფორდს“ დაეჯახა სატვირთო მანქანა, რომელსაც მთვრალი მძღოლი მართავდა. დაზარალებული მაშინვე წმინდა იოსების საავადმყოფოში წაიყვანეს.

ექიმებს თავზარი დაეცათ — კარგა ხანია, ასეთი პაციენტი არ ენახათ. მარკოსს თავი ნახევრად მოწყვეტილი ჰქონდა, ხერხემალი, ზურგის ტვინი და არტერიები კი თითქმის დაუზიანებელი გადარჩენილიყო. გარდა ამისა, მოტეხილი ჰქონდა ლავიწისა და მენჯის ძვლები, რამდენიმე ნეკნი და კუდუსუნის ძვალი. ასეთი დაზიანებებით ადამიანები მაშინვე იღუპებიან. გასაოცარია, მაგრამ მარკოსი სრულ გონებაზე იყო და გრძნობდა, რა ხდებოდა ირგვლივ. მისი გადარჩენა მხოლოდ სასწაულს შეეძლო.

სასწაული კი მართლაც მოხდა: მარკოსი მოხვდა ცნობილი ქირურგის კარტი დიქმანის კლინიკაში. ექიმმა მას ურთულესი ოპერაცია გაუკეთა — კისრის წინა ნაწილი თავის ქალას ქირურგიული ხრახნებით შეუერთა. რეაბილიტაცია მეტად მტკივნეული იყო და ოთხი თვე გაგრძელდა, მაგრამ მარკოს პარამ ვაჟკაცურად გაუძლო სიცოცხლისთვის ბრძოლას. ცოტა ხნის წინ ის თითქმის სრულიად ჯანსაღი დაუბრუნდა ოჯახს. მას აღარ უჭირს არც მუშაობა და კვლავ ოსტატურად თამაშობს ჩოგბურთს. ექიმ დიქმანის მეოხებით, მარკოსს შეუძლია კისრის მოძრაობა.

მირ ნოვოსტეი №6

სექსი ვიოლინოთი

ცნობილმა მომღერალმა გადაწყვიტა ბასგიტარა ვიოლინოთი შეცვალოს. მუსიკალური ორიენტაციის შეცვლა ვარსკვლავმა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ფილმ „მევიოლინეს“ პრემიერას დაესწრო. ფილმში მისი მეუღლე, 46 წლის ტრუდი სტაილერი 25 წლის მევიოლინესთან ტკბება სექსით. მაშინ, როცა მორიგ პიკანტურ სცენაში მთავარმა გმირმა გახურებული სექსის დროს ვიოლინო ააკვნესა, დარბაზში სტინგის გვერდით მჯდომ სტაილერს ნეტარების ღიმილი გადაჰფენოდა სახეზე — რითაც ქმარს აუწყა, ამ სცენამ მართლაც დიდად მასიამოვნაო.

ერთი სიტყვით, პრემიერა იმით დასრულდა, რომ პირქუშმა სტინგმა ცოლი შინ გაუშვა, თვითონ კი სასტუმროში წავიდა და პრესმდივანს დაუბარა, ყველას უთხარი, რომ ავად გავხდიო.

მეორე დღეს სტინგმა ლონდონის საუკეთესო მუსიკალურ მაღაზიას ექსკლუზიური ვიოლინო შეუკვეთა და მასწავლებელიც დაიქირავა.

ტვ პარკი №5

„მოაზროვნე“ მტვერსასრუტი



კორეელმა მეცნიერებმა „მოაზროვნე“ მტვერსასრუტი შექმნეს. იგი ადამიანის დაუხმარებლად აგროვებს ნაგავს. ახალი მოწყობილობა სივრცეში ორი ინფრაწითელი კამერის მეშვეობით ორიენტირებს, ღამის ხედვის ხელსაწყოც აქვს და სიბნელეშიც მუშაობს.

ოთახის პირველი „შემოვლისას“ იგი გზას სენსორული გადამცემებით იკვლევს.

ნიუზუიქი

კომპიუტერი ქალებს აშიშვლებს

ქალის თეთრეულის გამომშვები წამყვანი იაპონური ფირმა კლიენტებისთვის თეთრეულის მოზომების ახალ მეთოდს ამუშავებს: შესაფერის ზომას და მოდელს დახლთანვე შეარჩევს მსურველი — კომპიუტერისა და ინფრაწითელი სხივების საშუალებით. კომპიუტერი ობიექტის სამგანზომილებიან გამოსახულებას აფიქსირებს ეკრანზე. მერე კი კომპიუტერით შერჩეულ მოდელს კომპიუტერზე აღბეჭდილ გამოსახულებას მოარგებენ.

ეხო პლანეტი №2

ჩიჩოლინაზე ნადიროობენ

იტალიელმა პორნოვარსკვლავმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ჩიჩოლინამ ახლახან მემუარები დაწერა, რომელშიც წვრილად აქვს აღწერილი თავისი ინტიმური ურთიერთობები სახელმწიფოს პირველ პირებთან. წიგნმა არნახული სკანდალი გამოიწვია ჯერ კიდევ გამოსვლამდე. ერთ ანონიმ პოლიტიკოსს გამომცემლობისთვის, სადაც ეს „შედევრი“ უნდა დაბეჭდილიყო, მოსალოდნელ მოგებაზე გაცილებით დიდი თანხა შეუთავაზებია. ჩიჩოლინა არ დაბნეულა და გამომცემელი შვეიცარიაში უპოვია. პოლიტიკოსები პანიკაში არიან — ჩიჩოლინას ინტიმური აღსარებები შესაძლოა მათთვის გამანადგურებელი აღმოჩნდეს. ამბობენ, ილონა სტალერს „კოზა ნოსტრას“ კილერები ეძებენო.

ნიუზუიქი

ქურდობა სასამართლო დარბაზში

ამერიკის ერთ-ერთი შტატის სასამართლომ შეიბრალა წვრილფეხა ქურდი ერნესტო ვალდესა და მიუსაჯა სპეციალურ სემინარზე დასწრება.

მაგრამ ამ სემინარზე სწავლება ფასიანი აღმოჩნდა და ერნესტოს საჭირო თანხა — 430 დოლარი არ ჰქონდა. თანხის მოსაძიებლად მან სასამართლოს მდივნის ნოუტბუკი მოიპარა და მისი გაყიდვა გადაწყვიტა, მაგრამ თურმე კვების ზონრის წამოღება დავიწყებია და ამიტომ საქონელი ნახმარი ტექნიკის მაღაზიაში არ მიიღეს. ვალდესა სასამართლოს შენობაში ზონრისთვის დაბრუნდა, მაგრამ ამჯერად არ გაუმართლა — დააკავეს. იმავე დღეს იგი კვლავ განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა და განაჩენის შემდეგ საპატიმროში უკრეს თავი.

ექსპრეს გაზეთა №2

მოძალადეებს კასტრირებას უპირებენ



სტატისტიკური მონაცემებით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს ქალებზე ძალადობის მიხედვით.

ეს მონაცემები ერთმა ადგილობრივმა გაზეთმა გამოაქვეყნა თუ არა, რამდენიმე ათასმა მამაკაცმა დემონსტრაცია გამართა.

მანიფესტაციის მონაწილეებმა მიმართვა გაუგზავნეს შინაგან საქმეთა მინისტრს მოთხოვნით — ყველა, ვინც ძალას იხმარს ქალზე, დასაჭურისდეს. ასეთი რადიკალური სასჯელი იმის გარანტია იქნება, რომ მომავალში სექსუალურად შეჭირვებული პირები ველარ შეძლებენ თავიანთი „დანაშაულებრივი გეგმების“ განხორციელებასო. მთავრობა აპირებს ყურად იღოს მათი მოთხოვნა.

პარი მატჩი

კლინტონი სამკურნალო ქოფილა

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ახლახან ერთ ძვირად ღირებულ კლინიკაში მიბრძანდა ჰიპერსექსუალურობის სამკურნალოდ. მკურნალობისთვის 150.000 დოლარი მისმა მეუღლემ გადაიხადა.

ჰილარი კლინტონი დაღალა ქმრის გაუთავებელმა მექალთანეობამ, რომელსაც ამდენი ხანია ითმენდა. მოტყუებული ცოლის იმიჯს მისთვის დამატებითი პოლიტიკური ქულებიც მოჰქონდა, მაგრამ იმავე პოლიტიკური მოსაზრებით მისის კლინტონი კერძო მაძებრების დახმარებით ფხიზლად ადევნებდა თვალს თავის ცელქ ქმარს, რათა კიდევ ერთხელ არ გახვეულიყო სექს-სკანდალში. როგორც აღმოჩნდა, ჰილარის ეჭვები უსაფუძვლო არ ყოფილა. მაძებრების წარმოდგენილ ანგარიშში, სადაც ქმრის მოწყობილი ორგიების მონაწილეების სახელ-გვარებიც იყო, ერთი ცნობილი გვარიც აღმოაჩინა. ერთ-ერთი ლამაზმანი იმ ბიზნესმენის ქალიშვილი აღმოჩნდა, რომელიც ჰილარი კლინტონის სენატში ასარჩევ კამპანიას აფინანსებდა და მისი გაპრეზიდენტების მომხრეც არის. ექსპრეზიდენტის მეუღლემ, რომელსაც თეთრი სახლი ენატრება და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, ქმარს აუხსნა საქმის ვითარება. ბუნებრივია, ბილსაც უნდა თეთრ სახლში დაბრუნება, თუნდაც პრეზიდენტის მეუღლის რანგში, ამიტომ სასწრაფოდ კლინიკას მიაშურა. განიკურნა თუ არა, მომავალი უჩვენებს, ყოველ შემთხვევაში, მორიგ სატრფოს გვარს იმას ჰკითხავს, შენი მამიკო ვინ არისო? თორემ დააწყდა ნერვები ჰილარის!

მეგაპოლის-ექსპრესი

დამიხსენით ცოლისგან!

ესპანეთის ქალაქ კასტელიონის ცენტრში, ერთ-ერთ გზაჯვარედინზე ადგილობრივმა მკვიდრმა რობერტო დე პედრო ვიდალმა მანქანა გააჩერა და შიგ ჩაიკეტა. ცნობისმოყვარეთ აუხსნა — შიმშილობა გამოვაცხადეო. ვიდალი სვამდა მხოლოდ წყალს და ზოგჯერ მეზობელი კაფეს ტუალეტში შედიოდა.

პედროს მანქანა გარედან მოფენილი იყო პლაკატებით, ერთ-ერთ მათგანზე ეწერა: „მინდა ყველამ გაიგოს — არა მარტო ქალები ვარდებიან შავ დღეში უვარგისი ქმრებისა და საყვარლების წყალობით, არამედ ხშირად პირიქითაც ხდება!“ სხვა პლაკატებზეც მსგავსი შინაარსის ტექსტები იყო დაწერილი და ცხადი გახდა, რომ 45 წლის ბიზნესმენი პედრო ცოლის ძალადობის მსხვერპლი იყო.

ოჯახის მამას ასეთი ექსტრავაგანტური საქციელის ჩადენა აიძულა ცოლმა, რომელიც ცხვირს ჰყოფდა მის ბიზნესში, უნდოდა მისი შინიდან გაგდება, ოცნებობდა, მთელი ფული ხელში ჩაეგდო და ბავშვებიც თავისთან დაეტოვებინა.

პედრომ განაცხადა, რომ მისი 190 სმ სიმაღლისა და 100-კგ-იანი ცოლისგან მუდმივად განიცდიდა არა მარტო ფსიქოლოგიურ, არამედ ფიზიკურ ძალადობასაც.

ინტერპოლ-ექსპრესი №3



ცოცხალი გრავიტაცია...

ოდესღაც გერმანული საკონდიტრო ფირმა „შტოლვერკი“ შოკოლადისგან ამზადებდა გრამფირფიტებს. ფირფიტები გახვეული იყო ფოლგაში. რაც შეეხება მუსიკით ტკბობას, არაფერი ვიცით, მაგრამ, ერთი კია, თუ არ მოეწონებოდათ მელოდია, ფირფიტას იატაკზე კი არ ანარცხებდნენ, არამედ შემოაცლიდნენ ფოლგას და შოკოლადით პირს იტკბარუნებდნენ...

ლიზა №5

ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“

შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში შილერის სიტყვებს ამოიკითხავთ.

კ. რა ჰქვია ცხენის რძეს; **ვ.** ... კოტეტიშვილი; **ი.** სოფელი კასპის რაიონში, რომელზეც გადის გორი-თბილისის ტრასა; **რ.** დედამინის ზედაპირის სხვადასხვა უსწორმასწორობის ერთობლიობა; **ი.** სუფთა მოგება ძიუდოში; **ს.** ნაცარქექიას ცივი იარაღი; **პ.** ფირმა „ადიდასის“ ძველისძველი კონკურენტი; **ა.** დაავადება, რომლის შეტევებსაც სულის ხუთვა ახასიათებს; **ლ.** სიგრძის საზომი ერთეული საფრანგეთში; **ი.** ცალკე პირის ან დაწესებულების მოღვაწეობის რომელიმე წლისთავი; **ტ.** ტელეაპარატურის მწარმოებელი იაპონური ფირმა; **რ.** ვაჟკაცური გულის „მასალა“; **ა.** შოთა, ილია, ..., ვაჟა და გალაკტიონი. ჩაწერეთ გამოტოვებული სახელი; **შ.** მარიტას ქმრის სახელი მხატვრულ ფილმში „ნატვრის ხე“; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი; **ნ.** გერმანული პარფიუმერიული ფირმა; **ი.** ქართული ხალხური შეჯიბრი ცხენოსნობაში; **გ.** სამხედრო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; **ა.** რა ერქვა ქისტი მუცალის მკვლელს (ვაჟა-ფშაველა); **ზ.** წელიწადის დრო; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **თ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ი.** მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან; **ა.** მთა, რომელთანაც გაჩერდა ნოეს კიდობანი.

ბინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჩ. ჩეჩნეთი; ვ. ვოევოდა; ე. ერმაკი; ნ. ნაირობი; თ. თიანეთი; ა. არლანი; ხ. ხოსტე; ე. ერაყი; რ. რურუა; თ. თხემი; ა. ალბიონი; დ. დრაკონი; ა. ამერიკა; რ. რაპორტი; ა. ამონალი; ს. სიქა; ო. ოდინი; დ. დისპუტი; ე. ეტალონი; ს. სიღნაღი; ი. იქსი; წ. წყალი; ყ. ყარაული; ე. ელეგია; ნ. ნობელი; ე. ეკალი; ნ. ნიაკი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: ჩემი აღსარება ეპოქის აღსარებაა.

ავტოსალონი

«მიცუბიშის» უნივერსალური ჯიპი

მოახლოებული ჟენევის საერთაშორისო ავტოსალონისთვის ყველა ავტოკონცერნი თავისებურად ემზადება. დაკარის ტურნეზე მოპოვებული წარმატების შემდეგ „მიცუბიშის“ მენეჯერებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, ყველა სერიულ მოდელს სპორტული სტილი შეუნარჩუნონ და ამგვარად, მთლიანად კომპანიასაც სპორტული იმიჯი დაუმკვიდრონ. ამჯერად „მიცუბიშის“ ძირითადი სიახლე საჩვენებელი („კონცეპტუალი“) კაბრიოლეტი CZ2 და სერიული ყველგანმავლის ევროპული ვერსია „აუტლანდერი“ იქნება. გარდა ამისა, ჟენევაში „მიცუბიში“ დაკარის 25-ე, საიუბილეო ტურნეზე გამარჯვებულ Pajero Evolution-საც წარმოადგენს. რაც შეეხება „აუტლანდერს“, მის პროტოტიპზე მუშაობა „მიცუბიშის“ საკონსტრუქტორო ბიუროში 2 წლის წინ დაიწყეს. მოდელი თავიდანვე სპორტული და კომფორტული ნაერთის ყველგანმავლად იყო ჩაფიქრებული. რაც არ უნდა ფანტასტიკურად მოგვეჩვენოს, იაპონელებმა ამჯერადაც შეუძლებლის შეძლება სცადეს — „აუტლანდერი“ გარდა იმისა, რომ სპორტულიც არის და კომფორტულიც, ამავე დროს ეკონომიური და მაღალი გამავლობისაა. ერთი შეხედვით, ეს ცნებები ერთმანეთთან შეუთავსებელია, მაგრამ ავტომობილის სპორტულ სტილზე მისი გარეგნობა მეტყველებს, კომფორტულობაზე — სალონი, რომელიც ათასგვარი ელექტრონიკით და აუდიო-ვიდეო ტექნიკით არის გადაჭედილი. ეკონომიურობა კი ჯიპის პარამეტრებისთვის საკმაოდ მცირე, 2ლ მოცულობის, ფორსირებულ ძრავაში გამოიხატება. რაც შეეხება გამავლობას, იგი ავტომატიზებული ტრანსმისიით არის უზრუნველყოფილი. უგზოობის პირობებში ავტომობილი ავტომატურად იცვლის კლირენსს (გზის ზედაპირთან დაშორებას).

„ დოჯი“ — ყველაზე სწრაფი პიკაპი მსოფლიოში

ჩიკაგოში გამართულ საერთაშორისო ავტოსალონზე ჯიპების სახელგანთქმულმა მწარმოებელმა ფირმამ ახალი პიკაპი Dodge SRT-10 RAM-ი წარმოადგინა. აღნიშნული მოდელი სერიულ პიკაპებს შორის ყველაზე სწრაფი იქნება, თუმცა, მეორე საკითხია, რაში დასჭირდება ტვირთების გადასაზიდად განკუთვნილი ავტომობილის მფლობელს ამხელა სისწრაფე. მისი V ტიპის, 10-ცილინდრიანი ძრავა 8,3ლ მოცულობისაა და 100კმ/სთ სიჩქარეს სულ რაღაც 5,2 წამში ავითარებს. იმისთვის, რომ მაღალ სიჩქარეზე ავტომობილს მანევრირება არ დაეკარგა, მისი კლირენსი საგრძნობლად შემცირდა, გამოიცვალა წინა და უკანა „ბამპერებიც“, რათა ჰაერის წინაღობა ავტომობილის მართვის სასარგებლოდ შეცვლილიყო. როგორც ჩანს, ავტომობილი უფრო ახირებული გემოვნების ამერიკელებზე იქნება გათვლილი, რადგან ძვირად ღირებულ ტყავის სალონს, სპორტულ საჭეს და 500-ვატიან აუდიოსისტემას ფერმერი ნაკლებად გამოიყენებს. მით უმეტეს, რომ ამ „თვისებებიდან“ გამომდინარე, ავტომობილის ფასი შეერთებულ შტატებში 35 ათასი დოლარი იქნება.

Rolls-Royce უფრო მეტი რაოდენობით გაიყიდა

როგორც მოსალოდნელი იყო, „როლს-როისის“ ლეგენდარული მარკა გერმანელების ხელში სერიულ მოდელად იქცა. წარმატებული დებიუტის შემდეგ, ბავარიელმა ავტომშენებლებმა გადაწყვიტეს, დღეში ერთის ნაცვლად სამი მოდელი გამოუშვან. პირველმა დამკვეთებმა ახალი ავტომობილი უკვე ამ წლის აპრილშივე შუძლიათ მიიღიონ. BMW „როლს-როისის“ სადილერო ქსელსაც გააფართოებს — მსოფლიოში სულ 70 ცენტრი იქნება.

„ფორდის“ ნავიგაციური სისტემა

კორპორაცია „ფორდის“ სპეციალისტებმა ახალი სანავიგაციო სისტემა შექმნეს — იგი მძღოლის მიერ ხშირად გავლილ ყველა მარშრუტს იმახსოვრებს და აანალიზებს. ამის შემდეგ, გზის ხარისხიდან და დახარჯული დროიდან გამომდინარე, ოპტიმალურ ვარიანტს ადგენს. გარდა ამისა, სპეციალური პროგრამა ამა თუ იმ ქალაქის გეგმას მონიტორზე განთავსებს, რის შემდეგაც ავტომობილის მდებარეობა და მიმართულება კურსორით არის მონიშნული. ამ შემთხვევაშიც, სანავიგაციო მოწყობილობა უკეთეს გზას შემოგთავაზებთ და მოთხოვნის შემთხვევაში, სათანადო არგუმენტაციასაც „გეტყვით“. სანავიგაციო მოწყობილობა კავშირს თანამგზავრთანაც ამყარებს, და აღნიშნულ პროგრამას მისი დახმარებით ტვირთავს. ასე რომ, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მოხვედრისას დაკარგვის შიში არ გექნებათ.

Mercedes E-კლასი მუდმივი სრული გაწევით გამოვა

როგორც ჩანს, „მერსედესი“ არა მხოლოდ BMW-ს, „აუდისაც“ სრულფასოვან მეტოქედ მიიჩნევს და უახლოეს მომავალში შტუტგარტელ მანქანათმშენებლებს სწორება „აუდის“ ტექნოლოგიებზე ექნებათ აღებული. დღემდე მსუბუქ ავტომობილებზე სრული გაწევის ტექნოლოგიებს მხოლოდ „აუდი“ იყენებდა. „კვატრო“ სისტემამ ამ ფირმას დიდი პოპულარობა მოუტანა, რადგან ოთხივე ბორბალზე გაწევას ბევრი დადებითი თვისება აღმოაჩნდა — გარდა რთული საგზაო პირობების დაძლევისა, ასეთი სისტემის ავტომობილი ბევრად უფრო მანევრირებადია და სათანადო სინქრონიზაციის შემთხვევაში, უფრო სწრაფიც არის. ალბათ, „მერსედესის“ საკონსტრუქტორო ბიუროც მსგავსი მოსაზრებებით სარგებლობდა, როდესაც E240 და E320 ტიპის მოდელებზე სრული გაწევის 4Matic სისტემას აპროექტებდა. „ფორმატიკთან“ მისადაგებისთვის E კლასის ძარამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. შეიცვალა ავტომობილის უკანა ხიდიც, რომელიც უსაფრთხოებისა და გამძლეობის გასაზრდელად ორმაგ ბერკეტებზე დაამაგრეს. ავტომობილის კლირენსმა კი 10 მილიმეტრით მოიმატა.

ახალი „ვექტრა“ ახალი ძრავათი

„ოპელ ვექტრას“ ძველი მოდიფიკაცია საქართველოში ძალიან პოპულარულია — ხელსაყრელი ფასის, ეკონომიური ძრავას და იაფი ექსპლუატაციის გამო. როგორც ჩანს, გერმანელები ასე არ ფიქრობენ, რადგან კონცერნმა „ოპელმა“ გადაწყვიტა არსებული მოდელი წარმოებიდან ამოიღოს და მის ნაცვლად ახალი „ვექტრა“- GTS-ი ჩაუშვას. ახალი ავტომობილისთვის ახალი ძრავა დამზადდა — 2 ლ მოცულობის, 175 ცხ.ძ სიმძლავრის ძრავათი „ვექტრა“ 100კმ.სთ სისწრაფეს 9,1 წამში ავითარებს. მოდელი ტურბოგამაძლიერებლით და 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფით არის აღჭურვილი. მისი მაქსიმალური სისწრაფე 230კმ/სთ-ია. მიუხედავად ასეთი სიმძლავრისა, ავტომობილი საკმაოდ ეკონომიურია — 100 კმ მანძილის დასაფარად ქალაქის პირობებში მას 8,9 ლ ბენზინი სჭირდება.

Renault-ი — რევოლუცია მგზავრთა უსაფრთხოების სფეროში

— სწორედ ასე შეაფასეს ექსპერტებმა ფრანგული კომპანიის საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ შემუშავებული აქტიური და პასიური დაცვის ელემენტებისგან შემდგარი კომპლექსი. მისი უმთავრესი და ყველაზე საყურადღებო კომპონენტი უკან მსხდომი მგზავრებისთვის გათვალისწინებული უსაფრთხოების ბალიშებია, რომლებიც სავარძლის საზურგეშია ჩამონტაჟებული.

აღნიშნული სისტემა ავტომობილში მყოფ მგზავრებს ბალიშების ერთგვარ „რკალში“ აქცევს, რის შემდეგაც სერიოზული კატასტროფის შემთხვევაშიც კი, მგზავრი მძიმე ტრავმებისგან დაცული იქნება. „რენოს“ ინჟინრებმა საჰაერო ბალიშებთან დაკავშირებულ კიდევ ერთ პრობლემასაც მიხედეს. საქმე ის გახლავთ, რომ კატასტროფის მომენტში ელვისებური რეაგირებისას კომპრესორი ზოგჯერ წნევას ვერ აკონტროლებდა და ბალიში ზედმეტად იბერებოდა. ეს კი უფრო უარესი იყო, ვიდრე სავარძლის საზურგეზე, საჭეზე ან ხელსაწყოთა პანელზე თავის დარტყმა (ამის შესახებ „კვირის პალიტრის“ გასულ ნომრებშიც ვწერდით). ამიერიდან, „რენოს“ მოდელებზე დამონტაჟებულ უსაფრთხოების ბალიშების სისტემას სპეციალური სენსორი ექნება, რომელიც კომპრესორიდან გამოდენილი ჰაერის წნევას შეჯახების სიმძლავრის შესაბამისად დაარეგულირებს. გარდა ამისა, მძღოლს საშუალება ექნება, სულაც გამორთოს, ან თავად განსაზღვროს, თუ როგორი შეჯახების დროს უნდა გაიბეროს ბალიში. რიგ შემთხვევებში უსაფრთხოების ბალიშები უმნიშვნელო, მაგრამ უეცარ დამუხრუჭებაზეც იბერებოდა — ეს კი ავტომფლობელისთვის დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული, რადგან ერთხელ გაბერვის შემდეგ ბალიშის ბუდეში „ჩაბრუნება“ შეუძლებელია და მთლიანად სისტემა უნდა გამოიცვალოს.

გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა

ვმკურნალობთ ქრონიკულ პროსტატიტს
- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15–20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, შათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

თუ უკანონო მშენებლობით ირღვევა თქვენი უფლებები
მიმართეთ
„დემოკრატიული განვითარების ცენტრს“,
სადაც უფასოდ მიიღებთ იურიდიულ კონსულტაციას, აღმოგიჩენენ დახმარებას სასამართლო საქმის წარმოებაში, ასევე — ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში.
მის: რუსთაველის გამზ. № 23, ტელ: 92-05-94

600–750 მმ. დიამეტრის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების გაკეთება
სიღრმე (0–25)მ.
ავარიული სახლებისათვის ფუნდამენტების გამაგრება.
☎ 899-16-09-10
69-83-38 (საღამოს)

ფირმა „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
ვის: აკაკის ქ. №8 (სპორგის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

„17 წლის ბიჭი დაუფიქრებლად ევროპაში გავიქცეოდი“

ოთხშაბათს ალექსანდრე ჩივაძემ მოლდოველებთან რეზერვისტები გამოცადა, წამყვანი ლეგიონერები კი დაასვენა. თუმცა, სამ-ოთხ წელიწადში ეს დასვენებული ლეგიონერები ასაკის გამო ნაკრებს ისედაც დაემშვიდობებიან და თითოეულ მათგანს მეტად ადარდებს, რა სახელს დატოვებენ ქართულ ფეხბურთში. 30 წელს გადაცილებული ფეხბურთელები უკვე აანალიზებენ ნაკრებში გატარებულ ათწლიან პერიოდს და თუ გგონიათ, რომელიმე ჩვენზე ნაკლებად განიცდის გუნდში წარუმატებელ თამაშს, შემცდარხართ.

გოჩა ჯამარაული სწორედ ამ კატეგორიის ფეხბურთელებს განეკუთვნება. 31 წლის გამთამაშებელმა თბილისის „დინამოს“, „ალანიას“, „ტრაბზონსფორის“, „ციურიხის“, „ლუცერნისა“ და ბოლოს დონეცკის „მეტალურგის“ ფორმა მოირგო. გოჩა უხვსიტყვაობით არ გამოირჩევა, მაგრამ ნაკრების თემაზე ბევრი აქვს სათქმელი...

— გოჩა, კარიერა თავიდან რომ დაიწყო, რას შეცვლიდი?

— ეს უკვე შეუძლებელია, მაგრამ მართლა რომ შეიძლებოდეს დროის უკან დაბრუნება, 17 წლის ბიჭი დაუფიქრებლად ევროპაში გავიქცეოდი, მაგრამ მაშინ კომუნისტები იყვნენ, სად გაგიშვებდნენ? წარმოდგენაც არ მქონდა, რომ წასვლა შეიძლებოდა.

— გაქცევა რას შეცვლიდა?

— ბევრ რამეს. თუკი საქართველოში ფეხბურთელებს დიდ მოთხოვნებს არ უყენებენ, ევროპაში მაიძულებდნენ, ჩემი შესაძლებლობა მაქსიმალურად გამომეყენებინა.

— საქართველოში რატომ არ გაიძულებდნენ?

— რა ვიცი, ასე კი არის. მარტო საქართველოში კი არა, მთელ საბჭოეთში იყო სხვა წყობა და გაგება.

— რითი გვჯობნიან ევროპელები?

— ვერ ვიტყვი, რომ ადამიანობით. ჩვენთან, უკრაინაში, რუსეთში ბევრად თბილი ხალხი ცხოვრობს, ვიდრე ევროპაში. თუმცა შვეიცარიელებზე ასე ცალსახად ვერ იტყვი. განსხვავებულები არიან იტალიელები, გერმანელები და ფრანგები, მაგრამ საქმის აწყობა ყველას კარგად შეუძლია. საქმეში ჩემიანი, ნათესავი, ახლობელი — არ იციან.

საქართველოში ყველაფერი ჩვენს საწინააღმდეგოდ აეწყო. ომი, გადატრიალება, არეული წლები 20-21 წლის ბიჭების წინსვლას ხელს რომ ვერ შეუწყობდა, ძნელი მისახვედრი არ არის. არ ვიცოდით, რას ნიშნავდა პროფესიონალიზმი, დიდ ფეხბურთელად ჩამოყალიბების სისტემა.

— დღევანდელი ახალგაზრდა ფეხბურთელები ამ თვალსაზრისით თქვენს თაობას თუ სჯობნიან?

— ახლანდელ ბავშვებს კარგად არც ვიცნობ. საქართველოში იშვიათად მიწევს ჩამოსვლა და არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს. მაინც მგონია, რომ საქართველოში ნებისმიერს გაუჭირდება კარგ სპორტსმენად ჩამოყალიბება. შეიძლება რაღაცნაირად 16 წლამდე ნიჭი მეტ-ნაკლებად გამოავლენინო, მაგრამ საქართველოს პირველობაზე ვარსკვლავი როგორ უნდა გაზარდო? პირობები მათ ხელს ვერ უწყობს და ასე იკარგება უნიჭიერესი ხალხი. ჩემი თაობიდან რამდენიმე ფეხბურთელს გავიხსენებ: ნეფარიძეს, ჩუბინიძეს. ესენი იტალიელად, ესპანელად ან ფრანგად რომ დაბადებულიყვნენ, დღეს მთელი მსოფლიო მათზე ილაპარაკებდა. სულ არ ვაჭარბებ, არადა, ამ ბიჭებმა დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშეს. დამიჯერეთ, მათი პოტენციალის მქონე ახალგაზრდებს ევროპელები ხელის გულზე ატარებენ, ჩვენთან კი არ უფრთხილდებიან. ყველაფრის მიზეზი ჩვენი მენტალიტეტია. ამას კიდევ შეიძლება

მოევლოს, მაგრამ გაჭირვებას რა ეშველება? მეც მიჭირდა სკოლის პერიოდში. წარმოიდგინე, ყოველდღე გარდაბნიდან დავდიოდი თბილისში, მაგრამ ჩემს ოჯახს ჰქონდა ამხელა ხარჯის გაღების საშუალება, დღეს იმავეს ბევრი ოჯახი ვერ მოახერხებს. ამიტომაც ვამბობ, სანამ ქვეყანას არ ეშველება, არც ფეხბურთი იქნება უკეთეს დღეში, გაცილებით მეტი ნიჭიერი ბავშვი დაიკარგება, ვიდრე ჩემი თაობიდან.

— ვითარების შეცვლა რომ შეგეძლოს, უპირველესად რას გააკეთებდი?

— ჩემი ოცნებაა, ქვეყანაში გაჭირვება არ იყოს, მერე ყველაფერს ეშველება. ასეთ დღეში კი ძლიერი ნაკრები ვერ გვეყოლება. ფეხბურთი კოლექტიური სპორტია და არა ინდივიდუალური, წარმატების მისაღწევად სულ ცოტა ოცი კაცის კარგად მომზადებაა საჭირო.

— კოლექტიური სახეობაა რაგბიც, მაგრამ ქართველმა რაგბისტებმა მსოფლიო თასის ფინალში გასვლა მოახერხეს.

— გამონაკლისიც არსებობს და

12 თებერვალს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ხელმძღვანელებმა მოლდოვასთან ძირითადი შემადგენლობის თამაშს უახლოესი რეზერვის გასინჯვა ამჯობინეს. წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ექსპერიმენტმა ცუდი შედეგი მოგვცა. ევროპის საფეხბურთო რეიტინგში ერთ-ერთ ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი ქვეყნის გუნდთან შეხვედრა ფრედ დასრულდა. თავის გასამართლებლად არც ის არგუმენტი გამოდგება, რომ ჩვენი გუნდების ლიდერთა უმრავლესობამ ვერ ითამაშა. მოლდოველებიც, ფაქტობრივად, სარეზერვო ნაკრებით გვეტუმრნენ. მათ ახალგაზრდულ და ეროვნულ გუნდებს ხუთ-ხუთი ლიდერი აკლდა.

პირველი მატჩი ახალგაზრდულ გუნდებს შორის ეროვნულ სტადიონზე, დღის თორმეტ საათზე დაიწყო. ძნელი სავარაუდოა, რომ ქართველი მოთამაშეები ძილის შემდეგ ვერ გამოფხიზლდნენ და ამიტომ ვერ აჩვენეს მაღალი კლასი. რაც არ გაქვს, ვერც აჩვენებ. რეზო არველაძის სადებიუტო შეხვედრაში ნაკრებმა იმდენად უფერული ფეხბურთი აჩვენა, რომ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რა პერსპექტივა აქვს ამ გუნდს შესარჩევ ციკლში: ნაკრები რეზო არველაძემ კი არა, რინუს მიხელსმაც რომ გაწვრთნას, ფრენას მაინც ვერ დაიწყებს.

არანაკლებ მძიმე სურათი გამოიკვეთა ეროვნული გუნდის შეხვედრისას. ჩივაძემ შეკრებაზე გამოძახებულ ყველა მოთამაშეს თავის გამოჩენის საშუალება მისცა, მაგრამ მხოლოდ ორიოდემ თუ მოახერხა ნორმალურად თამაში.

ჯერ კი ის ვთქვათ, რომ უაღრესად სუსტად გამოიყურება დაცვა. კაცმა რომ თქვას, მართლები არიან მეკარეები, — ჩვენს სუსტ თამაშზე სანამ ვინმე სიტყვას დაძრავდეს, გაიხსენეთ, რომ ჩვენამდე თავდამსხმელები არ უნდა მოუშვანო. მოლდოველებს კლასი ოდნავ მაღალი რომ ჰქონოდათ, შეხვედრა ფრედ ნამდვილად არ დასრულდებოდა. „შინდისფერთა“ დაცვა ისე უსუსურად გამოიყურებოდა, უარესის წარმოდგენა თითქმის შეუძლებელია. ამ პოზიციაზე ჩივაძეს სარეზერვოებმა ამჯერად ვერ გაუმართლეს იმედები.

ნახევარდაცვაში შედარებით კარგი შთაბეჭდილება დინამოელმა გოგობერიშვილმა დატოვა. არც შეცვლაზე შემოსული მენთეშაშვილი და კვარაცხელია გამოიყურებოდნენ ცუდად, თუმცა, შვეიცარია-ირლანდია-რუსეთთან შეხვედრებისას მათი მომზადებაც არასაკმარისი იქნება.

ჩივაძემ ყველაზე მეტად თავდამსხმელები შეაქო და მართალიც იყო. დაცვისა და ნახევარდაცვის უგერგილო, შეუთანხმებელი თამაშის ფონზე გასაოცარიც იყო, როგორ მოახერხეს ორი ბურთის გატანა. ალბათ, ყველაზე რეალური იქნება, თუკი ოფიციალურ მატჩებში ეროვნული გუნდის თავკაცი მიხეილ აშვეთიას გამოიძახებს. „ალანიას“ ფორვარდის პროგრესი თვალში საცემია. არველაძესთან, დემეტრაძესა და იაშვილთან კონკურენცია კი დანარჩენებს გაუჭირდებათ.

მეკარეების მიმართ ამჯერად პრეტენზიები ნაკლებად იყო, თუმცა ეს პოზიციაც არ არის საბოლოოდ მოგვარებული, რაც რამდენიმე ეპიზოდში გამოჩნდა, უპირველესად სტუმართა გატანილი პირველი გოლის დროს.

და კიდევ — ნაკრების უმთავრესი პრობლემა მთავარი მწვრთნელია. შესაძლოა, ექსპერიმენტული შეხვედრით ძნელია სწორი და საფუძვლიანი დასკვნის გამოტანა, მაგრამ სტუმართა ასევე ექსპერიმენტულმა ნაკრებმა გაცილებით აზრიანი, თანამედროვე და სწრაფი ფეხბურთი რომ აჩვენა, ეს უდავოა. ალბათ, ქართველები კიდევ დიდხანს ვერ ვიხილავთ ისეთ ნაკრებს, რომელიც მეტოქის საჯარიმოში ბურთს ზოზინისა და „ღეჭვის“ გარეშე, სწრაფად გადაიტანს, უაზროდ არ ირბენს და საერთოდ, შედეგს რომ აჩვენებს. „სახელგანთქმული“ ქართული ტექნიკის მითი კი დიდი ხანია ილუზიურ წარსულს ჩაჰბარდა და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვიოცნებოთ: ამ არასაიმედო რეზერვის ხელში არ აღმოჩნდეს საქართველოს ნაკრები, თორემ წინა, წარუმატებელი თაობაც სანატრელი გაგვიხდება. თუმცა, გვინდა-არ გვინდა, მაინც ასე მოხდება და მერე ნახეთ ცირკი. მოლდოვა კი არა, ანდორაც ფრეებს „გაგვიგორებს“ და აღარ გაგვიკვირდება.

საქართველო 2:2 მოლდოვა

საქართველო: ლომაია (46 ნიკურაძე), აბრამიძე (64 ქემოკლიძე), შაშიაშვილი, ამისულაშვილი, სახვაძე, დიდავა (46 მენთეშაშვილი), ჯიქია (46 კვარაცხელია), გოგობერიშვილი, მუჯირი (46 დარასელია), ალექსიძე (46 აშვეთია), აფხაზავა (46 ჩალაძე).

1:0 ჩალაძე (61); 1:1 დადუ (73); 2:1 აშვეთია (83); 2:2 დადუ (84).

თანაც, რაგბი სხვა სპეციფიკისაა. ფეხბურთში გაცილებით რთულია წარმატების მიღწევა, რადგან უფრო განვითარებული სახეობაა და გაცილებით მეტი ფულია საჭირო. შვეიცარიის ნაკრებთან თამაშის წინ ვფიქრობდი, შეიძლება, ვინმეს შევაკვდე, მაგრამ ყველას დავუმტკიცებ, რომ საქართველო მართლა მიყვარს-მეთქი. თამაში მაინც არ გამომივიდა, რატომ, დღემდე ვერ ამიხსნია. სახელისთვის, ქვეყნისთვის ვთამაშობთ, მაგრამ არ გამოგვდის და რა ვქნათ? უკრაინელმა ჟურნალისტმა მკითხა, ძლიერი ფეხბურთელები კი გყავთ, მაგრამ ასევე ძლიერი ნაკრები რატომ ვერ ჩამოაყალიბეთო? მთელი საქართველო ამის მიზეზს ეძებს და მე როგორ გიპასუხო-მეთქი.

ფეხბურთი სპორტის ისეთი სახეობაა, მხოლოდ ჯიბრით ვერ მოიგებ. მართებული არ არის იმის გახსენება, რომ ათ მტერზე ერთი ქართველი მოდიოდა. მესმის, რომ ასეც იყო, მაგრამ გამიყვანეთ ომში და ყველას ვანახვებ, როგორი ჯიგარი მაქვს. ფეხბურთი მხოლოდ ომი არ არის, ხომ ხედავთ, მის ტაქტიკას ლამის მეცნიერების დონეზე არჩევენ. აქ უკვე დიდი ცოდნა, გამოცდილება და ფულია საჭირო.

გული მიკვდება, როდესაც ამბობენ, ფეხბურთელებმა ფული იშოვეს და ქვეყანა ფეხებზე დაიკიდესო. შემოსავალი რომ მაქვს, ეს არ ნიშნავს, რომ კარგად ვარ.

— ეს როგორ გავიგოთ?

— მე კარგად თავს თუნდაც იმიტომ ვერ ვიგრძნობ, რომ ქართველი ვარ. მეც მინდა მქონდეს შვეიცარიასავით ლამაზი, სუფთა და მდიდარი სამშობლო, სადაც არავის გაუჭირდება და სანამ არ მექნება, შემოსავალი ვერ გამაბედნიერებს. მყავს ნათესავები, რომლებიც 14-ლარიან პენსიას თვიდან თვემდე ელიან. აბა, მე, მათი ნათესავი შვეიცარიაში ბედნიერი ვიქნები? ჩვენც ძალიან ბევრი სატკივარი გვაქვს. ფული უპრობლემობას არ ნიშნავს.

— როგორც ვიცი, ბევრ ოჯახს ეხმარები.

— ამას მნიშვნელობა არ აქვს. შენიანს თუ არ დაეხმარები, რა კაცი უნდა იყო, მაგრამ ქვეყანას ხომ ვერ შევცვლი. შემოსავალი კი მაქვს, მაგრამ სულიერად მაინც მიჭირს. ძნელია ქართველობა, შეიძლება ჩვენთვის უფრო მეტადაც.

— მწვრთნელთა ხშირი ცვლაც ხელს არ უნდა უწყობდეს ნაკრების პროგრესს.

— მწვრთნელს სთხოვენ შედეგს და თუ ვერ მიაღწევს მიზანს, მას ხსნიან. ეს ლოგიკურია.

— ძალიან პესიმისტური საუბარი გამოგვივიდა.

— სხვათა შორის, პესიმისტურად მაინც არ ვარ განწყობილი. ჩვენ გვინდა ხალხს თავი ბოლოს მაინც დავამახსოვროთ კარგად... ეს მართლა გვინდა. და თუ ისევ არაფერი გამოგვივა, ე.ი. მეტი არ შეგვძლებია.

— ნუთუ შეუძლებელი იყო ოდნავ უკეთესი ნაკრების ჩამოყალიბება?

— შესაძლებელი იყო, როგორ არა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ზაზა ჯანაშიას კეთილისმსურველი თურქეთშიც გამოუჩნდა. მას შემდეგ, რაც მურთაზ ხურცილავამ და იური სიომინმა უდავოდ ნიჭიერ ქართველ თავდამსხმელს დარდიმანდობის გამო ხაზი გადაუსვეს, „ქოჯაელისპორის“ მწვრთნელმა გუვენჩ კურტანმა იგი გაჭირვების ტალკვესად მიიჩნია და თურქეთის ჩემპიონატის ფსკერზე ჩავარდნილი გუნდის გადარჩენის იმედი მას დაუკავშირა. მიუხედავად ჯანაშიას უზომოდ გასუქებისა, კურტანს სჯერა, რომ ქართველი ფორვარდი ფორმას აღიდგენს და ყოველმხრივ ხელს უწყობს: ჯერ იყო და დიეტისთვის კლინიკაში გააგზავნა და საგანგებოდ ექიმი დაუქირავა. თუმცა, მწვრთნელი ნელ-ნელა მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე, მაგრამ სადამსჯელო ოპერაციებსა და ზაზას კუთხეში დაყენებას პრემიალური სისტემის დახვეწა ამჯობინა. ერთი სიტყვით, კურტანი ქართველის დიეტის სპონსორი გახდა. თურმე, ყოველ დაკლებულ კილოგრამზე ათას დოლარს ჩუქნის საკუთარი ხელფასიდან და თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯანაშიას ათი კილოგრამი აქვს დასაკლები, გამოდის, რომ კურტანი ერთი თვის ხელფასს მას მოახმარს. იმედია, ზაზა ახალ პრემიას ჭამა-სმასა და ქეიფს არ „უძღვნის“.

გვერდი მოამზადა ზვიად კალანდაძემ

12 თებერვალი. ამხანაგური მატჩები:

შოტლანდია — ირლანდია 0:2	**თურქეთი — უკრაინა 0:0**
სლოვენია — შვეიცარია 1:5	**უელსი — ბოსნია 2:2**
ჩინეთი — ბრაზილია 0:0	**ესპანეთი — გერმანია 3:1**
ხორვატია — პოლონეთი 0:0	**ლატვია — ლიტვა 2:1**
ეგვიპტე — დანია 1:4	**ჩრდ. ირლანდია — ფინეთი 0:1**
ინგლისი — ავსტრალია 1:3	**ისრაელი — სომხეთი 2:0**
საფრანგეთი — ჩეხეთი 0:2	**ალჟირი — ბელგია 1:3**
საბერძნეთი — ნორვეგია 1:0	**მალტა — ყაზახეთი 2:2**
ჰოლანდია — არგენტინა 1:0	**მაროკო — სენეგალი 1:0**
იტალია — პორტუგალია 1:0	**ლიბია — კანადა 2:4**
რუმინეთი — სლოვაკეთი 2:1	**ტუნისი — შვედეთი 1:0**
კვიპროსი — რუსეთი 0:1	

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი.

იუგოსლავია-აზერბაიჯანი 2:2

ოთხშაბათს მთელ მსოფლიოში ამხანაგური მატჩები გაიმართა. ჩვენთვის საინტერესო უფრო ის მატჩები იყო, საქართველოს ნაკრების ჯგუფურ მეტოქეთა მონაწილეობით რომ გაიმართა. რუსეთის ნაკრებმა კვიპროსში გამართული ოთხთა ტურნირი მოიგო, ჯერ მასპინძლებს აჯობა ხოხლოვის ერთადერთი გოლით, შემდეგ კი ფინალში რუმინეთი დაჯაბნა 4:2. კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებით ვალერი გაზაევმა პირველი სანაკრებო ჯილდო მოიგო.

ირლანდიის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა ახალ მწვრთნელს, ბრაიან კერის. პირველი გამოცდა კერიმ ჩინებულად ჩააბარა — მისმა გუნდმა სტუმრად 2:0 მოუგო ბერტი ფოგთსის გაწვრთნილ შოტლანდიის ნაკრებს. კიდევ უფრო დამაჯერებლად გაიმარჯვა ჩვენი ნაკრების მესამე მომავალმა მეტოქემ — შვეიცარიამ. კობი კუნის გუნდმა, რომელმაც გასულ ზაფხულს ჩვენებს 4:1 მოუგო, სტუმრად ხუთი გოლი გაუტანა სლოვენიას და მხოლოდ ერთი მიიღო. ოთხშაბათს სენსაციებიც მრავლად იყო. თავად განსაჯეთ: მსოფლიო ჩემპიონი — ბრაზილიის ნაკრები სტუმრად ჩინეთის ეროვნულ გუნდს დაუზავდა, მსოფლიოს ექსჩემპიონი და ევროპის ჩემპიონი, საფრანგეთის „სამფეროვანთა“ გუნდი შინ ჩეხეთთან ორბურთიანი სხვაობით დამარცხდა, კიდევ უფრო საკვირველი გახლდათ ინგლისის ნაკრების სამარცხვინო მარცხი შინ ავსტრალიასთან. სენსაცია სენსაციად და ეს ყველაფერი კიდევ შეიძლება ზემოთ ხსენებული მატჩების ამხანაგურობით აიხსნას, მაგრამ იმ დღეს გამართულ ერთადერთ შესარჩევ შეხვედრაში იუგოსლავია შინ რომ აზერბაიჯანს ვერ მოუგებდა, ამას ველარავინ იფიქრებდა.

მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ მიანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეადგინეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვეთარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

№6 (332) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგის თემას — „დასავლეთის ინტერესები“ — 619 რესპონდენტი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 219-მა ქალმა და 396-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის საძართველოში დასავლეთის ინტერესების დამცველი ყველაზე მეტად?“**

მკითხველთა 41,8%-ის აზრით, საქართველოში დასავლეთის ინტერესების ყველაზე საიმედო საყრდენი მიხეილ სააკაშვილია. მხოლოდ 9 მკითხველმა (1,5%) შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით. **6,67** საშუალო ქულით „ყველაზე პროდასავლური ორიენტაციის“ ტიტულის მფლობელი სააკაშვილი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ზურაბ ჟვანიაა, საშუალო ქულაა 5,96. რესპონდენტთა 10,6% თვლის მას დასავლეთის ინტერესების საუკეთესო დამცველად.

მიუხედავად იმისა, რომ ედუარდ შევარდნაძე საერთო ქულების რაოდენობით მესამე ადგილზეა, მაქსიმალური ქულების მიხედვით მეორეზეა და ამ ნიშნით ჟვანიას უსწრებს — რესპონდენტთა 37,4%-მა შეაფასა იგი 8 ქულით.

როგორც ვხედავთ, ქართული პოლიტიკის ყველაზე ხმაურიან პერსონათა სამეული უკიდურესი დასავლური ორიენტაციით გამოირჩევა.

ჩვენი მკითხველების აზრით, ავთანდილ ჯორბენაძისა და ელდარ შენგელაიას იმედი თითქმის ერთნაირი და ამავე დროს შედარებით დაბალი ხარისხით უნდა ჰქონდეთ დასავლელებს — სახელმწიფო მინისტრი 2,67 საშუალო ქულით, და რეუისორ-პარლამენტარი 2,64 საშუალო ქულით — მეშვიდე-მერვე ადგილებს იყოფენ.



საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 40 წლის **დავით ბოსტოლანაშვილია** დედოფლისწყაროს რაიონიდან.

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 19 თებერვალს, 17 საათზე.

№7 (333) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„**კვირის პალიტრა**“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „**კვირის პალიტრის**“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ **მკითხველის რეიტინგში.**

№7 (333) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 19 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 20 თებერვლის 13 საათამდე.

© თბილისი

ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ აქოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათები ისევე მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათები.

მკითხველის რეიტინგის შედეგები

ყველაზე ურყევი (პრინციპული) ქართველი პოლიტიკოსი

1.	შალვა ნათელაშვილი	42,4%
2.	ნინო ბურჯანაძე	12,4%
3.	მიხეილ სააკაშვილი	10,5%
4.	ასლან აბაშიძე	4,1%
5.	გურამ შარაძე	3,0%
6-7.	ჯუმბერ პატიაშვილი	2,6%
6-7.	ნოდარ ნათაძე	2,6%
8-9.	ირინა სარიშვილი-ჭანტურია	0,9%
8-9.	ირაკლი წერეთელი	0,9%
10-11.	ელიზბარ ჯაველიძე	0,8%
10-11.	ზურაბ შეანია	0,8%

— ეს ურყევ პოლიტიკოსთა დაწინაურებული ათეულია. 16,9%-მა სხვა პოლიტიკოსები დასახელა. 1,5%-ის აზრით, არც ერთი პოლიტიკოსი არ გამოირჩევა პრინციპულობით, 0,6%-ს კი გაუჭირდა კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა.

მკითხველის რეიტინგში 331 რესპონდენტი მონაწილეობდა.

თემა №7 (333) — რუსეთის ინტერესები

თქვენი აზრით, რომელი პიროვნებაა საძართველოში რუსეთის ინტერესების დამცველი ყველაზე მეტად (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№7(333) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

№		ქულა
1	ვახტანგ რჩეულიშვილი	
2	ნინო ბურჯანაძე	
3	ედუარდ შევარდნაძე	
4	ასლან აბაშიძე	
5	პანტელეიმონ გიორგაძე	
6	ბადრი პატარკაციშვილი	
7	ავთანდილ ჯორბენაძე	
8	გიორგი შენგელაია	

მკითხველის რეიტინგი

დაასახელეთ, თქვენი აზრით, ფინანსურად ყველაზე ძლიერი პოლიტიკური პარტია

✓ _____

მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ _____

_____
თქვენი სახელი, გვარი

_____
ქალაქი (რაიონი)

_____ _____
ასაკი ტელეფონი

თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ვაჟა გაჟაშელი** — „როგორ ტყდება ცისე შიგნიდან“ — 117 ხმა
2. **ინგა ჯაყელი** — „როგორ აშენებს სოფელი ტაძარს... 4 წლის ილიასათვის.“ — 55
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „თბილისი გვეუბნება, ასე გაგაკეთეთო, და ჩვენ რა, სულელები ხომ არ ვართ, ლუკმა პირიდან გამოვიგდოთ“ — 47
4. **ეთერ თარიმანი** — „საიდან მოვალ, ვინა ვარ“... — 39
5. **დარი გრძელიშვილი** — „ჩვენი ქვეყანა ჩვენვე გავუყავით ძლიერ სახელმწიფოებს და ჩვენსაკე ტერიტორიაზე „ვაჭიდავებთ“... — 37

„მკითხველის პრემიას“ რუბრიკა „ჟერსიის“ ავტორი **ვაშა გავაშელი** მიიღებს.

„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 493-მა რესპონდენტმა გამოავლინა.

• ფოტოპალიტრა • ფოტოანტიკვარი ©

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას დაარქმევდით?

_____

_____

_____

_____

თქვენი სახელი, გვარი _____

ქალაქი (რაიონი) _____

მანუჩარ მაჩაიძე, მიხეილ სააკაშვილი

„ფოტოანტიკვარმა“ აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა გამოიწვია. ამ პატარა, თვალებბრიალა ბიჭუნაში მკითხველებმა ვინ ალარ „ამოიცნეს“ — დავით თევზაძე, გიგი წერეთელი, მალხაზ ქვრივიშვილი, ზურა დოიჯაშვილი, თემურ თათარაშვილი, დათო გომართელი, აჩი მეფარიძე, ასლან აბაშიძე, ნუგზარ გაბრიჩიძე, ვალერი ხაბურძანია...

მინიშნებამ — „დღესაც ასეთი ბრიალა თვალები მაქვს, აი, თმას რაც შეეხება...“ — მკითხველთა 18% სწორ გზაზე დააყენა და „ფოტოანტიკვარში“ ვასილ მაღლაფერიძე ამოიცნო.

ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



ვასილ მაღლაფერიძე, ოთხი წლის

ᲤᲝᲢᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

– ეჰ... მორეკვა რომ დავინყე, ადამიანი ვიყავი!...

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

17/II
სავსე მთვარე

მაგნიტური დღეებია:
17/II 18-დან 20 საათამდე
20/II-ის 9-დან 11 საათამდე

ᲰᲐᲠᲘᲡᲝᲜ ᲤᲝᲠᲓᲘᲡ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ



ჰოლივუდის ცნობილ ვარსკვლავს, ჰარისონ ფორდს არ ჰყვარებია ვარდები. თურმე ნუ იტყვით და მსახიობის სახლში არც ერთ ფანჯარას არ ჰქონია ფარდა, მოშიშვლებულია მთელი შენობა. ამასთან, ფორდს შინ შიშველს ჰყვარებია ტანტალი, რაც ძალზე ახალისებს მის მეზობლებს. თავად ვარსკვლავი ასე ხსნის თავის უცნაურ საქციელს: „ეს დახვეწილი გემოვნების ნიშანია, არ მიყვარს გადატვირთული ოთახები, მეტი სივრცეა საჭირო. ფარდა კი ახშობს სივრცეს, მყუდროებას უკარგავს...“

ქალს დიდი ხანია ეჭვი აქვს ქმრის ღალატზე. ერთ მშვენიერ დღეს ქმარი შინ გვიან ბრუნდება, კისერზე პომადის კვალით.

ცოლი: — იცოდე, არასოდეს ვიქნები მეორე ვიოლინო!

ქმარი: — მეორე ვიოლინო?! მადლობა თქვი, რომ საერთოდ უკრავ ორკესტრში!..

* * *

რესტორანში:

— მე და ჩემი მეუღლე ქორწინების 25 წლისთავს აღვნიშნავთ. რომელ სასმელს შემოგვთავაზებთ?

— გასახსენებელი გინდათ თუ დასავიწყებელი?

ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲑᲔᲠᲛᲣᲮᲐ“
ᲑᲠᲬᲧᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲣᲜᲣᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲣᲖᲔᲑᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲡᲐᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ. ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ 10 ᲬᲚᲘᲡ.
ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. №55, ᲑᲘᲜᲐ №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

თარაზულად: 1. სრული შემოტრიალება; 4. ადამისა და ევას სასეირნო ბაღი; 6. ფინური მობილური; 7. მაინ რიდის რომანი „... მხედარი“; 8. ოდისევსის სამშობლო; 9. თვალის ფერადი გარსი; 10. ცხოვრებისა და მოღვაწეობის საზეიმოდ აღნიშნული წლისთავი; 13. შიგნითა ციხესიმაგრე ძველი რუსეთის ქალაქებში; 16. სარგებლობა, მოგება, გამორჩენა; 18. პრაქტიკის ანტიპოდი; 19. წყალს ჩამოჰქონდა აჭარულ სიმღერაში; 20. ძველ საბერძნეთსა და რომში ღვინისა და მხიარულების ღმერთის — დიონისეს (ბახუსის) დღესასწაული; 22. მიხრა-მოხრაში სინარნარე, მოხდენილობა; 23. შავი თმისა და თვალების ეპითეტი; 27. ცალკეული გამოსახულება ფოტოფირზე; 28. სამ და ოთხწლიანი ცხენების დოღი; 29. ფრანგი განმანათლებელი და ფილოსოფოსი, საერთაშორისო სამართლის წესთა კრებულის შემდგენელი; 30. ძილისპირული სიმღერა; 31. ქვეყანა, რომლის ჭიდაობის ეროვნული სახეობაა ფოტოზე.

შვეულად: 1. მტრის ზურგში მებრძოლი ადგილობრივი მოსახლე; 2. კუჭუკანა ჯირკვლის ჰორმონი; 3. „ზღვის“ ქვა; 4. მემამულის მოსავლის გათელვა ფოტოზე ნაჩვენები ფეხსაცმლით; 5. ქვეითი ჯარის შესაბამისი კავალერიის ქვეგანაყოფი; 11. იულიუს კეისრის ავადმყოფობა; 12. ფინელი მწერალი, ავტორი რომანებისა „მეოთხე მალა“, „ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ“; 14. ყვითელყვავილოვანი ზეთოვანი მცენარე; 15. ფრანგი მომღერალი; 16.დაბალი და ხშირი ბუსუსები ზოგიერთი ქსოვილის ზედაპირზე; 17. თმის ბუნებრივი საღებავი; 21. ტანისამოსის კარადა; 22. ერთნაირი დანიშნულების მქონე საგნების სრული კომპლექტი; 24. ეგნატე ნინოშვილის ნამდვილი გვარი; 25. სახელწოდება ათენის ახლოს მდებარე ბაღისა, სადაც ასწავლიდა ფილოსოფოსი პლატონი; 26. ჩრდილოამერიკის უდიდესი მდინარე.

შეადგინა რამაზ ალანიამ

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ: „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ (ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ) ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ (ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲝ) ᲧᲣᲗᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ.©

7 ᲣᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

განცხადების ტექსტი _____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

გთხოვთ, ტექსტი გარკვეულით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვეველად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№7 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 20 თებერვლის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, გათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, გალდათი, ხონი, განძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სილნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები:
ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ.: **რედაქცია:** 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი №518
„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „ჯოლორში“.